



ქართული
ემიგრაცია



2/2014

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

გიორგი მაჩაბლის ფონდი

ქართული
ემიგრაცია

თბილისი
2014

უაკ (UDK) 3252 (=353.1)
ქ-279

გარეკანის დიზაინი: პაატა ნაცვლიშვილი

ISSN 1987-9687

ქართული
ემიგრაცია

2⁽⁵⁾ / 2014

სარედაქციო
კოლეგია:

ოთარ ჯანელიძე
რედაქტორი

ლაშა ბაქრაძე
რუსუდან დაუშვილი
მალხაზ მაცაბერიძე
პაატა ნაცვლიშვილი

1924 წლის აჯანყების 90-ე წლისთავი

ვალიკო ჯუღელის უცნობი დღიური 7

**პაატა ნაცვლიშვილი / ვალიკო ჯუღელის საიდუმლო მისიის
21 დღე 21 ფურცლად 8**

ვალიკო ჯუღელი / დღიური-1924 13

ქართული ემიგრაციის ისტორია

**დმიტრი შველიძე, გიორგი გაფრინდაშვილი / „საქართველო“ –
პირველი ქართული ეროვნულ-პოლიტიკური გაზეთი საზღვარგარეთ 27**

ანჯეი ვოჟნიაკი / ვარშავის ქართული ემიგრაცია 36

პაატა ნაცვლიშვილი / პოლონელი ქართველები არგენტინაში 59

**გურამ ყორანაშვილი / არზაყან ემუხვარის ფსიქოლოგიური
პორტრეტისათვის 89**

ავთანდილ ნიკოლეიშვილი / ილია კუჭუხიძე (მინდია ლაშაური) 95

**გიორგი მაჩაბლის მიმართვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს
ლეონიდე ოქროპირიძეს / ელდარ ბუბულაშვილის პუბლიკაცია 110**

**გიორგი მაჩაბლის კერძო წერილები აკაკი ჩხენკელს /
რუსუდან კობახიძის პუბლიკაცია 114**

**მარიამ ხატიაშვილი / გიორგი მაჩაბელი 1930-90-იანი წლების
ამერიკული გაზეთების მიხედვით 126**

რუსუდან დაუშვილი / შემოქმედი ქართველი ქალები ემიგრაციაში 134

**ოთარ ჯანელიძე / ექვთიმე თაყაიშვილი: „მე მხოლოდ ჩემ ქართულ
მოვალეობას ვასრულებდი“ 151**

**შორენა მურუსიძე / კონსტანტინე კანდელაკის მიმოწერა (მასალები
ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის) 158**

**გრიგოლ რობაქიძის ხუთი უცნობი ხელნაწერი /
ლალი ცომაიას პუბლიკაცია 182**

ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობა	
შალვა ამირეჯიბი / ნიკო ნიკოლაძე	192
მიხეილ ქავთარაძე / რუსეთი და საქართველო	195
ქართული დიასპორა	
თურქეთის ქართული დიასპორა / მაია მანჩხაშვილის პუბლიკაცია	198
ახალი წიგნები ემიგრაციაზე	
2012-2014 წლების ბიბლიოგრაფია	205
რეპლიკა	
სუსტი წიგნი ამბიციური სათაურით	206
ქრონიკა	210
ჟურნალის ავტორები	212

ვალეკო ჯუღელის უცნობი დღიური

90 წელი გავიდა 1924 წლის აჯანყებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდლის ვალეკო ჯუღელის დღიურს, რომელიც 1924 წლის თებერვალში იწერებოდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად საფრანგეთიდან გამოგზავნილი ემისრების საქართველოში დაბრუნებას ასახავს.

ეს დღიური საფრანგეთში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არქივში ინახებოდა, რომელიც დაცული იყო პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს მიერ მამია ბერიშვილისა და კარლო ინასარიძის ძალისხმევით. იგი გადმოგვცა ამ ბიუროს უკანასკნელმა ცოცხალმა წევრმა ტიერი ბერიშვილმა, რისთვისაც უფროსად „ქართული ემიგრაციის“ რედაქცია და გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტი მადლობას მოახსენებს მას.

დღიურს შავყდიანი, 92-ფურცლიანი, უჯრედებიანი ბლოკნოტის 21 ფურცელი (42 გვერდი) უკავია. ტექსტი დაწერილია შავი ფანქრით, იმ დროის კვალბაზე საკმაოდ გამართული ქართულითა და ზომიერად რთული კალიგრაფიით, თუმცა ზოგიერთი სიტყვა ძნელი ამოსაკითხია. დღიური იწერებოდა 9-დან 29 თებერვლამდე ყოველდღე, გარდა 11, 12, 14, 16 და 18 თებერვლისა.

დღიური წყდება სტამბულში. აქედან ჩანს, რომ იგი ავტორს თან არ წაუღია და სტამბულში დაუტოვებია ალბათ კონსტანტინე გვარჯალაძესთან ან სიმონ მდივანთან. სწორედ ერთ-ერთი ამათგანის დამსახურებაა, რომ დღიური გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია.

ვალეკო ჯუღელის დღიური პირველად ქვეყნდება. პუბლიკაციას ერთვის გრ. რობაქიძის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ პაატა ნაცვლიშვილის წინასიტყვაობა.

ავტორისეული სტილი და ორთოგრაფია დაცულია. გასწორდა მხოლოდ უმნიშვნელო ორთოგრაფიული თუ პუნქტუაციური შეცდომები.

ვალეო ჯუღელის საიდუმლო მისიის 21 დღე 21 ფურცლად

*: მინდა რომ ეს წიგნაკი ჩვენზე ბედნიერი იყოს .** – ამ სიტყვებით იწყებს საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი ვალეო ჯუღელი თავის დღიურს, რომელიც ოთხ თანამებრძოლთან ერთად სამწლიანი ემიგრაციიდან მის საქართველოსკენ მგზავრობას ასახავს.

92-ფურცლიანი, შავყდიანი ბლოკნოტის 21 ფურცელზე დაწერილი ეს დღიური დღემდე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არქივში ინახებოდა, როგორც 1924 წლის აჯანყებაში საქართველოს ყოფილი მთავრობის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მონაწილეობის თუ მონაწილეობის სურვილის ერთი უმთავრესი მოწმე და საბუთი.

1924 წლის თებერვალია, საქართველოში აჯანყება მზადდება და საქართველოს ლტოლვილი მთავრობა აჯანყების ორგანიზებაში მონაწილეობისათვის ემისრებს აგზავნის. ვალეო ჯუღელის გარდა საქართველოსკენ მოემგზავრებიან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები: ბენია ჩხიკვიშვილი, ვასილ ნოღია, გრიგოლ ცინცაბაძე და ვიქტორ ცენტერაძე.

მისია იმდენად გასაიდუმლოებულია, რომ მის შესახებ იცინა მხოლოდ ნოე ყორდანიამ, ნოე რამიშვილმა, ევგენი გეგეჭკორმა და კონსტანტინე კანდელაკმა. სხვებს ჯერ უმაღავენ.

ვალეო ჯუღელი და ბენია ჩხიკვიშვილი პარიზიდან მარსელში 9 თებერვალს ჩავიდნენ. ისინი მაშინაც ერთად ჩასულან მარსელში, როცა ბოლშევიკებს გამოერიდნენ უკვე დაპყრობილი საქართველოდან.

ისევ ერთად არიან, ისევ მარსელში, მაგრამ განწყობილება სრულიად განსხვავებულია. ვალეო ჯუღელი წერს:

: მაშინ, ამ სამი წლის წინეთ მძიმე და გაურკვეველ გუნებაზე ვიყავი... ეხლა კი სრულიად დამშვიდებული, მხნე და იმედიანი ვარ... მაშინ არ იყო პერსპექტივა, ეხლა კი მკვეს ნათელი და შეურყეველი რწმენა... :

საქართველოზე ნითელი არმიის თავდასხმის ზუსტად სამი წლის თავზე, 12 თებერვალს მარსელში ემისართა გასაცილებლად ევგენი გეგეჭკორი და ნოე რამიშვილი ჩავიდნენ. იმავე დღეს ისტანბულიდან მარსელში ჩავიდა აგრეთვე ვასილ ნოღია, იგივე – ოსმანი, და წამსვლელ-დამჩრომს ბოლო თათბირი გაუმართავს.

: ოსმანმა გააკეთა მოხსენება. მხნე, იმედიანი. მე – თუმცა ოპტიმისტი ვარ, – მაგრამ ოსმანის მოხსენების სრული ობიექტურობა ვერ დავიჯერე! იმდენად იმედიანი და პერსპექტივებიანი იყო იგი... :

საქართველოსკენ გამოგზავნილ მისიას ვალეო ჯუღელი ხელმძღვანელობს.

ვალეო ჯუღელი ცნობილია, როგორც მრავალი პირადი ღირსებით შემკული უშიშარი მებრძოლი, რომლისთვისაც საქართველოსთან განმორების სამი წელიწადი მძიმე და დამთრგუნველი აღმოჩნდა. მის თანაპარტიელთა იმდროინდელი თუ გვიანდელი შეფასებების ფონზე უაღრესად მწვავედ გაისმის ჯუღელის სიტყვები, რომლებშიც იგი ლტოლვილობას უმოქმედობასა და დეზერტირობასთან აიგივებს:

* ავტორი ციტირებისას ბრჭყალების ნაცვლად ორწერტილის ხმარობს (რედაქციის შენიშვნა).

: უკვე მალე 3 წელია ლტოლვილობისა, დეზერტირობისა! სამი მძიმე, ბნელი და მწუხარე წელი... ამ 3 წლის განმავლობაში ქართველი ხალხი თავგანწირულათ იბრძოდა, სისხლიდან იცლებოდა და თავის საუკეთესო შვილებს კარგავდა... ჩვენ კი უცხოეთში „ვუთანაგრძნობდით“ ამ ბრძოლას, მას „მხარს ვუჭერდით“. და აღსანიშნავია: იმ დროს, როცა უცხოეთში არც ერთი „ემიგრანტი“ არ გა[რ]დაცვლილა (პირ-იქეთ – ზოგმა ხორციც შეიმატა), იქ – საქართველოში ბევრი დაიხოცა, მრავალი დაიხვრიტა და კიდევ მეტი დაავადმყოფდა... :

გვარდიის ყოფილი სარდალი გახარებული, მეტიც – ბედნიერია, რომ : ყინული გატყდა და წყალი დაიძრა!... და რომ სამშობლოში დაბრუნების და მოქმედების შანსი მიეცა:

: მე უკვე სამშობლოსაკენ მივემგზავრები. და ბედნიერი ვარ! მომეცა ნება წინსვლისა, ბრძოლისა, თავდადებისა და ქვეყნის განთავისუფლებისა... :

ან სხვაგან:

: და მე აღვმართავ იმ ბრძოლის დროშას, რომელიც დროებით დასვენებული და მიმალული გვექონდა!.. :

და კიდევ:

: მართლაც რომ ბედნიერი ვარ!.. და ასე ინერება ისტორია! :

რა როლი შეასრულა ვალიკო ჯუღელმა საქართველოს ისტორიაში, ამაზე საუბარი ამჯერად შორს წაგვიყვანს, ისევე როგორც იმაზე მსჯელობა, თუ რა შედეგი მოიტანა თავად გვარდიამ, რომელიც უკვე თავისი არსებობით იმთავითვე დაპირისპირებული იყო ქართულ ჯართან.

ის კი საინტერესოა, რას ფიქრობდნენ ერთმანეთზე ქართული შეიარაღებული ძალების ამ ორი ინსტიტუციის მეთაურები, მით უმეტეს, რომ ერთი მათგანის აზრი მხოლოდ ამ დღიურებიდან ხდება ცნობილი.

: მაპატიოს ვალიკო ჯუღელმა ეს სიტყვები. როგორც ადამიანი, როგორც პიროვნება იგი ყოველთვის მომწონდა; ამაში იგი დარწმუნებული უნდა იყოს, ვინაიდან სხდომებზე ჩვენი არაერთი შეტაკების მიუხედავად, მის მიმართ სიმპათია ხშირად გამოიხატავს. სამწუხაროდ, როგორც მოლვანე, იგი არ იყო მზად იმ უზარმაზარი როლისათვის, რომელიც მას წილად ხვდა ჩვენი ხალხის ისტორიაში. :

ეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელი მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის სიტყვებია.

ხოლო ვალიკო ჯუღელი თავის დღიურში წერს:

: დღეს 24 თებერვალია: სწორედ მესამე წლისთავი ჩვენ მიერ თბილისის ასე სამარცხვინო და ბოროტ მიტოვებისა. გენერალი კვინიტაძე ვერასოდეს ვერ განთავისუფლდება ამ სამხნელ ლაჩრობისაგან, რომელიც უდრის უდიდეს ბიროტმოქმედებას და სამშობლოს ღალატს... :

გენერალი კვინიტაძე სულაც არ არის ერთადერთი, ვისაც ვალიკო ჯუღელი ასე სასტიკად აკრიტიკებს. 22 თებერვლის ჩანაწერში იგი მთელ პარიზულ ემიგრაციას გადასწვდა:

: სამხნელი დამშვიდებული და გამტკიცებული მივემგზავრები წინ. მაქვს იმედი, მაქვს რწმენა, მაქვს ნების ყოფა. ხანდისხან ვიხედები უკან – პარიზისაკენ. და ვერავითარ გულისდანყევებას, ვერავითარ სინანულს ვერ ვგრძნობ! ალბათ იმიტომ, რომ პარიზელმა ჩვენმა მეთაურებმა თავი მომაბეზრენ და გუნება მომინამლენ! არის პარიზში 3-4 კაცი, რომელიც ან მიყვარს ან რომელთაც პატივს ვსცემ. სხვები კი ან მეჯავრება, მეზიზღება, ანდა არაფრათ არ მიმაჩნია! ღმერთო! თურმე როგორ უხეიროთ, როგორ ცუდათ და უსაფუძვლოთ ინერება ისტორია? :

ვალიკო ჯუღელი უაღრესად შენუხებულია, რცხენია და იტანჯება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის არაერთი წევრის ხელჩაქნეულობის და არცთუ სასახელო საქციელის გამო. იგი დღიურისათვის დამახასიათებელი გულწრფელობითა და პირდაპირობით არჩევს მკაცრ ეპითეტებს და არც გვარების დაკონკრეტებას ერიდება. ჯუღელი მათ ქონდრისკაცებს, მაჯლაჯუნებს, ბოროტ სულებს, ლაჩრებსა და ეგოისტებს უწოდებს, თუმცა ემიგრაციაში მყოფ პოლიტიკოსთა მისეული შეფასებები არ არის ცალმხრივი. ნოე ცინცაძის, რაუდენ არსენიძის, კონსტანტინე საბახტარაშვილისა და გიორგი ერადის დაუნდობელი კრიტიკის ფონზე იგი დიდ პატივისცემას გამოხატავს ნოე რამიშვილისა და ევგენი გეგეჭკორის, აგრეთვე სვიმონ მდივნის მიმართ; ასევე პატივისცემით მოიხსენიებს იგი ირანის რევოლუციის გმირს ვლასა მგელაძეს (რომელსაც „ლასას“ უწოდებს) და სინანულს გამოთქვამს, რომ იძულებული გახდა, სხვებთან ერთად მისთვისაც დაემალა თავისი მგზავრობის ნამდვილი მიზანი.

: სჩანს [ვლასა ყველაზე საინტერესო რევოლუციონერია ჩვენში. დღეს [ვლასა ლევილიშა და საქართველოსკენ წასვლას ისწრაფვის. მაგრამ საქმე ისე მოენყო, რომ მას ჩვენი აქეთ წამოსვლაც არ [ვ]უთხარით! არ ღირს ამის თქმაო! და მეც უფროს ამხანაგებს დაუუჯერე. და ასე იქმნება ისტორია! მე შედარებით პატარა კაცმა, რომელსაც არც დიდი წარსული არ მაქვს და არც დიდი გმირობა არ გამოცდია – მე უნდა დაუშვლო ჩემი მგზავრობა [ვლასა მგელაძეს! :

დღიურის ეს ეპიზოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ჯუღელის ჯგუფთან ერთად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა საქართველოში ვლასა მგელაძეც გამოაგზავნეს.

საერთოდ, 1924 წლის აჯანყების შესახებ სადღეისოდ უკვე საკმაო ლიტერატურა არსებობს როგორც ემიგრაციაში, ისე საქართველოში შექმნილი, სადაც არათუ სხვადასხვა კუთხით არის განხილული ესა თუ ის ფაქტი თუ მოვლენა, არამედ თავად ეს ფაქტები და მოვლენები განსხვავებული და არცთუ იშვიათად ურთიერთგამომრიცხავი. ამ თვალსაზრისით, ვალიკო ჯუღელის დღიურს გარკვეული სიცხადის შეტანა შეუძლია აჯანყების მომზადებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტის და მასში ჩართული პიროვნებების ვინაობისა თუ გუნება-განწყობილებების დადგენა-დაზუსტებაში.

ვალიკო ჯუღელს სჯერა, რომ მარსელიდან ის და მისი თანამოაზრეები საქართველოში ისტორიის დასაწერად, ისტორიის შესაცვლელად მიდიან. ასე იწერება ისტორი-აო, სამჯერ სხვადასხვა ადგილას ხაზგასმით აღნიშნავს იგი. ორი ციტატა ზემოთ უკვე მოვიხმეთ. აი, მესამეც:

: მივცურავთ ხმელთაშუა ზღვაზე ხუთი ქართველი. და ეს მგზავრობა ალბათ აღიბეჭდება საქართველოს განმათავისუფლებელ ისტორიის ფურცლებზე!.. :

არა, არ აღიბეჭდება!

ისინი ვერც საქართველოს გაათავისუფლებენ და ვერც ვერაფერს შეცვლიან. ტყუილად ეგონა ვალიკო ჯუღელს, რომ *: დაიძრა ნყალი და გატყდა ყინული! :*

მათი მისია წარუმატებელი აღმოჩნდება, ვალიკო ჯუღელს 6 აგვისტოს დააპატიმრებენ, ბოლშევიკებისთვის ხელსაყრელ რამდენიმე განცხადებას გააკეთებინებენ და აჯანყების დაწყებამდე დახვრეტენ სადღაც ტამბოვთან.

საქართველოსკენ მიმავალი კი იგი ოპტიმიზმით არის აღსავსე:

: თუ რამე ახალი მოულოდნელი უბედურებები თავს არ დაგვატყდა, – გამარჯვება მნამს! :

და მეორეგან:

: ქართველი ხალხი ხო ჩვენთან არის, იგი ხომ თავის თავთან არის და სხვა ჩვენ არაფერი გვინდა: გამარჯვება მაინც ჩვენი იქნება! ოღონდ მეტი სიმძიმე და მეტი სისხლი შეგვხვდება... ეხლა მთელი ჩემი არსება იქ არის – მებრძოლთა რიგებში. მე მივიტან ახალ მხნეობას, ახალ ხალისს, ახალ იმედებს! და მე აღვმართავ იმ ბრძოლის დროშას, რომელიც დროებით დასვენებული და მიმალული გვექონდა!.. :

და კიდევ:

: ეს სამი გრძელი და თანაც მოკლე წლები უცხოეთში დევნილობისა იყო გაშუქებული და გამსჭვალული ამ შეურყეველი და დაუმონებელი სიყვარულით. და სადაც არ უნდა ვყოფილიყავ, რა მდგომარეობაში არ ვყოფილიყავ – მუდამ მახსოვდა ჩემი წამებული სამშობლო და მისი ტანჯული, ლეჩაქ აღდილი (Sic!) მშვენიერი სახე!.. და ყოველთვის აღთქმას ვსდებდი, რომ შეუპოვრათ, თავდადებულათ ვიბრძოლებდი ჩემ წამუს-ახდლო, მაგრამ უმშვენიერეს დედა-სამშობლოსათვის, რომ ჩემ სიცოცხლეს, ჩემ მხნეობის, ჩემ სიყვარულს და მთელ ჩემ სისხლს ალტაცებით მივიტან სამშობლოს საკურთხეველზე! ვსდებდი ფიცს, რომ არასოდეს არ შევურიგდებოდი მტრებს ჩემი ქვეყნისა და მხოლოდ მაშინ მოვისვენებდი, როცა მას მძიმე ბორკილებს აყვრიდი! დღემდე მე უძლური ვიყავი აღთქმის და ფიცის შესრულებაში. პირობები ხელს არ მიწყობდენ და ამხანაგები ნებას არ მაძლევდენ. მაგრამ დაიძრა წყალი და გატყდა ყინული! :

გარდა ავტორის შემართებისა და ალტკინებისა, გარდა ახალი ფაქტობრივი მასალისა და პოლიტიკური შეფასებებისა, ვალიკო ჯუღელის დღიური სხვა მხრივაც არის საინტერესო. მკითხველს უეჭველად დაამახსოვრდება მგზავრობისას გამოვლილი ქალაქების ჯუღელისეული აღწერები: მარსელი, ათენი, თესალონიკი, ისტანბული...

: მარსელი პარიზის შემდეგ ძლიერ ბინძური და არეული ქალაქია. სტამბოლის შემდეგ კი მარსელი დიდათ მომეწონა... პარიზი არის კეკლეუცი და გალიმბუელი, მას სიღარიბე და ხალხთა ფერადობა არ ამჩნევია... მარსელი კი ჭრელი და ხშირად ბინძურია... ხალხიც არეულია... :

მწერლის ნაწერს ჰგავს საღამოს სურათი მესინის სრუტეში:

: გუშინ საღამოს გავიარეთ ცნობილი სცილლა და ქარიბდა. მაგრამ ჩვენთვის ნამდვილი სცილლა და ქარიბდა წინ არის! საღამო მშვიდი და მთვარიანი იყო. ორი მხრივ – იტალიის და სიცილიის ნაპირებზე – ქალაქები განირაღდნებული იყო: თითქო თავალმარგალიტები გაეზბნა ვინმეს ზღვის პირზე და თანაც მთის კედლებზეც შეეყარა. :

ის ამბავი, რომ ვალიკო ჯუღელს კალამი უჭრის, სულაც არ იქნება ახალი მათთვის, ვისაც წაუკითხავს მისი წიგნი „მძიმე ჯვარი“, 1920 წელს რომ დაიბეჭდა თბილისში რუსულ ენაზე ევგენი გეგექჰორის წინასიტყვაობით. სხვათა შორის, „მძიმე ჯვარი“ სწორედ დღიურის ფორმითაა დაწერილი და ძირითადად 1917-1920 წლების ამბებს მოიცავს. ძნელი სათქმელია, ის დღიურები იმათათვის რუსულად დაინერა, თუ მერე ითარგმნა, მაგრამ ფაქტია, რომ თავის წიგნში ვალიკო ჯუღელი დაკვირვებულ, სერიოზულ კალმონსა და გვევლინება, რომელსაც მთავარისა და მეორეხარისხოვანის გარჩევაც შეუძლია და ინფორმაციის ემოციურად მონოდებაც ძალუძს.

მის ამ ახალ დღიურშიც არაერთი ფრაგმენტის მოხმობა შეიძლება ამის საილუსტრაციოდ. ასეთია, მაგალითად, ათენის აღწერა, რომელსაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია ავტორზე, იმდენად რომ, თუ მანამდე : საყვარელი, მაგრამ უპატრონო და ასერილი : ქუთაისის დარად წარმოედგინა, მერე თბილისსაც კი ამჯობინა:

: იგი მეგონა პატარა, უსუფთაო და უკულტურო ქალაქი. ჩემს წარმოდგენაში ათინა ემსგავსებოდა ჩვენ საყვარელ, მაგრამ უპატრონო და ასერილ ქუთაისს. მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დამანახვა. ათინა ახდენს შესანიშნავ და ძლიერ შთაბეჭდილებას. იგი

საკმაოდ დიდი, სუფთა, ლამაზი და კულტურული ქალაქია. და ჩვენი დიდი ქალაქი – თბილისი მას ვერ მოუდგება! ზოგიერთი უბნები პირდაპირ საუცხოვო და თვალწარმტაცია და ზოგი ახალი შენობაც საუცხოვო გემოვნებისაა. :

და იქვე:

: ვნახე აკროპოლი, აია სოფია, მილანის ტაძარი, ლუვერი, ვერსალი და ეიფელი, – მაგრამ არც ერთს არ მოუხდენია ჩემზე ისეთი დიდი და წარუშლელი შთაბეჭდილება, როგორც მოახდინა ძველმა ათინამ. :

შემორჩენილია აკროპოლისზე 19 თებერვალს გადაღებული ხუთეულის ფოტოც. ხოლო მეორე დღეს გაკეთებული ჯუღელის ჩანანერი მრავალმხრივ არის საინტერესო:

: ძველი და დიდი ათინისაგან დღეს თითქმის აღარაფერი დარჩენილა, მაგრამ ის მცირეც, რაც გადარჩენია ადამიანთა ბარბაროსობას და ბუნების სიმკაცრეს – ისიც წარუშლელ და განუსაზღვრელ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. აკროპოლი სავსებით მიპყრობს და მსიბლავს. აღარ მინდა მოვცილდე ამ დიდ ტაძარს, მინდა მუდამ უცქერდე ამ დამუწვებულ, დაღუნილ, მაგრამ მშვენიერ და მლაღად მარმარილოებს. შენი გული, სული და გონება უერთდება ამ ქვის მშვენიერ ნანგრევებს და ტუნჩები უნებლიეთ მიილტვიენ თეთრ მარმარილოს ცივ ბაგებისაკენ. მე გადაწყვეტილი მქონდა და მაქვს, რომ შეხვედრისთანავე ჩავეხვიო და ჩავკოცნო ჩემი მინა-შობელი! და მე არ მეგონა თუ სხვის მინასაც ვაკოცებდი. მაგრამ გუშინ მე ვეამბორე აკროპოლის დიდებულ ქვებს! ეს არ იყო პოზა, არ იყო ხელოვნური!.. პირ-აქეთ – მე რაღაც შინაგანი ძალა ამას მაიძულებდა და მარტო რომ ვყოფილიყავი ალბათ გავძლებოდი ამ ცივი მარმარილოების კოცნით!.. და ეს მარმარილოები, ეს დიდი დიდებაა, ხომ მართლა სხვისი, ხომ მარტო დღევანდელი ბერძნების არ არის?! იგი ხომ მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, მას ხომ სამშობლო არა აქვს?!. და მეც აკროპოლზე ვკოცნიდი ჩვენ წარსულს, ჩვენ წამებულ ანწყოს და ჩვენ განთავისუფლებულ აყვავებულ მომავალს! :

საბერძნეთის დარად ეთაყვანება ვალიკო ჯუღელი საფრანგეთს, რომელსაც თავის მეორე სამშობლოს უწოდებს:

: საფრანგეთი ჩემს უკან დარჩა. ეს ჩემი საყვარელი ქვეყანა, ჩემი მეორე სამშობლო. ტკბილი და რღმა (Sic!) მოგონებები მიმაქვს. განსაკუთრებით არ დამავიწყდება ის 7 თვე, რომელიც ბელფორში და სან-სირში გავატარე. იქ მე დავუახლოვდი საფრანგეთს, მის გულს, მის სულისკვეთებას!... ჩემი ორიენტაციაც მხოლოდ საფრანგეთზეა... მიმაქვს საფრანგეთის დარდი და ოცნებები, მაგრამ გული არ მწყდება, რომ მას მოვშორდი... რადგანაც მე მივედივარ ჩემი მიზნისკენ, რადგანაც ხორციელდება ჩემი ნატვრა!... მეორე სამშობლოს ყოველთვის პირველი და უკანასკნელი სამშობლო ჯობია!.. :

მართლაც, ვალიკო ჯუღელს მთელი მოგზაურობის მანძილზე საქართველო უდგას თვალწინ – საფრანგეთშიც და საბერძნეთშიც, ცხადშიც და სიზმარშიც:

: სიზმრები, მუდამ სიზმრები საქართველოზე! დღე და ღამე სულ საქართველო მიდგას თვალწინ და ჩემი გონება და ოცნებაც მათზე არის მიჯაჭვული... რა ძნელი, რა აუტანელი ყოფილა უსამშობლობა!.. :

არ ახდა ან ცუდად ახდა ვალიკო ჯუღელის სიზმრები – ბრძოლის დრომა მის გარეშე სხვებმა აღმართეს, მაგრამ საქართველოს მათაც ვერაფერი უშველეს.

თუმცა ასრულდა ვალიკო ჯუღელის ნატვრა, რითაც იწყება მისი ჩანანერები. დღიური მათზე ბედნიერი აღმოჩნდა, დღიურის ავტორსა და მის თანამებრძოლებზე ბედნიერი.

ჯუღელისავე სიტყვებით, : 'უთუოდ არსებობს რაღაცა წერა, რაღაცა განგება!.. ' :

პალიკო ჯუღელი




დღიური-1924

9 თებერვალი 24 წ. შაბათი საღამო. მარსელი.

მინდა რომ ეს სადღი[უ]რო წიგნაკი ჩვენზე ბედნიერი იყოს: რომ იგი იყოს უკანასკნელი უცხოეთისთვის...

დღეს დილით ჩამოვედი მარსელში... თითქმის ამ სამი წლის წინათ სწორედ აქ ვიყავი: მარსელით შამოვედი საფრანგეთში და მარსელითვე გავდივარ. მაშინ მე და ბენია¹ შამოვედით ერთათ და ეხლაც ერთად გავდივართ... უთუოდ არსებობს რაღაცა წერა, რაღაცა განგება!..

მაშინ, ამ სამი წლის წინეთ მძიმე და გაურკვეველ გუნებაზე ვიყავი... ეხლა კი სრულიად დამშვიდებული, მხნე და იმედიანი ვარ... მაშინ არ იყო პერსპექტივა, ეხლა კი მაქვს ნათელი და შეურყეველი რწმენა...



1 ბენია – ბენია ჩხიკვიძელი

მადლობა ღმერთს! ყინული გატყდა და წყალი დაიძრა!..
მე ვბრუნდები...
ეს ხომ ფაქტია...

9 თებერვალი 24 წ. მარსელი

გუშინ საღამოს დავტოვე პარიზი. დავტოვე დამშვიდებულმა, გულდაუნყვეტელმა. პარიზი მიყვარს, მაგრამ ჩემი სამშობლო მას მიჩვევია. და გარდა ამისა, მომბეზრდა თავი პარიზში, საზოგადოთ მომბეზრდა უცხოეთი. უკვე მალე 3 წელია ლტოლვილობისა, დეზერტირობისა! სამი მძიმე, ბნელი და მწუხარე წელი... ამ 3 წლის განმავლობაში ქართველი ხალხი თავგანწირულათ იბრძოდა, სისხლიდან იცლებოდა და თავის საუკეთესო შვილებს კარგავდა... ჩვენ კი უცხოეთში „ვეუთანაგრძნობდით“ ამ ბრძოლას, მას „მხარს ვუჭერდით“. და აღსანიშნავია: იმ დროს, როცა უცხოეთში არც ერთი „ემიგრანტი“ არ გა[რ]დაცვლილა (პირ-იქეთ – ზოგმა ხორციც შეიმატა), იქ – საქართველოში ბევრი დაიხოცა, მრავალი დაიხვრიტა და კიდევ მეტი დაავადმყოფდა... არ ვიცი – სხვები რას ფიქრობს და რა გრძნობს ამ „შაუდარებლობის“ გამო, ხოლო მე კი საშინლათ მცხვებია და საოცრათ ვიტანჯები... და მინდა მოვსპო, გადავლახო ეს „შეუდარებლობა“... და სწორედ იმიტომ ვარ დღეს დამშვიდებული და ბედნიერი, რომ აქეთკენ მივივივარ... უკვე დავინძერი, უკვე დაიწყო ჩემი ოდისეა!..

ხვალ-ზეგ ოსმანას (ვ. ნოდია)² შევხვდები... როგორი სიამოვნებით და გატაცებით ჩავეკრავ მას გულში!..

10 თებერვალი 24 წ. მარსელი

დღეს ან ხვალ მოველი ოსმანს. ხვალ აგრეთვე ჩამოვლენ პარიზიდან ბენია, გრიგოლა³ და ბიქტორა⁴. ზეგ დილით კი ევგენი⁵ და ნოე რამ⁶ უნდა მოვიდენ. აქ ჩვენ მოვისმენთ ოსმანს და მერე ჩვენ გზას გავუდგებით. ევგენი და ნოე უკან გაბრუნდებიენ...

საკვირველი, სასაცილო და თან სამწუხარო მდგომარეობაა: ჩვენი გამგზავრების ამბავი იციან მარტო ევგენიმ, ნოე რამ, დიდმა ნოემ⁷ და კონია კანდელაკმა. სხვებს კი ჯერ ვუმაღავთ! ვუმაღავთ კარლოს⁸, აკაკის⁹, მიშას¹⁰, ნოე ცინცაძეს, კოლია საბახტარაშვილს. ამათთვის მე მაროკოში მივივივარ. და მგონი რომ ჯერათ! მე დავემშვიდობე კარლოს „მაროკოში“ წასვლის წინ და მაროკოზე ველაპარაკე. თანაც საშინელ უხერხულობას ვგრძნობდი: რატომ არ უნდა მქონდეს შეძლება ჩვენ მოხუც კარლოს ყველაფერი, სუყველაფერი უთხრა და შემდეგ მაგრათ ჩავეკრა მას გულს? რატომ უნდა ვატყუეო მოხუცი და

2 ოსმანი – ვასილ ნოდია („ვ. ნოდია“ ტექსტში გვიან არის ჩამატებული სავარაუდოდ არა ავტორის მიერ).

3 გრიგოლი – გრიგოლ ცინცაძეძე

4 ბიქტორა – ვიქტორ ცენტურაძე.

5 ევგენი – ევგენი გეგეჭკორი.

6 ნოე რამ. – ნოე რამიშვილი.

7 დიდი ნოე – ნოე ჟორდანიას.

8 კარლო – კარლო ჩხეიძე.

9 აკაკი – აკაკი ჩხენკელი.

10 მიშა – რაჟდენ არსენიძე.

რათ უნდა იყოს ჩვენი დამშვიდობება უგულო, აუღელვებელი?! მხოლოდ იმიტომ, რომ კარლოს არ წამს ის გზა, რომლითაც მე მივდივარ! იმიტომ, რომ კარლოს დაეკარგა მომავლის პერსპექტივები და იგი მშვიდობიან მოქალაქეს დაემსგავსა. რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ კარლოს და ყველა სხვა დიდ ამხანაგებს, იმათ ვისაც გონია რომ მაროკოში მივალ, – ეთქვათ ჩემთვის: „დაგვილოცია, ჩვენო ვალიკო, შენთვის ეს ძნელი, მაგრამ საპატიო გზა. იცოდე: ან სიკვდილი ან გამარჯვება!“ მაგრამ ნაცვლათ ამ გამხნეების და ბრძოლის სიტყვებისა მესმის უხალისო და უხასიათო, უიმედო ოხვრა და უთავბოლო „ფილოსოფია“... მიშა, ნოე ცინცაძეზე და კონია საბახტარაშვილზე არას ვლაპარაკოფ: ესენი ხომ ქონდრის ხალხი ყოფილან. მორალურათ!

რა ბედნიერებაა ჩვენთვის, რომ ნოე რამ. და ეგენი მათ არ გვანან! რომ დიდი ნოეც არ იზიარებს მათ „უძღურების ფილოსოფიას“...

10 თებერვალი 24 წ. მარსელი. ნაშუადღევი.

წვიმს. ვარ სრულიად მარტო. მითხრეს, რომ გემი „ლიუი თრესსინე“ ხვალ მოვაო, თუმცა სრული დარწმუნებული არ ვარ ამაში. მეშინია ოსმანი დღეს არ მოვიდეს და არ ავცდეს მას. ეს ოხერი, დღეს კვირეა და გემზე უფრო დანვრილებითი ცნობები ვერსად მივიღე...

ისე კი მეტად დამშვიდებული და კარგ გუნებაზე ვარ: რალაც რღმა¹¹ და მტკიცე, ძირ-ფესვიანი რწმენა მიპყრობს... დღეს გაზეთში ამოვიკითხე, რომ კავკასიაში, უკრაინაში, თეირანში და თურქესტანში ანტი ბოლშევიკური მოძრაობა დაიწყო. არ მჯერა – ალბათ გადაჭარბებულია... მაგრამ მალე ალბათ დავიჯერეფ...

მარსელი პარიზის შემდეგ ძლიერ ბინძური და არეული ქალაქია. სტამბოლის შემდეგ კი მარსელი დიდათ მომეწონა... პარიზი არის კეკლუცი და გაღიმებული, მას სილარიბე და ხალხთა ფერადობა არ ამჩნევია... მარსელი კი ჭრელი და ხშირად ბინძურია... ხალხიც არეულია...

13 თებერვალი 24 წ. მარსელი.

გუშინ ჩამოვიდენ პარიზიდან ეგგენი და ნოე რამიშვილი და სტამბოლიდან კი ოსმანი. გუშინვე გაემართეთ თათბირი. ოსმანმა გააკეთა მოხსენება. მხნე, იმედიანი. მე – თუმცა ოპტიმისტი ვარ, – მაგრამ ოსმანის მოხსენების სრული ობიექტურობა ვერ დავიჯერე! იმდენად იმედიანი და პერსპექტივებიანი იყო იგი...

გუშინ იყო 12 თებერვალი. ე.ი. ჩვენზე მტრის დაცემის სამი წლის თავი.

15 თებერვალი 24 წ. დილა.

გაშლილი ზღვა.

გუშინ სალამოს ჩვენმა გემმა „პატრისმა“ დატოვა მარსელი. ეხლა ხმელთაშუა ზღვაში ვართ. არსაით აღარ სჩანს დედამინა: ყოველმხრივ ზღვა და ზვიდან მას ქუდათ ცა ახურია. ამინდი გვარია. თუმცაღა ზღვა ცოტათი

11 Sic! ავტორი სხვაგანაც ასე წერს სიტყვას „ღრმა“.

ჯავრობს და ღელავს. გრიგოლს უკვე აწყინა. ბენიაც ყურებჩამოყრილია... საფრანგეთი ჩემს უკან დარჩა. ეს ჩემი საყვარელი ქვეყანა, ჩემი მეორე სამშობლო. ტკბილი და რძმა მოგონებები მიმაქვს. განსაკუთრებით არ დამავინწყდება ის 7 თვე, რომელიც ბელფორში და სან-სირში გავატარე. იქ მე დავუხლოვდი საფრანგეთს, მის გულს, მის სულისკვეთებას!... და საბოლოოთ დავრწმუნდი, რომ ფრანგის ხალხს ჩვენ ყველაზე ადვილათ, კარგად და [...] ¹² შევეწყობით. ჩემი ორიენტაციაც მხოლოდ საფრანგეთზეა. მართალია – ეხლა საფრანგეთის მილიტარიზმს და იმპერიალიზმს უკიჟინებენ, მაგრამ სინამდვილეში ის სხვებზე ნაკლებად არის იმპერიალისტურათ და მილიტარისტულათ განწყობილი... მიმაქვს საფრანგეთის დარდი და ოცნებები, მაგრამ გული არ მწყდება, რომ მას მოვპოვო... რადგანაც მე მივდივარ ჩემი მიზნისკენ, რადგანაც ხორციელდება ჩემი ნატურა!... მეორე სამშობლოს ყოველთვის პირველი და უკანასკნელი სამშობლო ჯობია!.. ოსმანს ჯერ არ გაუღვინძია. ¹³ მე იგი ყოველთვის მომწონდა, მაგრამ მას დაახლოვებით არ ვიცნობდი. ეს სამი დღეა მე სულ მასთან ვარ და თანდათან ვრწმუნდები, რომ ის ნათელი, ძლიერი და გონიერი პიროვნება ყოფილა. და მე კვლავ ვამბოფ: რო ბედნიერია ის ერი, რომელიც თავის წიაღიდან ასეთ უბრალო და ასეთ თავდადებულ მებრძოლებს წარმოშობს! ასეთი ერი ყოველთვის გაიმარჯვებს!

17 თებერვალი 24 წ. იონიის ზღვა. დილა.

გუშინ საღამოს გავიარეთ ცნობილი სცილა და ქარიბდა. მაგრამ ჩვენთვის ნამდვილი სცილა და ქარიბდა წინ არის! საღამო მშვიდი და მთვარიანი იყო. ორი მხრივ – იტალიის და სიცილიის ნაპირებზე – ქალაქები გაჩირალდნებული იყო: თითქო თვალ-მარგალიტები გაეზნია ვინმეს ზღვის პირზე და თანაც მთის კიდეებზეც შეეყარა. დღეს მუსსოლინია ამ ტურფა ქვეყნის ბატონ-პატრონი! როგორც ერი ისეთი ბერი!... ამინდი გვწყალობს და ზღვა კარგია! გრიგოლი მთლათ გამობრუნდა და ძაან მადაზუა!... მივცურავთ ხმელთაშუა ზღვაზე ხუთი ქართველი. და ეს მგზავრობა ალბათ აღიბეჭდება საქართველოს განმათავისუფლებელ ისტორიის ფურცლებზე!...

უკვე სამი დღეა ქვეყნის არაფერი ვიცით... ხვალ დილას ცოტა რამეს ალბათ პირეასში გავიგებთ და მერმე კი სტამბოლში. ღმერთო, მშვიდობით გადავიყვანე სტამბოლში და იქ ცუდ ამბავს ნურას დაგვახვედრეფ. კმარა ამდენი ცუდი ამბები! დროა ბედმა პირი ჩვენსკენ იბრუნოს და სიყვარულით, ნათლით გაგვიღიმოს!...

თუ რამე ახალი მოულოდნელი უბედურებები თავს არ დაგვატყდა, – გამარჯვება მწამს! ოსმანის მოხსენება ამ მხრივ სრულ იმედებს იძლევა და თვით ოსმანი განხორციელებული იმედია! ოსმანს მე წინეთაც ვიცნობდი, მაგრამ ეხლა უფრო დანეროვებით და ახლო ვეცნობი მას. და მე ვრწმუნდები, რომ დატყვევებულ საქართველოში ჩვენ ამხანაგებს დიდი დანინაურება განუცდიათ: ისინი ძალზე გაზრდილან! და სანყალი, ვინრო, უინიციატივო და უსულ-გულო კონია საბანტარაშვილი, ეს დიდ პრეტენზიებიანი და სრულიად მცირე მასშტაბის ფოთელი მეუჭანინი – ის პატარა კაცი, როცა მას ლაჩრობის გამო, საქართველოში წასვლის თავიდან აცილება უნდოდა, – ასეთ ხერხს ხმარობდა: „დიდი სიამოვნებით წავალ,

¹² სიტყვა არ იკითხება.
¹³ Sic!

მაგრამ მე ვერ შევხსენებ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასო!“ ე.ი. ამით ის ამბობდა: „მე ახლა ვერ წავალო!“ გუნებაში ის ფიქრობდა: „პოლიტიკური ხელმძღვანელობა კი არა, რომის პაპობაც შემიძლიანო!“ მაგრამ მამ შიშის სიმები გაუჭდა¹⁴ და ამიტომ დაიწყო ასეთი „самоуничжение“! თავგასივებული და გულდამჭკნარი ნოე ცინცაძე კი თავის ლაჩრობას უფრო სხვა არგუმენტებით ამართლებდა! და მე მიხარია, მე აღტაცებული ვარ, რომ მოვცილდი ამ იეზუიტებს, ამ ლაჩრებს და ამ ეგოისტ ხალხს: მიშას, კონია საბახტარაშვილს და ნოე ცინცაძეს!

მართლაც რომ ბედნიერი ვარ!.. და ასე იწერება ისტორია! საქართველოს ეს დიდი ისტორიული უბედურება, რომ თავს არ დატყდომოდა, რომ მას არ დადგო-მოდა შავბნელი მძიმე დღეები, როცა სულიერ სიმტკიცეს და მსხვერპლის გაღებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა – ყველა ეს ქონდრის ხალხი დიდ ხალხათ დარჩებოდა! გიორგი ერაძე კი, ეს ბოროტი სული საქართველოსა, ეს ჩვენი მაჯლაჯუნა – ხომ გენიოსის სახელით მოინათლებოდა! და ეს გვირგვინ აყრილი გენიოსი, ეს „პირველი მინისტრი ჟორდანის კაბინეტისა“ – დღეს უსირცხვილოთ ამბობს: „ჩვენი პოლიტიკა გაკოტრდა და ამიტომ მტერს უნდა შევურიგდეთო!!!“

სად არის სირცხვილი, სად არის პატიოსნება! გაძლება ჭირს უნდა, თორემ ლხინში ხომ ყველა ყოჩაღები ვართ! და მე ვიცი, რომ როცა ისევ ლხინის დღეები დადგება, ეს ლაჩრები და გლახაკები – თავს ისევ ამაყათ წამოყოფენ და მენინავე ადგალებს დაეპოტინებიენ!

მაგრამ სწორეთ მაშინ გადაგიდგებით მე თქვენ წინ და მოგთხოვთ ზოგიერთი ანგარიშების გასწორებას!..

ეს იცოდეთ!..

19 თებერვალი 23 წ.14 ათინა.

დილა.

ეს არის ჩამოვედით აკროპოლიდან. აღტაცებული, აღლეგებული ვარ. მოწინებით და სიყვარულით ვეამბორე ძველ საკაცობრიო მარმარილოებს! დიდება და აღტაცება ძველ საბერძნეთს – ამ ნათელ აკვანს საკაცობრიო კულტურებისა!.. არასოდეს არ მიგვრძენია¹⁵ მე ასეთი სიტკბოება და კმაყოფილება, სიმაღლეების დათვალიერების დროს!

ესეც ხომ ვნახე!..

20 თებერვალი 24 წ. პირეი. გემზე.

მშვიდი დილა.

სალამონ, პლატეა, ათინა, აკროპოლი, მარათონი! და კიდევ მრავალი გაჩირალდნებული ისტორიული სახელები! გონება წარსულისკენ მიიღვების და მას სურს სისხლი და ხორცი შეასხას მკვდარ, დაღუწილ, მაგრამ კიდევ ამაყ და მეტყველ მარმარილოებს... ბავშვობისას მე მიყვარდა ძველი საბერძნეთის მდიდარი, სიცოცხლიანი, ჰაეროვანი, მწვავი და მხიბლავი ისტორია. მიყვარდა საბერძნეთის სიბრძნე, თავისუფლება და მშვენიერება. მაგრამ წიგნი ყოველთვის ღარიბი და მუნჯი ყოფილა! ის, რაც მე გუშინ ვნახე ჩემი თვალით, რაც გავეთლე ჩემი ფეხით, რასაც შევხეე საკუთარი ხელით და რასაც

¹⁴ Sic! მექანიკური შეცდომაა; უნდა იყოს „გაუწყდა“.

¹⁵ Sic!

მოკრძალებით ვეამბორე, ყოველი წიგნზე მეტი ყოფილა. არასოდეს არ მეგონა, რომ მცირე ნაშთები ძველი საბურძნეთისა ასეთი დიად შთაბეჭდილებას მოახდენდნენ ჩემზე, მე ვერ წარმომედგინა, რომ ძველი ნანგრევები ასე ხმამალა და მწყობრათ იგალობებდნენ თავის წარსულის დიდად მშვენიერებაზე! ძველი და დიდი ათინისაგან დღეს თითქმის აღარაფერი დარჩენილა, მაგრამ ის მცირეც, რაც გადარჩენია ადამიანთა ბარბაროსობას და ბუნების სიმკაცრეს – ისიც წარუშლელ და განუსაზღვრელ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. აკროპოლი სავსებით მიპყრობს და მსიბლავს. აღარ მინდა მოვცილდე ამ დიდ ტაძარს, მინდა მუდამ უცქერდე ამ დამუნჯებულ, დაღწილ, მაგრამ მშვენიერ და მალაღად მარმარილოებს. შენი გული, სული და გონება უერთდება¹⁶ ამ ქვის მშვენიერ ნანგრევებს და ტუჩები უნებლიეთ მიიღტვიენ თეთრ მარმარილოს ცივ ბაგებისაკენ. მე გადანყვებელი მქონდა და მაქვს, რომ შეხვედრისთანავე ჩავეხვიო და ჩავკოცნო ჩემი მინა-მშობელი! და მე არ მეგონა თუ სხვის მინასაც ვაკოცებდი. მაგრამ გუშინ მე ვეამბორე აკროპოლის დიდებულ ქვებს! ეს არ იყო პოზა, არ იყო ხელოვნური!.. პირ-აქეთ – მე რა-ღაც შინაგანი ძალა ამას მაიძულებდა და მარტო რომ ვყოფილიყავი ალბათ გავძლებოდი ამ ცივი მარმარილოების კოცნით!.. და ეს მარმარილოები, ეს დიდი დიდებაა, ხომ მართლა სხვისი, ხომ მარტო დღევანდელი ბურძნების არ არის?! იგი ხომ მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, მას ხომ სამშობლო არა აქვს?! და მეც აკროპოლზე ვკოცნიდი ჩვენ წარსულს, ჩვენ ნამებულ ანმყოს და ჩვენ განთავისუფლებულ აყვავებულ მომავალს!

თითოეულ ჩვენთაგანზე – განსაკუთრებით კი ოსმანზე, ბიქტორზე და გრიგოლზე ძველმა ათინამ თანაბარი შთაბეჭდილება მოახდინა. თითოეულ ჩვენგანს ამ მკვიდრმა ქვებმა ახალი სული, ახალი ჰაეროვნება, ახალი თავგანწირვა ჩაგვბერა, შეგვძინა! და ჩვენ ვამბობდით – ხან ხმა მალა და ხანაც თვის გულში – რათ უნდა იყოს საქართველო სხვის მიერ დამონებული? რათ უნდა არ სუნთქავდეს ქართველი ხალხი თავისუფლების წმინდა ჰაერს? მონობას სიკვდილი გვირჩევნია!!! და მე ვიცი – როცა იქ ჩავალთ და აქტიურ დიდ ბრძოლაში ჩავებმებით – ჩვენ სმირათ გაგვახსენდება ეს ადგილები და მისი მეტყველი მარმარილოები და ჩვენც ბრძოლის ცეცხლი და თავდადება მოგვემატება!.. და სწორეთ ამაშია ადამიანის დიდება, ძლიერება და სიმაღლე, – იმაშია ადამიანის ადამიანობა, რომ მას შეუძლია კიდიდან კიდემდე თავის მოძმეს ხმა გადასცეს და საუკუნედან საუკუნეს თავისი ალექსანდრე დიდისა!

მე უკვე ვნახე კაცობრიობის კულტურის და წინსვლის დიადი ჩირაღდნები, ის ჩირაღდნები, რომლებიც ერთი ერთმანეთს თავის[ი] სხვიებს¹⁷ აწვდიენ და ამით კაცობრიობას დიდ ისტორიულ გზას ანახებენ – ვნახე აკროპოლი, აია სოფია, მილანის ტაძარი, ლუვრი, ვერსალი და ვიფელი, – მაგრამ არც ერთს არ მოუხდენია ჩემზე ისეთი დიდი და წარუშლელი შთაბეჭდილება, როგორც მოახდინა ძველმა ათინამ.

და გუშინდელი დღე იქნება ჩემ ცხოვრებაში ერთ-ერთ ბედნიერ დღეთ, იგი იქნება ჩემი საყვარელი და ჩემი გამამხნეველი მოგონება...

21 თებერვალი 24 წ. დილა.

ზღვა.

ვუახლოვდებით სალონიკს – ამ ყოფილ ბუდეს და ფუძეს ახალგაზრდა ოსმალთა მოძრაობისა. მახსოვს ის მხელვარება,¹⁸ რომლითაც მე ვუცდიდი სალონიკიდან

16 Sic!

17 Sic!

18 Sic!

ვიქტორ ცენტერაძე,
ვალეიკო ჯულელი,
გრიგოლ ცინცაბაძე,
ბენია ჩხიკვიშვილი
და ვასო ნოდია
(1924 წლის 19 თებერვალი.
ათენი, აკროპოლისი)



ახალ ამბებს, როცა სტამბოლში თავი წამოყო კონტრრევოლუციამ და როცა რევოლუციონური ძალები დაგროვდნენ სალონიკში. მაშინ სწორედ სალონიკმა იხსნა რევოლუცია და ამიტომ მე მიყვარდა სალონიკი. დღეს სალონიკი ბერძნებს ეკუთვნის. არ ვიცი ეხლა რა პოლიტიკურ როლს თამაშობს იგი საბერძნეთის ცხოვრებაში, მაგრამ მგონი მას დიდი ძალი ალარ აქვს... დღეს მთელი საბერძნეთის სულთს ჩამდგმელი და მეთაური არის ათინა – ახალი ათინა! წინეთ მე მეტად მკრთალი და ცუდი წარმოდგენა მქონდა ამ ახალ ათინაზე. იგი მეგონა პატარა, უსუფთაო და უკულტურო ქალაქი. ჩემს წარმოდგენაში ათინა ემსგავსებოდა ჩვენ საყვარელ, მაგრამ უპატრონო და ასვრილ ქუთაისს. მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დამანახვა. ათინა ახდენს შესანიშნავ და ძლიერ შთაბეჭდილებას. იგი საკმაოდ დიდი, სუფთა, ლამაზი და კულტურული ქალაქია. ჩვენი დიდი ქალაქი – თბილისი მას ვერ მოუდგება! ზოგიერთი უბნები პირდაპირ საუცხოვო და თვალწარმტაცია და ზოგი ახალი შენობაც საუცხოვო გემოვნებისაა. ამ მხრივ ყველაზე ლამაზი და შთაბეჭდილებიანია ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტი და აკადემია. ეს შენობები, ერთად არიან აგებული და საუცხოვო სურათს წარმოადგენენ. არ მეგონა, თუ თანამედროვე ბერძნებს ასეთი გაძლიერებული გემოვნება და სილამაზის ასეთი სრული შეგნება ქონდათ! მეტად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე განახლებული სტადიონი. იგი იტევს 60 ათას კაცს და მშვენიერი აგებულია. მისი განახლება მოახდინა ალექსანდრიელმა მდიდარმა ბერძენმა გიორგი ავეროფმა, – იმავემ, რომელმაც სამხედრო ფლოტი შესძინა საბერძნეთს... ჩვენც უნდა ავაშენოთ ერთი ლამაზი და დიდი სტადიონი ვაკეში – სტადიონი გამარჯვებისა და თავისუფლებისა!..

ხალხმა უნდა შეიყვაროს და შეითვისოს ხალისი!.. შრომა და ხალისი!..

წუხელი ზღვა ნახდა. ბევრს აწყინა. ჩვენი გრიგოლი, რომელიც ეს სამი დღეა კარგად იყო, წუხელი კვლავ მოიშალა და დალონებით სთქვა: „ვერა – ველარ ვჭამ ამაღამ ვახშამს“. და ველარ ჭამა. მეტიც მოუვიდა! ვერ ჭამენ ვერც ბენიამ და ვერც ოსმანმა. ბიქტორმა და მე როგორც იყო გავექლით...

21 თებერვალი 24 წ. სალონიკი. საღამო. გემზე.

ჩვენი „პატრისი“ დილიდან სალონიკში სდგას. ჩვენ უკვე ქალაქში ვიყავით და იქაურობას თვალი მოვაველეთ. ათინას შემდეგ სალონიკი მძიმე და ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს: მას ომის და ბარბაროსობის დიდი დალი ასვია, ძალიან ბევრ სახლები იქ დამწვარია და ბევრიც სრულიად უხეირო და ცუდია. ეხლა გაყავენ ახალი ქუჩები, ძველს ხელოვნურათ აფართოვებენ და აშენებენ ახალ სახლებს. ამ მხრივ საბერძნეთი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს: მგონი ეხლახან არსად არ შენდება ამდენი ახალი სახლები! ათინაში შენობის ქარ ცეცხლი, მთელი [...]¹⁹ ახლათ არის გაშენებული და სალონიკშიაც მრავალი შენობები აუგიათ და ეხლაც აგებენ. ერთ დროს აქ ძალიან ბევრი თურქები იყო; ეხლა კი ისინი ძლიერ ცოტა დარჩენილან. ჩვენ ვნახეთ ბანაკი მაკედონიის ოსმალოებისა – ისინი თავმოყრილი არიან სალონიკში ოსმალეთში გადასახვავნათ. სამაგიეროთ ოსმალეთი(ს) ამზადებს აქეთ გადმოსავ ზავნ ბერძნებს. და ხდება „მოსახლეობის გაცვლა-გამოცვლა“. მე XX-ე საუკუნეში!..

საინტერესო და საყვარელი მგონი სალონიკში არაფერი უნდა იყოს. და გონება და სულიც კვლავ ძველ ათინას და მის დიდებულ მარმარილოებს უბრუნდება!.. უბრუნდება მათ და ამასთანავე წინ – სამშობლოსაკენ მიილტვის! ჩემი ძვირფასი, ჩემი ტურფა, ჩემი ნაზი და ჩემი ტანჯული სამშობლო! მიყვარს იგი მაღალი და თავდადებული სიყვარულით! მიყვარს მთელი ჩემი გულით, მთელი შეგნებით, თითოეული ჩემი სხეულით და ყოველი ჩემი გულის ნაკვეთით. ეს სამი გრძელი და თანაც მოკლე წლები უცხოეთში დევნილობისა იყო გაშუქებული და გამსჭვალული ამ შეურყეველი და დაუმონებული სიყვარულით. და სადაც არ უნდა ვყოფილიყავ, რა მდგომარეობაში არ ვყოფილიყავ – მუდამ მახსოვდა ჩემი წამებული სამშობლო და მისი ტანჯული, ლეჩაქ აღდილი²⁰ მშვენიერი სახე!.. და ყოველთვის აღთქმას ვსდებდი, რომ შეუპოვრათ, თავდადებულათ ვიბრძოლებდი ჩემ ნამუს-ახდილ, მაგრამ უმშვენიერეს დედა-სამშობლოსათვის, რომ ჩემ სიცოცხლეს, ჩემ მხნეობის, ჩემ სიყვარულს და მთელ ჩემ სისხლს ალტაცებით მივიტან სამშობლოს საკურთხეველზე! ვსდებდი ფიცს, რომ არასოდეს არ შევეურგიდებოდი მტრებს ჩემი ქვეყნისა და მხოლოდ მაშინ მოვისვენებდი, როცა მას მძიმე ბორკილებს აყყყრიდი! დღემდე მე უძღური ვიყავი აღთქმის და ფიცის შესრულებაში. პირობები ხელს არ მიწყობდენ და ამხანაგები ნებას არ მაძლევდენ. მაგრამ დაიძრა წყალი და გატყდა ყინული! და მე უკვე სამშობლოსაკენ მივემგზავრები. და ბედნიერი ვარ! მომეცა ნება წინსვლისა, ბრძოლისა, თავდადებისა და ქვეყნის განთავისუფლებისა...

19 სიტყვა არ იკითხება.

20 Sic!

22 თებერვალი 24 წ. სალონიკი. დაღვრემილი დილა

ამინდს უდიდესი მნიშვნელობა აქვს შთაბეჭდილებისათვის. მზის ნაზი და ცელქი სხივები სილამაზეს ზრდინენ, ხოლო წვიმა და ტალახი ახუნებს, ჩლუნგავს მშვენიერებას. პირველათ ათინაში ჩვენ ცუდი ამინდი დაგვხვდა და ამით ჩვენი შთაბეჭდილებაც „მეცუდებული“ იყო. მაგრამ მერმე ცა მოიწმინდა და ელლადას მზემ გამოაშუქა და მზის სხივებმა ააყვავა, ააფერადა, აამტყვევლა და დაამშვენა ისედაც მშვენიერი ძველი და ახალი ათინა. და ჩვენც აღტაცებული, მოჯადოებული ვტკბებოდით მისი მშვენიერებით. სალონიკში კი დაგვხვდა მოღრუბლული, დაღვრემილი და ატალახებული დღე. ცუდი ამინდი დღესაც გრძელდება და ეს კიდევ უფრო აცუდებს და ამცირებს აქაურ შთაბეჭდილებებს...

ამალამ დავსტოვებთ სალონიკს და ჩვენი გემი სტამბოლისაკენ გაემშურება. ალბათ უკვე ღამე იქნება, როცა ჩვენ ძველ ათონს ჩაუვლით. ოდესღაც აქ ჩვენი ცნობილი მონასტრები იყვენ და დღეს კი იქ მხოლოდ თითო-ორი ქართული ბერი დარჩენილა: მონასტრები კი ბერძნებს ჩამოურთმევიათ... კვირას ვიქნებით სტამბოლში. თავისუფლათ და ბედნიერათ ამოვისუნთქავ, როცა სტამბოლის მინაზე დავადგამ ფეხს[!]: სტამბოლი დღეს ჩვენთვის დიდია!²¹ ეხლა უმთავრესია ამ ხიდზე ფეხის შედგმა!..

სამინელი დამშვიდებული და გამტკიცებული მივმგზავრები წინ. მაქვს იმედი, მაქვს რწმენა, მაქვს ნების ყოფა. ხანდისხან ვიხედები უკან – პარიზისაკენ. და ვერავითარ გულისდანწყვეტას, ვერავითარ სინანულს ვერ ვგრძნობ! ალბათ იმიტომ, რომ პარიზელმა ჩვენმა მეთაურებმა თავი მომაბეზრენ და გუნება მომიწამლენ! არის პარიზში 3-4 კაცი, რომელიც ან მიყვარს ან რომელსაც პატივს ვსცემ. სხვები კი ან მეჯავრება, მეზიზღება, ანდა არაფრათ არ მიმაჩნია! ღმერთო! თურმე როგორ უხეიროთ, როგორ ცუდათ და უსაფუძვლოთ იწერება ისტორია? რა დიდი კაცი, რა დიდი ბუნების პატრონი მეგონა კარლო ჩხეიძე და რა პატარა პიროვნება ყოფილა იგი! ადამიანი გაჭირვებაში იცნობა და სწორეთ გაჭირვებაში კარლო სრული არარაობაა. მახსოვს აფულული, სრულიად მოშლილი და შეშინებული კარლო ჩვენი დაცემის საბედისწერო დღეებში. მისგან არც ერთი სიტყვა გამხნეებისა და იმედისა ჩვენ არ ვესმენია; მისი არც ერთი ენერგიული და მტკიცე ნაბიჯი არ მახსოვს! პირველი თოფის გავარდნის ხმაზე კარლო სრულიად მოიშალა, მოკვდა და მისი გაცივებული, შეშინებული არსება თავის ირგვლივ მხოლოდღა უიმედობას და სასონარკვეთილებას ავრცელებდა. რათ ეღირობოდა ჩვენთვის ერთი მისი იმედიანი შემოძახილი, რა სასწაულმოქმედი შეიქნებოდა მისი გამხნეების ამაყი ხმა! მაგრამ იგი სდუმდა და კრთოდა! მახსოვს შემდეგ იგივე კარლო ბათუმში, როცა მან სრულიად დაკარგა გონებაც და ნებისყოფაც, და ამის გამო სამარცხვინოთ გაეცქა დამფუძნებელ კრებას. მაგონდება მერმე კარლო გემზე. შემდეგ პარიზში და უკანასკნელათ ლევილში. კარლო ლევილში ხომ კარლოს დაგვირგვინება! მისმა მცირე და ღარიბმა ბუნებამ ლევილში ნახა თავისი აკვანი, თავისი სარბიელის: ნამდვილი წერილი გლეხის და გლახას ფსიხოლოგია! და ეს კაცი მოხსენდა რუსეთის დიდ რევოლუციის სათავეში! და განა გასაკვირებელია, რომ ეს დიადი რევოლუცია ასე სამარცხვინოთ და უსახელოთ დამარცხდა?!

კარლოს თან მისდევენ მცრე ბარტყები: მიშა არსენიძე, კონია საბახტარაშვილი, ნოე ცინცაძე! ნოე ცინცაძე! მახსოვს რა სიხარულით მოველოდი მის პარიზში ჩამოსვლას და

21 Sic! უნდა იყოს „ხიდი“.

რა გულწრფელადაა, რა სიყვარულით ჩავეხვიე მას! მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ნოე ყოფილა სულით ღარიბი და პრეტენზიებით დიდი ადამიანი. მას თავი ძალიან ჭკვიანათ და დიდ მცოდნეთ მიაჩნია და ეს უკვე სულიერი სიღარიბეა! მე მას მოსკოვში ვიცნობდი აჯანყების დროს – ე. ი. 19 წლის წინეთ. მაშინ იგი ჩვენ განზე გაგვიდგა და აჯანყებას შეუშინდა. ასეთ ღარიბობისათვის მას ამხანაგებმა ზურგი შეაქციენ. მერმე შემთხვევით იგი დაიჭირენ და ამით მისი რეპუტაცია აღსდგა. მე მეგონა, რომ მან გადალახა და დაძლია ეს მოსკოვის სიღარიბე. მაგრამ მოვსტყუედი! ღარიბი და სულით ღარიბი – გაუსწორებელი ყოფილა. ნოემ დაამტკიცა, რომ მას ბევრი ლაპარაკი და ცოტა საქმე ყვარებია, რომ მას არ შეუძლია გაბედული და თავდადებული ნაბიჯის გადადგმა! მე არასოდეს არ დამავეინყდება ის სამარცხვინო კრება, რომელზედაც მიმა არსენიძემ საქართველოში წასვლაზე პირდაპირი უარი განაცხადა, ხოლო ნოე ცინცაძემ და კონია საბახტარაშვილმა კი იგივე უარი უფრო მოკაზმეს და შეალამაზეს! ნოემ თავისი სიგლახის და ღარიბობის გასამართლებლათ თავისი თეორია წამოაყენა! მან სთქვა: „თუ მე წავედი – ჩემი პირველი საქმე იქნება ყველა სამხედრო ორგანიზაციების გაუქმება და ტყეში გადამალული ხალხის გამოყვანა“-ო! მისთვის სრულიად ცხადი იყო, რომ ამ მოღალატური და ვერაგული პროგრამით მას საქართველოში არავინ გაგზავნიდა. ამნაირათ მან თავიდან აიცილინა ეს საშიში და შორი მგზავრობა! ამნაირათ, გაჭირვების დროს, როცა ამხანაგები დამხმარე მებრძოლებს მოითხოვდენ – ნოე ცინცაძემ ბრძოლაზე და თავდადებაზე უარი სთქვა!..

უარი სთქვა აგრეთვე კონია საბახტარაშვილმაც. ეს ხომ თოლათ გლახაკი და სულიერათ სრულიად ღატაკი ადამიანი ყოფილა! მას არ აფერთოვანებს არავითარი მაღალი იდეა, მას არ ასულდგმულებს არავითარი იდეალიზმი, მას არ შეუძლია თავის ვინრო და ღარიბ „მეობას“ გაცვილდეს და საერთო საქმისათვის რაიმე მსხვერპლი გაიღოს. კონია ყოფილა განხორციელებული [...]²² პირადი ანგარიში და სრული უფერულობა! და ეს არარაობა, ეს სიმახინჯე იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკის მატარებელი ჩვენი ისტორიის უდიდეს მომენტში!! ამაში იყო ჩვენი უბედურება!.. მას ეგონა, რომ „პოზით“ და ცარიელი სიტყვით ფონს გავიდოდა და როცა საქართველოში გასაგზავნი ხალხს ვასახელებდით – მან თავის კანდიდატურაც წამოაყენა. მას ეგონა, რომ მის კანდიდატურაზე არავინ შეჩერდებოდა და „ისტორიას“ კი მისი ლამაზი „უესტი“ და თავდადება დარჩებოდა. მაგრამ მოტყუედა! მიშას უარის შემდეგ ჯერი მაზედ მიდგა და ეს კი მისთვის სრული მოულოდნელობა იყო! როცა კონიას უთხრეს – შენ უნდა წახვიდეო საქართველოში – მან უპასუხა: კარგი, მზათ ვარ, მაგრამ მოსამზადებლათ დრო უნდა მომცეთო. და მან ითხოვა ორი თვე: თავისი პირადი საქმეების მოსაწყობათ და მთავრობის არხივის მოსაწესრიგებლათ! „არ შემიძლია ასე ასვრილი დავტოვო ეს არხივი“-ო! ცხადი იყო, რომ მას წასვლა არ უნდოდა და ეს მხოლოდ მიზეზი იყო: ორი თვის შემდეგ სხვისი ჯერი მოდიოდა! გავიდა ორი თვე და კონიას არხივებისთვის ხელი არ უხ[ლი]ა და დღესაც ეს არხივები უპატრონოთ ყრია! ასეთია კონიას პირდაპირადი საქმიანობა და თავდადება...

23 თებერვალი 24 წ. შეღამებას. მარმარილოს ზღვა.

გავიარეთ დარდანელი, ეს სახელოვანი და დიდი ბრძოლის ადგილები. აქ გამარჯვეს თურქ-გერმანელებმა. ვნახე ცნობილი ბანაკი და მრავალი დაღუწილი,

²² სიტყვა არ იკითხება.

გაუქმებული სიმაგრეები. თურქებს შეუძლიათ იამაყონ ამ ადგილებით: აქ დაამტკიცენ იმათმა თავის ნებისყოფა და თავდადება! ჩვენ კი არ გვაქვს ჩვენი დარდანილი. დარდანილი, ასპინძი, მარათონი, კანი და აუსტერლიცი ჩვენ წინ მოგველის...
ხვალ ვიქნებით სტამბულში.

24 თებერვალი 24 წ. ბოსფორის სათავე. გემზე. დილა.

გუშინ სალამოს სალამოს 10-ზე მოვედით აქ. ჩვენი გემი საკონტროლო პუნქტზე სდგას, მაგრამ ჯერ არავინ სჩანს. გარეთ ბურუსია და ნაპირები არ სჩანს. მაგრამ უკვე აგვიარ-ჩაგვიარეს კობტა და ამაცმა [„...“]²³. მალე ალბათ ბურუსს გადაიყრის და გამოჩნდება სტამბოლის ზღაპრული პანარამა, თავისი წარწეტი და მშვენიერი მინარეტებით...

უკვე მეთავე დღეა რაც მარსელიდან გამოვედით. დღეს გაირკვევა პირველი ჩვენი შესაძლებლობანი. თუ აქ კარგად და ადვილად გადავედით – ეს კარგი და გამამხნევებელი ნიშანი იქნება, ნუ თუ თურქები დღესაც ვერ მიხვდენ, რომ საქართველოს და ამიერ კავკასიის აღსდგენა – მათ საქმეს და მომავალსაც აძლიერებს! მგონი მიხვდენ...

სტამბოლის ამხანაგები ალბათ მოუთმენლათ გვიცდიენ. მე მგონია ისინი ჩვენზე უფრო ლელავენ...

საერთოთ ეს 9 დღე ზღვაზე იყო მშვენიერი და დაუფინყარი...

ათი დღეა საქართველოსი არაფერი ვიციით. ნეტავი რა ამბები დაგვხვდება სტამბოლში?! ცუდი თუ კარგი?! მაგრამ ცუდს ხომ გულიც და გონებაც შეეჩვია? ეს სამი წელიწადი ხომ მარტო სიცუდით, სიმძიმით და სისხლით იყო ავსებული?! ჯერი მიადგა კარგ ამბებს! ან მათ უნდა დაეთმოს გზა და გზები! დღეს 24 თებერვალია: სწორეთ მესამე წლისთავი ჩვენ მიერ თბილისის ასე სამარცხვინო და ბოროტ მიტოვებისა. გენერალი კვინიტაძე ვერასოდეს ვერ განთავისუფლდება ამ საშინელ ლაჩრობისაგან, რომელიც უდრის უდიდეს ბოროტმოქმედებას და სამშობლოს ღალატს...

9 საათი.

მივადექით გალატის ნაპირს. გამოჩნდა ჩვენი ევგენი დალევჯიო. და გული სიხარულით ატოკდა. მას ჩვენი გადასვლის ნებართვა უნდა ქონდეს. ყოჩაღ ჩვენო ევგენი! ეხლა კიდევ უფრო საყვარელი და დასაფასებელი ხარ! მას ბევრ ქართველზე უფრო ესმის და უყვარს საქართველო. და რამდენათ უფრო მეტი ენტუზიასტია იგი ჩვენი საქმისა ვიდრე სოსიპატრე ასათიანი...

ალბათ 2-3 საათში ნაპირზე ვიქნებით. ახალ-ამბებსაც გავიგებთ და მეგობრებსაც გულში ჩავიკრავ...

დალევჯიო სდებს ხიდს ჩვენ და საქართველოს შუა! გაუმარჯოს ამ ხიდს!

25 თებერვალი 24 წ. სტამბოლი. დილა.

თბილისის დატოვების სამი წლის თავი! გავიდა გრძელი, ნელი, მძიმე, გასისხლიანებული და წამებით აღსავსე სამი წელიწადი. დასრულდა წლები ტანჯვისა, მონობისა და დამცირებისა. დაიწყო ახალი, მეოთხე წელიწადი: – წელი აღსდგენისა, განთავისუფლე-

23 სიტყვა არ იკითხება.

ბისა და ყველა ჩულოლები²⁴ განკურნებისა!.. და მეც მოეთხე²⁵ წლის დასაწყისში შუა გზაზე ვარ – ვარ უკვე სტამბოლში! სტამბოლის მინაზე გადმოვედით გუშინ შუადღეს. ამნაირათ ასრულდა ჩემი პირველი ნატვრა! პირველი სცილლა და ქარიბდა უკვე დავს-ძლიეთ. ჩვენებს ძალიან კარგათ მოენყოთ ჩვენი გადმოყვანა და უმთავრესი ღვანლი ამ საქმეში ჩემ საყვარელ სიმონს მიუძღვის (სიმონ მდივანს!), რომელსაც ჩვენი ამხანაგე-ბი ასე უშნოთ მოეპყრენ... სიმონი მიყვარს და მას პატივს ვსცემე!..

მადლობა ღმერთს – დღეს უკვე სტამბოლში ვარ და ამით მიზანს მიყუახლოვდი. ისევ ჩვენ მეგობარ თურქებთან დავდექი. ამ პატიოსან და საყვარელ ოჯახში. ვნახე [...] ²⁶, სურია ხანუმი, ედაბე-ხანუმი, ტალატ-ხანუმი, ახმეტ ბეი და სხვები; ვნახე ჩემი საყვარელი ბავშვები ხატიჯე და [...] ²⁷... ეს ოჯახი ჩემ ოჯახათ მიმანჩია...

ჩვენთან უკვე იყვენ კონია გვარჯალაძე, სიმონ მდივანი და ვასო წულაძე. დათიკო²⁸ ავით არის. ყველას ძლიერ გაეხარდა ჩვენი ჩამოსვლა... მეც გავიხარე...

საქართველოდან ახალი არაფერია, ოსმანი ჯერ გემიდან არ გადმოუშვიათ...

25 თებერვალი 24 წ. სტამბოლი.

შუალამე.

ეს არის ნავიდა კონია გვარჯალაძე. ბევრი, ძალიან ბევრ და კარგად ვილაპარაკეთ...

ორი ძალიან ცუდი ამბავი დაგვხვდა იქ: ჩვენი გოგიტას²⁹ დაჭერა და მელიტონ ქარცივიძის სიკვდილი.

გოგიტა დაუჭერიათ 15 თებერვალს. ესლა მით უფრო უნდა ვიჩქაროთ ჩვენ აქედან წასვლა. მგონი ამ პარასკევს მოვახერხებთ აქედან დაძვრას...

ოსმანი გემმა ვარნაში წაიყვანა. ესეც დაბრკოლებაა. იმედი გვაქვს, რომ 28-ისათვის დააბრუნებს უკან...

26 თებერვალი 24 წ. სტამბოლი.

შუაღლე.

აქ ცუდი, წვიმიანი, უხალისო ამინდებია. მე და ბენია ერთათ ვართ ოთახში და გარეთ არ გავდივართ. აქ ძალიან კარგად ჩამოვედით და კოლონიიდან მგონი ჩვენი მოსვლის ამბავი არავის გაუგია. ეს ძალიან კარგია, ვინაიდან ქართულ კოლონიაში უთუოთ ჩვენი მტრის აგენტებიც იქნებიან...

ბენიამ მოყვა წარსულის ამბები და ბევრი ილაპარაკა [ვ]ლასა მგელაძის რევოლუციონურ მუშაობაზე. სჩანს [ვ]ლასა ყველაზე საინტერესო რევოლუციონერია ჩვენში. დღეს [ვ]ლასა ლევილშია და საქართველოსკენ წასვლას ისწრაფვის. მაგრამ საქმე ისე მოენყო, რომ მას ჩვენი აქეთ წამოსვლაც არ [ვ]უთხარით! არ ღირს ამის თქმაო! და მეც უფროს ამხანაგებს დავუჯერე. და ასე იქმნება ისტორია! მე შედარებით პატარა კაცმა, რომელსაც არც დიდი წარსული არ მაქვს და არც დიდი გმირობა არ გამიცდია – მე უნდა დაეფუძალო ჩემი მგზავრობა [ვ]ლასა მგელაძეს! ესეც

24 Sic! კალმის ლაფსუსია, უნდა იყოს „წყლოლები“.

25 Sic! უნდა იყოს „მოეთხე“.

26 სახელი არ იკითხება.

27 სახელი არ იკითხება.

28 უცნობია, რომელი დათიკო იგულისხმება.

29 გოგიტა – გოგიტა ფალავა.

ხომ ცხოვრების ირონიაა! და მერმე: მე, კონია საბახტარაშვილმა, მიშა არსენიძემ, კონია კანდელაკმა და კიდევ სხვებმა უნდა გადავწყვიტოთ საკითხი იმის შესახებ – მიეცეს თუ არა [ვ]ლასას დახმარება პარტიულ კასიდან?! ეს ირონიაზე მეტია – ეს დაცინვაა!!.. ჩვენ უნდა ვისწავლოთ წარსულის მეტი პატივისცემა და სიყვარული...

გოგიტას დაჭერა თავიდან არ გამომდის. ეს ძლიერ მანუხებს და უფრო მეტის ენერგიით მიმიზიდებს სამშობლოსაკენ.

26 თებერვალი 24 წ. სტამბოლი. სალამო.

დღეს იოსებისაგან³⁰ კვლავ ცუდი დეკემა მოვიდა: თბილისში დიდი „პროვილები“ მომხდარა და, სხვათა-შორის, სტამბაც ჩავარდნილა. ეს უთუოდ დიდი და საგრძნობი ზიანი[ა] ჩვენი საქმისთვის. ჯერ არ ვიცი თუ რა ხასიათის, რა რაოდენობის და რა სივრცის არის ეს პროვალი. მე უკიდურეს შემთხვევას გაუშვებ და გაურიგდები იმ აზრს, რომ პროვალი მეტად ფართე და საფუძვლიანია. მაგრამ მწამს, რომ ვერც იგი შეარყევს და დაასამარებს ჩვენ საქმეს. ვსთქვით ჩავარდა ხელმძღვანელი ორგანიზაცია და ბევრი ხალხი?! მერე რა? კვლავ აღსდგება ორგანიზაცია, კვლავ გაილესება საომარი ხმალი და კვლავ დაირაზმებიან, გამრავლდებიან მებრძოლთა რაზმები. ქართველი ხალხი ხო ჩვენთან არის, იგი ხომ თავის თავთან არის და სხვა ჩვენ არაფერი გვინდა: გამარჯვება მაინც ჩვენი იქნება! ოღონდ მეტი სიძიმე და მეტი სისხლი შეგვხვდება... ესლა მთელი ჩემი არსება იქ არის – მებრძოლთა რიგებში. მე მივიტან ახალ მხნეობას, ახალ ხალისს, ახალ იმედებს! და მე აღევართავ იმ ბრძოლის დროშას, რომელიც დროებით დასვენებული და მიმაღული გვექონდა!..

27 თებერვალი 24 წ. სტამბოლი. მშვენიერი დილა.

სიზმრები, მუდამ სიზმრები საქართველოზე! დღე და ღამე სულ საქართველო მიდგას თვალიწინ და ჩემი გონება და ოცნებაც მახედ არის მიჯაჭვული... რა ძნელი, რა აუტანელი ყოფილა უსამშობლობა!..

გუშინდელმა ცუდმა ამბებმა შემანუხენ და დამალონ[ა]. დღეს კი ისევ მხნეთ და იმედიანათ ვარ. ალბათ მზის სხივების სიცელქე და სიმშვენიერეც მეხმარება... საზოგადოდ – მე ვგრძნობ, რომ ამინდი ჩემზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს... მე უნდა დავსძლიო ეს გავლენა და ძალა ამინდისა...

დღეს მტკიცეთ და მხნეთ ვარ. გუშინაც მხნეთ ვიყავი, მაგრამ მწუხარება მერეოდა. დღეს კი მე ვსძლიე მწუხარება! რა ვუყოთ რომ მეტად მძიმე და მრავალმსხვერპლიანია ბრძოლა?! სამაგიეროთ დიდი და ბრწყინვალეა ბრძოლის მიზანი...

ახლა მე აქედან დაძვრაზე ვვოცნებოვ. მალე და მალე!..

28 თებერვალი 24 წ. სტამბოლი. დილა.

ოსმანი ჯერ არ სჩანს. ესეც ჩვენი დაბრკოლებაა: მასთან ერთად ხვალ უნდა გავდგომოდით გზას და ესლა კი ვბრკოლდებით. მე კი მაინც მინდა წავიდე და თან ბიქტორა გავიყოლო! ყოვლად შეუძლებელია, რომ კიდევ აქ ვიცადო ორი კვირე! და

³⁰ ალბათ იგულისხმება ექიმი იოსებ ცინცაძე, რომელიც თურქეთ-საქართველოს საზღვარზე ქართველებს გადასვლა-გადმოსვლაში ეხმარებოდა.

გემი კი უფრო ადრე არ არის! მინდა ვიყო სამშობლოს ახლო, რომ ადვილად შევსძლო იქიდან ხმის მიღება და ჩემი საკუთარი ხმის და თავის მიწვდენაც... სწორეთ ეხლა – ამ გასაჭირის და „დიდი ზარალის“ დროს არის საჭირო აქ ყოფნა...

გუშინ კონიასთან ვიყავი სახლში. ძალიან მესიამოვნება ჩვენი კარგი და მარჯვე ბაბულიას ნახვა. ამ ქალს დღეს კიდევ მეტ პატივს ვსცემ, ვინაიდან იგი ვარგებულა არა მარტო საგარეო სალონებისათვის, არამედ შინაურ გასაჭირისათვის: ის მზათ იყო ბიჭურათ გამონყობილიყო და კონიას საქართველოში წაყოლოდა! სირცხვილი და ზიზღი მიმას, კონია საბახტარაშვილს და ნოე ცინცაძეს...

აქეთ კარგი ამინდები დადგა. მე ვიმედოვნეფ, რომ კარგი ზღვა დაგვესწრება...

სტამბოლი დღეს სავსებით თურქების ხელშია: ალიები არსად სჩანან. გარეგნულათ იგი დიდათ არაფრით შეცვლილა, ოღონდაც ნავთსადგურზე ნაკლებათ სდგანან გემები, ქუჩებში უცხოელ ჯარისკაცთა ნაცვლათ ხედები ასკერებს, ქუჩებში უფრო ნაკლებობაა ხალხისა და საზოგადოთ მთელ ქალაქს უფრო თურქული და ერთი ფერი აქვს მიღებული. თურქის ქალები დღეს უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს და ტრამეაგებში ფარდები მოხსნილია... ქალაქში ეკონომიური კრიზისი უნდა იყოს... ქუჩებში კი, განსაკუთრებით დილ-დილოობით, გაისმის ფეხზე მოვაჭრეთა დამაღონებელი და მონოტონური ყვირილი. ამ 15 თვის განმავლობაში ამ მხრივ ჩემ ძველ ქუჩაზე თითქმის არაფერი შეცვლილა: იგივე მოვაჭრენი და იგივე დამაღონებელი, მწუხარი და თავმომაბეზრებელი ყვირილი...

მოხდა დიდი ისტორიული დანიწაურება, სტამბოლმა ისევ ძველი მეპატრონე იშოვა, – განვლო თითქმის მთელმა საუკუნემ – მაგრამ ქუჩები სახეს დაჟინებით აღარ იცვლიენ და მოვაჭრებიც ძველებურათ განიძახიენ ან სრულიად გაუგებარ სიტყვებს, ანდა „სიმიტ-სიმიტ“ და „ავადის“-ო...

29 თებერვალი 24 წ. სტამბოლი.

დღეს „გულ-ჯემილათი“ მე და ბენია მივდივართ ხოფაში.

VALIKO JUGHELI

Diary

Summary

The diary of the former commander in chief of the National Guard of Georgia, Valiko Jugheli was written in February 1924, depicting the return of five emigrants who were sent by the Government-in-exile of the Democratic Republic of Georgia to take active part in the rebel, from France to Georgia.

This diary was kept in France, in the archives of Social Democratic Party of Georgia, protected by the Foreign Bureau of the Party by efforts of Mamia Berishvili and Carlo Inasaridze. It was given to us by the last living member of the Bureau Thierry Berishvili, for which the editorial board of the magazine "Georgian Emigration" and the Scientific Research Institute of History and Geography of Georgian Emigration, Grigol Robakidze University, express their gratitude.

Valiko Jugheli's diary is published for the first time and helps researchers of the history of Georgian emigration to specify numerous facts and events of the given period. The Publication includes an introduction by Professor Paata Natsvlishvili, Director of the Scientific Research Institute of History and Geography of Georgian Emigration, Grigol Robakidze University.

დიმიტრი შველიძე, გიორგი გაფრინდაშვილი

**„საქართველო“ – პირველი ქართული
ეროვნულ-პოლიტიკური გაზეთი საზღვარგარეთ**

2012 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ განახორციელა 1903-1905 წლებში გამოშვებული ქართული გაზეთის „საქართველოს“ ფაქსიმილური გამოცემა. ქართული პრესის ეს საყურადღებო ორგანო იმითაცაა საინტერესო, რომ იგი პარიზში გამოდიოდა და იმჟამინდელი ქართული ემიგრაციის ძალები მის გამოცემაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. მოკლედ შევეხებით, რა მიზნით და როგორ პირობებში მიმდინარეობდა „საქართველოს“ სამწლიანი ფუნქციონირება.

1895-1896 წლებში ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ გარშემო თავი მოიყარა ახალგაზრდა პატრიოტების ჯგუფმა. ისინი ცდილობდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროპაგანდა ეწარმოებინათ, მაგრამ ცენზურის ფხიზელ თვალს არ გამოეპარა „ახალგაზრდა ივერიელების“ ჯგუფის პუბლიცისტების საქმიანობა. 1896 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტის ბრძანებით გაზეთი „ივერია“ რვა თვით აიკრძალა.

ამის შემდეგ „ახალგაზრდა ივერიელები“ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გარშემო იყრიან თავს. 1901 წელს ისინი ახალი პოლიტიკურ ორგანიზაციის მესაძირკვლედ გვევლინებიან. იქმნება ეროვნული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციის მთავარი კომიტეტი. ეს უფრო ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფია. მასში შედიან: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი და ანდრია დეკანოზიშვილები და ვლადიმერ ლორთქიფანიძე. კომიტეტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ შექმნას პოლიტიკური პარტია, რომლის მიზანი იქნება ქართული სახელმწიფოს აღდგენა. მაგრამ ისინი არ ჩქარობენ და ჯერ გადაწყვეტენ, რომ საზღვარგარეთ გამოსცენ თავისუფალი გაზეთი, რომლის ფურცლებზეც ჩამოაყალიბებენ თავიანთ პროგრამას, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლის გზებს, საშუალებებს და პოლიტიკური პარტიის შექმნისათვის საფუძველს მოამზადებენ. ამ მიზნით, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პარტიის მთავარი კომიტეტი აგროვებს სახსრებს, ეწევა ფარულ პროპაგანდას და საფრანგეთში გაზეთის გამოსაცემად გზავნის თავის სამ წარმომადგენელს. ესენი არიან არჩილ ჯორჯაძე, რომელიც „ცნობის ფურცელთა“ ჯგუფის მთავარი იდეოლოგია; გიორგი დეკანოზიშვილი, რომელსაც გაზეთის გამოცემის ორგანიზება ევალება და მიხეილ კიკნაძე, რომელიც მომავალი გაზეთის მესტამბე-ასოთამწყობია.

1902 წელს სამეული საფრანგეთში ჩავიდა. ისინი დაუკავშირდნენ ფრანგ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს ჟან ჟორესს, ფ. დე პრესანსეს, სებასტიან ფორს, ემილ პუჟეს და სხვ. მათ დიდ დახმარებას უწევდა ცნობილი ქართველი პატრიოტ-ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. სწორედ მისი დახმარებით ფრანგმა ანარქისტ-სინდკალისტებმა ქართველ მეგობრებს დაუთმეს ფართობი თავიანთი გაზეთის „აქციონის“ სტამბაში. როგორც ცნობილი ემიგრანტი მარკოზ ტულუში წერს: გიორგი დეკანოზიშვილს ჰქონდა განსაკუთრებული მეგობრული განწყობილება უ. ალემანთან – ფრანგი ანარქო-სინდკალისტების ლიდერთან და იმ სტამბის ხელმძღვანელთან, სადაც გამოიცემოდა გაზეთი „აქციონი“.

1903 წლის 1 მაისს პარიზში გამოვიდა ახალი ქართული ეროვნულ-პოლიტიკური გაზეთი „საქართველო“. გაზეთის დაარსების მიზანი ჩამოყალიბებული იყო სარედაქციო წერილში: „ქართულ თავისუფალ ორგანოს დაარსების საჭიროება“. საზღვარგარეთ გამოცემული „საქართველო“, ცხადია, ბევრად თავისუფლად ამბობდა სათქმელს, ვიდრე ცენზურის მარწმუნებში მოქცეული „ცნობის ფურცელი“. ქართველი ხალხის იმპაინდელი მდგომარეობა „უწუგემო“ და ძიმე იყო. დღემდე იგი მღუშარედ იტანდა ეროვნულ ჩაგვრას, ქართველობას სხვისი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა, რადგან მას, ვისაც სიცოცხლე სურდა, თვითონ უნდა მოეწყო თავისათვის. „საქართველო“ თავისუფლებით თავის ბრძოლის საკითხს სვამდა და მოკლედ სჭრიდა, რომ „თავისუფლება ხელგაუნძრევლად არავის ენიჭებოდა“.

თავისუფლებისათვის ბრძოლა უპირველესად ბრძოლისთვის მომზადებას მოითხოვდა. გაზეთის სურდა ფართო სჯავახას გაეშალა „ქართველ ხალხის მომავალ ეროვნულ და სოციალურ ორგანიზაციის“ შესახებ, სათანადო „პოლიტიკურ და ეროვნულ დაწესებულებათა დამყარების“ გზით. „საქართველოს“ სურდა გამოერკვია, რა ტკივილები აწუხებდა მთელ ქართველ ხალხს და არა მის რომელიმე კლასს. „სხვა-და-სხვა მიმართულების წერილების მოთავსების საშუალებით, – წერდა გაზეთი, – შევიძლებთ გავიგოთ, რას ჰფიქრობს მთელი საქართველო და არა ერთი რომელიმე მისი კუთხე: პროვინცია, ნოდება და კლასი“. „საქართველოს“ მესვეურები ფიქრობდნენ, კავშირი დამყარებინა რუსეთის იმპერიის სხვა პარტიებთან, „რათა რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა პროგრამებში ქართულ ეროვნების კითხვაც იყოს შეტანილი“ (1: № 1).

გაზეთმა „საქართველომ“ პირველად, იმდროინდელ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, წამოაყენა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოთხოვნა და მიზანი, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით. გაზეთის რედაქციის აზრით, ამ მიზნისათვის ფარულად, შენიღბულად, იბრძოდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის არაერთი თაობის წარმომადგენლები. პირველმა ქართულმა თავისუფალმა ორგანომ თავიდანვე, პოლიტიკური რეალიზმის გზა აირჩია, უარყო რა სეპარატიზმი. „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის, – წერდა „საქართველო“, – ნათლად და აშკარად ვამბობთ, ჩვენ პოლიტიკურ სეპარატიზმის მომხრენი არ ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება – განსაკუთრებულ საქართველოს პირობებთან შესაფერისი კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოში. მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულად დამოუკიდებელნი. ერთი სიტყვით ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“ (1: № 1).

„საქართველოს“ იმედი ჰქონდა, რომ რუსეთში მიმდინარე ოპოზიციურ-რევოლუციური მოძრაობის განვითარება იმპერიის დეცენტრალიზაციისაკენ მიემართებოდა, რაც საბოლოოდ ქვეყანას „ფედერატიულ ნეს-წყობილებამდის მიიყვანდა“. გაზეთი თხოვდა „რუსეთის თავისუფალ პრესას, რევოლუციურ და დემოკრატიულ გამოცემებს, თავიანთი აზრი გამოეთქვათ მომავალი რუსეთის სახელმწიფოს ფედერალისტურ პრინციპებზე

მონყობის შესახებ. „საგანი მიძინა და აქ ჩვენი შეთანხმებაა საჭირო... – მიმართავდა „საქართველო“ რუსეთის პარტიებს, – ჩვენ გვნადის მომავალი ერთობა ეროვნულ და ადგილობრივ სხვადასხვაობაზეც დავამყაროთ. ჩვენა გვსურს თავისუფალი და არა ძალდატანებითი ერთობა“ (1: № 1).

გაზეთმა მომავალი საქართველო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ტრიალის ფარგლებში წარმოიდგინა – საქართველოს ავტონომია, კავკასიის ფედერაცია და რუსეთის დიდი კონფედერაცია.

შემდგომ ნომრებში „საქართველო“ დეტალურად არკვევდა და ასაბუთებდა, რა სახე უნდა მიეღო მომავალ ავტონომიურ საქართველოს. 15 მაისის ნომერში გაზეთი კვლავ უბრუნდებოდა პოლიტიკური სეპარატიზმის საკითხს და ასაბუთებდა მის იმჟამინდელ არარეალობას, დამოუკიდებლობა, „საქართველოსტების“ აზრით, მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ რუსეთის იმპერია ნებაყოფლობით აიღებდა ხელს საქართველოზე. ეს კი იმხანად, შეუძლებელი იყო. პირიქით, „ღრმად დარწმუნებული ვართ, – წერდა „საქართველო“, – რუსეთი კავკასიას თავისი ნებით ხელიდან არ გაუშვებს რაც გინდა თავისუფალი პოლიტიკური რეჟიმი დამყარდეს რუსეთში“. „საქართველოსტები“ საკუთარი ნება-სურვილის გამო არ იყვნენ სეპარატიზმის წინააღმდეგნი. უარყოფის საფუძველი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარეობდა. „ჩვენ აზრათ არა გვაქვს ოცნებათა სამეფოში ვიფრინოთ. გარემოს თვალი თვალში უნდა გავუსწოროთ...“ (1: № 2)

საქართველოს თვითმმართველობა „საქართველოსტებს“ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიად ესახებოდათ. მათ გაზეთის პირველსავე ნომრებში მკაცრად მოხაზეს მომავალი ავტონომიური საქართველოს საზღვრები. გაზეთი ორი პრინციპით ხელმძღვანელობდა. ერთი იყო 1783 წლის რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებული ტრაქტატი, რომლის ძალითაც აღმოსავლურ ქართული სახელმწიფო რუსეთის ქვეშევრდომი ხდებოდა – ე. ი. „თითქმის მთელი ეხლანდელი ტფილისის გუბერნია და ნაწილი განჯის გუბერნიისა“. ამავე ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთს უნდა შემოერთებოდა ოსმალეთთან ომების შედეგად, რუსეთის იარაღის საშუალებით, მოპოვებული ისტორიული საქართველოს მიწა-წყალი, ტრაქტატის დადების დროს ოსმალთა ხელში რომ იმყოფებოდა. ეს იყო „სამცხე-საათაბაგო და აჭარა“. მეორე პრინციპი იყო – „თუ ქართველთა ტომის ხალხი სად და სად სახლობს“, ე. ი. ისტორიული სამხრეთ საქართველო. „ამრიგად, – დაასკვნიდა გაზეთი, – მომავალ ავტონომიურ საქართველოს ტერიტორიად უნდა იყოს: აფხაზეთი, რომელშიაც ბევრი მეგრელი სახლობს, სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, გურია იმერეთი, ლაზისტანის ნაწილი, ახალციხის მაზრა (ძველი სამცხე-საათაბაგო და ჯავახეთი), ქართლი, მთიულეთი, ხევი დარიალამდე, სომხითი, კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, საინგილო“ (1: № 2).

„საქართველოსტები“ კატეგორიულად სვამდნენ „ქართული ენის უპირატესობის“ საკითხს საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის საზღვრებში. საერო-ბო და საქალაქო კლუბებში, სკოლაში, სასამართლოში, ადმინისტრაციაში, ეკლესიასა და სხვა კულტურულ თუ პოლიტიკურ დანესებულებებში ქართული ენა სავალდებულო უნდა ყოფილიყო და შესაბამისი კანონმდებლობით განმტკიცებულიყო. ქართული თავისუფალი ორგანოს მესვეურები უპირველესად ეროვნულ ინტერესებს იცავდნენ, მაგრამ ამავე დროს ცდილობდნენ არ შეელახათ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნებების ინტერესებიც. მათი აზრით, საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში, სადაც სხვა ხალხები, განსაკუთრებით კი სომხები და თათრები მრავლად ცხოვრობდნენ, „იმგვარი სისტემის დამყარება“ იქნებოდა საჭირო, რომ ამ ერთა ეროვნული თვისებები დაცული დარჩენილიყო და არ დაჩაგრულიყო. ჩვენ, ქართველებმა,

ყოველთვის სამართლიანი ანგარიში უნდა გავუწიოთ ჩვენს მეზობელ ერებს, – დაასკვნინდა გაზეთი.

„საქართველო“ XIX საუკუნის ეროვნულ-პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილებას იზიარებდა და მიიჩნევდა, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი თავისთავად გულისხმობდა საქართველოს სახელმწიფოებრიობას და საშინაო დამოუკიდებლობას. 1903 წლის 1 ივნისს „საქართველოში“ გამოქვეყნდა მონინავე წერილი „საქართველოს ისტორიული უფლებანი და დღევანდელი საჭიროებანი“. გაზეთი თავიდანვე კითხულობდა, რა აზრი აქვს XVIII საუკუნის მიწურულში გაფორმებულ ხელშეკრულებას დღევანდლობასთან და თითქოს შეფიქრინებულ მკითხველს უხსნიდა: წარსულს მაშინ აქვს „თანამედროვე მნიშვნელობა, როდესაც იგი აწინდელ ცხოვრებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. ამ წარსულს, ახალ პირობებში, ახალი შინაარსი და სიცოცხლე ეძლევა, როდესაც ხალხს დღეს ებადება წარსული ცხოვრების უსამართლობის გაუქმების სურვილი. ამ შემთხვევაში, ისტორიულ უფლებათა შესახებ დავას რეალური მნიშვნელობა ეძლევა და ამ უფლებათა აღდგენისაკენ მიმართული მოქმედება პრაქტიკულ ხასიათს არა ჰკარგავს. ამნაირია ქართველების მდგომარეობაც. თანამედროვე ჩვენი საჭიროებანი და მეფე ერეკლეს ტრაქტატის შინაარსი რომ შევეფარდით ერთმანეთს, ამ ტრაქტატში ჩვენ ვპოულობთ იმგვარ პოლიტიკურ სიბრძნეს, რომელიც დღესაც არ არის ჩვენივით დაძველებული და რომლის შეთვისებისათვის დღეს მეტი ღონე და მომზადება შეგვწევს“ (1: № 3). გაზეთის მესვეურთა აზრით, პრაქტიკულად, გეორგიევსკის ტრაქტატი ავტონომიისათვის მებრძოლ ძალებს ხელში აძლევდა „ახალ იარაღს“.

„საქართველოს“ დიდი დამსახურება იყო, რომ მან პირველად გაიტანა და დასვა ევროპაში ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების საკითხი. ქართული პრობლემების პოპულარიზაციისა და ევროპის დემოკრატიული საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით არჩილ ჯორჯაძემ, გიორგი დეკანოზიშვილმა და მათმა თანამებრძოლებმა პარიზშივე გამოსცეს „საქართველოს“ ფრანგული დამატება „ლა ჟეორჟი“ (La George). მასში „საქართველოდან“ გადაბეჭდილ და ქართულიდან თარგმნილ მასალებთან ერთად იბეჭდებოდა ფრანგი და სხვა დასავლეთ ევროპელი პოლიტიკური მოღვაწეების წერილები და გამოხმაურებანი. „საქართველოს“ ფრანგული დამატების რედაქტორი იყო ქნერენო, ხოლო მის გამოცემასა და მასალების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა გიორგი დეკანოზიშვილის ფრანგი მეუღლე ჰანრიეტა ფრენუა. გიორგი დეკანოზიშვილი მადლიერებით წერდა თავისი მეუღლის შესახებ: „ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ უშველოს ჩვენს საქმეს. ასწორებს ფრანგულ ნაწერებს. მერე ჩვენ მიერ დაწერილი წერილების გასწორება რა ძნელია, ასწორებს კორექტურას, შოულობს ფულს, როცა გვჭირდება და სხვ. არა მგონია, რომ ამას შერებოდეს მარტო იმისათვის, რომ მე უყვარვარ. ესლა გაიცნო ქართველები, გაიცნო ჩვენი მდგომარეობა და გულით და სულით შევლის ყოველ დაჩაგრულს“ (2: № 9).

„საქართველოს“ მეშვობით ევროპაში პირველად დაიწყო ქართველი ხალხის პოლიტიკური უფლებების შესახებ ლაპარაკი. ამის შედეგი იყო, რომ ევროპის დემოკრატიულმა პრესამ ყურადღება მიაქცია „საქართველოს“, გამოეხმაურა მის გამოსვლას და თანაგრძნობა გამოუცხადა ქართველების ეროვნულ ბრძოლას.

„საქართველოს“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა მასალები: „როგორ მიეგებნენ „საქართველოს“ გამოსვლას ევროპის პრესა და ევროპული საზოგადო მოღვაწეები“. მასში საუბარი იყო ფრანგულ გაზეთ „ეროპენში“ გამოქვეყნებულ პიერ კიაროს წერილზე „ცარიზმი და საქართველო“; ფლანდრიული სამეცნიერო ჟურნალის „Onwaring“ – მისასალმებელ წერილზე; დანიელი კრიტიკოსისა ლიტერატურათმცოდნე გეორგ ბრანდესის

წერილები: „ქართველი ერი“ და სხვ. სხვათა შორის ბრანდესი წერდა: რომ რუსეთის საიმპერატორო კარმა მოტყუებით და ძალით ჩაიგდო ხელში საქართველო. ახლა საქართველოს განთავისუფლების შესაძლებლობას ბრანდესი უკავშირებდა რუსეთში მიმდინარე პროცესებს. მას არ სწამდა რუსეთში რევოლუციის მალე გამარჯვება, როგორც ამას ფიქრობდნენ: პ. კროპოტკინი, ვ. ზასულიჩი და სხვები, მაგრამ სამაგიეროდ სჯეროდა, რომ რუსეთში გაბატონებული სულის შემხუთველი რეჟიმი 20 წელიწადზე მეტს ვეღარ გასტანდა (1: № 4).

„საქართველოს“ და ქართველი ხალხის ეროვნულ ბრძოლას თანაგრძნობას უცხადებდა დიდი ფრანგი მეცნიერი, გეოგრაფი და პოლიტიკური მოღვაწე ელიზე რეკლიუ. „კარგა ხანი გავიდა უკვე, რაც ერთმა თქვენმა თანამემამულემ, და ჩემმა მეგობარმა, გამაცნო ქართველ ხალხის მდგომარეობა და საქართველოს ისტორიიდან ზოგიერთი ცნობები“, – წერდა ე. რეკლიუ „საქართველოს“ რედაქციას. ფრანგი მოღვაწე თავის მეგობარში გულისხმობდა ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომელთანაც ორ ათეულ წელზე მეტი ხნის იდეური და სულიერი ახლობლობა აკავშირებდა. „ყოველ ღონისძიებას ვიხმარ და ჩემს ხმას თქვენს პროტესტს შემოუერთებ“, აღუთქვამდა წერილის დასასრულს „საქართველოს“ ელიზე რეკლიუ.

გარდა აღნიშნულისა, „საქართველოს“ ეროვნულ მოთხოვნებს თანაგრძნობით გამოხმაურდნენ: საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი ანტიდ ბოიერი, საფრანგეთის აკადემიის წევრი ანატოლი ლურუა-ბოლიე, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი იორკ პაუელი, ინგლისური გაზეთი „ტაიმსი“, რუსი ლიბერალების ორგანო „ოსვობოუდენიე“, სომეხი დამნაშავეების ემიგრანტული ორგანო „დროშაკი“. ფრანგული გაზეთი „ეროპენი“ წერდა, რომ საქართველოს ავტონომიის მოპოვებისთვის ჯერ კიდევ 1892 წელს შეიქმნა „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“, დღეს კიო, „იმგვარივე საგნისათვის“ პარიზში დაარსდა ორგანო „La George“.

რა თქმა უნდა, „საქართველო“ გამოკვეთილი ეროვნული მიმართულების გაზეთი იყო, მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილებულა, შეეცადა გარკვეული სოციალური თვალსაზრისიც შეემუშავებინა. პირველ ყოვლისა „საქართველოელები“ სოციალური საყრდენის ძიება-გარკვევასაც აწარმოებდნენ.

ვინ უნდა ყოფილიყო „საქართველოს“ საყრდენი სოციალური ბაზა? გაზეთმა უარყო თავდაზნაურობა, რომელსაც სურდა „ის რაც შეუთანხმებელია“, კერძოდ მას სურდა „რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულება და სამშობლოსადმი სამსახური ერთად შეეკავშირებინა“; უარყო – სამღვდელოება, ინტელიგენცია, სტუდენტი ახალგაზრდობა; აღნიშნა, რომ გლეხობის ბრძოლას, მხოლოდ „ეკონომიური ხასიათი“ ჰქონდა, ხოლო ქართველი პროლეტარიატის მოძრაობას „საკუთარი აზრი, საკუთარი მიმართულება არ გააჩნდა. „საქართველო“ უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია და პოლეთარიატი არ თანაუგრძნობდნენ „საქართველოსტებს“ ავტონომიის მოთხოვნაში.

უარყოფდა რა ზემოჩამოთვლილ, საქართველოს სინამდვილეში არსებულ საზოგადოებრივ კლასებს და ფენებს (კალ-კალკე, როგორც თავის სოციალურ დასაყრდენს, „საქართველო“ საკუთარი დროშის ქვეშ მოუწოდებდა ყველა კლასს, საქართველოს მთელ მოსახლეობას, ვინც აღიარებდა ეროვნული სახელმწიფოს იდეას. ვისგან უნდა შედგეს „მებრძოლთა რაზმი“, რომელი კლასების ან წოდებებისაგან? – კითხულობდა გაზეთი და პასუხობდა: რადგან მიზანი ერთი გვაქვს ყველას – საქართველოს ავტონომია – „ერთი საერთო რაზმი უნდა შესდგეს ყველა იმ მებრძოლთაგან, ვისაც სწადია ამ ავტონომიის მოპოვება“.

„საქართველომ“ აღიარა კლასთა ბრძოლის არსებობა, მაგრამ გაზეთი მტკიცედ დადგა ეროვნული ერთიანობის ნიადაგზე. „ჩვენ არ ვინვეთ საქართველოს ყველა წოდების და კლასების შესათანხმებელ და გაერთიანებულ მოქმედებას, – წერდა გაზეთი, – ამგვარი შეთანხმება შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია. ჩვენ მხოლოდ იმათი შეთანხმების იმედი გვაქვს, ვინც უარყოფს წოდებრივს და ბურჟუაზიულ კლასობრივს და ვინც თავის ქუყას, ზნეობრივ და ფიზიკურ ძალას საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობას, ხალხის განთავისუფლების საქმეს მოახმარს. მამ გაუმარჯოს ქართულ რევოლუციას!“ (1: № 4).

„საქართველომ“ სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის უმთავრეს გზად რევოლუციური ბრძოლა მიიჩნია, გზა „რევოლუციონური მოქმედება-მოღვაწეობისა“. რუსეთის იმპერიის სინამდვილეში ყოველგვარი უთანასწორობის განმსაზღვრელი და საფუძველი იყო არსებული სისტემა, მეფის თვითმპყრობელობა. „თვითმპყრობელობა უნდა დაიმსხვრეს და დაინგრეს, – წერდა გაზეთის ერთ-ერთი ანონიმი ავტორი, – აქ არის ერთადერთი ხსნა, როგორც ეროვნების აღორძინებისათვის, ისე ეკონომიურ გაჭირვების მოსპობისათვის“. მომავალი საქართველოს ავტონომია უკლასო საზოგადოება უნდა ყოფილიყო, სადაც ადგილი არ ექნებოდა ერთი კლასის მიერ მეორის დაჩაგვრას. „ავტონომია“ უნდა იყოს პოლიტიკური ფორმა ეკონომიურად გათანასწორებულ ხალხისა“ (1: № 5).

უფრო კონკრეტულად გამოიხატა „საქართველოისტების“ სოციალური პლატფორმა 1904 წლის მარტის თვეში გამოქვეყნებულ წერილში „წერილ მესაკუთრეთა ადგილი თანამედროვე წყობილებაში და მათი როლი განთავისუფლების საქმეში“. აქაც „საქართველო“ მშრომელი ხალხის სოციალური განთავისუფლების საკითხს მჭიდროდ უკავშირებდა ერთი მხრივ თვითმპყრობელობის დამხობას, მეორე მხრივ კი – ავტონომიის მოთხოვნის საკითხს, ურომლისოდაც ეკონომიკური განთავისუფლება ქართველი მშრომელი ხალხისა არ ნარმოიდგინებოდა. „როგორც არაერთხელ გვქონდა ნათქვამი, – დაასკენიდა გაზეთი, – ქართველი ხალხის ეკონომიური აღორძინება დაკავშირებულია ეროვნულ თავისუფლებასთან, ჩვენი სურვილი ყოველთვის ის იქნება, რომ გავაგებინოთ ხალხს – საქმე მარტო თვითმპყრობელობის დამხობა კი არ არის, საქმე საკუთარის ეროვნულ თვითმმართველობის მოპოვებაა. ამ ძირითად ცვლილების განხორციელებისათვის მარტო პროლეტარიატის ძალა არ კმარა. აქ არის საჭირო გაერთიანება ხალხის ყველა მშრომელი ელემენტებისა“ (3: № 10). ხალხის მშრომელი ნაწილის, მისი უმრავლესობის ინტერესების დაცვა, ასეთი იყო „საქართველოს“ სოციალური ორიენტაცია.

„საქართველო“ ქართველი ავტონომისტების მიერ დაარსებული და ავტონომისტური ორგანო იყო, მაგრამ მან ფართოდ გაულო კარი სხვა მიმართულებების პუბლიცისტებსაც. მასში აშკარა სეპარატისტებთან ერთად გვხვდება სხვადასხვა მიმდინარეობათა – ანარქისტების, ესერების წარმომადგენელთა წერილები. „საქართველოში“ დაიბეჭდა ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერის ნოე ჟორდანიას რამდენიმე სტატია. მეტიც, გიორგი ლასხიშვილის გადმოცემით, ემიგრაციაში მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატები ნოე ჟორდანიას და სხვები „ამა თუ იმ დახმარებას უწევდნენ ჩვენს ამხანაგებს“ გაზეთის დაარსებაში (ლასხიშვილი 1992: 160).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ „საქართველოისტები“, პოლიტიკური რეალიზმიდან გამომდინარე, უარყოფდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგს, მაგრამ არა სამუდამოდ, არამედ დროებით. პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეას გაზეთის მესვეურები თანაგრძნობით ეკიდებოდნენ და მიაჩნდათ, რომ მას არსებობის სრული უფლება ჰქონდა. მეტიც, ქართველი ეროვნული ძალების ფარული მისწრაფების შესახებ დამოუკიდებლობისაკენ, ევროპაშიც უნდა სცოდნოდათ. ამის გამო „საქართველო“ დროდადრო

აქვეყნებდა სეპარატისტული ხასიათის წერილებს. 1904 წელს არჩილ ჯორჯაძე გიორგი დეკანოზიშვილს წერდა: „შეურიგებულსაც“ უნდა თავისი წერილის დაბეჭდვა ფრანგულად. მე მგონი ურიგო არ იქნება. უნდა ვაჩვენოთ უცხოელებს და რუსებს, რომ ჩვენში სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მომხრენიც არიან. ინგლისში წერილი ძალიან მოუნონებთ. ჩვენ ჩვენი შენიშვნა გაუუკეთოთ და ისე დავსტამბოთ“ (მუჯირი 1988).

ერთ-ერთი ასეთი მომხრე დამოუკიდებლობისა, ვინმე „სეპარატისტი“, ეკამათებოდა გაზეთის რედაქციას და უსაბუთებდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების შესაძლებლობას საერთაშორისო სიტუაციის სერიოზული გართულების, კერძოდ კი, რუსეთის ევროპასთან ომის შემთხვევაში, როგორც ეს ყირიმის ომის დროს მოხდა. თავისუფალი საქართველო, „სეპარატისტის“ წარმოსახვით, ორგვარად სასურველი უნდა ყოფილიყო ევროპისათვის. ერთი, რომ იგი იქნებოდა ბარიერი რუსეთისათვის, სამხრეთისაკენ გავრთობაში, მეორე – საქართველო მომგებიანი ბაზარი და გასასვლელი იქნებოდა ევროპელ საქმოსანთათვის აზიის ქვეყნებში. „სეპარატისტის“ იდეალი იყო „ევროპის პროტექტორობის“ ქვეშ მყოფი დამოუკიდებელი საქართველო (1: № 7; 3: № 8). მეორე ანიონი „კორესპონდენტს“, თავისუფალი საქართველო წარმოედგინა პოლიტიკურად დამოუკიდებელ ქვეყნად, სადაც მოისპობოდა კაპიტალისტური წეს-წყობილება, ქონებრივი უთანასწორობა და დამყარდებოდა „სოციალისტური წეს-წყობილება“. მხოლოდ „თავისუფალ“ და „სოციალისტურ წეს-წყობილების“ ქართველ ერს შეეძლო გამხდარიყო „წევრი კაცობრიობის კავშირისა“ (1: № 2). ვინმე „ძველი მოღვაწე“ სკეპტიკურად უყურებდა რუსეთისაგან ვინმესათვის „თავის ნებით“ ავტონომიის მიცემას. საქართველოს მომავალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სხვა კავკასიელ ხალხებთან. „ძველი მოღვაწის“ რწმენით, კავკასიელ ერებს „ევროპის მფარველობის“ ქვეშ უნდა შეექმნათ ერთიანი სახელმწიფო „კავკასიის ფედერაციის სახით“ (1: № 5).

გაზეთ „საქართველოს“ სამი დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ეროვნული მოძრაობის ისტორიაში. ის იყო პირველი თავისუფალი ორგანო, რომელმაც ღიად და საქვეყნოდ წამოაყენა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნა და მიზანი; მეორე დამსახურება ისაა, რომ გაზეთმა, მისმა რედაქციამ და მხარდამჭერებმა საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში პირველი ეროვნული მიმართულების პოლიტიკურ ორგანიზაციას – საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას. ეს პარტია შეიქმნა 1904 წლის აპრილში, ჟენევაში შემდგარ ქართული პოლიტიკური მიმდინარეობებისა და ფრაქციების ინტერპარტიულ კონფერენციაზე. ახალ პარტიაში ბლოკისტურ პრინციპით, გაერთიანდნენ იმხანად საქართველოში მოქმედი პოლიტიკური მიმდინარეობები: საკუთრივ ავტონომისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, ესერები და ანარქისტები.

„საქართველოს“ კიდევ ერთი დამსახურება იყო ის, რომ გაზეთმა პირველმა გაიტანა და ევროპაში დასვა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების საკითხი. „საქართველოს“ ფრანგულენოვანმა დამატებამ „ლა ჟეოროჟი“ პირველმა გააცნო ევროპელებს საქართველოს რეალური მდგომარეობა, ქართველი ხალხის კოლონიური მდგომარეობა და მისი ეროვნული დამოუკიდებლობის წყურვილი და მიზანი. ამ მხრივ გაზეთის ღვაწლი უნიკალურია – არსებითად მან გასლბო ხიდი საქართველოს ეროვნულ მოძრაობასა და დასავლეთის პოლიტიკურ წრეებს შორის.

„საქართველო“, როგორც ორკვირეული ბეჭდური ორგანო, სამი წლის განმავლობაში – 1903-1905 წლებში გამოდიოდა. გაზეთის მთავარი სულისჩამდგმელი, მასში გამოქვეყნებული წერილების დიდი უმრავლესობის მთავარი ავტორი, იდეოლოგი, თეორეტიკოსი და ეროვნულ-პოლიტიკური პლატფორმის განმსაზღვრელი არჩილ ჯორჯაძე იყო. საერთოდ, გაზეთის არალეგალურობის გამო, წერილები ხელმოუწერლად ან ანიონიმურ

ხელმწიფრებით ქვეყნდებოდა. ამის გამო, ყოველთვის ვერ ხერხდება ამა თუ იმ წერილის ავტორის განსაზღვრა. სხვა ავტორებს შორის შეიძლება დავასახელოთ გაზეთის ახლო დამხმარე-თანამშრომლები ან მხარდამჭერები, რომლებიც იმხანად ევროპაში იმყოფებოდნენ, სწავლობდნენ, საქმიანობდნენ ან სულაც რუსეთის ხელისუფლებას ემალე-ბოდნენ: თედო სახოკია, ზურაბ ავალიშვილი, ალექსანდრე გაბუნია, მიხაკო წერეთელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, რევაზ გაბაშვილი, გიორგი გოგელია, ვლადიმერ დარჩიაშვილი და სხვანი.

გაზეთი საქართველოში ფარული გზებით იგზავნებოდა და არალეგალურად ვრცელდებოდა. ეს სახიფათო და რთული საქმე, რა თქმა უნდა, გაზეთის გამოცემის მთავარ ორგანიზატორს, გიორგი დეკანოზიშვილს ებარა. გაზეთის ნომრებს უმთავრესად სამშობლოში მომავალ პიროვნებებს ან გემების მოსამსახურეებს ატანდნენ ან კიდევ სხვა მოკავშირე პარტიების წარმომადგენლებს და ა. შ. თედო სახოკია გვიყვება: „გვადრუცების ანუ ჩემოდნების ძირს ისე ვავსებდით (გაზეთებით) რომ თვალისთვის შეუმჩნეველი იყო... განსვენებულ გიორგის კანონად ჰქონდა დადებული – ყველა საქართველოში მომავალი ქართველისათვის – ქალი იქნებოდა თუ კაცი – უეჭველად გამოეტანებინა ახლად გამოსული ნომრები „საქართველოსი“. ხანდახან სასაცილო ელემენტიც გაეროდა ამ საქმეში. ერთხელ გვადრუცი გაუცსიათ და გამოუტანებიათ ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც „ყველაზე ნაკლები ერთობა“ რევოლუციასთან ჰქონდა – ეს იყო გორელი ადვოკატის ა. ნატროშვილის მუღლე. კიდევ კარგი რომ საზღვარზე ნიკოლოზ მეორის მცველ ყანდარმებს საკმაო ერთგულება არ გამოუჩენიათ, თორემ პატივცემულ გორელ მოქალაქეს ძალიან გაუჭირდებოდა თავის მართლება“. მიუერ შემთხვევაში გიორგი დეკანოზიშვილს ერთდროულად სამი თანამემამულე ქალისთვის გამოუტანებია გაზეთები. ამის შესახებ თვით გიორგი დეკანოზიშვილს ჩაუნერია თავის „დღიურში“: „აქ სამი ქალია ქართველი. ერთი ქუთაისიდან ქ-ნი გოლოვინა და ორი თბილისიდან ვახვახიშვილის ქალები არიან... მივდივარ გოლოვინასთან. თორმეტ საათამდინ ვიჯექი გოლოვინას ქალთან. უშომრად დათანხმდა წაღებას. ქალები უფრო სვინდისიერად და უშომრად იქცევიან, მეტადრე ახალგაზრდები. მე აუხსენი, რომ მაგისტვის მოელის 2-3 წლის ციხე და როგორი ციხე – რუსეთის ციხე. მაინც მოჰკიდა ხელი. კაცი რომ ყოფილიყო, ძნელად გაბედავდა და იტყოდა: „მე აქ გამოგადგებითო, აქ ვიმუშავებო“. რასაკვირველია არაფერს არ გააკეთებდა. 2-ს მიველი ვახვახიშვილის ქალებთან. მათთან 6 საათამდინ დავრჩი. ისინიც სიამოვნებით თანხმდებიან წაღებას“ (შველიძე. გაფრინდაშვილი 2011: 164). მიუხედავად დიდი წვლებისა, რისკისა თუ თავგადასავლებისა, „საქართველო“ სხვადასხვა გზებით ვრცელდებოდა საქართველოში და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა.

როგორც აღვნიშნეთ, გაზეთ „საქართველოს“ გამოცემა 1905 წელს შეწყდა და მან ადგილი დაუთმო სხვა ეროვნულ გამოცემებს, ახლა უკვე საქართველოში, სადაც იწყებოდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის დიდი აღმავლობა.

ახლა რაც შეეხება, გაზეთ „საქართველოს“ ხსენებულ, 2013 წლის ფაქსიმილურ გამოცემას: 2011 წელს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბ-ნ მირიან ხობლავაშვილს გაეუზიარეთ იდეა, გამოცემულიყო არჩილ ჯორჯაძის ნაწერების სრული კრებული. საუბრისას, რომელშიც ამ სტატიის ავტორების გარდა მონაწილეობდა საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის უფროსი ლევან თაქთაქიშვილი, გამოიკვეთა აზრი, რომ არჩილ ჯორჯაძის ნაწერების სრული კრებულის გამოცემა საკმაოდ შრომატევად და ამავ დროს ფინანსურად ძვირ პროექტს წარმოადგენდა. ბ-ნ ლევანს დაეხადა იდეა, რომ ჯერ-ჯერობით გამოგვეცა წიგნად 1903-1905 წლებში პარიზში გამომავალი თავისუფალი ქართული გაზეთის

„საქართველოს“ ყველა ნომერი. მისი აზრით, ამით ორი საქმე გაკეთდებოდა: მკითხველი მომავალში შეძლებდა ერთად თავმოყრილი გამოყენებინა გაზეთის ყველა ნომერი, რომელიც წინგანდ იქნებოდა შეკრული და საუკუნეზე მეტი ხნის აქტიური ხმარებისაგან გაცრეცილი გაზეთ „საქართველოს“ ეგზემპლარები დაცული დარჩებოდა ყოველდღიური ხმარებისაგან. იდეა ყველასათვის მისაღები აღმოჩნდა და დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა. თავიდან იგეგმებოდა ნომრების აკრეფა, მაგრამ ბოლოს ვამჯობინეთ, რომ გაზეთს თავისი „სახე“ შეენარჩუნებინა და ამიტომ გადაწყდა მისი დასკანერება. მთელი წლის მანძილზე მირიან ხოსიტაშვილისა და ლევან თაქთაქიშვილის თაოსნობით მიმდინარეობდა მუშაობა და გაზეთ „საქართველოს“ ერთ წინგანდ თავმოყრილმა ნომრებმა 2013 წლის იანვარში იხილა მზის სინათლე. ამჟამად გაზეთ „საქართველოს“ ფაქსიმილური გამოცემა ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველის განკარგულებაშია.

დამონებანი

1. გაზეთი „საქართველო“, პარიზი, 1903 წ.
2. ჟურნალი „კავკასიონი“, პარიზი, 1964.
3. გაზეთი „საქართველო“, პარიზი, 1904 წ.
4. ლასხიშვილი გ. მემუარები, თბ., 1992.
5. მუჯირი ა. ეროვნულ-დემოკრატიული იდეალებისათვის მებრძოლი. არჩილ ჯორჯაძე და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნააზრევნი, გაზ. „კომუნისტი“, 1988 წ., 13 ნომბერი.
6. შველიძე დ. გაფრინდაშვილი გ. გიორგი დეკანოზიშვილი. მამულიშვილის დაბრუნება, თბ., 2011.

DIMITRI SHVELIDZE

„The Georgia“ the First Georgian National-Political Newspaper Abroad

Summary

The newspaper was issued in Paris in Georgian language in 1903-1905. At the same time there was published its French version „La Géorgie“. Editors and founders of the newspaper were Archil Jorjadze and Giorgi Dekanozishvili. Though the newspaper was founded by the leaders of the Social-Federalist Party, there were published articles of representatives of different political groups as well.

„The Georgia“ has contributed two main priorities to the history of Georgian national movement: First, it openly declared the demand of restoration of the National State of Georgia, in the form of National Territorial Autonomy and second, the group associated with the newspaper contacted European political movements and tried to gain their support.

The present article is dedicated to the facsimile edition of „The Georgia“ realized by the National Parliamentary Library of Georgia in 2012.

ვარშავის ქართული ემიგრაცია

I.

1882 წლის მოსახლეობის ერთდღიანი აღწერით, ვარშავაში ქართული ეროვნების სულ რაღაც 5 კაცი (4 მამაკაცი და 1 ქალი) აღირიცხა. მათგან 4 მუდმივად ცხოვრობდა, 1 ჩამოსულთა კატეგორიას ეკუთვნოდა. უფრო მეტი (ჩამოსულებთან ერთად) კავკასიის სხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ: 7 ჩერქეზი, 12 სომეხი, აგრეთვე 33 თათარი, რომლებსაც შესაძლოა აზერბაიჯანელებს მიაკუთვნებდნენ. ყურადღებას იმსახურებს ინფორმაცია, რომელიც ვარშავის მოსახლეობის დაბადების ადგილს შეეხება. მონაცემებიდან ირკვევა, რომ ვარშავაში კავკასიაში დაბადებული 160 კაცი ცხოვრობდა. მამასა-დამე, 3-ჯერ მეტი, ვიდრე აღწერის დროს იყო აღნიშნული ყველა კავკასიელი ეროვნების წარმომადგენელი. დაახლოებით 1897 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ვარშავასა და მის გარეუბანში ცხოვრობდა 15 მოსახლე (9 მამაკაცი და 6 ქალი), რომლებიც ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ. ტაბელიდან, სადაც მოსახლეობის რაოდენობაა მითითებული დაბადების ადგილის მიხედვით, ირკვევა, რომ ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიაში დაიბადა 177 კაცი და 157 ქალი, ჯამში – 334 სული, ე. ი. 20-ჯერ მეტი, ვიდრე ქართულ ენაზე მოლაპარაკე პიროვნებები. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ 1897 წლის აღწერით, ისინი ვინც საუბრობდა რუსულ ენაზე (ასეთები იმდროინდელ ქართულ ინტელიგენციაში მე-19 საუკუნის ბოლოს იყო ძალიან ბევრი, განსაკუთრებით დისპორაში) მიაკუთვნეს რუსულენოვანი ფჯოფის წარმომადგენლებს. ვფიქრობ, არ იქნება შეცდომა თუ ვიტყვით, რომ ვარშავის მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც დაიბადა საქართველოს ორივე გუბერნიაში, 1897 წლის აღწერის მიხედვით, იყვნენ ქართველები (ვოჟნიაკი 1998: 46-47).

მე-19-მე-20 საუკუნეების ვარშავის ქართველების უმეტესი ნაწილი დასაქმებული იყო ადმინისტრაციულ, სამხედრო, აგრეთვე უანდარმერიასა და პოლიციის სამსახურში. მე-19 საუკუნის ბოლოს მათ უმრავლესობას ვაჭრები და მენარმები წარმოადგენდნენ, ასევე, გაიზარდა სტუდენტების რიცხვი ვარშავის უმაღლეს სკოლებში. მოსამსახურეთა საკამოდ დიდი ფჯოფი, თუმცა რთულია წყაროებში მათი დადგენა, საფარაუდოდ, დასაქმებულნი იყვნენ მდიდარი ქართველების ოჯახებში (ვოჟნიაკი 1998: 44-46).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში პოლონეთის სამეფოში მცხოვრებთათვის კარგად იყო ცნობილი ქართული წარმოშობის ორი მაღალი რანგის წარმომადგენელი რუსეთის ადმინისტრაციაში: გენერალი პეტრე ბაგრატიონი (1818-1876), ვარშავა-ვენის რკინიგზის ხელმძღვანელი და ალექსანდრე იმერეტინსკი (1837-1901), რომელსაც ეკავა სხვადასხვა მაღალი სამხედრო თანამდებობა, ხოლო საუკუნის ბოლოს იყო ვარშავის გენერალ-გუბერნატორი და ვარშავის საოლქო ჯარების მთავარსარდალი (ვოჟნიაკი 1998: 43; 2 ვოჟნიაკი 2004: 75-87).

უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის დასასრულს ვარშავაში სწავლობდა რამდენიმე ქართველი სტუდენტი, რომლებმაც მოგვიანებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში. ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ვარშავის ვეტერინალურ ინსტიტუტში სწავლობდა შიო დედაბეროვი (დედაბრიშვილი), ცნობილი როგორც შიო არაგვისპირელი, რომელიც ა. ჯაფარიძის მიერ შექმნილი საქართველოს განთავისუფლების

ლიგის წევრი იყო, რისთვისაც დააპატიმრეს და მიუსაჯეს სასჯელი, რომელსაც იხდიდა ჯერ ვარშავაში, ხოლო მოგვიანებით ქუთაისში.¹ სასჯელის მოხდის შემდეგ, 1895 წელს ვარშავაში დაამთავრა ვეტერინარიის ფაკულტეტი, ხოლო მოგვიანებით პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა თბილისში. ამავე დროს ვეტერინარიას სწავლობდა ვარშავაში ნოე ჟორდანიას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (ვოჟნიაკი 1998: 45). 1885 წელს ვარშავის კონსერვატორიაში სწავლობდა პეტერბურგის მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებული ანდრია ყარაშვილი (ყარავეი) კომპოზიტორი, მევიოლინე, დიდი ხნის მუსიკალური სკოლის მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე (ბადოცკი 1959: 29).²

მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ვარშავის პრესა დროდადრო იუწყებოდა ცნობილი პიროვნებების საქართველოდან ჩამოსვლის შესახებ. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გაზეთები წერდნენ, რომ ვარშავაში იმყოფებოდნენ საქართველოდან ჩამოსული დასტაქრები, რომლებიც „ჭლექსა და კიბოს“ კურნავდნენ. 1900 წელს ვარშავის ჟურნალები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ცნობილ ქართველ კომპოზიტორს ქართული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთ დამფუძნებელს მელიტონ ბალანჩივაძეს.³

ჩვენი ცოდნა ვარშავაში ქართველების შესახებ პირველი მსოფლიო ომის დროს ძირითადად ჰიპოთეზასა და ვარაუდებს ეყრდნობა. ეჭვს არ იწვევს მხოლოდ ერთი რამ, რომ ქართველების უმრავლესობამ პოლონეთის სამეფო დატოვა აღმოსავლეთისაკენ და მხევ რუსეთის არმიასთან ერთად. ეს ეხება არა მხოლოდ იმ ადამიანებსა და ოჯახებს, რომლებიც სამხედრო, პოლიციასა და ადმინისტრაციულ სამსახურში იყვნენ დასაქმებულნი, არამედ ვარშავის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებსაც. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ვარშავაში შემთხვევით ან შეგნებულად დარჩა მოქალაქეთა მცირე ჯგუფი. ზოგიერთი მათგანი კერძო მენარმე იყო ან ფლობდა უძრავ ქონებას, რომლის მიტოვებაც არ სურდა. სხვების დარჩენა შესაძლოა გამოიწვიოთ მათმა ოჯახურმა მდგომარეობამ. ე. წ. გერმანელთა პირველი ოკუპაციის დროს ვარშავაში ნოვი სვიატის ქუჩაზე ნომერ 54-ში არსებობდა რესტორანი „აღმოსავლეთი“ და ლვინის სარდაფი „კავკასია“, რომელსაც 1917 წელს გაზეთ „ეჟო პრალა“ რეკლამას უწევდა (Echo 1917: 24).⁴ შესაძლოა, რომ ლვინის სარდაფისა და რესტორნის მფლობელი და თანამშრომლები იყვნენ ქართველები.

- 1 თავისუფლების ლიგის შექმნის ერთ-ერთ ინიციატორად მიჩნეულია არჩილ ჯორჯაძე, მომავალში საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ფუძემდებელი. რედ.
- 2 ბადოცკის მიხედვით ა. ყარაშვილმა ცოლად შეირთო პოლონელი და რამდენიმე წელი ცხოვრობდა პოლონეთში.
- 3 მ. ბალანჩივაძე, კომპოზიტორი და მომღერალი, ბავშვობიდანვე აგრეობდა და ასრულებდა ხალხურ სიმღერებს. 1882 წელს დაარსა გუნდი და ასრულებდნენ ხალხურ სიმღერებს რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში. 1900 წელს ჩავიდა ვარშავაში, რამდენიმე თვეში მოამზადა ქართული მუსიკის კონცერტი, რომელმაც გამოიწვია დიდი ინტერესი ვარშავის საზოგადოებისა და მუსიკის კრიტიკოსებისათვის. მასზე წერდა „ვარშავის კურიერი“ 1900 წლის მე-10 ნომერში, გვ. 4, ა. პოლ. [ალექსანდრე პოლინსკი]. ძალიან ყურადსაღები და ვრცელი რეცენზია მ. ბალანჩივაძის კონცერტზე ე. მ. [ემილა მლინარსკი?] ქართული მუსიკა და ბატონ მ. ბალანჩივაძის კონცერტი, გამოქვეყნდა ჟურნალ „Echo Muzyczne, Teatralne i Artystyczne“ (nr 21 [13] 1900 წლის იანვარი. გვ. 19-20).
- 4 „Echo Pragi“ II: 1917, nr 3 დან 20.I.1917, გვ. 24 განთავსდა შემდეგი სახის რეკლამა: „ზღაპრულად იაფი. კავკასიური სახლი. ყველაფერი შემწვარი და შესანიშნავი მწვადები, ღვინო კახური და სხვა, ჭიქა ღვინო 30 კ. ვთავაზობთ რესტორანი აღმოსავლეთი და ღვინის მარანი კავკასია, ნოვი შვიატ 34. ღიაა ღამის 01 საათამდე“. ასეთივე სახის რეკლამა განთავსდა გაზეთის მე-19 ნომერში.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პოლონეთში აღმოჩნდნენ ქართველები, ყოფილი სამხედრო ტყვეები, რომლებიც რევოლუციისა და აღმოსავლეთში არასტაბილური მდგომარეობის გამო ვერ დაბრუნდნენ სამშობლოში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ალექსანდრე გოძიაშვილი, რომელიც ვარშავაში კარგად ცნობილი და პოპულარული იყო. ა. გოძიაშვილი დაიბადა 1897 წელს პეტერბურგში, სადაც მამამისს ღვინის საწყობები ჰქონდა. გოძიაშვილი ქართული ღვინით ამარაგებდა დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ბიძას, აგრეთვე ნევის პროსპექტზე განალაგებულ დიდ სავაჭრო სახლს. იგი ასევე ვენახებსა და ღვინის სარდაფებს ფლობდა კახეთში, კერძოდ გურჯაანში. ალექსანდრე გაიზარდა თბილისში, ზაფხულობით კი ხშირად იმყოფებოდა ოჯახთან ერთად პეტერბურგში. პირველი მსოფლიო ომის დროს ა. გოძიაშვილი რუსეთის ბალნისარაის კავალერიის პოლკში მსახურობდა. ომის ბოლოს გერმანელთა ტყვეობაში მოხვდა. ტყვეობიდან განთავისუფლებულმა, როდესაც გერმანიიდან საქართველოში ბრუნდებოდა, ვარშავაში შეიტყო თუ რა ბედი ეწიათ რუსეთის არმიის ოფიცრებს იმ ადგილებში, სადაც რევოლუცია მიმდინარებდა. მან პოლონეთში გაიცნო ირენა კურდევანოვსკა, ვარშავის მდიდარი მენარმის ქალიშვილი, რომელიც თავის დებთან ერთად ჩართული იყო საქველმოქმედო საქმიანობაში. ორგანიზაცია, სადაც ირენა კურდევანოვსკა მუშაობდა, ეხმარებოდა სამხედრო ტყვეებს, რომლებიც გერმანელთა ტყვეობიდან ბრუნდებოდნენ. ნაცნობობა დამთავრდა ქორწილით და ა. გოძიაშვილი დარჩა ვარშავაში (ე. გოძიაშვილი 1991ა: 52; გოძიაშვილი 1991ბ: 53-54). მაღე, 1919 წლის იანვარში, თავისი სურვილით ჩაენერა მუსტაფა ახმეტოვიჩის სახელობის თათარულანთა პოლკში, რომელიც ყალიბდებოდა ბიალისტოკსა და გროდნოში (ბორავსკი 1988: 139-142). იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. იყო როტმისტრი. ომიდან დაბრუნდა დანინაურებული და დაჯილდოებული; შემდეგ დაამთავრა ვარშავის პოლიტიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, ხოლო მისი სადიპლომო ნაშრომი მიეძღვნა საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებს, რომელიც 1926 წელს ცალკე წიგნად გამოიცა (გოძიაშვილი 1926). სწავლის დასრულების შემდეგ იგი ჯერ მუშაობს როგორც ჟურნალისტი ჟურნალ „სიმართლის ხმა“-ში, მაგრამ ცოლ-შვილის სარჩენად აქ მიღებული ხელფასი არ იყო საკმარისი, ამიტომ ხელი მიჰყრს მენარმობას, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცა მის ოჯახს (გოძიაშვილი 1991 ბ: 53). გარდა პროფესიული საქმიანობისა, ა. გოძიაშვილი აგრძელებდა მუშაობას ვარშავაში დაარსებულ საქართველოს კომიტეტში, ხოლო ოცდაათიან წლებში გახდა მისი თავმჯდომარე (გოძიაშვილი 1991 ა: 52).

მაშინ, როცა ა. გოძიაშვილი დასახლდა ვარშავაში, ქართული ემიგრაცია არ იყო დიდი. შემადგენლობით ყველაზე რიცხვმრავალი, ვარშავის საზოგადოება, მხოლოდ რამდენიმე ათეულ წევრს ითვლიდა. კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლის, ხოლო 1920 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის თავად სიღამონ-ერისთავისა და მის გარემოცვის გარდა მას მიეკუთვნებოდნენ შედარებით უფრო გვიანდელი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გარემოცვაში კარგად ცნობილი ს. ყურულიშვილი და ა. გოძიაშვილი (მატერსკი 1990: 77). ქართველების ამ მცირე ჯგუფმა ორგანიზება გაუყუბა თვითგადარჩენის კომიტეტს, რომელსაც სათავეში სიღამონ-ერისთავი ედგა. კომიტეტი 1921 წლამდე ე. ი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემამდე არსებობდა (ვოჟნიაკი 1998: 50).

სერგო ყურულიშვილი (1894-1925) განათლებით ინჟინერ-არქიტექტორი, ჟურნალისტი და პოეტი, ქართული ემიგრაციის აქტიური საზოგადო მოღვაწე იყო. იგი დაიბადა საჩხერეში. მამა – ვანო ყურულიშვილი, ხოლო დედა – ეკატერინე ნაზარიშვილი იყო. პოლონეთში სერგო ყურულიშვილი ჩავიდა 1918 წელს, მაშინ როცა საქართველო

დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა (ვოჟნიაკი 1991ა: 43). მისი ცხოვრების ადრეულ პერიოდზე გარკვეულად არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ იგი მის მეუღლე მარიასთან ერთად ჩავიდა 1918 წელს კავკასიიდან პოლონეთში. როგორც მისი ძმისშვილის სერგო ყურულიშვილის მოგონებებიდან ვგებულობთ, 1918-1924 წლებში ის იყო საქართველოს კონსული ვარშავაში (ყურულიშვილი 1991: 45). საკონსულო ნოვი შვიატის ქუჩაზე ნომერ 17-ში მდებარეობდა (ორლოვიჩი 1922: 12). ვარშავაში სერგო ყურულიშვილის მოღვაწეობამ გამოაცოცხლა მუშაობა ქართველ ემიგრანტებს შორის. ქალაქ ბილისტოკში 1920 წელს მან მოაწყო პოლონეთში მცხოვრები ქართველების ყრილობა.

როგორც 1920 წლის თებერვალში გაზეთ „ვსხუდ პოლსკი“-ში⁵ იქნა აღნიშნული, ამა წლის დასაწყისში ინჟინერმა ყურულიშვილმა, ბილისტოკში მოინიჭა პოლონეთის მინა-წყალზე მყოფი ქართველების ყრილობა, სადაც არჩეულ იქნა ქართული სახალხო საბჭო, რომლის მიზანი ურთიერთდახმარება, საქართველოსა და პოლონეთს შორის მეგობრული პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობების მხარდაჭერა იყო. კრებამ პირველ რიგში მისალმება გაუგზავნა სეიმს ვარშავაში, სადაც პოლონეთისა და მისი ხალხის მიმართ კეთილი სურვილები იქნა გამოხატული (Wschód 1920: 46).

II.

1921 წლის მარტში საქართველო გახდა ბოლშევიკების აგრესიის მსხვერპლი და კვლავ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის მაისში დაიდო შეთანხმება რუსეთთან, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა ჯარებმა გადმოლახეს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საზღვრები და, მიუხედავად წინააღმდეგობისა, დაიპყრეს მთელი მისი ტერიტორია.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაცემის შემდეგ მისი პოლიტიკური ელიტა, სამხედრო და კლუტურის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ ემიგრაციაში. მთავრობისა და პარლამენტის ადგილსამყოფელი გახდა პარიზი. „ფუნქციონირებდა აგრეთვე მთავრობის წარმომადგენლობა ერთა ლიგაში და რამდენიმე საელჩო, განსაკუთრებით პარიზსა და ვაშინგტონში, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, საერთაშორისო საზოგადოებისათვის ქართველი ერის ტარგიკული მოვლენების შესხენებაში“ (მატერსკი 1994: 227).

საქართველოს მთავრობამ, უმაღლესი სამხედრო მთავარსარდლების თანხლებით 1921 წლის 17 მარტს ინტელიგენციასთან ერთად გადაწყვიტა ემიგრაციაში წასულიყო. იმ დროს არც სამხედრო და არც სამოქალაქო ხელისუფლებას არ ჰქონდა სიცხადე, როგორი მასშტაბის იყო ემიგრაცია. მათ ძალიან მძიმე გზა განვლეს კონსტანტინოპოლამდე, რომელიც ხალხმრავალი და ხანგრძლივი ომებისაგან განადგურებული იყო. თურქეთის მთავრობისათვის ქართული ემიგრაცია არასასურველი იყო. შესაძლებლობები რაიმე ნორმალური ცხოვრების ორგანიზებისათვის ძალიან მცირე იყო. ამიტომ იძულებული იყვნენ გზა საბერძენისა და საფრანგეთში, ირანსა თუ პოლონეთში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაეგრძელებინათ. რა თქმა უნდა, ყველას არ შეეძლო წასულიყო (ფინანსური პრობლემების, ორგანიზაციულობის, მენტალურობის გამო), ამიტომ ბევრი მათგანი დარჩა თურქეთში, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, სამუდამოდ (მატერსკი 2000: 118-119).

5 „Wschód Polski“. პოლიტიკური ჟურნალი, რედ. ბოლესლავ სტოცკი, გამოდიოდა ვარშავაში და ვილნოუსში 1919/1920 წლებში. მისი რედაქტორი ბოლესლავ სტოცკი (193-1954) – პოლიტიკური მოღვაწე, 1928-1930 წლებში პოლონეთის სეიმის წევრი.

ქართული ემიგრაციის „პირველი ტალღა“ კონსტანტინოპოლში დაახლოებით 700 სამოქალაქო და სამხედრო პირისაგან შედგებოდა (კარაბინი 1994: 24).⁶ ქართველი ემიგრანტების ცხოვრება ლტოლვილთა ბანაკში კონსტანტინოპოლის მახლობლად აღწერილი აქვთ ნიკოლოზ მათიკაშვილსა და მიხეილ კვალიაშვილს, თბილისის იუნკერთა სკოლის ოფიცრებს, რომლებიც თურქეთის ხელისუფლების მიერ დროებით სხენებულ ბანაკში აღმოჩნდნენ. ბანაკი მდებარეობდა ბოსფორის სანაპიროზე ორ ძველ ყაზარმაში, სადაც წინათ თურქეთის სანაპირო დაცვის არტილერია იყო განთავსებული. ხის ყაზარმაში ცხოვრობდნენ იუნკრები, ხოლო ქვის ყაზარმაში ქართველი ოფიცრები და სამოქალაქო პირები, მაგალითად – თავადი კოკი დადიანი ოჯახთან ერთად. ბანაკის მეთვალყურეობა იკისრა პოლკოვნიკმა ალექსანდრე ჩხაიძემ (მათიკაშვილი 2008: 53). ცხოვრების პირობები იყო რთული. თურქეთის ხელისუფლება მხოლოდ მის ტერიტორიაზე შემოშვების თანხმობითა და საცხოვრებელი ბინის, ასევე მცირე ყოველდღიური ფულადი დახმარებით შემოიფარგლა, რომელიც არ იყო საკმარისი თუნდაც მოკრძალებული ცხოვრებისათვის. რომ არა ამერიკელების დახმარება, ემიგრანტთა უმრავლესობა შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდებოდა, რადგან მხოლოდ რამდენიმე მათგანს თუ შეეძლო თავის რჩენა.⁷ სამუშაოს ძებნა კონსტანტინოპოლში რთული იყო. ქართველი იუნკრები პოულობდნენ მას ბერძენ მრეწველებთან, რომლებიც აწარმოებდნენ ზღვის ქვიშით მშენებლობას. სამუშაო იყო დაბალ ანაზღაურებადი და დამღლევი. ყველაზე უარესი იყო, როგორც იგონებს ნ. მათიკაშვილი, კრძნობა უიმედობისა და უპერსპექტივობისა. ქართული ემიგრაციული მთავრობა თავის დაპირებულს ვერ ასრულებდა. მწირი იყო, მიუხედავად შეპირებებისა, საფრანგეთის მთავრობის დახმარებაც. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ საფრანგეთის ჯარში მხოლოდ რამდენიმე ქართველი მიიღეს, რამდენიმე იუნკერი სენ-მიქსენის სამხედრო სკოლაში სწავლობდა. ქართველებს ბევრად მეტი დახმარება აღმოუჩინა არც ისე დიდმა და მდიდარმა საბერძნეთმა, სადაც რამდენიმე იუნკერი მიიღეს სასწავლებლად ათენის ოფიცერთა სკოლაში. ნ. მათიკაშვილი კარგად იგონებს საბერძნეთის სკოლაში ყოფნას. თავის მემუარებში იგი წერს თუ როგორი საინტერსო სასწავლო პროგრამა ჰქონდათ, მოგვითხრობს სწავლების მაღალ დონეზე და ბერძნების თბილ დამოკიდებულებაზე ქართველი იუნკრების მიმართ (მათიკაშვილი 2008: 57-60). მაგრამ 1922 წელს, როდესაც საბერძნეთმა ომი წააგო თურქეთთან, ათენში მოხდა სამხედრო გადატრიალება (ბრუჟეისკი 2002: 78). სკოლა დაიხურა, ხოლო ქართველი იუნკრები კვლავ დარჩნენ ბედის ანაბარა.

1921 წლის ზაფხულში გადაწყდა ქართველების მომზადება პოლონეთის სამხედრო სკოლებში. საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარემ სერგო ყურულიშვილმა ვარშავაში თხოვნით მიმართა სამხედრო მინისტრს გენერალ კაზიმერ სოსნოვსკის. იმავე წლის აგვისტოში კონსტანტინე გვარჯალაძემ, რომელიც იყო საქართველოს

6 ასეთ რიცხვს იძლევა გენერალი ალ. ზაქარიაძე თავის მოგონებებში: „კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა 750 ქართველი, მათ რიცხვში იყო საქართველოს მთავრობა, ალ. ზაქარიაძე, მოგონებები, *Ze wspomnień gen. Aleksandra Zachariadze*, „პრო გეორგია“, ნ: 1997, გვ. 48. ძალიან ძნელია იმის დადგენა, მართლაც რამდენი იყო ემიგრანტთა რიცხვი, რომლებმაც დატოვეს საქართველო და გადავიდნენ თურქეთში მეოცე საუკუნის ოციანი წლების პირველ ნახევარში. განსაკუთრებით საქართველოში აჯანყების დროს გამოქცეული მოსახლეობა, რომელიც სხვადასხვა საშუალებებითა და გზებით გადადიოდა თურქეთში, სადაც მკვიდრდებოდა და მოქალაქეობასაც იღებდა — მათი რიცხვის დადგენა შეუძლებელია.

7 კ. დადიანის შვილი იგონებს მამამისის მიერ დარსებულ რესტორანს კონსტანტინოპოლში (დადიანი 2008: 199).

წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში, მსგავსი წინადადებით მიმართა პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელს თურქეთში ვლადისლავ ბარანოვსკის. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ოფიცრების პოლონეთში ჩასვლა დაკავშირებული იყო მთელ რიგ ფორმარულ-სამართლებრივ და ფინანსურ საკითხთან, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1921 წლის 1 სექტემბერს, როდესაც გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ვლადისლავ სიკორსკიმ თანხმობა განაცხადა 25 ქართველის ვარშავის პოდხორონეთა სკოლაში მიღებაზე, სადაც დეკემბერში იმავე წელს დაიწყო სწავლება. საქართველოს მთავრობის თხოვნით, ერთი წლის შემდეგ მათ დამატებით იუნკრები ათენის დათხოვნილი ოფიცრთა სკოლიდან (კარაბინი 1994: 26-27). კონსტანტინოპოლში მოლაპარაკების დროს გადაწყდა ქართველთა მგზავრობისა და პოლონეთში მათი სწავლების ძირითადი საკითხებიც. მოლაპარაკებების საფუძველზე, 1922 წლის სექტემბერში პოლონეთში ჩავიდა დაახლოებით 300-კაციანი ქართველ ემიგრანტთა ჯგუფი (მათ უმეტეს ნაწილს სამხედროები და ინტელიგენცია წარმოადგენდა) (მატერსკი 2008: 13-15; ჰარბულოვა 1993: 48-51).⁸ მთლიანად 1921-1922 წლებში პოლონეთში ჩავიდნენ, რ. კარაბინის მიხედვით, 83 უმაღლესი რანგის ოფიცერი, 46 სამხედრო სასწავლებლის კურსანტი და 37 ოფიცერი (მათ შორის 6 გენერალი) (კარაბინი 1994: 33; Gruzińscy 1997: 37). ვ. მატერსკის მიხედვით – „6 გენერალი და 36 ოფიცერი,“ ასევე 48 სამხედრო სასწავლებლის კურსანტი. ასე რომ, ერთად 90 კაცი (მატერსკი 2008: 15). შემდგომ წლებში ეს რიცხვი იცვლება. სამხედრო სასწავლებლის კურსანტთათვის ოფიცრის წოდების მინიჭების შემდეგ უმაღლესი რანგის ოფიცერთა რაოდენობა გაიზარდა, რამდენიმე მათგანი გარდაიცვალა, სხვებმა დატოვეს სამხედრო სამსახური ან კიდევ წავიდნენ პოლონეთიდან. გაურკვეველი რჩება მხოლოდ სამოქალაქო პირების საკითხი, რომელთა შორის 300 ემიგრანტი მეოცე საუკუნის ოციან წლებში კონსტანტინოპოლიდან იყო ჩასული პოლონეთში და რომელთა შესახებაც საერთოდ მწირი ცნობები გვაქვს. შესაძლოა, დროთა განმავლობაში მათი რიცხვი შემცირდა ორასამდე. საეარაუდოდ, რამდენიმე ათეული მათგანი იყო მაღალი რანგის ოფიცერთა ოჯახის წევრები. სამხედრო სასწავლებლის კურსანტები არ იყვნენ დაოჯახებულნი. დანარჩენებზე არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ ეკუთვნოდნენ ინტელიგენციას. რამდენიმე სიტყვა თავის მოგონებებში ამ საკითხზე გამოთქვა ეჟი თუმანიშვილმა, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „პრო გეორგია-ში“: „პოლონეთში ქართველები სამოქალაქოებად და სამხედროებად იყოფოდნენ. სამხედრო ოფიცრები ამ ქვეყნის ყოველ კუთხეში იყვნენ მიზნულები, უმრავლესობამ მოიპოვა სიმპათიები და პატივისცემა ადგილობრივი მოსახლეობის. მრავალი მათგანი დაქორწინდა პოლონელ ქალზე. რაც შეეხება პოლონეთში სამოქალაქო სამსახურში მყოფ ქართველებს, ისინი სხვადასხვა სოციალური წარმოშობის ადამიანები იყვნენ. მათ სამსახურში მოწყობაზე ქართველთა კომიტეტი ეხმარებოდა. ისინი ვერ იქცეოდნენ შესაფერისად და ქართველთა კომიტეტი მათ გამო ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა“ (თუმანიშვილი 1992: 40-41). თუმცა, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი შენიშვნა მეტნაკლებად ეხება ოციანი წლების დასაწყისს, ვიდრე გვიანდელ პერიოდს – ოცდაათიან წლებს, როდესაც პოლონეთში და კერძოდ ვარშავაში ჩადიდნენ ქართველი ახალგაზრდები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, განსაკუთრებით საფრანგეთიდან.

8 „მარშალ პილსუტკის ინიციატივით პოლონეთში მოიწვიეს სამასი ქართველი და ორასი კავკასიის სხვა მცხოვრები...“. ქართული ემიგრაცია კარგად იყო ორგანიზებული ჩეხეთში, სადაც მთავრობისაგან დახმარებასაც იღებდა (შეად. ჰარბულოვა 1993: 48-51).

III.

საქართველოს კომიტეტის 1939 წლის წყაროებზე დაყრდნობით, ქართველი ემიგრანტების უმეტესობა თავს ვარშავაში იყრიდა, სადაც დაახლოებით 100 ქართველი ცხოვრობდა. სხვა პოლონურ ქალაქებში მათი რიცხვის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ემიგრანტების მცირე ჯგუფები (უმეტეს შემთხვევაში ოფიცრები და მათი ოჯახის წევრები) ცხოვრობდნენ ასევე პოზნანში, ბიდგომშისა და ტორუნში, ხოლო ერთეული ოჯახები გროდნოში, კრაკოვში, ლუბლინში, რუვენოში, სამბოჟში, ჟულკვსა და ისეთ პატარა ქალაქებში, როგორცაა გრკოლინა, გრავო და პლემევი. მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში პოლონეთში არსებული ქართული ემიგრაცია სპეციფიური სტრუქტურის მქონე დემოგრაფიულ და პროგრესულ ჯგუფს წარმოადგენდა. მისი უმრავლესობა ოფიცრები და სამხედრო სასწავლებლის კურსანტები იყვნენ. „პოლონელი“ ქართველების უმეტესობას 20-დან 50 წლამდე ასაკის მამაკაცები წარმოადგენდნენ. მხოლოდ რამდენიმე იყო უმაღლესი რანგის ოფიცერი, მაგალითად, 1860 წელს დაბადებული გენერალი ყაზბეგი. ქართველ ემიგრანტებს შორის ცოტა იყო მოსწავლე ახალგაზრდობა და სტუდენტები, რადგანაც მხოლოდ ერთეულები (მაგალითად, ზოგიერთი უმაღლესი რანგის ოფიცერი) ჩავიდნენ პოლონეთში ოჯახებთან ერთად. ახალგაზრდა, უცოლო ოფიცრებსა და სამხედრო სასწავლებლის კურსანტებს თანამემამულე ემიგრანტთა ოჯახებში მეორე ნახევრების პოვნის დიდი შანსი არ ჰქონდათ, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, ცოლად მოჰყავდათ პოლონელები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოჯახებით ჩამოსულ ქართველთა შორისაც გვხვდება ეთნიკური თვალსაზრისით შერეული ქორწინებები, მაგალითად – მეუღლე რუსი ან იტალიელი. პოლონეთში ქართული ემიგრაციის პროფესიული სტრუქტურა დიფერენცირებული იყო. თუმცა კი უმეტესობას სამხედროები წარმოადგენდნენ, მაგრამ სამოქალაქო პირებს შორის იყვნენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები. მნიშვნელოვანი ნაწილი მისდევდა სხვადასხვა დონის ვაჭრობას. უმსხვილეს საწარმოს წარმოადგენდა ვარშავაში „ყავისა და ჩაის სარდაფი“, რომელსაც ალექსანდრე გოძიაშვილი ხელმძღვანელობდა. იგი მარშალკოვსკას ქუჩაზე 81 ნომერში მდებარეობდა, ხოლო მისი ფილიალი იერუსალიმის გამზირზე (მოგვიანებით ნაპოლეონის მოედანზე). ეს პირველი მაღაზია აღ. გოძიაშვილმა მიიღო თავისი სიმამრისაგან, ვარშაველი მეწარმის ს. კურდვანოვსკისაგან. თავის მაღაზიაში ვარშავაში ა. გოძიაშვილმა მოაწყო პირველი ყავის ბარი (გოძიაშვილი 1991: 34). პოპულარული შეხვედრის ადგილი ვარშავაში იყო „ავეჯის ანტიკვარიატი“, რომლის მფლობელიც იყო ქართული ოპერის ყოფილი მომღერალი სიხარულიძე. დღისით იქ იყიდებოდა ანტიკვარული ნივთები, ხოლო საღამოს ყავას მოგართმევდნენ ლიქიორით, საუკეთესო ჩაის, შემთბარ ნითელ ღვინოს სხვადასხვა შესაკაზმებით. მაღაზია მდებარეობდა თეატრის მოედანზე, სენატორსკასა და ტრენბაკვას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ქვის სახლში. აქ თავს იყრიდა უამრავი სახელმწიფო მოხელე, პოლონეთის სატელეგრაფო სააგენტოს თანამშრომლები და ბალეტის მოცეკვავეები (კორვინი 1966: 56). ვაჭრობას მისდევდა აგრეთვე ვ. ათაბეგაშვილი. სტანისლავ კურდვანოვსკის ყავახანას „Sirocco“-ს, რომელიც მისმა ქალიშვილმა ჩაიბარა (Primo voto გოძიაშვილმა), უძღვებოდა ოცდაათიან წლებში საფრანგეთიდან პოლონეთში ჩასული იესე კეჭყაყაძე, განათლებით ფარმაცევტი.

ქართველ ემიგრანტთა შორის იყვნენ აგრეთვე მეცნიერ-მუშაკები, მოხლეები, ჟურნალისტები, ექიმები. რამდენიმე ქართველი უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებს კითხულობდა, ხოლო ახალგაზრდები პოლონურ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ. ქართველები ასწავლიდნენ ვარშავის უნივერსიტეტში. ჰაიდელბერგე-



იესე კუჭყაყაძე, ვარშავა 1933 წელი

ლი დოქტორი გიორგი ნაკაშიძე იყო ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიის ლექტორი ვარშავის უნივერსიტეტში. აღმოსავლეთის ინსტიტუტში საქართველოს ისტორიის ლექციების კურსს კითხულობდა იან (ვანო) ქავთარაძე (ეოჟინაკი 1988: 129-152). ვარშავის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორი იყო არქიმანდრიტი, მამა გრიგოლ ფერაძე, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში ვარშავის ქართულ სათვისტომოში კაპელანის ფუნქციას ასრულებდა.⁹

თითქმის მთელი ორი ათეული წელი უმაღლეს განათლებას დედაქალაქში იღებდა დიდი ან პატარა ჯგუფი ქართველი ახალგაზდრებისა. პოლონეთის რკინიგზის დიდი ხნის თანამშრომელი იყო იან (ვანო) ყურულიშვილი, ქართული ემიგრაციის ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სერგო ყურულიშვილის ძმა. ოციან წლებში

9 გრიგოლ ფერაძე (1899-1942), ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი. პარიზის წმიდა ნინოს ქართული ეკლესიის პირველი მოძღვარი. ქართული სამეცნიერო ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ რედაქტორი. 1933 წელს სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტმა დიონისე (ვალედინსკიმ) გრიგოლ ფერაძე ვარშავის უნივერსიტეტში მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე მიიწვია პატროლოგიის პროფესორად. გრიგოლ ფერაძე იყო არაერთი პოლონური და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი. კითხულობდა მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებზე, სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში (პარიზი, ვენა, დუბლინი, ოქსფორდი). ბევრს მოგზაურობდა, მისი სამეცნიერო მივლინებები იტალიაში, რუმინეთში, საბერძნეთში, სირია-პალესტინაში მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენებით დაგვირგვინდა. 1942 წელს გრიგოლ ფერაძე გესტაპომ დააპატიმრა. დაპატიმრების უშუალო მიზეზი გახდა ის, რომ ეხმარებოდა და იფარავდა გერმანელების მიერ დევნილ ებრაელებს. გრიგოლ ფერაძე მოათავსეს პავიაკის ციხეში, შემდეგ კი გადაიყვანეს ოსვენციმის გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც 1942 წლის 6 დეკემბერს მონამებრივად აღესრულა (წმინდა 2012: 11-32).



არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე

„გლოს პრავდის“ ჟურნალისტი იყო ალექსანდრე გოძიაშვილი. გიორგი ედიგაროვი, ომამადელ ვარშავაში ცნობილი „ოქროს ბიჭუნა“ *bon vivant*-ი, მეგობარი და პროტეჟე ჰანა ორდონუენასი, რომელიც ოცინი წლების ბოლოს გამოდიოდა მასთან ერთად თეატრში *Qui Pro Quo* ფსევდონიმით არკადი, ცნობილი იყო როგორც ქართველი. როგორც ვხედავთ, ამ ოცნლეულის განმავლობაში პოლონეთში მყოფი ქართველების უმრავლესობას ინტელიგენცია წარმოადგენდა და მათ შორის იყვნენ ისეთები, ვინც თავს ფიზიკური შრომით ინახავდა.

ომთაშორის (1918-1939) პერიოდში ვარშავა იყო პოლონეთში ქართველების არა მარტო უდიდესი თავშესაფარი ადგილი, არამედ აქ ცხოვრობდა ქართული ემიგრაციის თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე და სამხედრო ოფიცრების დაახლოებით 1/3 (მათ შორის ორი გენერალი). 1921 წლამდე ვარშავაში იყო საქართველოს დიპლომატიური მისია და საკონსულო. მთელი ომთაშორისი პერიოდის განმავლობაში ფუნქციონირებდა ქართული და ქართულ-პოლონური საზოგადოებები და ორგანიზაციები. აქ ისახებოდა თითქმის ყველა კულტურული, საგამომცემლო და პროპაგანდული ინიციატივები. ცოტა ხნით ადრე მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1939 წლის აგვისტოში, „ვარშავის კურიერის“ ჟურნალისტმა ფსევდონიმით ლ. ჰ. ინტერვიუ ჩამოართვა ქართული კომიტეტის მდივანს ნიკოლოზ ბაგრატიონს, რომლისგანაც შეიტყო, რომ ქართული ემიგრაცია ვარშავაში ითვლიდა დაახლოებით ას კაცს. ... ზოგიერთი მათგანი ... იყვნენ ოფიცრები, მოხელეები, მენარმეები და ახალგაზრდები. ინტერვიუს ბოლოს ნიკოლოზ ბაგრატიონმა კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ „პოლონეთში ქართული ემიგრაცია, ძალიან კარგად არის მიღებული, რადგან ბევრი თანაუგრძნობს მათ და გაგებით ეკიდება მათი ქვეყნის ტრაგიკულ ბედს. ქართველები, რომლებიც დაიბადნენ ვარშავაში, კარგად ფლობენ პოლონურ ენას და კარგად იციან თავისი შორეული ქვეყნის ლიტერატურა და ისტორია“ (ლ.ჰ. 1939: 5).

ქართული ემიგრაცია ერთიანი და კარგად ორგანიზებული გამოდიოდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ სხვადასხვა საზეიმო შეხვედრაზე, რო-



1927 წლის 26 მაისი, ვარშავა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.
დგანან ალექსანდრე გოძიაშვილი და იოსებ სალაყაია

მელსაც აწყობდნენ ვარშავაში. თუმცა, ყოველდღიური ოჯახური პრობლემებიც არ აკლდათ. ემიგრაციულ წრეებს საკმაოდ სუსტი კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან. იყო ოჯახები, რომელსაც ხშირად სტუმრობდნენ და იყო ისეთიც, სადაც საერთოდ არ მიდიოდნენ. ქართულ ოჯახებში ახალგაზრდებმა იცოდნენ მშობლიური ენა, ისტორია და ლიტერატურა. სხვაგვარად იყო შერეულ, ქართულ-პოლონურ ოჯახებში. იქ, სადაც დედა პოლონელი იყო, ბავშვები იშვიათად საუბრობდნენ ქართულად, ნაკლებად შეინარჩუნეს ქართული ტრადიციები, სუსტი იყო ყოველდღიური კავშირი ქართულ საზოგადოებასთან, უფრო ხშირი იყო კავშირი მეუღლის პოლონურ ოჯახთან და მათთან დაახლოებულ წრესთან (ვოჟნიაკი 1992: 93).

IV.

1921 წლამდე, როგორც აღინიშნა, ქართული ემიგრაცია არ იყო დიდი. შემადგენლობით ყველაზე რიცხვმრავალი, ვარშავის საზოგადოება, მხოლოდ რამდენიმე ათეულ წევრს ითვლიდა. კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლის, ხოლო 1920 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის თავად სიდამონ-ერისთავისა და მისი გარემოცვის გარდა მას მიეკუთნებოდნენ შედარებით უფრო გვიანდელი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წრეები კარგად ცნობილი ს. ყურულიშვილი და ა. გოძიაშვილი. ქართველების ამ მცირე ჯგუფმა ორგანიზება გაუკეთა თვითგადარჩენის კომიტეტს, რომელსაც სათავეში სიდამონ-ერისთავი ედგა. კომიტეტი 1921 წლამდე ე. ი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემამდე არსებობდა.

1921 წელს შეიქმნა ქართულ-პოლონური კლუბი (საქართველო-პოლონეთის კლუბი). კლუბის ორგანიზაციული კომიტეტის მდივნად, ხოლო სტატუსის დამტკიცებისა და ხელმძღვანელობის არჩევის შემდეგ (1920 წლის დეკემბერი), კლუბის დამფუძნებელი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს სერგო ყურულიშვილი. საზოგადოების ძირი-

თად მიზნად „ქართველი და პოლონელი ხალხის ეკონომიკური და კულტურულ-საზოგადოებრივი დაახლოება“ უნდა ყოფილიყო, პრაქტიკულად კი უახლოეს თვეებში კლუბი იძულებული შეიქნა თავისი მოღვაწეობა საქართველოს შესახებ სხვადასხვა სახის ცოდნის პოპულარიზაციამდე შეეზღუდა. მის ფარგლებში გამოშვებული იქნა ერთჯერადი ჟურნალი „ამირანი“, რომელიც ქართველი და პოლონელი ხალხების ისტორიას ეძღვნებოდა. მისი რედაქტორი სერგო ყურულიშვილი იყო.

1921-1922 წლებში საქართველოდან პოლონეთში პოლიტიკური ემიგრანტების დიდი ტალღა დაიძრა. ამ პერიოდში ხელახლა იქნა დაკარგული მოპოვებული დამოუკიდებლობა და სწორედ ეს იყო მიზეზი გაცილებით რიცხვმრავალი ქართულ სათვისტომოს ჩამოყალიბებისა პოლონეთში, რომელიც ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტასაც მოითხოვდა. 1922 წლის პირველ ნახევარში ვარშავაში ჩამოყალიბდა პოლონეთის საქართველოს კომიტეტი, რომლის პირველი თავმჯდომარე სერგო ყურულიშვილი იყო. მოგვიანებით ამ ფუნქციას: ი. სალაყაია, ა. გოძიაშვილი და კ. იმნაძე ასრულებდნენ. კომიტეტი გარკვეულ ფარგლებში საქართველოს ემიგრაციული მთავრობის (რეზიდენცია პარიზში) ფუნქციებს ასრულებდა. მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართველ ემიგრანტებსა და მათ ოჯახებს, ორგანიზებას უკეთებდა ეროვნულ დღესასწაულების აღნიშვნასა და მეგობრულ შეხვედრებს, ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობას, რომელიც ფინანსური სირთულეების გამო საკმაოდ შეზღუდულ იყო.

დაიბეჭდა ერთჯერადი ჟურნალი „პრო გეორგია“ (1922 წელს) და „პრო პატრია“ (1923 წელს), ბროშურა შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავთან დაკავშირებით (შოთა 1938) და ფრანგულიდან ითარგმნა პარიზში მოღვაწე ქართველი ემიგრანტების საერთო ნაშრომი „გრუზია“ (ვარშავა 1939 წელი). ალბათ კომიტეტის მონაღმრთობით, მაგრამ მისი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, მოგვიანებით გამოცემულ იქნა სხვა ქართული ერთჯერადი ჟურნალებიც, როგორც ვარშავული ჟურნალების სპეციალური ნომრები. 1923-1924 წლებში კომიტეტისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ მისი თავმჯდომარის სერგო ყურულიშვილის რედაქტორობით, გამოდის ჟურნალი „აღმოსავლეთის ხმა“, რომელიც ძირითადად საქართველოს საკითხებს ეხებოდა. ყურულიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ძმამ იანმა (ვანომ) 1925 წელს სცადა ჟურნალ „ვსხუდი ი პოლსკი“-ს გამოშვება. ჟურნალი „აღმოსავლეთის ხმა“ იყო ყველაზე დიდი ქართული, კერძოდ ქართულ-პოლონური გამოცემა მეორე მსოფლიო ომამდე.

1923 წლის ოქტომბერში ვარშავაში გამოიცა „კურიერ სტოლენჩნი“-ს პირველი ნომერი. ჟურნალის გამომცემელი იყო ვალენტინა სას-ვოინიჩკა. ჟურნალის რედაქტორი იყო მისი გამოცემის ინციატორი პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სერგო ყურულიშვილი (ვოჟნიაკი 1992: 52). „კურიერ სტოლენჩნი“-ს მეორე ნომერს ქვესათაურად მიწერილი ჰქონდა „დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ლიტერატურული ორგანო“. ჟურნალი აღმოსავლეთის საკითხს მნიშვნელოვან ადგილს უთმობოდა, როგორც ცალკეულ სტატიებსა და ფელეტონებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და ეკონომიკურ საკითხებში. ყოველკვირეულ ჟურნალში ქვეყნდებოდა სტატიები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. „კურიერ სტოლენჩნი“ სტატიებს წერდნენ: სერგო ყურულიშვილი, ვაცლავ როგოვიჩი, რომელმაც გამოსცა მონოგრაფია „კავკასიური მოზაიკები“, გუსტავ კამენსკი, მწერალი და ჟურნალისტი, რომელიც ცნობილი იყო ლიტერატურული ფსევდონიმით გამასტონი, დოქტორი პეტრე პრენგროვსკი, პუბლიცისტი და ექიმი, პოეტი ედუარდ სლონსკი. „კურიერ სტოლენჩნი“-ს ფურცლებს სტუმრობდნენ ცნობილი მწერლები და პოეტები,



სერგო და მარია ყურულიშვილები

როგორებიც იყვნენ იან ლორენტოვიჩი, არტურ ოპმანი, ვლადისლავ რეიმონტი, ლე-ოპოლდ სტაფი, სტეფან შერომსკი თუ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები: ეჟი კურნატოვსკი და ვლოდიმეჟ ვაკარი. საქართველოზე წერდნენ სერგო ყურულიშვილი და პროფესორი ანტონი სუიკოვსკი, შემდგომში განათლებისა და რელიგიის მინისტრი. აღმოსავლეთის თემატიკა ლიტერატურის განყოფილებაშიც აისახებოდა. ყველა ის ავტორი მანამდე თანამშრომლობდა „კურიერის“ რედაქციასთან ჯერ კიდევ ადრე, სადაც აქვეყნებდნენ სტატიებს ერთჯერად ჟურნალებში „ამირანსა“ და „პრო პატრია“-ში. 1924 წლის 20 იანვრიდან ჟურნალმა შეიცვალა სახელი „გლოს ვსხოლუ.“ „ჩვენი მიზანია, აღნიშნული იყო სარედაქციო წერილში, აღმოსავლეთის ქვეყნების გათავისუფლება და განვითარება, პოლონეთთან მათი მეგობრობის გაძლიერება.“ როგორც კი შეიცვალა ჟურნალის სახელი, აღმოსავლეთის თემატიკა გახდა დომინანტური. ფართო ადგილი დაეთმო საქართველოს თემატიკას.

1924 წლის გაზაფხულზე ჟურნალმა ფინანსური პრობლემების გამო გამოცემა შეწყვიტა. მომდევნო ნომერი გამოვიდა სექტემბერში. მას ჰქონდა შეცვლილი ქვესათაური, უკეთესი შრიფტი და უფრო ესთეტიკური იყო გრაფიკულად. ჰქონდა აგრეთვე სათაური ფრანგულ, ქართულ და თურქულ ენებზე. შეიცვალა ჟურნალის პროფილიც. ცოტა იყო მასში ლიტერატურული ტექსტები, უფრო მეტი სტატიები მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე იყო გამახვილებული (განსაკუთრებით საქართველოს აჯანყებასა და აზერბაიჯანზე), ასევე ეკონომიკური საკითხებზე. ახალი რუბრიკაც გამოჩნდა: აღმოსავლეთისა და სამხრეთის ეკონომიკური საკითხები. თუმცა ახალი სახით „აღმოსავლეთის ხმის“ მხოლოდ რამდენიმე ნომერი გამოვიდა; ბოლო (28) 1924 წლის ოქტომბერში დაიბეჭდა. მას შემდეგ დადგა დიდი შესვენება. 29-ე ნომერი 1925 წლის აპრილში გამოვიდა. შესაბამისად, ეს იყო ერთფურცლიანი ნეკროლოგი სერგო ყურულიშვილზე. „აღმოსავლეთის ხმის“ დამაარსებელსა

და რედაქტორზე, რომელიც 1925 წლის 25 მარტს ტრაგიკულად გარდაიცვალა. მას ტყვია ესროლეს ვარშავის ერთ-ერთ კაფეში. მისი გარდაცვალების შესახებ ძალიან ფართოდ წერდა სენსაციების მაძიებელი იმდროინდელი ვარშავის პოპულარული პრესა (ყურულიშვილი 1991: 45). ყურულიშვილის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე ნომერი გამოსცა ვ. სას-ვოიჩიკამ. შემდეგში „გლოს ვსხოლუ“-მ კიდევ ერთხელ განიცადა მეტამორფოზა. გამოდიოდა მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ, ქვესათაურის გარეშე. უფრო მეტი ადგილი ეთმობოდა ლიტერატურას, ნაკლები პოლიტიკასა და ეკონომიკას. „გლოს ვსხოლუ“-ს 30-ე ნომერში გამოქვეყნდა განცხადება, რომ სერგო ყურულიშვილის სიკვდილის შემდეგ ჟურნალის სახელწოდებაზე ჩამოვარდა უთანხმოება მის გამომცემელსა და პოეტის ახლო ნათესავებს შორის. ერთ-ერთ განცხადებაში რედაქცია მათ აფრთხილებდა, რომ „იან და მარია ყურულიშვილებს არავითარი საერთო არა აქვთ „კურიერ სტოლენისა“ და „აღმოსავლეთის ხმის“ გამომცემასთან (Glos 1925: 3). ეს უთანხმოება (თუ მართლა იყო ასეთი), რომ თავი დავანებოთ პირადულობას, იყო დანამდვილებით უთანხმოება პოეტის სულიერ მემკვიდრეობაზე, უთანხმოება იყო მის იდეოლოგიურ ანდერძის შესრულებაზე, რომელიც ყველა მხარეს თავისებურად ესმოდა.¹⁰

ქ. პოზნანის ვიცეპრეზიდენტის ნიკოლოზ კედაჩის ფინანსური მხარდაჭერით, ვ. სას-ვოიჩიკა რამდენიმე თვე „აღმოსავლეთის ხმას“ გამოსცემდა. მაგრამ მისი პროცოლი უფრო იცვლებოდა კულტურულ-ლიტერატურული მიმართულებით და ძალიან ცოტათი თუ ჰგავდა ჟურნალს, რომლის შესახებ ოცდაათიან წლებში წერდნენ, რომ ის ეკუთვნოდა „პოლონური პუბლიცისტიკის სერიათა დასაწყისს, რომელმაც „პრომეთეიზმის“ იდეოლოგიას პოლიტიკური მიმართულება მისცა და დასაბამი დაუდო ჟურნალ „ფშიმერჟას.“

იან და მარია ყურულიშვილებმა, სავარაუდოდ, სერგო ყურულიშვილის გარდაცვალების შემდეგ, თავი დაანებეს „აღმოსავლეთის ხმის“ რედაქციას. მათ გადანყვიტეს ახალი ჟურნალის გამოცემა. ფვიქროზ, ჟურნალის გამოცემა გადაწყდა მაშინ, როცა ვალენტინა სას-ვოიჩიკამ ხელმეორედ განაახლა „აღმოსავლეთის ხმის“ გამოცემა. ჟურნალ „ვსხოლუ ი პოლსკის“ პირველი ნომერი გამოვიდა იენისში და თხუთმეტ გვერდს შეიცავდა. ბოლო გვერდზე იყო პატარა ანოტაცია თუ ვინ იყო ჟურნალის დაარსების ინიციატორი – ტრაგიკულად გარდაცვლილი პოეტის სერგო ყურულიშვილის ძმა იან (ვანო) ყურულიშვილი (Wschód 1925: 16). თუმცა საგამომცემლო საინფორმაციო გვერდზე არ ფიგურირებდა მისი სახელი. ჟურნალის რედაქტორი იყო იულიან კ. მალიცკი. პასუხისმგებელი რედაქტორი სტანისლავ ტილემ კილინსკი, ხოლო გამომცემელი ვაცლავ დოლენგოვსკი. ვანო ყურულიშვილის გვარი არ გვხვდება არც პირველი ნომრის ავტორებს შორის, მაგრამ ერთ-ერთ სტატიაში მითითებულია, რომ ვანო ყურულიშვილის სტატია დაიბეჭდებოდა „მომდევნო ნომერში“. ჟურნალი რომ ყურულიშვილების ოჯახთან იყო დაკავშირებული ჩანს იქიდანაც, რომ რედაქცია ნოვი სვიატის ქუჩის ნომერ 17-ში იყო განთავსებული, ე. ი. სერგო ყურულიშვილის საცხოვრებელში. იბეჭდებოდა სტამბაში (PKO, bugais quCaze nomer 5) ესე იგი იმ ინსტიტუციაში, სადაც მუშაობდა ვანო ყურულიშვილი.

„ვსხოლუ ი პოლსკის“ პირველ ნომერში ყურადღება ჰქონდა დათმობილი ეკონომიკურ საკითხებს (ზობოტი 1925: 1). არც ისე ბევრი იყო მასალა პოლიტიკურ თემაზე. საქართველოზე წერდნენ სტანისლავ კილინსკი და სტეფანე გრალევსკი. გამოქვეყნდა

10 იან (ვანო) ყურულიშვილის ქალიშვილი და ვაჟიშვილი დაიბადნენ ოცდაათიან წლებში. ამ საქმეზე მათ საერთოდ არაფერი სმენიათ.

მარია ყურულიშვილის ლექსი „კავკასია“, კაროლ კრულის მცირე მოგონებები საქართველოზე „მომცინარე არაგვი“ და ლექსი „აღმოსავლეთი“, ს. კლინსკის „აქერ-ჰარ-შე-იკი“ (არაბული მოთხრობა). ქრონიკის განყოფილებაში ვხვდებით ორ პატარა ინფორმაციას ქართული კომიტეტის მიერ ორგანიზებულ საღამოზე – „ჩაისთან მოცეკვავეები“ სასტუმრო ევროპაში (30 მაისს) და საქართველოს დამოუკიდებლობის დღე (31 მაისი).

იან (ვანო) ყურულიშვილი (1897-1961), რომლის ინიციატივით დაარსდა ჟურნალი, სერგო ყურულიშვილის უმცროსი ძმა და მისი სულიერი მემკვიდრე იყო. პოლონეთში ჩავიდა ოციანი წლების დასაწყისში. დამკვიდრდა ვარშავაში. თავიდანვე მონაწილეობდა ქართული კომიტეტის საქმიანობაში. დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდა პოლონეთის რკინიგზის სამმართველოში. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კომუნისტური სპეცსამსახურების მიერ მოჰყვა რეპრესიებში. არც ისე ბევრი რამ ვიცით მარია ყურულიშვილზე (1894-1927), სერგო ყურულიშვილის მეუღლეზე. მარია იყო პოლონელი კავკასიიდან. ჯერ ქმრის გვერდით აწრდილივით იდგა განზე, შემდეგ კი სერგოს ძმასთან ერთად მონაწილეობას იღებდა ჟურნალის დაარსებაში. მისი ლექსიდან, რომელიც „ვსხუდ ი პოლსკის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა, ვიგებთ, რომ მას ძალიან ენატრებოდა კავკასია.

„ვსხუდ ი პოლსკის“ ერთი ნომრით შეუძლებელია ვილაპარაკოთ ჟურნალის მიმართულებაზე.¹¹ თუმცა შეიძლება მხოლოდ შევნიშნოთ, როგორც ჟურნალის სახელწოდებით, ასევე სტატიების შინაარსით მარშალ იუზეფ პილსუცკის პოლიტიკური კონცეფციისადმი ერთგვარი მხარდაჭერა, რომელიც პრომეთეიზმის იდეით იყო გამსჭვალული, მაგრამ როგორც აღნიშნავს ა. მიცევსკი, ჟურნალი იყო მოკრძალებული და პრაქტიკული. პრომეთეიზმი მიზნად ისახავდა ბრძოლას არარუსი ხალხების გასათავისუფლებლად საბჭოთა კავშირისგან, სადაც აქილევსის ქუსლს წარმოადგენდა იმპერიის მრავალეროვნულობა, რომელიც მას მიიყვანდა შინაგან სირთულებამდე და საბოლოოდ დაშლიდა კიდეც.“ იდეა „ორ ზღვას შორის“ მხარს უჭერდა ბალტიისა და შავი ზღვის ქვეყნების – ლატვიის, ესტონეთისა და ფინეთის ერთი მხრივ, მეორის მხრივ კი უკრაინის, ბელორუსიის, უნგრეთის, რუმინეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობას. პოლონეთს, როგორც უდიდეს ქვეყანას, ამ ჩამოთვლილ ქვეყნებთან უნდა ეთამაშა წამყვანი როლი (მიცევსკი 1969: 116-118).

„ვსხუდ ი პოლსკის“ პირველ ნომერში პოლიტიკური საკითხები არ იყო განსაკუთრებულად ხაზგასმული. საუბარი იყო ურთიერთთანამშრომლობის დამყარებაზე აღმოსავლეთის ქვეყნებთან (ან კიდევ მის განახლებაზე), შავი ზღვის რეგიონთან, განსაკუთრებით ეკონომიკურ ურთიერთობებზე. მოახლოებულ ვარშავის „აღმოსავლეთის გამოფენაზე.“ რომელსაც რამდენიმე სტატია წარმოადგენდა და ამგვარად პოლიტიკურ საკითხებს პრაქტიკულ სახეს აძლევდა.

1925 წლის მაისში „აღმოსავლეთის ხმის“ 30-ე ნომერში განთავსდა ნეკროლოგი სერგო ყურულიშვილის გარდაცვალების შესახებ, რომელსაც ხელს აწერდა პოლონეთის ქართველ სტუდენტთა წრე. ამ ორგანიზაციის თაობაზე მეტი არაფერი ვიცით. უფრო მოგვიანებით მის შესახებ არაფერია თქმული. შედარებით მეტია ცნობილი პოლონეთში კავკასიელი სტუდენტების კავშირზე, რომელიც 1929 წლის გაზაფხულზე შეიქმნა აღმოსავლეთის ინსტიტუტის მფარველობის ქვეშ. მათ მიზანს „პოლონეთის სტუდენტ ახალგაზრდობასთან დაახლოება და მათში კავკასიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება წარმოადგენდა.“ კავში-

11 ერთ-ერთი ცნობილი ნომერი (იქნებ ერთადერთი ეგზემპლარი) „Wschodu i Polski“ დაცულია ვარშავის საჯარო ბიბლიოთეკაში (Biblioteka Publiczna w Warszawie).

რის თავმჯდომარე ოცდაათიანი წლების დასაწყისში იყო ბატონ ბექ ყაზი-ხანი, თავმჯდომარის მოადგილე და ხაზინის გამგებელი ნიკოლოზ ბაგრატიონი და გრიგოლ ქერცელი, ხოლო მდივანი მურატ ბეი ბარაგუნი (ვოჟნიაკი 1991ბ: 38). ორგანიზაციაში შედიოდნენ „ახალგაზრდები კავკასიიდან, რომლებიც სწავლობდნენ ვარშავის უმაღლეს სასწავლებლებში“ და ორგანიზებას უწევდნენ პოპულარულ დისკუსიებს კავკასიის შესახებ.

1925 წლიდან ვარშავაში არსებული პოლონეთ-საქართველოს საზოგადოების შესახებაც მცირე რამ არის ცნობილი (თუმანიშვილი 1992: 39). ამავე წლის დეკემბერში თავმჯდომარედ თავადი პავლე თუმანიშვილი დაინიშნა, მდივნად ალექსანდრე ყიფიანი, ხოლო გამგეობის წევრები იყვნენ: სტანისლავ კორფინ-პავლოვსკი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ კანდელაკი და მაიორი კონსტანტინე ტერიაშვილი. საზოგადოება საკმაოდ დახურული იყო. არ არის ცნობილი მისი ფორმალური სტატუსი, მოქმედების არეალი და არც არსებობის ხანგრძლივობა (ვოჟნიაკი 2001: 89).

მეოცე საუკუნის ოციან წლებში, პოლონეთის სამხედრო უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ, შეიქმნა იუნკერთა კავშირი, რომლის მიზანი იყო ურთიერთობების გაღრმავება ყოფილ იუნკრებთან. „გადავწყვიტეთ რომ პარიზში გამოგვეცა ქართულ ენაზე ჟურნალი „მხედარი,“ წერდა ნ. მათიკაშვილი. წესდების მიხედვით, იუნკერთა კავშირის უმთავრესი მიზანი იყო ბრძოლა საქართველოს გასათავისუფლებლად. ჟურნალში უნდა განხილულიყო შემდეგი საკითხები; საქართველოში მიმდინარე მოვლენების ანალიზი; სამხედრო ხელოვნების დახვეწა; სტარეგიული დაზვერვა საქართველოს ტერიტორიაზე; საქართველოს გარეთ არსებული ქართული ემიგრაციის გაერთიანება; ქართული კულტურის მემკვიდრეობის შესწავლა და მისი ფართო პოპულარიზება. წელიწადში ერთხელ გვექონდა „იუნკერთა კავშირის“ ყრილობა, სადაც წარმოვადგენდით წინა წლების ანგარიშს აგრეთვე ვირჩევდით კავშირის ახალ თავმჯდომარეს და მომავალი წლის ამოცანებს ვიღებდით. თითქმის უცვლელი და ძალიან აქტიური წევრები იყვნენ: დავით ლალიძე, ვანო ნანუაშვილი, ნიკოლოზ მათიკაშვილი. მათ ეხმარებოდნენ: ლადო ლალიძე, პატიკო თაყაიშვილი, მიხეილ კვალიაშვილი, ფარნაოზ ნაცვლიშვილი, ლადო მახარაძე და „მხედარის“ რედაქტორი დოლიკ ვაჩნაძე პარიზიდან¹² ... იუნკერთა კავშირი არსებობდა დამოუკიდებლად, არ იყო არავის გაკლენის ქვეშ. ყველა ძალღონე მიმართულ პოლონეთის მთავრობის მიმართ, რომ ეცნო იუნკერთა კავშირი, დამთავრდა წარუმატებლად. ალბათ, არ უნდოდათ რუსეთთან ურთიერთობების გამწვავება. რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებელ მთავრობას პარიზში და მის წარმომადგენელს პოლონეთში გენერალ ზაქარიაძეს, ისინი არც პატრონობდნენ და არც ეხმარებოდნენ „იუნკერთა კავშირს“ და მის ჟურნალს „მხედარს“ (მათიკაშვილი 2008: 62-63).

V.

პოლონეთის მეორე რესპუბლიკის არსებობის პერიოდში პოლონეთის საზოგადოება დიდი ინტერესს იჩენდა საქართველოსა და ქართველების მიმართ (პიონტოვსკი 1993: 27-30). ინფორმაციები საქართველოზე ქვეყნდებოდა მთელი ქვეყნის გაზუთებასა და ჟურნალებში, მაგრამ განსაკუთრებით ვარშავაში, სადაც ცხოვრობდა ბევრად უფრო მეტი ქართველი ემიგრანტი, აქ იყო სხვადასხვა ინსტიტუცია, რომლებიც აღმოსავლეთის საკითხებზე მუშაობდნენ.

12 ჟურნალს 1929-1931 წლებში იუნკერი პროკოფი აბულაძე რედაქტორობდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი სათავეში ვ. უგრეხელიძე ედგა. რედ.



ქართველი ოფიცრები პოლონურ სამხედრო ფორმაში. ვარშავა, 1927 წ.

1924 წელს ვარშავაში დაიწყო პოლონეთისა და აზიის საზოგადოების შექმნის მცდელობა, რომლის მიზანი იყო „პოლონური აღმოსავლეთმცოდნეობის ტრადიციების განახლება“. მისი ინიციატორი იყო სტანისლავ კორვინ-პავლოვსკი (კორვინი 1966: 28-29). 1924 წლის დეკემბერში, საზოგადოების პირველი ყრილობაზე, მას აღმოსავლეთის ინსტიტუტი ეწოდა. ინსტიტუტის თავმჯდომარედ სტანისლავ სედლეცკი აირჩიეს, ხოლო მდივნად სტანისლავ კორვინ-პავლოვსკი. ოციანი წლების მეორე ნახევარში აღმოსავლეთის ინსტიტუტთან დაარსდა აღმოსავლეთის შესწავლის სკოლა, რომელიც 1930 წელს განათლებისა და რელიგიის საქმეთა სამინისტროს მიერ იქნა დამტკიცებული. სკოლის მეთვალყურეობას საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებდა. ახლად შექმნილ სკოლას ჰქონდა სამი განყოფილება: თურქული, ჩინური და იაპონური. სასწავლო პროგრამა მოიცავდა, ენის, თანამედროვე ისტორიის, გეოგრაფიის, რელიგიათმცოდნეობის, ეკონომიკური განვითარების საკითხების შესწავლას. ლექტორები იყვნენ, როგორც პოლონელი სპეციალისტები, ასევე საზღვარგარეთიდან მოწვეულები.¹³ ცოტა მოგვიანებით შეიქმნა საქართველოს განყოფილება. აქ ასწავლიდა იან (ივანე) ქავთარაძე და დოქტორი გიორგი ნაკაშიძე (ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს გეოგრაფიას). სკოლაში სწავლება სამი წელი გრძელდებოდა და სალამოს საათებში მიმდინარეობდა. 1928 წელს ს. კორვინ-პავლოვსკის ინიციატივით შეიქმნა „ახალგაზრდა ორიენტალისტთა წრე,“ სადაც გაერთიანებული იყვნენ მხოლოდ აღმოსავლეთის ინსტიტუტის სტუდენტები, მოგვიანებით წრეს შეუერთდნენ ვარშავის სხვადასხვა სასაწავლებლის სტუდენტებიც. ორიენტალისტთა წრეში განსაკუთრებული აქტი-

13 ვრცელი სტატია ამ საკითხის შესახებ შეგიძლიათ ნახოთ ჟურნალში *Ethnologia Polona* (ვოფნიაკი 1988: 138-139).



ქართველები ვაველში. კრაკოვი, 1935 წ.

ურობით გამოირჩეოდა კავკასიური სექცია. 1930 წლიდან „ახალგაზრდა ორიენტალისტთა წრე“ გამოსცემდა ჟურნალ „აღმოსავლეთს.“ ჟურნალი აქვეყნებდა სტატიებს საქართველოსა და კავკასიის შესახებ. საერთო ჯამში, ქრონიკისა და **Miscellanea** განყოფილებაში გამოქვეყნდა რამდენიმე ათეული სტატია, რეცენზია და ლიტერატურული მიმოხილვა საქართველოს თანამედროვე ისტორიაზე, პოლიტიკურ საკითხებზე და საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. გამოქვეყნდა ლიტერატურული თარგმანები. სტატიის ავტორები ხშირ შემთხვევაში იყვნენ ქართველები. ჟურნალში ქვეყნდებოდა გიორგი ნაკაშიძის პუბლიკაციები. საგამომცემლო საქამიანობას ეწეოდა ინსტიტუტიც. 1929 წელს აღმოსავლეთის ინსტიტუტმა გამოსცა იან (ივანე) ქავთარაძის წიგნი „გრუზია“ პოლონურ ენაზე .

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა აღმოსავლეთის ინსტიტუტი, დიპლომატიური სამსახურისათვის საჭირო ცნობებს საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის შესახებ ჟურნალი „ფშეგლონდ დიპლომატიჩნი“ და „ფშეგლონდ პოლიტიჩნი“ აწვდიდა. საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობის 1918 წლის კოალიციური მემორანდუმის გარდა გამოქვეყნდა ცნობილი სოციოლოგისა და ისტორიკოსის ლუდვიკ კულჩიციის სტატია „განახლებული საქართველო,“ რომელიც გამოიცა ცალკე ბროშურად (კულჩიცი 1921). ლუდვიკ კულჩიცი (1866-1941) თავიდანვე დაინტერესდა საქართველოს უახლესი ისტორიით, წერდა სტატიებს საქართველოზე I მსოფლიო ომამდე. ჟურნალ „ფშეგლონდ დიპლომატიჩნი“ შეიძლება აგრეთვე ვიპოვოთ ცნობები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებს ეხებოდა 1920 წელს ვრაშავაში გამოშვებული ჟურნალი „ფშიმერჟე.“ ჟურნალის რედაქტორი იყო სტანისლავ სედლეცკი, ხოლო გამომცემლები იყვნენ ალექსანდრე ბოგუსლავსკი, ანტონი ბოლესლავ დობროვ-

სკი და ელოდიმეუ ვაკარი. როგორც ქვესათაური მიუთითებს, ეს იყო დამოუკიდებელი ჟურნალი, რომელიც განიხილავდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ერთა საკითხებს. ჟურნალი გამოიცემოდა ცოტა ხნით. მისი უკანასკნელი ნომერი გამოვიდა 1921 წლის ბოლოს. მასში გამოქვეყნებული სტატიები პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს ეხებოდა. ავტორთა შორის ზმირად მეორდება სერგო ყურულიშვილის სახელი.

აღმოსავლეთის საკითხს ეძღვნებოდა ჟურნალი „ორიენსი“, რომელიც გამოიცემოდა 1933-1939 წლებში იეზუიტების ორდენის აღმოსავლეთის მისიის მიერ, ჯერ კრაკოვში, ხოლო 1936 წლიდან ვარშავაში. მისი რედაქტორი იყო იეზუიტი იან ურბანი. ქართულ თემაზე დაიბეჭდა ჩესლავ შეგენდის მხოლოდ ერთი სტატია, რომელიც ეძღვნებოდა კათოლიციზმის ისტორიას საქართველოში (შეგენდა 1935: 172-174). მასალები საქართველოს შესახებ ქვეყნებოდა აგრეთვე სხვადასხვა დროს ისეთ ცნობილ ჟურნალებში, როგორც იყო „ტიგოდნიკ ილუსტროვანი“ (R. 1924, nr. 40), ჟურნალში „გზა“ (R. 1924, nr. 11-12) ან კიდევ „ვიზვოლენიე“ (R. 1926, nr. 28) და სხვა მრავალში.

პოპულარული გამოცემების სერიას საქართველოზე საფუძველი ჩაუყარა სერგო ყურულიშვილმა 1921 წელს. აღსანიშნავია მისი ნაშრომი „გრუზია“ პოლონურ ენაზე, რომელიც 1924 წელს ლ. კულჩიციკმ ცალკე ბროშურად გამოაქვეყნა. ეღუარდ სტრუმდის წერილი კავკასიის შესახებ გამოქვეყნდა თადეოზ შპოტანსკის (1883-1944) მიერ გამოცემულ ბროშურაში (შპოტანსკი 1924). კაზიმერ კრულმა ძალიან საინტერესოდ აღწერა საქართველო, რომელიც 1924 წელს ვარშავაში ცალკე წიგნად გამოქვეყნდა. 1933-1935 წლებში ისტორიკოსმა ჰენრიკ მომციციკმ გამოსცა შესანიშნავი გამოკვლევა, სადაც დართულია თავები სამხრეთ კავკასიის შესახებ. მასში მოცემულია ცნობები საქართველოზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ბუნებაზე, ეკონომიკაზე, ქართულ ეთნოლოგიურ ჯგუფებზე, ეროვნულ სამოსზე.¹⁴ 1922-1926 წლებში გამოვიდა ალ. გოძიაშვილის ნაშრომი საერთაშორისო სამართლის საკითხებზე (გოძიაშვილი 1926), მ. ბრემკო-ბრემკოვსკის სპეციალური წიგნი 1924 წლის აჯანყებაზე და ს. ყურულიშვილის მორიგი შრომები საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე. მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებში საქართველოში მოგზაურობდა იან ოტმარ-ბერსონი, პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტოსა და „აზეტა პოლსკას“ კორესპონდენტი მოსკოვში (ოტმარ-ბერსონი 1935).

VI.

1918-1939 წლებში ქართველები პოლონეთში იმ ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ, რომლებსაც სტატისტიკა არ აღნიშნავდა. ქართველი ემიგრანტები რიცხობრივი თვალსაზრისით მცირე ჯგუფს შეადგენდნენ, მაგრამ თავისი დამოუკიდებელი ხასიათის გამო საკმაოდ აქტიურები იყვნენ და განსაკუთრებული, პრივილეგირებული პოზიციები გააჩნდათ, რომელიც ვერც რიცხობრივი შემადგენლობით და ვერც ეკონომიკური როლით ვერ აიხსნება. ამ პოზიციას უფრო ემოციური, მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის, პოლონელი და ქართველი ხალხის ისტორიების მსგავსება ედო საფუძვლად. ტრადიციულად, მეგობრული გრძნობები, რომლებიც პოლონურ საზოგადოებაში ქართველებისადმი არსებობდა, მხარდაჭერას მარშალ პილსუციკის აღმოსავლური პოლიტიკის ფედერალისტურ კონცეფციაში პოულობდა. მართალია რიგის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ მან პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ არ გამქრალა იდეოლოგიურ სფე-

14 ვარშავა, 1934, გვ. 79-84. 1933 წელს გამოქვეყნდა კავკასიის მოკლე გეოგრაფიული ბროშურა, რომელიც აღწერა ვალერიან თევზაძემ; *Kaukaz. Szkieł geograficzno-opisowy*.



ქართული ემიგრაცია ვარშავაში. 1937 წ. გენერალი ალექსანდრე ზაქარაიძე, ალექსანდრე გოძიაშვილი, დიმიტრი შალიკაშვილი, კოტე იმნაძე, ვასილ კიკვიძე, ვალერიან თევზაძე, ნიკოლოზ ბაგრატიონი და ივანე ქავთარაძე

როში, რომლიც გაგრძელებასაც პრომეთეიზმი წარმოადგენდა. მისი მიზანი იყო სსრკ-ს შემადგენლობაში მყოფი ხალხების მხარდაჭერა, რომლებმაც I მსოფლიო ომის პერიოდში წამოიწყეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის მცდელობები, მათ რიგებში შედიოდნენ: უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, თათრები, კავკასიის მთიელები და ქართველები. ასე რომ, პრომეთეიზმს პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამავე დროს ჰქმნიდა ხელსაყრელ პირობებს კულტურული, საზოგადოებრივი საქმიანობისა და ემიგრანტების დამხმარე საზოგადოებისთვის, მათ შორის ქართველებისა და მათ მხარში მდგომი პოლონელებისათვის. ოცდაათიან წლებში დაარსდა კლუბი „პრომეთე“, რომლის რიგებში ზოგიერთი ქართველი ემიგრანტიც შედიოდა. ვლოდიმერუ ბონჩკოვსკიმ გამოაქვეყნა ძალიან ვრცელი წერილი ჟურნალ „*nepodległość*“-ში (ბონჩკოვსკი 1984: 28-55; Nowy 2010: 99-119). დღესაც არ არის დადგენილი ვინ შემოიტანა „პრომეთეს“ დასახელება. ზოგი ავტორი მიიჩნევს, რომ მისი ავტორი პოლკოვნიკი ტ. შეცელი იყო, სხვები ფიქრობენ, რომ ეს ქართველებმა მოიფიქრეს (ბონჩკოვსკი 1984: 40-41).

პრომეთეს ლიგა შეიქმნა 1926-1927 წლებში. „ლიგის ცენტრალურ ადგილს წარმოადგენდა ვარშავა, სადაც განთავსებული იყო „პრომეთეს კლუბი“ იერუსალიმის გამზირზე ნომერ 7-ში. კლუბის თავმჯდომარე გახლდათ 1927 წლიდან 1933 წლამდე ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი რომან სმალ-სტოცკი, ხოლო 1933 წლიდან 1939 წლამდე დოქტორი გიორგი ნაკაშიძე, ბრწყინვალე მოსაუბრე და დიპლომატი. კლუბის სამეურვეო საბჭოს წევრები იყვნენ ბარასბი ბაიტიუგანი ჩრდილოეთ კავკასიელთა წარმომადგენელი, მეჰმედ ემინ-რასულზადე, აზერბაიჯანელი მწერალი და პოლიტიკოსი, პარტია „მუსავატის“ თავმჯდომარე. მაიორი კოტე იმნაძე, ნოე ჟორდანიას ყოფილი ადიუტანტი. კლუბის მდივანი იყო ბაზიაკი, ხოლო 1932 წლიდან ოსი ეროვნების ბალო ბილატი (ბონჩკოვსკი 1984: 44; ხორომანსკი 1971: 409-416).

ლიგა გამოსცემდა პარიზში ფრანგულენოვან ჟურნალს „Prométhée.“ პირველი ნომერი გამოვიდა 1926 წელს, როგორც კავკასიისა და უკრაინელი ერების დამოუკიდებლობის დაცვის ორგანო. ჟურნალის დაარსების ინიციატორები რომან სმალ-სტოცკის აზრით, ქართველები იყვნენ. ჟურნალის რედაქტორი გიორგი გვაზავა იყო, მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე (ბონჩკოვსკი 1984: 44-46).

დასასრულს, უკვე მითითებულ ინტერვიუში ნიკოლოზ ბაგრატიონმა გამოხატა თავისი მადლიერება პოლონელების მიმართ, „რომ ისინი მხარს უჭერდნენ ქართველებს, ისე რომ არ ითხოვდნენ მათგან არაფერს“ (ლ.პ. 1939: 5). ეს ინტერვიუ გამოქვეყნდა 1939 წლის 16 აგვისტოს, ორი კვირით ადრე მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. ომმა დაანგრია ქვეყანა, რომელმაც შეიკედლა ქართული ემიგრაცია, ხოლო პოლონელები თითქმის მთელ მსოფლიოში გაფანტა (ჯავახიშვილი 1998: 42-43).

*პოლონურიდან თარგმნა
დავით ყოლბაიამ*

დამონშებანი

1. ვოჟნიაკი ა. Gruzini w Warszawie (XVII-XX w.), Warszawa. Etniczne i społeczno-kulturowe zróżnicowanie miasta (XVII-XX wiek), seria: Miasto i Kultura t. 2, 1998, ა. სტავაჟის რედაქციით.
2. ვოჟნიაკი ა. Gruzini wielkorządca w Warszawie. Rządy księcia Aleksandra Imeretyńskiego w Królestwie Polskim (1897-1900), „პრო გეორგია“ 2004, t. 11.
3. ბადოვსკი რ. Z tradycji przyjaźni polsko-gruzińskiej, ვარშავა, 1959.
4. „Echo Pragi“ II: 1917, nr 3 დან 20.I.1917.
5. გოძიაშვილი ე. აღექსანდრე გოძიაშვილი (1897-1941), „პრო გეორგია“, I, 1991.
6. გოძიაშვილი ე. Wspomnienie o moim ojcu, „პრო გეორგია“, I, 1991.
7. ბორავსკი პ. Pułk Tatarski Ułanów imienia Mustafy Achmatowicza, „Res Publica“ 1988, nr 4.
8. გოძიაშვილი ა. Zagadnienie państwa gruzińskiego w świetle prawa międzynarodowego, ვარშავა, 1926.
9. მატერსკი ვ. Gruzja i wielkie mocarstwa (1919-1921), „Studia z dziejów ZSRR i Europy Środkowej“, ტ. 25: 1990.

10. ვოჟნიაკი ა. *Sergo Kuruliszwili (4 IX 1894- 25 III 1925)*, „პრო გეორგია“, I, 1991ა.
11. ყურულიშვილი ს. *Z rodzinnych wspomnień o Sergo Kuruliszwili*, „პრო გეორგია“, I, 1991.
12. ორლოვიჩი მ. *Krótki ilustrowany przewodnik po Warszawie*, ვარშავა, 1922.
13. „*Wschód Polski*“, I (1919)/1920, nr 5 თებერვალი (1920), B.
14. მატერსკი ვ. *Georgia Rediviva, Republika gruzińska w stosunkach międzynarodowych 1918-1921*, ვარშავა, 1994.
15. მატერსკი ვ. *საქართველო*, ვარშავა, 2000.
16. კარაბინი რ. *Gruzińscy podchorążowie i oficerowie kontraktowi w Wojsku Polskim 1921-1939*, [cz.I], „პრო გეორგია“, ტ. IV, 1994.
17. ზაქარიადე ა. *მოგონებები, Ze wspomnień gen. Aleksandra Zachariadze*, „პრო გეორგია“, 6, 1997.
18. მათიკაშვილი ნ. კვლიაშვილი მ. *იუნკრები*, „პრო გეორგია“, 16, 2008.
19. დადიანი მ. *რაც მახსოვს*, „პრო გეორგია“, 16, 2008.
20. ბრუჟინსკი ა. *საბერძნეთი*, ვარშავა, 2002.
21. მატერსკი ვ. *Gruzini – oficerowie kontraktowi Wojska Polskiego*, „პრო გეორგია“, 16, 2008.
22. ჰარბულოვა ლ. *Gruzini w Pradze w okresie międzywojennym*, „პრო გეორგია“, III, 1993.
23. *Gruzińscy podchorążowie i oficerowie kontraktowi w Wojsku Polskim (część druga)* „პრო გეორგია“, VI, 1997.
24. თუმანიშვილი ე. *Wspomnienia pisane za oceanem (მოგონებები დაწერილი ოკეანის გაღმა)*, „პრო გეორგია“, 2, 1992.
25. კორვინი ს. *Wspomnienia*, ტ. II, *Wyścig z życiem*, ვარშავა, 1966.
26. ვოჟნიაკი ა. *Georgia in Polisch Scientific journalist and diary literature of the inter-war period (1918-1939)*, „*Ethnologia Polona*“, vol. 13, 1988.
27. წმინდა გრიგოლ ფერაძე, *თხზულებების კრებული*, ნიგნი პირველი, ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში, ქართული ეკლესიის უძველესი ისტორია, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავა, 2012.
28. ლ. ჰ. L. H., *Warszawa egzotyczna. Gruzini*, „*Kurier Warszawski*“ nr 225 – 16.08.1939 (სალამოს გამოცემა).
29. ვოჟნიაკი ა. *Z dziejów diaspory gruzińskiej w Polsce*, „*Etnografia Polska*“, 36, 1992, 1.
30. „*Głos Wschodu*“, III, 1925, nr. 30.
31. „*Wschód i Polska*“, I: 1925, nr. 1.
32. ხობოტი კ. *Pochód na Wschód*, „*Wschód i Polska*“ I, 1925, nr. 1.
33. მიცევსკი ა. *W cieniu marszałka Piłsudskiego. Szkice z dziejów myśli politycznej II Rzeczypospolitej*, ვარშავა, 1969.
34. ვოჟნიაკი ა. *Stowarzyszenia i organizacje gruzińskie w Polsce w latach 1918-1939*, „პრო გეორგია“, 1, 1991ბ.
35. ვოჟნიაკი ა. *ქართული ემიგრაციის საზოგადოება და ორგანიზაციები პოლონეთში*, „ახალი პოლონეთი“, ვარშავა, 2001.
36. პიონტკოვსკი ლ. *Gruzja w publicystyce polskiej lat dwudziestych XX wieku*, „პრო გეორგია“, III, 1993.

37. კულჩიცი ლ. Odrodzenie Gruzji, ვარშავა, 1921.
38. შეგენდა ც. Gruzja a katolicyzm, „Oriens“, 3, 1935.
39. შპოტანსკი ტ. Gruzja, ვარშავა, 1924.
40. ოტმარ-ბერსონი ი. Minus Moskwa, ვარშავა, 1935.
41. ბონჩკოვსკი ვ. Prometeizm na tle epoki. Wybrane fragmenty z historii ruchu, „Niepodległość“, 17, 1984.
42. „Nowy Prometeusz“, nr. 0/2010.
43. სორომანსკი მ. Słowacki wysp tropikalnych, პოზნანი, 1971.
44. ჯავახიშვილი ნ. ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ. Georgian swordsmen under the polish banner, Tbilisi 1998.

ANJEI VOJNIAK

Georgian Emigration of Warsaw

Summary

In the article there is given the history of Georgian emigration in Warsaw from the end of the 19th century to the beginning of the World War II. There is noted that at first the majority of Georgians living in Poland were employed at administrative, military, gendarmerie and police offices. Tens of Georgian students studied at Warsaw high schools, later there increased the number of Georgians working in the spheres of industry and trade as well.

After the Bolshevik occupation of Georgia, in September of 1922, a new stream of people joined Georgian emigration in Poland. Approximately a group of 300 Georgian emigrants arrived in Warsaw. According to the appeal of the Government of Democratic Republic of Georgia, 25 Georgian cadets were enrolled at Warsaw Podkhoronzh School; a year later, a group of Georgian cadets who arrived from Greece also joined them.

Among Georgian emigrants besides the militaries there were scientists, journalists and doctors. Doctor Giorgi Nakashidze taught Geography of Georgia, Georgian Language and Literature at the University of Warsaw; Jan (Vano) Kavtaradze led the course of lectures on history of Georgia at the Warsaw Institute of Oriental Studies. Archimandrite Grigol Peradze was a professor of Theology at the University of Warsaw.

In 1921 in Warsaw there was founded a Georgian-Polish Club, next year followed by establishing of the Committee of Georgia of Poland, its first President being

Sergo Kurulishvili. Later Ioseb Salakaia, Aleksandre Godziashvili and Kote Imnadze occupied the position in sequence.

In the article there are discussed journals issued by Georgian emigrants in Poland: „The Voice of the Orient“, „Currier Stolechni“, „Glos Vskhodu“ etc, where the polish cooperated together with Georgians. The work contains information about the association of Georgian cadets and their journal „Mkhedari“ as well as about the Ligue of Prometheus and the „Club of Prometheus“ established in Warsaw. The article covers the activities of a Georgian poet and publicist Sergo Kurulishvili, his brother Ian (Vano) Kurulishvili, Aleksandre Godziashvili and others.

პაატა ნაცვლიშვილი

პოლონელი ქართველები არგენტინაში

ციკლიდან: ორწლიანი სამხრეთამერიკული სერიალი ინტერნეტსა და ლაივში

თუმცა შეიძლება, ეს ტექსტი თავისი ხასიათითა და სტილით ნაკლებად ესადაგება სამეცნიერო ჟურნალს, მაგრამ, ჯერ ერთი, სტატიის გმირს მანამდე შევპირდი მასალის „ქართულ ემიგრაციაში“ გამოქვეყნებას, სანამ გაირკვეოდა, რა სახის ტექსტი შეგვრჩებოდა ხელთ; და მეორეც, – შინაარსით სტატია დასტურ ამ გამოცემის შესაფერისია, როგორც სრულიად ახალი მასალა ქართული ემიგრაციის პოლონურ და არგენტინულ განშტოებათა ისტორიისათვის. თანაც ეს მასალა გამოძახილია ამ ჟურნალის ერთ-ერთი გამომცემლის, რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი ჩემი სამეცნიერო მივლინებისა ჩილეში.

მადლობა ამ მხარდაჭერისათვის გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მამუკა თავხელაძეს და მადლობა ჟურნალის რედაქტორს, პროფესორ ოთარ ჯანელიძეს, რომელმაც სწორედ ასე შეხედა ჩემს მიერ გამოსაქვეყნებლად შეთავაზებულ ამ ტექსტს.

* * *

წინა ორი წლის განმავლობაში ორჯერ მომიხდა სამხრეთ ამერიკაში ჩასვლა: 2012-ში არგენტინასა და ურუგვაის ვენეც, 2013-ში – არგენტინასა და ჩილეს. თუმცა ამავე პერიოდში სხვა ქვეყნებში მოვიხილე – ევროპის, აზიისა თუ აფრიკისა, ის ორი წელიწადი ჩემთვის მაინც სამხრეთ ამერიკით იყო გაჯერებული.

* * *

არგენტინიდან ჩილეში ჩასვლას რალა უნდა! ჩილეში მოხვედრაზე კი იმ დღიდან ვოცნებობდი, რაც გავიგე, რომ სწორედ ამ ქვეყანაში დამკვიდრებულიყო ავთანდილ მერაბაშვილი – ყველაზე ცნობილი მკვლელი და ყველაზე ცნობილი გამომცემელი XX საუკუნის ქართული ემიგრაციის ისტორიაში, საქმოსანი და ქველმოქმედი, ქალაქის ამშენებელი და ქართველთა გულუხვი მასპინძელი სანტიაგოში...

მასხოვს, როგორი აღფრთოვანებით მიაშობდა რეზო ჩხეიძე მის ვილაში სტუმრობის შესახებ, როცა მან თავისი „ჯარისკაცის მამა“ ჩაიტანა ჩილეში. მასხოვს, რა ბედნიერი ვიყავი, როცა ბოლოსდაბოლოს სრულვყავი ჩემი კოლექცია და ჩილეში გამოცემული ყველა ქართული წიგნი ჩემად დავიგეულე. სხვათა შორის, ჩილე ერთ-ერთია იმ თითებზე ჩამოსათვლელ რამდენიმე ქვეყანას შორის, სადაც ოდესმე ქართული წიგნი დაბეჭდილა!

ასე მომზადებული და ამავე დროს ასე მოუმზადებელი არცერთ ქვეყანაში არ ჩავსულვარ! თუ რამ შეიძლებოდა ჩილეში ჩაუსვლელად მომეძიებინა ავთანდილ მერაბაშვილის შესახებ, ვგონებ, ყველაფერი მოვიძიე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. ჩემს ხელთ არის მის მიერ გამოცემული ყველა წიგნი, ჩემს ხელთ არის მისი მიმონერა მის დასთან, მისი დის მიმონერა ვიქტორ ნოზაძესთან, ჩემს ხელთ არის რეზო ჩხეიძის მონათხრობი, ჩემს ხელთ არის ავთანდილ

მერაბაშვილის წერილები თამარ და აკაკი პაპაევებთან, ვიცი მერაბაშვილების ვილის მისამართი სანტიაგოში...

მაგრამ...

არ ვიცი, ცხოვრობს თუ არა ვინმე მისიანი ამ მისამართზე, საერთოდ არის თუ არა ვინმე ცოცხალი ავთანდილ მერაბაშვილის ოჯახის წევრთაგან, შემორჩა თუ არა რაიმე მისი მდიდარი კოლექციებიდან და არქივიდან, არ ვიცი მის მიერ აშენებული ქალაქის ზუსტი სახელი და ლოკაცია, არ ვიცი, საიდან და როგორ უნდა დავიწყო კვალის ძიება და, რაც მთავარია, არ ვიცი ესპანური, რაც ესოდენ აუცილებელია სამხრეთ ამერიკაში, თუ იქ მასპინძლისა და ესპანურენოვანი თანამგზავრის გარეშე აღმოჩნდები და ისეთი რთული საქმე გაქვს ჩაფიქრებული, როგორც მთელი 40 წლის წინათ გარდაცვლილი ქართველი ემიგრანტის ნაკვალების, მისი შთამომავლებისა და არქივის მოძიება.

მასპინძლის ვერა და ესპანურენოვანი თანამგზავრის საქმე შედარებით ადვილად მოგვარდა. მაგრამ თანამგზავრიც არის და თანამგზავრიც! ჩილეში ჩემი თანამგზავრი ჩემი თანამოაზრე და თანამებრძოლიც აღმოჩნდა, თანაც როგორი! – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არგენტინაში, ჩილესა და პარაგვაიში გელა სეხნიაშვილი. რაკი გაირკვა, რომ ჩვენი ელჩი, რომელსაც რეზიდენცია ბუენოსაირესში აქვს, სწორედ იმ პერიოდში გეგმავდა სანტიაგოში გამგზავრებას ჩილეს ეროვნულ დღესასწაულზე დასასწრებად, როცა მე არგენტინაში უკვე მოლუელი მექნებოდა საქმე, მივხვდი, – ბედი მწყალობდა. არგენტინაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგი კონგრესი უნდა ჩატარებულიყო, რომელზეც ჟურნალისტად ვიყავი აკრედიტებული საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტ გია გორგოძესთან და სეოკის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილთან ერთად. კონგრესის დამთავრებისთანავე ისინი თბილისისაკენ გამოემგზავრნენ, მე კი სანტიაგოსკენ ავიღე გეზი ჩემი სამხრეთამერიკული სერიალის ახალი სერიების სანახავად თუ შესაქმნელად. მთელი ჩემი ბარგი არგენტინაში დავტოვე ჭეიშვილებთან, რადგან თბილისში მეც ბუენოსაირესიდან უნდა გამოვფრენილიყავი, და ჩილეში ერთი პატარა ზურგჩანით წავედი. ზურგჩანთაში – აკი ვთქვი, ბედი მწყალობდა-მეთქი, – ავთანდილ მერაბაშვილის კიდევ სამი წერილიც მედო, ორი დღის წინათ რომ მომცა გულნარა ჭეიშვილმა. ჩემთვის ახალი ამ წერილებიდან მერაბაშვილის მიერ აშენებული სააგარაკო ქალაქის სახელიც დავაზუსტე და მისი ლოკაციაც. დაზუსტდა კიდევ რამდენიმე დეტალი, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო მომავალი კვლევა-ძიებისათვის.

ჩილეს ეროვნულ დღესასწაულამდე და ჩვენი ელჩის სანტიაგოში ჩამოსვლამდე ხუთიოდე დღე მქონდა და ეს ხუთი დღე აღდგომის კუნძულზე გავატარე – ბავშვობიდან ვნატრობდი ამ ყველაზე შორეული და იდუმალი კუნძულის მონახულებას, რომლის გრძელყოფიანი ქვის გოლიათები, ჰეიერდალის ნიგინიდან რომ შემოსულიყვნენ ჩემს სამყაროში, იმთავითვე მიხმობდნენ თავისკენ.

აღდგომის კუნძულიდან სანტიაგოში დაბრუნებულმა, ჯერ კიდევ თბილისში დაწყებული ძიება გავაგრძელე ინტერნეტის მეშვეობით. სულ ოდნავ წავინიე წინ. ამასობაში ელჩიც ჩამოვიდა და თითქოს მის ჩამოსვლას უცდიდაო, სრულიად მოულოდნელად ავთანდილ მერაბაშვილის ქალიშვილიც გამოემხმარა – გედი მერაბაშვილი. იმ საღამოს ტელეფონით ვესაუბრეთ და მეორე დღეს შევხვდით კიდევ. წარმოუდგენლად მძიმე სურათი დაიხატა ჩვენს თვალწინ – ოდესღაც ძლიერი და გამორჩეული ოჯახი მთლად იავარქმნილიყო. კო-

ლექცია და არქივი კი არა, ოჯახის უფროსის საფლავიც არა სცოდნიათ შვილებს, მათ ვილაში კი – სულიერ ავადმყოფთა ქსენონს დაედო ბინა. თუ როგორ შევალნიეთ ამ ქსენონში, როგორ მივაკვლიეთ ავთანდილ მერებაშვილის საფლავს, როგორ გავიცანით სუიციდს თავდაღწეული მისი ოჯახის რამდენიმე წევრი და ორიოდ ძველ ფოტოსთან ერთად როგორ წამოვიღეთ საქართველოში ამოქარგული ავტოგრაფებით დამშვენებული ვეებერთელა სუფრა – ოჯახის ერთადერთი გადარჩენილი რელიქვია – ამის შესახებ დაწვრილებით არის მოთხრობილი წიგნში, რომელზეც მალე დავამთავრებ მუშაობას და რომელსაც რობაქიძის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტი გამოსცემს.

* * *

სამხრეთამერიკული სერიალი კი უკვე სამხრეთ აფრიკაში გაგრძელდა, იოჰანესბურგში, სადაც იმავე წლის შემოდგომაზე მე ნიკო ბურის ნაკვალევმა ჩამიყვანა და სადაც სრულიად მოულოდნელი წერილი მივიღე გელა სეხნიაშვილისგან, ვისაც უკვე კარგად დავმეგობრებოდი ჯერ სანტიაგოში და შემდეგ ბუენოსაირესში ერთად გატარებული რამდენიმე დღის განმავლობაში.

არ ვიცი, რას იტყვის ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“ რედაქტორი ან რას იტყვის მკითხველი, მაგრამ გადაწყვიტე, მთელი შემდგომი ამბები ელექტრონულ ფოსტაში შემონახული წერილების მეშვეობით გადმოვცე, მით უმეტეს, რომ ჩემი აზრით, კვლევა-ძიების პროცესი ხშირად არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე მისი შედეგი. ელექტრონული ფოსტიდან გამოკრებილ წერილებს აქა-იქ ჩემს კომენტარებსაც ან ინტერნეტშივე მოძიებულ ინფორმაციასაც ჩაეურთავ.

აი, ის პირველი წერილიც, რომლითაც დანიყო სამხრეთამერიკული სერიალის ახალი ეპიზოდი:

გელა სეხნიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს 14 ნოემბერი, 2013

: გამარჯობა, პაატა,

კიდევ ერთი ემიგრანტის კვალს მივაგენი ჩემდა უნებურად, შენ რომ მოგეწონება, ისეთს :) ან ვინძლო, უკვე გსმენია მასზე.

საელჩოს გამოეხმაურა და მოვიდა ლიდია ტერიაშვილი (პოლონურ სტილზე უწერია გვარი, როგორც მესიჯის თავში ნახავდი). მამამისი ვანო (იგივე იან) ტერიაშვილი 4 წლის იყო, როცა, საბჭოთა შემოსუვისას, დედ-მამამ ჯერ სტამბულში და მერე პოლონეთში, პოზნანში წაიყვანა, თავის დასთან, ეკატერინესთან ერთად. ვანოს მამა, კონსტანტინე ტერიაშვილი სამხედრო იყო. ცოლად ჰყავდა ავსტრიული წარმოშობის ქალი გვარად დეკერი (რომლის მამამ, იოჰან დეკერმა გამოიგონა ორგანიზანი გიტარა, რომლის ერთი ეგზემპლარიც ლიდიასაც აქვს). პეტერბურგში გაუცნიათ ერთმანეთი. საქართველოში ეყოლათ ორივე შვილი, ივანე და ეკატერინე, რომელთა ნათლობის მოწმობებიც მოიტანა ლიდიამ (1916 და 1919 წლებში, რუსულად იმპერიის საბუთი და ქართულად, რესპუბლიკის საბუთი. ამ უკანასკნელის მხოლოდ ასლი). ასევე მოიტანა ბაბუის და მამის ბევრი ფოტო, ძალიან საინტერესო მასალა და მაჩვენა. 4 წიგნი აქვს მამამისისგან, მაგრამ, მისი თქმით, ძველები არაა, ეტყობა საქართველოდან მოაწოდეს.

პოლონეთში გაიზარდნენ ვანო და ეკატერინე. ვანო გახდა ნიჩბოსნობაში პოლონეთის ნაკრების წევრი და მოიგო ოლიმპიური თამაშები გერმანიაში 1936 წელს, სადაც მედლები ჰიტლერმა გადასცა, თუმცა ვინაიდან გერმანია ყავდათ დამარცხებული, თავად მას არ მოსდომებია სურათის გადაღება. არსებობს სურათები ეროვნული ნაკრების ფორმაში, ნავში და ა. შ... მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა კონსტანტინე. ვანო გახდა სამხედრო პოლონეთში. ასევე დაამთავრა უნივერსიტეტი, ეკონომიკური ფაკულტეტი. ომის შემდეგ წავიდა იტალიაში, მოიყვანა პოლონელი ცოლი და შემდეგ გადავიდა ინგლისში. ეკატერინეც დაყვებოდა. ეკატერინე გაყვა პოლონელ თავად გნატოვსკის და ინგლისში მშობიარობას გადაყვა (ომის დროს ტუბერკულოზი დამართვია და დასუსტებული იყო). მისი შვილი მეთიუ ცხოვრობს ჟენევაში.

ინგლისიდან 1949 წელს ვანო მიდის ცოლთან ერთად არგენტინაში, რადგან ევროპის არცერთ ქვეყანაში დარჩენა არ სურდათ. ბუენოს-აირესში 1950 წელს ჩამოდის და რჩება ემიგრანტების სასტუმროში. მისი ცოლი რალაცებს კერავდა და ყიდდა. თავად დაიწყო მუშაობა ამერიკულ კომპანიაში, რომელიც აგურებს აკეთებდა. ისე წარმოაჩინა თავი, რომ 60-იანების დასასრულს სასწავლებლად გაუშვეს კოლუმბიის უნივერსიტეტში (ოჯახი ბაირესში დატოვა) და იქიდან დოქტორის ხარისხით დაბრუნდა. ბოლოს კი ამ კომპანიის პრეზიდენტიც გახდა. ყავდა ორი შვილი, ლიდია და მისი ძმა, რომელიც ახლა შტატებში ცხოვრობს და, ლიდიას თქმით, ძალიან გაამერიკელებულია. ვანო გარდაიცვალა ამერიკაში 2010 წელს. 2 წლით დაგვიანებით, თორემ საელჩოს გაიცნობდა 4 წლის ასაკში ახალციხიდან წასული ქართველი, ოლიმპიური ჩემპიონი, ათასგაჭირვებამოვლილი და მინც ფეხზე დამდგარი კაცი. 93 წლის ყოფილა. სპორტსმენობის გამო ძალიან ძლიერი ჯანმრთელობა ჰქონია.

სტამბულში ნაკაშიძე გაიცნო, რომელიც შემდეგ ბუენოს-აირესში ჩამოვიდაო. ჭეშვილებთანაც ჰქონდა კონტაქტი, მაგრამ ლიდიას არა აქვს.

ძალიან ქართველად ვგრძნობ თავსო. ძალიან ალელვებული იყო. შენ მოგწონებოდა, ისეთი შეხვედრა იყო. დაგაკავშირებთ, მიელს მოგწერთ საერთოს.

აბა დროებით.

გელა. :

რამ? ოლიმპიური ჩემპიონი? პირველი ნაკითხვისას ვანო ტერიაშვილის ოლიმპიური ჩემპიონობის გარდა არც არაფერი დამამახსოვრდა! რაც მე ოლიმპიურ თემატიკას ვუტრიალებ რამდენიმე ათეული წელია, ასეთი რამ როგორ უნდა გამომრჩენოდა, აზრზე არა ვარ! იქვე სასწრაფოდ მოეძებნე ინტერნეტში 1936 წლის ოლიმპიადის შედეგები და... არაფერიც არ გამომრჩენია! ცდება ლიდია ტერიაშვილი და ელჩიც შეცდომაში შეუყვანია! ბერლინში ნიჩბოსნები შვიდ დისციპლინაში ეჯობებოდნენ ერთმანეთს და ხუთ მათგანში გერმანელებმა გაიმარჯვეს, ორ დანარჩენში კი – ინგლისელებმა და ამერიკელებმა. პოლონელებს მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი აუღიათ – ორადგილიან წყვილმოსასამელიანებში. აქაც არავითარი ტერიაშვილი! როჯერ ვერეი და ეუი უსტუპსკი. კიდევ ორი პოლონელი მეექვსე ადგილზე გასულა ცალმოსასამელიანებით. არც აქ ჩანს ტერიაშვილი. რიშარდ ბორზუჩოვსკი და ედვარდ კობლინსკი. ამათ გარდა პოლონელთაგან ბერლინის თამაშებში მონაწილეობდნენ ეუი ბრაუნ, ეუი სკოლიმოვსკი და იანუშ სლაზაკ (ორადგილიანი მესაჭით), აგრეთვე – ვლადისლავ ზავადსკი, ბრონისლავ კარვეცკი,

სტანისლავე კურილოვიჩი, ვიტალის ლეპოროვსკი და იგივე ეჭი სკოლიმოვსკი (ოთხადგილიანი მესაჭით). იყო კიდევ ზიგმუნტ ვირშილო, როგორც სამარქაფო მენიჩ-ბე ოთხადგილიანისთვის. რვაადგილიანებით პოლონელები ბერლინში საერთოდ არ გამოსულან. ვანო ტერიაშვილი, არსად, არცერთ ნავში, არცერთ წყაროში არ ჩანს. აშკარად ცდება მისი ქალიშვილი.

პოლონეთის სახელით ქართველი მენიჩბის ოლიმპიური ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, დიდი ამბავი იქნებოდა, მაგრამ წერილის კიდევ ერთხელ გადაკითხვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ტერიაშვილების ოჯახის თავგადასავალი არც ოლიმპიური ჩემპიონობის გარეშე იყო უინტერესო.

იმავე დღეს გელა სეხნიაშვილმა ლიდია ტერიაშვილის მისადმი ინგლისურად მიწერილი წერილი გამომიგზავნა და თან თავისი წერილიც მოაყოლა – ამჯერად ინგლისურ ენაზე და რამდენადმე ოფიციალური, რადგან მისი ასლი ლიდია ტერიაშვილსაც გაუგზავნა.

ლიდია ტერიაშვილი – გელა სეხნიაშვილს (თარგმანი ინგლისურიდან) 14 ნოემბერი, 2013

: ჰელო, გელა!

ძალიან დიდი მადლობა გუშინდელი საუბრისათვის და თქვენი დროისათვის, რომელიც ჩემს მოსასმენად დახარჯეთ. ეს დიდებული იყო. მე ქუჩაში ავტირდი, როდესაც თქვენგან გამოვედი. მოგონებები. ქართული სისხლი!!!

ჩვენ ძალიან ბედნიერები ვიქნებით, გიმასპინძლოთ ჩვენთან სახლში, როცა თქვენ საამისო დროს გამოინახავთ. ჩვენ შეგვიძლია შევარჩიოთ ერთი დღე ან უიკენდი, ისე რომ თქვენ შეძლოთ დაათვალიეროთ ბუენოს-აირესის ჩრდილოეთიც, რივერპლეიტის ახლოს.

დიდი მადლობა პროფესორ ნაცვლიშვილთან დაკავშირებისათვის. ძალიან საინტერესო იქნება მასთან შეხვედრა ან კონტაქტი იმიელის საშუალებით.

ჩემი მხურვალე მოკითხვა თქვენ და თქვენს ოჯახს.

ლიდია ტერიაშვილი :

გელა სეხნიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს (თარგმანი ინგლისურიდან) 14 ნოემბერი, 2013

: ძვირფასო პროფ. ნაცვლიშვილი,

როგორც წინა წერილში მოგწერეთ, მე დამიკავშირდა ქ-ნი ლიდია ტერიაშვილი და ჩვენ გუშინ საელჩოში შევხვდით ერთმანეთს. იგი ქალიშვილია ქართველი ემიგრანტის ვანო ტერიაშვილისა, რომელმაც 4 წლისამ მამამისთან, კონსტანტინე ტერიაშვილთან ერთად დატოვა საქართველო მისი ოკუპაციის შემდეგ.

ლიდიამ მაჩვენა მამამისისა და ბაბუამისის რამდენიმე ფოტო. ეს არის ლამაზი და სევდიანი ისტორია პატრიოტი ადამიანებისა, რომლებიც იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საქართველო, რომლებმაც მიძიმე პერიოდები გამოიარეს, მაგრამ არასოდეს დაუკარგავთ ღირსება და სიყვარული თავისი სამშობლოსადმი.

დარწმუნებული ვარ, როგორც ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მკვლევარი, დაინტერესებით ამ შესანიშნავი ადამიანების ბედით. ჩვენი საელჩო, როგორც ყოველთვის, დაგეხმარებათ მათთან ურთიერთობაში.

მეგობრულად,

თქვენი გელა :

**პაატა ნაცვლიშვილი – ლიდა ტერიაშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)
16 ნოემბერი, 2013**

: ძვირფასო ქ-ნი ლიდა ტერიაშვილი,

საქართველოს ელჩმა არგენტინაში, ბ-ნმა გელა სეხნიაშვილმა მოკლედ მომ-
წერა თქვენთან შეხვედრის შესახებ ბუენოსაირესში. მე დიდად მადლობელი ვარ
მისი, რომ თქვენი თავი გამაცნო. ვწუხვარ, რომ არ გიცნობდით ამა წლის სექ-
ტემბერში, როცა არგენტინაში ვიყავი და არ მომეცა თქვენთან შეხვედრის შე-
საძლებლობა. მე ვფიქრობ, რომ თქვენი ამბავი ძალზე საინტერესოა ემიგრაციის
მკვლევართათვისაც და ფართო საზოგადოებისთვისაც. თქვენი ოჯახის ისტორია
იმსახურებს, რომ რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება სრულად წარმოჩინდეს.
კარგი იქნებოდა, თუ შეიძლებოდა და მოკლედ აღწერდით თქვენი ოჯახის თავ-
გადასავალს და გამომიგზავნიდით თქვენი ოჯახის წევრების ყველაზე მნიშვნე-
ლოვან ფოტოებს (ელექტრონულ ვერსიებს). თუ გაქვთ, საინტერესო იქნებოდა
ოჯახის წევრების დღიურები და მიმონერაც. გთხოვთ, გამომიგზავნოთ აგრეთვე
ნებისმიერი სხვა ინფორმაცია თქვენი ოჯახის შესახებ, რომელსაც მნიშვნელოვ-
ნად და საჭიროდ მიიჩნევთ.

როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი, ამჟამად
საერთაშორისო კონფერენციაზე ვიმყოფები სამხრეთ აფრიკაში. საქართველოში ამ
თვის 21-ში დავბრუნდები. თქვენგან ინფორმაციის მიღების შემდეგ მოვამზადებ
პუბლიკაციას ჩვენი ინსტიტუტის ჟურნალისათვის.

გვინდა, რომ ჟურნალი დეკემბრისთვის მზად იყოს.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით,

პაატა ნაცვლიშვილი,

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და
გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი :

**ლიდა ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)
18 ნოემბერი, 2013**

: ძვირფასო პროფ. ნაცვლიშვილი,

დიდი მადლობა თქვენი წერილისთვის. დიახ, მე შეეხვდი ელჩ გელა სეხნიაშ-
ვილს, ესოდენ სიმპათიურს, ესოდენ ქართველს. ჩვენ ორ საათს ვსაუბრობდით სა-
ქართველოსა და ჩემი ოჯახის შესახებ.

მე მაქვს რალაც ნაწერები ქართულად და რუსულად, მაქვს ფოტოების ალბომი
და სხვა.

ჩემი ქალიშვილი კომპიუტერის სპეციალისტია და მე მას ვთხოვ ფოტოების დას-
კანირებას. მე პირადად ვრცლად მოგწერთ ჩვენი ოჯახის ამბავს.

ამ კვირას შინ არ ვიქნები და 27-ში დავბრუნდები.

რაც შეიძლება მალე მე სიამოვნებით გამოგიგზავნით ინფორმაციას მამაჩემის
და მისი წინაპრების შესახებ.

დიდად სასიამოვნოა, რომ თქვენ დაწერთ ჩვენს შესახებ და გამოაქვეყნებთ სა-
ქართველოში. ალბათ შესაძლებელი იქნება ამ ჟურნალის ერთი ეგზემპლარის მიღე-
ბა ფოსტით ან საელჩოს მეშვეობით.

მე თავს ნამდვილ ქართველად ვგრძნობ, თუმცა დედა პოლონელი მყავდა. ჩვენი
ამბავი ძალიან საინტერესოა. მე მაქვს ჩვენი გენეალოგიური ხე.

დიდი მადლობა, თქვენი ინტერესისათვის.

რაც შეიძლება, მალე შეგეხმინებით და მოგანდით მთელ ინფორმაციას. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა და ბედნიერ მოგზაურობას გისურვებთ სამხრეთ აფრიკაში.

პატივისცემით,

Lidia Teriashvili (ქართულად) **Teriaszwili** (პოლონურად) :

გადმოვნერ-გადმოვთარგმნე ეს წერილი და ახლაღა დავუკვირდი ერთგვარ პარადოქსს: ლათინური ასოებით სხვადასხვაგვარად დანერილი ერთი და იგივე გვარი ერთ შემთხვევაში ქართულია და მეორე შემთხვევაში – პოლონური!

ლიდია ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)

28 ნოემბერი, 2013

: ძვირფასო პროფ. ნაცვლიშვილი,

სწორედ დღეს დავბრუნდი მოგზაურობიდან. მოგზაურობისას მე შავად დავწერე ჩემი მშობლების ისტორია. ვრცელია, მაგრამ შეგიძლიათ შეამოკლოთ, როგორც გენებოთ.

დღეს ღამეს გავათევე, გადავათეთრებ და ავკრეფ, თან ფოტოებსა და საბუთებსაც დავასკანირებ.

მაქვს თუ არა ამ მასალის გამოსაგზავნად დრო? თქვენ მომწერეთ, რომ უფრნალი დეკემბრისთვის მზად უნდა იყოს.

დიდად მადლობელი ვიქნები, თუ დამიდასტურებთ.

საუკეთესო სურვილებით,

ლიდია ტერიაშვილი :

პაატა ნაცვლიშვილი – ლიდია ტერიაშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)

28 ნოემბერი, 2013

: ძვირფასო ქ-ნი ლიდია ტერიაშვილი,

დიახ, დრო გაქვთ. მე დაველოდები თქვენს გზავნილს, რამდენ ხანსაც საჭირო იქნება. უფრნალიც მოიცდის. ჩვენ არ გვაქვს დედლაინი.

და, კეთაყვა, ნუ გაათევეთ ღამეს. თქვენ შეგიძლიათ მშვიდად მიიყვანოთ საქმე ბოლომდე. გაცილებით მნიშვნელოვანია ტექსტის სისრულე და სიზუსტე. და ვიზუალური მასალაც, რა თქმა უნდა. გთხოვთ, არ დაგავიწყდეთ წარწერები სურათებისთვის.

კეთილი სურვილებით,

პაატა ნაცვლიშვილი :

ლიდია ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)

28 ნოემბერი, 2013

: ძვირფასო პროფესორო,

მადლობა წერილისთვის. ტექსტი პრაქტიკულად დასრულებულია.

ჩემი ქალიშვილი მარია დოკუმენტებისა და ფოტოების სკანირების ოსტატია.

დიდი მადლობა.

სალმით,

ლიდია ტერიაშვილი :

**ლიდია ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)
2 დეკემბერი, 2013**

: ძვირფასო პროფესორო,

ვორდის თანდართული ფაილით გიგზავნით ჩემი ოჯახის ამბავს.

ხვალ ჩემს ქალიშვილთან ერთად დავასკანირებ ყველა ფოტოსა და დოკუმენტს.

ამბავი ვრცელია. თავისუფლად ნაშაღლეთ ყველაფერი, რასაც საჭიროდ ჩათვლით.

საუკეთესო სურვილებით და მადლიერებით,

ლიდია თამარ ტერიაშვილი :

**ლიდია ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)
5 დეკემბერი, 2013**

: ბატონო პროფესორო პაატა,

იმედი მაქვს მიიღეთ ჩემი ვრცელი მოთხრობა.

მე და ჩემმა ქალიშვილმა დავასკანირეთ ფოტოები კარგი რეზოლუციით და თქვენ ისინი შეგიძლია ჩამოტვირთოთ მითითებული ლინკით.

გთხოვთ, დამიდასტუროთ, ლინკის გახსნა.

კიდევ გვაქვს ვანოს ფოტოები, რომლებიც მნიშვნელოვანია მის ნარმოსაჩენად ნიჩბოსნობის კუთხით, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით მათი დასკანირება, რადგან ჩემი მეუღლე სასწრაფო დახმარებით ნაიყვანეს და ჩვენ სკანირების გაგრძელებას ხვალ, პარასკევს შევძლებთ. ფოტოების წარწერების გაკეთება მხოლოდ მე შემიძლია და ამიტომ ხვალ ვიმუშავებ მარიასთან ერთად.

გთხოვთ, დამიდასტუროთ ტექსტის მიღება.

ძალიან დიდი მადლობა!!!

საუკეთესო სურვილებით,

ლიდია ტერიაშვილი :

**ლიდია ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)
5 დეკემბერი, 2013**

: ძვირფასო პროფესორო,

მინდა, დამიდასტუროთ, მიიღეთ თუ არა ჩემი ტექსტი და მასთან ერთად ფოტოები და დოკუმენტები, რომელთა ჩამოსატვირთად ლინკი გამოგიგზავნეთ.

ხვალ ყველა დანარჩენ მასალას გამოგიგზავნით.

ძალიან დიდი მადლობა, მაგრამ მინდა დავრწმუნდე, რომ თქვენ ყველაფერი მიიღეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თავიდან გამოგიგზავნით.

საუკეთესო სურვილებით,

ლიდია ტერიაშვილი :

**გელა სენიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს
13 დეკემბერი, 2013**

: პაატა, სალამი!

იმედია, ყველაფერი კარგადაა შენსკენ. ლიდია ტერიაშვილმა მომწერა, პაატას მივწერე და არ უპასუხიაო. მე ვანუგეშე :), პაატა ძალიან დაკავებულია და იმიტომ-მეთქი. თუ მოიცლი, იქნებ შეეხმიანო, ძალიან ემოციურადაა განწყობილი მამამისის თემისადმი.

აბა, დროებით,

გ:

დეკემბრის პირველ ორ კვირას მთაში ვიყავი, არ მქონდა ინტერნეტთან წვდომა და ძალიან შევწუხდი, როდესაც შინ დაბრუნებულმა ვნახე, როგორ უნერვიულია ქალბატონ ლიდიას – ჩვენი ელჩისთვისაც კი შეუჩივლია. ტანსაცმელიც არ გამომიცვლია, ისე მივუჯექი კომპიუტერს. ჯერ გელას აფუხსენი საქმის ვითარება, მერე სასწრაფოდ ჩამოგვტივრეთ ფოტოები, სასწრაფოდ გადავაველ თვალი ტექსტს და ლიდიასაც მივწერე პასუხი.

**პაატა ნაცვლიშვილი – ლიდია ტერიაშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)
15 დეკემბერი, 2013**

: ძვირფასო ქ-ნო ლიდია ტერიაშვილი,

ღიას, მივღე თქვენი ტექსტი და ფოტოები. გთხოვთ, მაპატიოთ, რომ აქამდე ვერ გიპასუხეთ. საქმე ის არის, რომ მთაში ვიყავი და იქ კი ინტერნეტი არ მქონდა.

იმედი მაქვს, თქვენი მეუღლე კარგადაა.

თქვენი მონათხრობი ძალიან საინტერესოა, ძალიან შთამბეჭდავი. მომდევნო კვირაში მე მას ვთარგმნი. მაგრამ ვფიქრობ, რაღაც კითხვები მექნება ტექსტთან დაკავშირებით და მე ამ შეკითხვებს რაც შეიძლება მალე გამოგიგზავნით. მარიას წყალობით ფოტოების ხარისხი ძალიან კარგია. ახლა მე ფოტოების მეორე პარტიას ველოდები.

კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს.

კეთილი სურვილებით,

პაატა ნაცვლიშვილი

P. S. ძვირფასო ლიდია, გთხოვთ, მარტივად პაატა დამიძახოთ. :

ლიდიას გამოგზავნილი ტექსტი მართლა საინტერესო იყო, მაგრამ მასში მოცემული ინფორმაციის შესწავლამ და დამუშავებამ იმაზე მეტი დრო წაიღო, ვიდრე მეგონა. ვანოს „ოლიმპიური ჩემპიონობის“ ამბავმა, რომელსაც ლიდია უაპულაციოდ ამტკიცებდა, ლამის სხვა ამბებშიც დამაეჭვა. მე ჩემი შეკითხვები მისსავე ტექსტში ჩაფურთე (მადლობა „ვორდის“ შემქმნელებს, რომ იგი ამის შესაძლებლობას იძლევა) და 31 დეკემბერს უკან გაუგზავნე ავტორს. თან ახალი წელიც მივულოცე და დაბადების დღეც, რომელიც, როგორც მისივე ტექსტიდან გავიგე, 30 დეკემბერს ყოფილა.

**პაატა ნაცვლიშვილი – ლიდია ტერიაშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)
31 დეკემბერი, 2013**

: ძვირფასო ლიდია თამარ,

დღეს 2013 წლის ბოლო დღეა. ნება მომეცით, მოგილოცოთ დაბადების დღე ერთი დღის დაგვიანებით და ახალი წელი ერთი დღით ადრე!

იმედი მაქვს, თქვენსკენ ყველაფერი რიგზეა.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა თქვენი ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი მონათხრობისთვის. მე ის უკვე ვთარგმნე ქართულად და არც არაფერი შემომცირებია. ჩვენი ჟურნალი ფერხდება და ამასობაში თქვენი ამბავიც მომზადდება გამო-საქვეყნებლად. მე ტექსტს უკან გიგზავნით ჩემს შეკითხვებთან ერთად. გთხოვთ, რაც შეიძლება მალე უპასუხოთ ამ კითხვებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კითხვები ვანოს სპორტული წარმატებების შესახებ. აუცილებელია დაზუსტდეს, როდის, სად, რა ასპარეზობა მოიგო მან. და გთხოვთ გამომიგზავნოთ მისი, რო-გორც სპორტსმენის ფოტოები.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს დამდეგ ახალ წელს!
გულითადად,
პაატა ნაცვლიშვილი :

**ლიდია ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)
1 იანვარი, 2014**

: ძვირფასო პაატა,
მადლობა დაბადების დღისა და ახალი წლის მოლოცვისთვის.
ყველაფერი კარგადაა, მაგრამ როგორც ყველა, მაგარ სტრესში ვართ.
მარიას დახმარებით ხვალ გამოგიგზავნით შეპირებულ ფოტოებს.
ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენ და თქვენს ოჯახს 2014 წლისთვის გისურ-
ვებთ წარმატებებს და ჯანმრთელობას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.
გულითადად,
ლიდია :

**ლიდია ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)
2 იანვარი, 2014**

: ძვირფასო პაატა,
კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მოლოცვებისთვის. გისურვებთ შესანიშნავ 2014
წელს!!!

გიგ ზავნით ლინკს, საიდანაც შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ბოლო ფოტოები, რომ-
ლებზეც აღბეჭდილია ნიჩბოსნობა, კატერინას ვაჟი, ჩემი მშობლები და მე თვითონ
ჩემს ძმასთან ერთად.

ხვალ მე ვუპასუხებ კითხვებს, რომლებიც გამომიგზავნეთ ჩემს ტექსტთან და-
კავშირებით.

რამდენადაც მე უძრავი ქონების ბროკერი ვარ, დღეს ორი კონტრაქტი უნდა
შევადგინო, რაკი ორი სახლი გავეყიდეთ კარგ ფასად, რაც მე მომცემს საშუალებას,
გადავლო ფული საქართველოში სამოგზაუროდ!!!!

სალმით,
ლიდია :

**ლიდია ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)
6 იანვარი, 2014**

: ძვირფასო პაატა,
მე შევეცადე შემეტანა შესწორებები ვორდის თანდართულ ფაილში. ვფიქ-
რობ, ეს თქვენ დაგეხმარებათ. სპორტული სურათები წინა მეილით გამოგიგ-
ზავნეთ. გთხოვთ, მიღება დამიდასტუროთ. გიგზავნით აგრეთვე მამაჩემთან
დაკავშირებულ ორ დოკუმენტს – ესაა მისი CV და სამხრეთ ამერიკის მენე-
ჯერთა ნუსხა. ვინძლო ესენიც გამოგადგეთ. იგი იყო ცეცხლგამძლე მასა-
ლების კომპანიის პრეზიდენტი არგენტინაში და მისი დირექტორი მისურიში,
აშშ-ში.

სალმით,
ლიდია :

**პაატა ნაცვლიშვილი – ლიღია ტერიაშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)
8 იანვარი, 2014**

: ძვირფასო ლიღია თამარ,

ძალიან დიდი მადლობა დამატებითი მასალისა და თქვენი პასუხებისათვის ჩემს კითხვებზე.

რაც შეეხება ვანოს ოლიმპიურ გამარჯვებას, როგორც ოლიმპიური თამაშების ისტორიის მკვლევარმა, „საერთაშორისო ოლიმპიური ნიჩბოსნური თამაშები“ თქვენს ტექსტში „ნიჩბოსანთა დაუდგენელი საერთაშორისო ასპარეზობით“ უნდა ჩავანაცვლო. ოლიმპიური თამაშები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ეკუთვნის და არავითარ ჰიტლერს არ შეუძლია მისი შედეგების გაუქმება ან დამალვა. მაგალითად, იმავე 1936 წელს იგივე ჰიტლერი იძულებული გახდა, შეეუბნოდა შედეგებს სიგრძეზე ხტომაში, სადაც მისი პირადი ფავორიტი, „ჭეშმარიტი არიელი“ ლუც ლონგი დამარცხდა შავკანიან ამერიკელ ათლეტთან ჯესი ოუენსთან. ოლიმპიურ ისტორიაში არ არის ამგვარი თეთრი ლაქები...

და კიდევ ერთი: უკან გიგზავნით თქვენს რამდენიმე ფოტოს ჩემს შეკითხვებთან ერთად (იხ. თანდართული ფაილი, ფლზ). თქვენი პასუხების მიღების შემდეგ მასალა მზად იქნება გამოსაქვეყნებლად.

კიდევ მეტი საახალწლო სურვილით,

პაატა :

**ლიღია ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილს (თარგმანი ინგლისურიდან)
8 იანვარი, 2014**

: ძვირფასო პაატა,

ღიახ, თქვენ მართალი ხართ ამერიკელ სპორტსმენთან მიმართებაში, მაგრამ რაც შეეხება პოლონელთა ოლიმპიურ ეკიპაჟს, რომელიც ასპარეზობდა ბერლინში 1936 წელს, მამაჩემის მოთხრობილი სრული სიმართლეა, ისევე როგორც სიმართლეა მონათხრობი მისი პოლონელი მეგობრისა და თანაგუნდელის ლეშჩეკისა, რომელიც 1949 წელს არგენტინაში ჩამოვიდა ემიგრაციაში და 10 წლის შემდეგ კანადაში, ონტარიოში გადასახლდა, სადაც გარდაიცვალა კიდევ. იგი ზუსტად იმეორებდა მამაჩემის მონათხრობს. მათ 1936 წლის ოლიმპიადაზე გერმანელი ნიჩბოსნები დაამარცხეს, რის გამოც ჰიტლერი გადარეულა და პოლონეთში შეჭრა დაუგეგმავს. კატარინას აქვს მხოლოდ ამონაჭრები პოლონური გაზეთებიდან, მეტი არაფერი. ისინი ასახავენ ნიჩბოსანთა საერთაშორისო ასპარეზობას, სხვა საარქივო მასალა არ არსებობს. რამდენადაც მე ვანოსგან ვიცი, გერმანელებს აუკრძალავთ ფოტოს გადაღება, როცა პოლონელებს თასი და მედლები გადასცეს. კატარინა შესწრებია ამ ამბავს. ჩვენ გადავხედავთ მამაჩემის პატარა დღიურს, რომელიც კატარინას შეუდგენია პოლონურად. :

პმ ცოტა ხანს გავნწყებ ამ წერილს, რათა ჩავურთო შემდეგი:

ლიღია ტერიაშვილი ისე დაბეჯითებით ამტკიცებს მამამისის ოლიმპიურ ჩემპიონობას, რომ ეჭვი არ არის, მართლა აქვს მოსმენილი მისგან მსგავსი ამბავი. მე არ მინდა, ვიფიქრო, რომ ვანო ტერიაშვილმა ეს ყველაფერი ბავშვების გასართობად ან თავის მოსაწონებლად მოიგონა. უფრო მგონია, რომ წლების შემდეგ მონაყოლის ზოგიერთი დეტალი დავიწყებას მიეცა და ნიჩბოსანთა რომელიღაც საერთაშორისო ასპარეზობა, სადაც პოლონელებმა მართლა დაამარცხეს გერ-

მანლები, ოლიმპიური თამაშებად მოინათლა. არც ის არის გამორიცხული, რომ ჰიტლერი და ნაცისტური გერმანიის სხვა ლიდერები მართლა აღშფოთდნენ პოლონელთა გამარჯვების შემდეგ, მაგრამ სრულიად გამორიცხულია, ამის გამო პოლონეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაეგეგმათ. რაც შეეხება იმას, თუ რომელ ასპარეზობაზეა ლაპარაკი, ეს უნდა იყოს 1937 წელს პარიზში გამართული საერთაშორისო საუნივერსიტეტო თამაშები, რომლის პროგრამაში ნიჩბოსნობაც შედიოდა. ამას მაფიქრებინებს ვანო ტერიაშვილის არქივში შემონახული და ლიდია ტერიაშვილის მიერ ჩემთვის გამოგზავნილი ორი ამონაჭერი რომელიღაც ფრანგული გაზეთიდან. ორივეზე ასახულია საუნივერსიტეტო თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალი პარიზის ოლიმპიურ სტადიონზე. ერთზე მონაწილე გუნდების სააღმჯომოდ ჩამწკრივებულან, მეორეზე კი წინა საუნივერსიტეტო თამაშების ჩემპიონი, მორბენალი რაიმონ ბუასე ტრიბუნასთან დგას და საზეიმო ფიცს დებს. სამწუხაროდ, იმ საუნივერსიტეტო თამაშების შედეგების სრულ ცხრილებს ვერსად მივაკვლიე, ინტერნეტში მხოლოდ მძლეოსნობის შედეგები დევს. არ არის გამორიცხული, ვანო ტერიაშვილს და მის თანაგუნდელებს ოთხი ქალაქის – ბერლინის, ვენის, ბუდაპეშტისა და ვენის – რეგატა(ც) მოეგოთ, რომელიც 1936 წელს გრუნაუში გაიმართა, სწორედ იქ, სადაც ბერლინის ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ნიჩბოსანთა ასპარეზობა ჩატარდა. ის კი დანამდვილებით დავადგინე, რომ ვანო ტერიაშვილს ოლიმპიადამი მონაწილეობა არ მიუღია.

ხოლო ლიდია ტერიაშვილის წერილი ასე გრძელდება:

: სურათების განმარტება:

სურათი 1. ეს საქართველოშია გადაღებული, როცა კონსტანტინე არმაში მსახურობდა. კი, ის მეორეა მარჯვნიდან. სხვებს ვერ ვცნობ. რა დასაწანია, – მამაჩემს ყველა ეცოდინებოდა.

სურათი 2. ეს 1936 წელია, ოლიმპიადისთვის სამზადისი. ვანო პირველია მარცხნიდან. პოზნანშია გადაღებული, პოლონეთში. სხვებს ვერ ვცნობ. ეკიპაჟის წევრები არიან. კიდევ ერთხელ უნდა ჩავიხედო დღიურში.

სურათი 3. ესეც 1936 წელია. ისევ პოზნანი. ვანო მეოთხეა მარცხნიდან. ხოლო მარცხნიდან პირველ ლეშჩეკია, მისი უახლოესი მეგობარი. სხვებს ვერ ვცნობ. ლეშჩეკის გვარს დღეს გაგაგებინებთ.

სურათი 4. ამ ამონაწერს ვთარგმნი. გაზეთის წელსაც დავადგენ. ერთი დღე მომეცით პოლონურიდან ინგლისურად სათარგმნელად.

სურათი 5. ვანო მეექვსეა ჩვენგან. წელი უნდა დავაზუსტო, მაგრამ როგორც ვხვდები, გერმანულ გაზეთში დაბეჭდილი ეს ფოტო ბოლოა ოლიმპიადის წინ, როცა მზადება უკვე დასრულდა ან დასასრულს მიუახლოვდა. სხვებს ვერ ვცნობ. დღიურში ჩავიხედავ და ყველას გვარებს მოგწერთ მესაჭიანად, თუ ამოვიცანი, რადგან გაზეთი ძალიან ძველია.

ამას ყველაფერს ამაღამ გავაკეთებ. მანამდე სამუშაოზე უნდა წავიდე, რადგან როგორც ბროკერებმა, ორი სახლი გავყიდეთ და ადვოკატებთან ერთად ხელი უნდა მოვანერო ქალაქებს.

საუკეთესო საახალწლო სურვილებით,

ლიდია

P. S. რაც შეიძლება მალე გავაკეთებ ყველაფერს!!! მაპატიეთ, გეთაყვა! :

სამწუხაროდ, ამის შემდეგ ქალბატონმა ლიდიამ მონოდებული ინფორმაციის ბევრით ველარაფრით შეავსო და ველარც დაზუსტება მოახერხა.

ამიტომ ახლა მთლიანად მოვიხმობ ლიდია ტერიაშვილის მთავარ ტექსტს, მის მონათხრობს, რომელიც მან 2 დეკემბერს გამომიგზავნა.

მაგრამ შესაბამის ადგილებში ტექსტი უნდა გავწყვიტო და ჩემი შეკითხვები, ავტორის განმარტებები და ჩემი კომენტარები ჩავურთო.



ვანო ტერიაშვილი



ლიდია თამარ ტერიაშვილი

: ჩემი სახელია ლიდია თამარ ტერიაშვილი. დავიბადე ბუენოს-აირესში. 2013 წლის 30 დეკემბერს 56 წლის ვხდები. მეორე ქორწინებაში ჩემი მეუღლეა გუილერმო ბაჩიკალუპო. პირველი მეუღლე, რომელსაც გავშორდი, გახლდათ პატრიკ მულჰოლი, რომელთაგან ორი ქალიშვილი მყავს – მარია კატალინა, 25 წლის, დიზაინერი გრაფიკოსი და ნინა, 17 წლის, რომელიც სკოლას ამთავრებს და სენტენდრიუს უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების და მარკეტინგის შესწავლას ფიქრობს. ჩემი პირველი მეუღლე წარმოშობით ირლანდიელია და ჩემს ქალიშვილებს მისი მხრიდან ირლანდიური და უელსური ფესვები აქვთ. ხოლო მათი ბებია ანდალუზიაში, ესპანეთში იყო დაბადებული. პატრიკის ირლანდიელი წინაპრები არგენტინაში 1900 წელს ჩამოვიდნენ. პატრიკის დიდი ბაბუა გამოსცემდა „სტანდარდს“ – პირველ ინგლისურენოვან გაზეთს არგენტინაში. :

- კიდევ გამოდის ეს გაზეთი?
- არა, გაზეთი აღარ გამოდის.

: დიდი ბებია არგენტინაში 1916 წელს ჩამოვიდა უელსიდან და უელსელთა სათვისტომო დააარსა სამხრეთ არგენტინაში, პატაგონიაში, ქალაქ ტრეველინ-



კონსტანტინე ტერიაშვილი



ანა დეკერ-შენკი

ში. ასე რომ, ჩემს ქალიშვილებს მამის მხრიდან ირლანდიური, უელსური და ანდალუზიური სისხლი აქვთ, ჩემი მხრიდან კი – ქართული, პოლონური, ავსტრიული და ბერძნული.

ახლა კი მამაჩემის – იან ტერიაშვილის ამბავს გიამბობთ. იან ანუ ქართულად „ვანო“ ტერიაშვილი დაიბადა თბილისში 1916 წელს. აღმსარებლობით ორთოდოქსი ქრისტიანი იყო. მისი მშობლები იყვნენ კონსტანტინე ტერიაშვილი და წარმოშობით ავსტრიელი ანა დეკერ-შენკი. ანას მამა კომპოტიზორი და გიტარისტი იყო. მას ცოლად ჰყავდა თავადის ასული ელენე მართულაძე-გაბაშვილი. :

– მართულაძე თუ მორთულაძე?

– ეს გვარი მამაჩემის გენეალოგიურ ხეზე ამოვიკითხე. მართულაძე წერია, მაგრამ არ არის გამორიცხული, მორთულაძეც იყოს. არ შეიძლება საქართველოში ამის დაზუსტება?

შეიძლება, როგორ არ შეიძლება. სანამ ამ კითხვას გავუგზავნიდი ქალბატონ ლიდიას, მანამდე გავარკვიე, რომ გვარი მართულაძე ალბათ არ არსებობს, არ მოიძებნა. მორთულაძის გვარით კი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ არქივში რამდენიმე პიროვნება მოვიძიე (ზურაბ, ალექსანდრე, პელაგია, თებრო, ეფემია) და ერთ-ერთ მათგანს შეიძლება სულაც ვანო ტერიაშვილის გენეალოგიური ხის რომელიმე ტოტი უცდის.

: მამაჩემის დედა, ანა დეკერ-შენკი დაიბადა სანკტ-პეტერბურგში, სადაც მამამისი საკონცერტოდ იყო მიწვეული და ოჯახმა რამდენიმე თვე დაჰყო. მერე ისინი სულაც დამკვიდრდნენ ამ ქალაქში. :



იოჰან-დეკერ-შენკი



კატერინა და ვანო ტერიაშვილები

ანას მამა – საქართველოსთან არა მხოლოდ მეუღლით დაკავშირებული იოჰან დეკერ-შენკი, საკმაოდ ცნობილი პიროვნება ყოფილა. გერმანულ ვიკიპედიაში მის შესახებ სტატიაც კია, რომელსაც ის ფოტო ერთვის, რომლის ორიგინალი, როგორც ჩანს, ლიდია ტერიაშვილთან არის დაცული, რადგან ვიკიპედიის ფოტოსაგან განსხვავებით საუკეთესო ხარისხის ასლი გამომოგზავნა. ვიკიპედიიდან ვიგებთ, რომ იოჰანს ვიოლინოზე და გიტარაზე დაკვრა მამამისისგან, ფრედერიკ შენკისგან უსწავლია. ვენის კონსერვატორიაში კი ვოკალურ ოსტატობას დაუფლებია. ტენორი ყოფილა. **1861** წლამდე გერმანიასა და ინგლისში გამოდიოდა კონცერტებით, მერე კი სანკტ-პეტერბურგში გადასულა და **1866-1874** წლებში თეატრის დირექტორიც ყოფილა. **1870** წელს სანკტ-პეტერბურგშივე მან ფრანგულ დასთან ერთად ოპერეტის თეატრი ჩამოაყალიბა და წარმატებით მოიარა რუსეთის მრავალი ქალაქი. **1875-1883** წლებში იოჰან დეკერ-შენკი თბილისში ცხოვრობდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კი, **1884**-ში პეტერბურგში დაბრუნდა, სადაც გიტარაზე დაკვრას ასწავლიდა. იმ პერიოდში შექმნა მან ორდეკიანი გიტარა, რომელსაც სპეციალური შეკვეთით ამზადებდა სანკტ-პეტერბურგში მცხოვრები ოსტატი იულიუს ჰაინრიხ ციმერმანი. იოჰან დეკერ-შენკს ქართველი მეუღლისაგან ორი გოგონა ჰყავდა, რომელთაგან უფროსი, ანა ქართველმა ითხოვა ცოლად.

: ანა მამის კვალს გაჰყვა და ბავშვობასა თუ ახალგაზრდობაში არაერთი თეატრის სცენაზე გამოსულა თავისი გიტარით. **20** წლისამ მან კონსტანტინე ტერიაშვილი გაიცნო, რომელიც სტუმრად ჩასულიყო სანკტ-პეტერბურგში. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ, იქორწინეს და თბილისში ჩამოვიდნენ. ანას ჰყავდა და, ოლგა, რომელიც ასევე თბილისში გადმოვიდა.



კონსტანტინე ტერიაშვილი შვილებთან ერთად



ვანო ტერიაშვილი

კონსტანტინეს და ანას ორი შვილი ეყოლათ. ვანო 1916 წელს დაიბადა, კატერინა კი ორი წლის შემდეგ.

კონსტანტინე საქართველოს ჯარში მსახურობდა და მისი დიდი ოჯახი დიდძალ ქონებას ფლობდა თბილისში. მთელი ეს ქონება დაიკარგა მას შემდეგ, რაც საქართველო ბოლშევიკებმა დაიპყრეს. კონსტანტინეს ორი ძმა ჰყავდა და ბევრ სხვასთან ერთად ბოლშევიკებმა ისინი დახოცეს. :

- იცით თუ არა მათი სახელები?
- არა, არც მათი სახელები და არც მათი ასავალ-დასავალი არ ვიცით.

: ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ კონსტანტინე, ანა, 4 წლის ვანო და 2 წლის ანა გადარჩნენ, თურქეთში გადავიდნენ და სტამბულს შეაფარეს თავი. თან მუდმივ შიშში იყვნენ, რომ იპოვნიდნენ და დახოცავდნენ.

ოლგა დეკერმა თბილისში დარჩენა გადაწყვიტა.

სტამბულში ცხოვრება ჭირდა. ბაბუაჩემი კონსტანტინე და ანა მუდმივად სამუშაოს ძიებაში იყვნენ. თავი რომ ერჩინათ, მათ თან წამოღებული რამდენიმე ძვირფასი სატი გაყიდეს, იაფფასიან თავშესაფარში დაბინავდნენ, ხოლო ვანო და კატარინა ბავშვთა სახლში მიაბარეს. როგორც მამაჩემისგან ვიცი, ბავშვებს ძალიან გასჭირვებიათ მშობლების გარეშე და საჭმელზეც კი უარს ამბობდნენ.

ორი წლის შემდეგ კონსტანტინე და ანა მოულოდნელად თავად ეჟი (გიორგი) ნაკაშიძეს შეხვდნენ, ტერიაშვილების ახლო მეგობარს, რომელსაც, თბილისიდან ლტოლვილს, ასევე სტამბულისთვის შეეფარებინა თავი. მისგან გაიგეს, რომ სტამბულიდან ევროპისაკენ სატვირთო მატარებელი უნდა გასულიყო და გადაწყვიტეს, ბედს მინდობოდნენ. გიორგი ნაკაშიძემ იცოდა, რომ ბევრი ქართველი ემიგრანტი



ვანო ტერიაშვილი (მარცხნივ) მშობლებთან ერთად

პოლონეთში, პოზნანში იყო წასული და მისი რჩევით და მასთან ერთად ტერიაშვილებმაც იქითკენ გასწიეს.

ტერიაშვილები პოზნანში დასახლდნენ და გვარი პოლონურ ყაიდაზე გადაიკეთეს – **Teriaszwili**. ისინი მშვიდ და უბრალო ცხოვრებას ეწეოდნენ. ანა დიასახლისი იყო, კონსტანტინე¹ კი პოლონურ არმიაში ჩაირიცხა ლეიტენანტად. მერე იგი მაიორი გახდა.

ვანო და კატერინა სკოლაში შეიყვანეს. სკოლის დამთავრების შემდეგ ვანო, მამაჩემი, უნივერსიტეტში შევიდა და ეკონომიკის შესწავლა დაიწყო. კატერინა კი დედას ეხმარებოდა. იგი ძალიან ლამაზი იყო. ვანოც მომხიბვლელი ჭაბუკი იყო, პოლონელი მეგობრები მას ხან ვანოს ეძახდნენ, ხან – ვანოშიკს და ხან – იანს. :

– რომელ უნივერსიტეტში სწავლობდა მამათქვენი?

– პოზნანის უნივერსიტეტში სწავლობდა 1935-1939 წლებში. ეკონომიკისა და კომერციის ფაკულტეტი დაამთავრა.

: პოლონეთში ქართველთა საკმაოდ დიდი სათვისტომო იყო და ისინი ძალიან ბედნიერები იყვნენ. უნივერსიტეტში სწავლისას ვანო ნიჩბოსნობამ გაიტაცა. იგი ნიჩბოსნობის კლუბში გაწევრიანდა და მალე რვაადგილიანის ეკიპაჟშიც ჩასვეს. მათი გუნდი მრავალ ასპარეზობაში მონაწილეობდა როგორც პოლონეთში, ისე ევროპის სხვა ქვეყნებში.

1936 წელს ნიჩბოსანთა მსოფლიო ოლიმპიადაზე გერმანიაში ისინი ფინალში გერმანულ ეკიპაჟს დაუპირისპირდნენ და ოქროს მედალი მოიგეს!!! მაგრამ ჰიტ-

1 კონსტანტინე ტერიაშვილი 1935 წლიდან ვარშავაში ჩამოყალიბებული პოლონეთ-საქართველოს საზოგადოების გამგეობის წევრი იყო. იხ. ამავე კრებული გვ. 53. (რედ.)



ვანო ტერიაშვილი (წინა პლანზე) თანაგუნდელებთან ერთად

ლერმა ამ ამბის გახმაურება აკრძალა. მამაჩემი ვანო პოლონელთა ეკიპაჟის კაპიტანი იყო და ჰიტლერმა პირადად გადასცა მას ოქროს მედალი. :

– ოლიმპიური ოქროს მედალი ძალიან მნიშვნელოვანი რამ გახლავთ. სამწუხაროდ, ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთი მე ვერ მოვიძიე. გთხოვთ გაჰყვეთ ლინკს და ნახოთ 1936 წლის ოლიმპიადის შედეგები http://en.wikipedia.org/wiki/Rowing_at_the_1936_Summer_Olympics ხომ არ შემოგჩნათ რაიმე – დიპლომი, საგაზეთო ამონაჭერი ან რაიმე მსგავსი, რაც მამათქვენის გამარჯვებას დააზუსტებს და დაადასტურებს? მე ვფიქრობ, ეს არ უნდა იყოს ოლიმპიური თამაშები, არამედ რალაც სხვა საერთაშორისო ასპარეზობა.

– როგორც მოგწერეთ, პოლონელებმა მოიგეს ოლიმპიადა, მაგრამ ჰიტლერმა ეს არ აღიარა და პრესაში და მედიაში გამოქვეყნება აკრძალა. ამიტომ არ არის ეს ამბავი ინტერნეტში. მათ სწორედ გერმანელები დაამარცხეს, რისთვისაც მედლები და თასი დაიმსახურეს ჯილდოდ. მაგრამ მედალიც და თასიც ომის დროს დაიკარგა პოლონეთში.

მართლა დიდი ამბავი იქნებოდა, ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, მაგრამ აკი ზემოთაც ვწერ, ლიდია ტერიაშვილი ცდება, მამამისს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა არ მიუღია. როცა ქალბატონ ლიდიას ამ ჟურნალს გაუფუზავანი, მასალას უთარგმნიან და იგი გაიგებს, რომ მამამისი ოლიმპიური ჩემპიონი არ ყოფილა, ვიცი, გულის დასწყდება, მაგრამ რა ვქნა, ასეთია სინამდვილე. მეც ძალიან დამწყდა გული!

: 1939 წელს ვანო ეკონომიკის დოქტორი გახდა და მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო.

ვანო მამამისთთან, პოლონეთის არმიის მაიორთან, კონსტანტინე ტერიაშვილთან ერთად წავიდა ფრონტზე გერმანელთა წინააღმდეგ, რომელთაც უკვე ოკუპირებული ჰქონდათ ვარშავა და პოლონეთის ნაწილი.

პოლონეთის არმია შეუერთდა ინგლისელებს და ოკუპაციის განმავლობაში ისინი იტალიაში, ანკონაში განლაგდნენ. ანკონაში მამაჩემმა მიაკითხა პოლონეთის არმიის თეატრს, რომელიც დედაჩემის ბიძას – ფელიქს კონარსკის ეკუთვნოდა. ამ კონარსკიმ დაწერა სიმღერა „წითელი ყაყაჩოები მონტეკასინოზე“. მისი ფსევდონიმი იყო „რეფრენი“ . :

„წითელი ყაყაჩოები მონტეკასინოზე“ მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმღერა გახლავთ – ისეთი, იროგორიცაა, ვთქვათ, რუსული „კატიუშა“ ან იტალიური „ბელა ჩაო“ .

მონტეკასინო ბენედიქტელების მონასტერია, რომელიც რომის სამხრეთით, ამავე სახელწოდების მთაზე მდებარეობს. გერმანელების დაცვის ხაზი სწორედ ამ მონასტერზე გადიოდა. თუმცა მონასტერი თითქმის მთლიანად განადგურებული იყო ამერიკული ავიაციის მიერ. გერმანელები გააფთრებით იცავდნენ მას მოკავშირეთა შემოტევებისაგან. 1944 წლის მაისში მოკავშირეებმა მონასტრის რიგით მეოთხე შტურმი განახორციელეს და მთავარი მიმართულება პოლონელთა მეორე კორპუსს ჩააბარეს მათივე მეთაურის, გენერალ ანდერსის თხოვნით. ერთკვირიანი შტურმის შემდეგ, 17 მაისს გერმანელებმა დატოვეს მონასტერი, პოლონელებმა მონტეკასინოს ბრძოლაში 924 ადამიანი დაკარგეს. კიდევ 4199 დაიჭრა.

ლიდია ტერიაშვილის დედის ბიძა, ფელიქს კონარსკი 17 მაისს, მისი თეატრის მორიგი წარმოდგენიდან დაბრუნებული, მონტეკასინოს ბრძოლაზე ფიქრობდა. კანონადის ხმა მონტეკასინოდან კამპობასომდე აღწევდა, სადაც მაშინ მისი თეატრი იდგა. ლექსის პირველი სტროფი თითქოს თავისთავად დაიბადა. ლამის სამ საათზე კონარსკიმ გააღვიძა თავისი მეგობარი, ალფრედ შიუტცი, რომელმაც ნახევარ საათში სიმღერის მელოდა დაწერა. დილით, როცა მონტეკასინოს ალების ამბავი მოვიდა, კონარსკიმ მეორე სტროფიც დაწერა და თეატრს პოლონელთა პოზიციებისაკენ გაუძღვა. გზაზე ჯარისკაცის საფლავე შემოხვდათ – თეთრბაფთაშემოხვეული ჯვარი და ჰილზაში ჩაწყობილი წითელი ყაყაჩოები. იქვე კონარსკიმ მესამე სტროფიც დაწერა, ხოლო მეორე დღეს გვიდონ ბორუცკიმ ჯარისკაცის თეატრში პირველად შეასრულა ეს სიმღერა. 1969 წლის მაისში მონტეკასინოს ბრძოლის 25-ე წლისთავზე ლიდია ტერიაშვილის დედის ბიძამ სიმღერას მეოთხე სტროფიც მიამატა.

: დედაჩემი – იანინა ხალკო კათოლიკე ქრისტიანი გახლდათ. დედამისსაც იანინა ერქვა, იანინა კონარსკა. გერმანელთა მიერ პოლონეთის ოკუპაციის წლებში დედაჩემი ვარშავაში იყო და ძმებთან – პოეტ ზბიგნევ ხალკოსთან და არქიტექტორ ლეხ ჰალკოსთან ერთად წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდა. იგი ებრაელთა მრავალ ოჯახს დაეხმარა. :

- რატომ აქვთ ძმებს განსხვავებული გვარები?
- ერთმა ძმამ გვარი ჰალკოდ უსაფრთხოების მიზნით გადაიკეთა ვარშავის აჯანყების დროს.

: ვარშავის აჯანყების დროს დედაჩემი „არმია კრაიოვას“ წევრი იყო. გერმანელებმა აჯანყება ჩაახშეს და დედაჩემის ძმებმა იტალიაში გაქცევით უშველეს თავს,



ვანო ტერიაშვილი მეუღლესთან ერთად



კატერინა ტერიაშვილი

16 წლის იანინა კი გერმანელებმა ჩაიგდეს ხელთ და ომის ტყვეთა ბანაკში გააგზავნეს. ბანაკში ხახვის პლანტაციები ჰქონდათ და მთელი ექვსი თვის მანძილზე დედაჩემის საკვები მხოლოდ ხახვი იყო.

როცა ამერიკელები ევროპაში გადმოსხდნენ, იგი განთავისუფლდა და ოჯახს შეუერთდა ანკონაში. ბიძამისმა იგი თავის თეატრში აიყვანა და მდივნად დანიშნა.

ვანო ამ თეატრში ხშირად დადიოდა გასართობად და საცეკვაოდაც. როგორც ვთქვი, იგი ძალიან მომხიბვლელი იყო და არაერთ ქალს ეარშიყებოდა, სანამ დედაჩემს დაადგამდა თვალს და შეუყვარდებოდა იგი. იანინა ლამაზი, თურქულთვალეებიანი ქალი იყო.

ბაბუაჩემი კონსტანტინე დაიჭრა და ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. იგი ვარშავაში დაკრძალეს. :

- როდის გარდაიცვალა?
- 1940-ში.

: კატერინა დედამისთან, ანასთან ერთად იყო და იგი მაიორ ლეონ გნატოვსკის შეხვდა, რომელიც გენერალ ანდერსთან ერთად იბრძოდა, როცა მან გერმანელები გაანადგურა მონტეკასინოში. ლეონ გნატოვსკის შეუყვარდა კატერინა.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ინგლისისა და პოლონეთის არმიებმა ინგლისს მიაშურეს. ვანო და იანინა სწორედ ინგლისში დაქორწინდნენ, კატერინა და ლეონ გნატოვსკი კი - იტალიაში, მოდენაში.

ინგლისში ცხოვრება ერთნაირად ძნელი იყო როგორც ინგლისის მოქალაქეთათვის, ისე ემიგრანტთათვის. ვანომ სამსახური ვერ იშოვნა. ერთადერთი, რაც მან მოახერხა, ის იყო, რომ ინგლისელი ქალბატონების სურსათით სავსე ჩანთები ეთრია და ცოტაოდენი ცენტები ეშოვნა. იანინას კი, რომელსაც კერვა



ტერიაშვილების ოჯახი (არგენტინა, 50-იანი წლების ბოლო)

ეხერხებოდა, საკმაოდ ბევრი კლიენტი ჰყავდა. მან ზინგერის ძველი საკერავი მანქანა იყიდა და ბევრს მუშაობდა, რის შედეგადაც საკმაო ფული დააგროვა. ისინი სპეციალურ თავშესაფარში ცხოვრობდნენ. ვანოს ინგლისური ენის შესწავლა გადაეწყვიტა და თავისუფალ დროს ინგლისური გრამატიკის სახელმძღვანელოებს კითხულობდა.

კატერინა დაორსულდა. მისი ჯანმრთელობა არ იყო ნესრიგში – ფილტვები ჰქონდა დასუსტებული. 1947 წელს დაიბადა ლეონ გნატოვსკის ერთადერთი ვაჟი, მაციუჟ გნატოვსკი. დედამ მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი შვილს, მერე კომპში ჩავარდა და რამდენიმე კვირის შემდეგ, კატერინა, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. მაციუჟს, ანუ მატს, როგორც მას ეძახიან ინგლისურ ყაიდაზე, დედაჩემი ზრდიდა.

ოჯახის ყველა წევრი, ლეონ გნატოვსკის გარდა, ვიზას ელოდა სხვა ქვეყანაში წასასვლელად. ზბიგნეევმა ამერიკის ვიზა მიიღო და ჩიკაგოში გაემგზავრა, ლეონი კი ტორონტოში წავიდა კანადის ვიზით. ჩემმა მშობლებმა ამერიკაზე უარი თქვეს და არგენტინის ვიზა მიიღეს. მამაჩემი ამბობდა: „მე მინდა შორს ვიყო ომების, გრიგალებისა და ამისთანებისგან, ამიტომ სამხრეთ ამერიკას ვამჯობინებ, არგენტინას“.

დედაჩემის დანაზოგით მათ სამხრეთ ამერიკისაკენ მიმავალ გემზე ორი ბილეთი იყიდეს.

მატის პატრონად ლონდონში ბებიაჩემი დარჩა.

გემს ორი ნაწილი ჰქონდა, ცალკე – ქალებისა და ცალკე – კაცებისა. ისინი მთელ თვეს მიცურავდნენ, სანამ არგენტინას მიაღწევდნენ 1949 წლის დეკემბერში. მათთან ერთად გემზე პოლონელთა არაერთი წყვილი იყო.

საიმიგრაციო სამსახურმა მათ ერთი კუთხე გამოუყო იმიგრანტთა სასტუმროში. სასტუმროსაც ორი განყოფილება ჰქონდა, ცალკე – ქალებისა და ცალკე – კაცებისა. მათ არგენტინის მოქალაქეობაზე შეიტანეს განაცხადი. :

- გემს „კამპანა“ ხომ არ ერქვა?
- სახელი არ მახსოვს და ვერც ქალაქებში ვიპოვნე, მაგრამ ეს არ იყო „კამპანა“. ბრიტანული გემი იყო.

„კამპანა“ იმ გემის სახელია, რომლითაც თამარ და აკაკი პაპაევები სწორედ 1949 წელს ჩავიდნენ არგენტინაში. ისინიც, ტერიაშვილების მსგავსად, ემიგრანტთა სასტუმროში დაბინავდნენ. ალბათ სწორედ აქ გაიცნეს პაპაევა-ჭიშკიშვილებმა და ტერიაშვილებმა ერთმანეთი.

: ნლების შემდეგ თავადი გიორგი (ეჟი) ნაკაშიძეც არგენტინაში ჩამოვიდა. იგი პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი იყო. არგენტიდან ის ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად. ჩვენები შეხვდნენ აგრეთვე იედიგარს, რომელიც არგენტინაში ცხოვრობდა და შემდეგ ესპანეთში გადავიდა. :

გიორგი ნაკაშიძე და იედიგარც პოლონეთიდან ჩავიდნენ არგენტინაში.

გიორგი ნაკაშიძე (1894-1990) ქართული ემიგრაციაში გამორჩეული პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე იყო. ამავე დროს ეწეოდა სამეცნიერო, ლიტერატურულ და მთარგმნელობით საქმიანობას. იყო საქართველოს სოციალ-ფედერალისტურის პარტიის წევრი, ვარშავის, ბერლინის, მიუნხენის, კოლუმბიისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების პროფესორი. მის სახელს უკავშირდება საქართველოს ეროვნული არქივის ჰარვარდული ნაწილის სისტემატიზაცია და ინგლისურენოვანი კატალოგის შედგენა. თამარ და აკაკი პაპაევების ჩემს მიერ 1997 წელს ჩამოტანილ არქივში არის გოგი ნაკაშიძის რამდენიმე წერილიც, რომლებიც საინტერესო მასალას შეიცავენ ქართული ემიგრაციის პოლონური და არგენტინული ეპიზოდების შესახებ. დღეს ეს წერილები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

იედიგარი, იგივე ველი-ბეკ იედიგაროვი (1891-1971) ბორჩალოელი აზერი იყო. 1916 წელს თბილისის კადეტთა კორპუსი დაამთავრა და პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე მოხალისედ წავიდა დაღესტნის ცხენოსანთა პირველი პოლკის შემადგენლობაში. მსახურობდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში. ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა მოკავშირე საქართველოს ტერიტორიაზე გააგრძელა. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია – ჯერ თურქეთში, შემდეგ რუმინეთსა და პოლონეთში. დაამთავრა პოლონეთის უმაღლესი სამხედრო აკადემია. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. მასთან ერთად პოლონეთის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა მისი ორივე ძმა – არჩილ-ბეკ და ისრაფილ-ბეკ იედიგაროვები. უკვე პოლკოვნიკი ველი-ბეკ იედიგაროვი მონაწილეობდა ვარშავის აჯანყების ორგანიზებაში. 1945 წლის გაზაფხულიდან გენერალ ანდერსის მეორე პოლონური კორპუსის შემადგენლობაში მონაწილეობდა მონტეკასინოს შტურმში. 1949 წელს არგენტინაში წავიდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ესპანეთში არ წასულა.

: არგენტინა მაშინ სამოთხე იყო და მას ხუან დომინგო პერონის მთავრობა მართავდა. „ვივა პერონ“-ის ძახილით ჩემმა შშობლებმა ჯერ მუდმივი საცხოვრებელი მიიღეს და მერე – მოქალაქეობაც. ამის შემდეგ სამუშაობს შოვნა იყო საჭირო. მამაჩემს არც რამ დიპლომი ჰქონდა და არც რამ სერთიფიკატი, რომელიც ეკონომიკაში მის დოქტორობას დაადასტურებდა. სასტუმროდან



ვანო ტერიაშვილი სიცოცხლის მიწურულს შვილებთან ერთად

რომ გამოასახლეს, მამამ დედაჩემი პარკში დატოვა და სანამ დაებრუნდები, აქ დამელოდეთ, უთხრა. რალაც იღბლად, თავისი სივი მან იმ დღეს კომპანია Deloitte-ში დატოვა.

ორ დღეში მამაჩემს კონტრაქტი გაუფორმეს და მონაგარიშედ მიიღეს. მას სავა-რაუდო ხელფასის რაოდენობის დასახელება სთხოვეს და როცა მან 600 პესო უთხ-რა დაუყოვნებლივ შესთავაზეს, მეორე დღესვე შესდგომოდა საქმეს.

იმავე დღეს ჩემმა მშობლებმა ბინის ძებნა დაიწყეს და მალე იპოვნეს კიდეც პატარა სარდაფი დიდ სახლში, რომელიც ძალზე იაფად იქირავეს. აქ არ იყო არანაირი კომფორტი, მაგრამ მაინც ჯობდა ემიგრანტთა სასტუმროს, რაკი უფრო მყუდრო გახლდათ.

მეორე დღეს მამაჩემი სამსახურში წავიდა, დედამ კი სურსათის მალაზიას მიაშურა.

არგენტინელები ძალზე კეთილგანწყობილები იყვნენ უცხოელთა მიმართ და ყველანაირად ეხმარებოდნენ დედაჩემს, რომელმაც ესპანური არ იცოდა. მშობლე-ბი ნელ-ნელა სწავლობდნენ ესპანურს. სამწუხაროდ, მამაჩემს აღარ ახსოვდა ქარ-თული, რადგან ძალიან პატარა იყო, როცა საქართველოს დატოვება მოუხდა. ერთ-მანეთში ისინი პოლონურად ლაპარაკობდნენ. მამაჩემმა კარგად იცოდა რუსული, გერმანული, ფრანგული და ინგლისური.

ერთხელ ქუჩაში დედაჩემმა გასაცოდავებული ძალლი იპოვნა. ეს იყო კოკერსპა-ნიელი, დედალი. დედამ ძალლი თავის სარდაფში წაიყვანა, მოუარა და ორი კვირის შემდეგ იგი მშვენივრად გამოიყურებოდა. სახლის პატრონს მამალი კოკერსპანიელი ჰყავდა. გადანყდა, რომ ძაღლები შეეჯვარებინათ. მე არ მახსოვს ჩემს მშობლების ძაღლის სახელი, მაგრამ მან ცხრა ლეკვი დაყარა, რომელთაგან სახლის პატრონმა მხოლოდ ერთი დაიტოვა. დანარჩენი ჩემმა მშობლებმა გაყიდეს და ბლომად ფული

იშოვეს. ამან საშუალება მისცა მათ, ახალ სახლში გადასულიყვნენ და შედარებით წესიერად ეცხოვრათ.

ოთხი წლის შემდეგ დედაჩემი დაორსულდა და 1954 წელს დაიბადა ვიქტორი, ჩემი ძმა.

ამასობაში მამაჩემი სამსახურში დანიშნურდა და მისმა ხელფასმა 3000 პესოს მიაღწია, რისი წყალობითაც ისინი უფრო დიდი სახლში გადავიდნენ.

1957-ში მეც დავიბადე, ლიდია თამარი.

მამაჩემმა, რომელსაც უკვე მიეღო გარკვეული გამოცდილება, სამსახურისთვის ცეცხლგამძლე მასალების ამერიკულ კომპანიას A.P.Green-ს მიმართა. იგი ულაპარაკოდ მიიღეს სამსახურში ბუღალტრად და მაღალი ხელფასიც დაუნიშნეს. მამამ ჩვენ ძალიან კარგ სკოლებში გვატარა და საუკეთესო განათლება მოგვცა.

ამერიკულ კომპანიაში მალე მიხვდნენ, რომ მამაჩემი მეტი იყო, ვიდრე ბუღალტერი. მისგან ისიც გაიგეს, რომ ეკონომიკის მაგისტრი იყო და განათლების სრულყოფისათვის ამერიკაში, კოლუმბიის უნივერსიტეტში გააგზავნეს. მან იქ რამდენიმე კვირა გაატარა და ეკონომიკის დოქტორის დიპლომი მიიღო.

არგენტინაში დაბრუნებული, A.P.Green-ში იგი გენერალურ ფინანსურ მენეჯერად დანიშნეს.

ბებიჩემმა, ანა ტერიაშვილმა, მას მერე, რაც კატერინას შეილი, მაცი წამოიზარდა, ინგლისიდან არგენტინაში ჩამოსვლა გადაწყვიტა და 1954 წლიდან ჩვენს სახლში ცხოვრობდა. ანა ტერიაშვილი მთელი ცხოვრების მანძილზე უკრავდა გიტარაზე. მე უსაზღვროდ მიყვარდა მასთან ყოფნა და მისგან სანკტ-პეტერბურგისა და თბილისის ამბების მოსმენა. 95 წლისა გარდაიცვალა. ყოჩალი ქალი იყო, რომ არ გატყდა ომში მისი მეუღლის, კონსტანტინეს და მერე მის ქალიშვილის, კატერინას გარდაცვალების შემდეგ. :

- როდის გარდაიცვალა ბებია?
- 1973-ში.

: 1976 წელს მამაჩემი A.P.Green-ის პრეზიდენტი გახდა, ხოლო 1982 წელს პენსიაში გავიდა.

მას ჰქონდა საზაფხულო სახლი ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, მშვენიერ ადგილას ქვიშიანი ბილიკებითა და ტყეებით, სადაც სოკოს საკრეფად დადიოდნენ.

ამჟამად მე და ჩემი მეუღლე უძრავი ქონების ბროკერები ვართ. წარსულში ამერიკის შეერთებულ შტატებში ვმუშაობდი იურიდიულ მდივნად, სადაც ძალიან გამომადგა სამი ენის ცოდნა. 1980 წლიდან ვმუშაობდი UBS Bank-ის ოფისში.

ვიქტორი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ჰყავს ამერიკელი ცოლი, პამელა და 27 წლის ქალიშვილი ანა. ჩემი ძმა ამჟამად ITWA packaging-ის რეგიონული საერთაშორისო მენეჯერია.

ვანი და იანინა ბევრს მოგზაურობდნენ, მაგრამ არც პოლონეთში ყოფილან და არც საქართველოში - კომუნისტურ წყობას უფრთხოდნენ.

ბებიჩემის და ოლგა დეკერი საქართველოში გარდაიცვალა. იგი ცოლად ჰყავდა ჭავჭავაძეს. :

- ვინ ჭავჭავაძეს?
- სახელი არ მახსოვს. პილოტი იყო სამხედრო-საჰაერო ძალებში. ომის დროს დაიღუპა თუ გარდაიცვალა.



მატ გნატოვსკი კონსტანტინე ტერიაშვილის საფლავთან

: მამაჩემი დეიდამისს ყავისა და ჩაის შეეკვრებს უგზავნიდა, რათა გაეყიდა და საკვები თუ სხვა მისთვის საჭირო რამ ეყიდა. ეს საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დროს ხდებოდა. ისიც ყოჩალი ქალი იყო, ფრანგულს და ინგლისურს ასწავლიდა. მე მასსოვს მისი ზოგიერთი წერილი, ჩვენ რომ გვიგზავნიდა, მაგრამ არ შემომრჩა მათი ასლები. იგი 1973 წელს გარდაიცვალა. ჩვენ არავითარი ინფორმაცია არა გვაქვს კონსტანტინე ტერიაშვილის ძმების შესახებ, ჩვენთვის უცნობია მართლა დახოცეს ისინი თუ არა.

რაც შეეხება მატ გნატოვსკის, კატერინასა და ლეონ გნატოვსკის შვილს, კემბრიჯის სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ ხელოვნება და ფსიქოლოგია შეისწავლა. მერე მან მუშაობა დაიწყო უენევაში, როგორც Reynolds Tobacco-ს კომპანიის საერთაშორისო დირექტორმა. ამჟამად იგი პენსიაშია.

მას ჰყავს ვაჟიშვილი, ალექსანდრე, რომელიც ახლა 41 წლისა და ძალზე ქართული გარეგნობა აქვს. იგი ამერიკაში ცხოვრობს და დეიდამისსა და მთელ მათ ქონებას პატრონობს. დეიდამისი ბრაზილიაში დამკვიდრებული კეთილშობილი პოლონური ოჯახიდანაა. მისი გვარია სვირსკი.

მე ხშირად ვხვდები ალექსს და საქართველოში ერთად მოგზაურობას ვგეგმავთ.

დედაჩემი, სამწუხაროდ, 2005 წელს გარდაიცვალა. ამის მერე მამაჩემი ჩემთან გადმოვიდა საცხოვრებლად. იგი ბედნიერი იყო შვილიშვილებთან და ხშირად გადიოდა გარეთ ბატკნის ხორცის საქმელად. 90 წლისა იყო, როცა ჩვენთან ერთად იმოგზაურა კალაფატეში ყინვარების სანახავად. მამა, სამწუხაროდ, 2009 წელს გარდაიცვალა 92 წლისა.

მე ძალიან მენატრება ეს ქართველი კაცი. ის ძალიან სხვანაირი იყო.

მინდა აღვნიშნო, რომ 2005 წელს ჩვენ გექონდა შესაძლებლობა, გვენახა ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“. არგენტინელები მოხიბლულები იყვნენ შოუთი.

მათ ვერ წარმოედგინათ ვაჟების ასეთი ნახტომები და მათი ასეთი დახტომები მუხლებზე. და მშვენიერი ქართველი ქალები! ეს დაუფინყური იყო. იმედი მაქვს, ისინი კვლავ გვეწვევიან.

საკმაოდ გრძელი ამბავია. ნაშაღეთ, რასაც ზედმეტად ჩათვლით, პროფესორო.

იმედი მაქვს, მალე ვიგრძნობ ფეხქვეშ საქართველოს მიწას!

თუ ჟურნალი მართლა გამოვა, გთხოვთ, გამოგიგზავნოთ მისი ეგზემპლარები. ჩვენ გადავიხდით მის ღირებულებას ან გამოგიგზავნით თანხას საელჩოს ფოსტის მეშვეობით.

დიდი მადლობა თქვენი ინტერესისთვის ჩემი ვრცელი მონათხრობის მიმართ. მე მინდოდა, ყველაფერი მომეთხრო. ახლა ჩემს ქალიშვილთან ერთად, რომელიც, როგორც გითხარით, გრაფიკული დიზაინერია, დავასკანირებ ფოტოებს, დოკუმენტებს და სხვა ქალაღდებს. თავისუფლად შეგიძლიათ აირჩიოთ, რაც თქვენ გჭირდებათ. აქ არის დოკუმენტები ქართულად თუ რუსულად და ამონაჭერი ჟურნალიდან მონტეკა-სინოს შესახებ.

კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს ასეთი ვრცელი მონათხრობისთვის, მაგრამ მე ეს ასე უნდა დამენერა. შეგიძლიათ შეამოკლოთ, როგორც ინებებთ.

საუკეთესო სურვილებით,

ლიდია თამარ ტერიაშვილი :

მას შიშდება, რაც პოლონელ-არგენტინელი თანამემამულის ეს ტექსტი გამოსაქვენებლად მოვამზადე, ჩვენ რამდენიმე წერილი კიდევ გავცვალებთ ერთმანეთში:

**პაატა ნაცვლიშვილი – ლიდია ტერიაშვილის (თარგმანი ინგლისურიდან)
8 იანვარი, 2015**

: ძვირფასო ლიდია თამარ,

ძალზე მოხარული ვარ, რომ საქმე კარგად მიგიდით. ნუ აჩქარდებით, თქვენი საქმე არ დაზარალოთ. ის რომ თქვენ ვანოს დღიური შემოგრჩათ, მე ფვიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა. რამდენი გვერდია? რა პერიოდს მოიცავს? შესაძლებელია თუ არა მისი თარგმნა ინგლისურად? ან იქნებ პოლონურადვე აიკრიფოს ტექსტი, რომ შემდეგ გუგლ-ტრანსლეიტორის მეშვეობით ითარგმნოს?

ბერლინი-1936-ის შესახებ თქვენი ინფორმაციის დასაზუსტებლად მე შევეცდები დავუკავშირდე პოლონეთის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, ან პოლონეთის ნიჩბოსნობის ფედერაციას.

პირველი ფოტო გადაღებულია არა საქართველოში, არამედ პოლონეთში, რადგან სამხედრო ფორმა, რომელიც ფოტოზე აღბეჭდილ ხალხს აცვია, პოლონურია და არა ქართული.

როგორც ვხვდები, მეორე ფოტოზე ვანო მარცხნიდან პირველია. ასეა?

მადლობა კიდევ ერთხელ.

კეთილი სურვილებით,

პაატა :

**ლიდია ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილი (თარგმანი ინგლისურიდან)
10 იანვარი, 2015**

: მადლობთ, პაატა, მე ამას ვთარგმნი და თქვენ გაასწორებთ, თუ საჭიროა. ჩემი ინგლისური არ არის საუკეთესო, რადგან წლებია აღარ მქონია პრაქტიკა.

ძალიან დიდი ხნის წინ, 1977-ში ვმუშაობდი ჩიკაგოში, როგორც იურიდიული მდივანი საადვოკატო ფირმაში. ჩიკაგოში პოლონელთა დიდი სათვისტომოა, ისევე როგორც პუერტორიკოელებისა და მე სასამართლოში ვთარგმნიდი პოლონურიდან ინგლისურად ან ესპანურიდან ინგლისურად. ეს ფანტასტიკური სამუშაო იყო. მე 19-სა ვიყავი, მაგრამ როგორც ნამდვილი ქართველი, თავგადასავალს ვეძებდი და გამოცდლების დასაგროვებლად დავმოგზაურობდი!! მამაჩემი ვანო გაგაჩუბული იყო, რომ ასეთ ახალგაზრდა გოგოს უნდა შემოგზაურა, მაგრამ მე ჩიკაგოში ოჯახი მყავდა და თავს დაცულად ვგრძნობდი. მამამ მიყიდა თვითმფრინავის ბილეთი, მაგრამ ძალიან მკაცრი იყო და მითხრა, რომ დაბრუნების შემდეგ მისთვის ბილეთის ღირებულება უნდა ამენაზღაურებინა. ასეც მოვიქეცი!!! მიყვარს ამერიკა, მაგრამ მხოლოდ სასტუმროდ, არა საცხოვრებლად. მქონდა შემოთავაზება, მუდმივი ცხოვრების უფლება მიმელო, მაგრამ უარი ვთქვი. იქ არ არის ცხოვრების საჩემო სტილი. ჩვენ, არგენტინელები, ძალიან ლათინები ვარ – ყავის დასალევად დაპატიჟების გარეშე ვხვდებით ერთმანეთს. ეს სხვაგვარადაა, ვიდრე შეერთებულ შტატებში. თუმცა ბევრი მიმოგზაურია ჩრდილოეთ ამერიკაში.

მაგრამ დავუბრუნდეთ სურათებს:

სურათი 2. დიახ, ვანო პირველი მარცხნიდან და ხელი კისერზე აქვს შემოჭდობილი. კონსტანტინესთან დაკავშირებით მართალი ხართ, ფოტოა არაფერი ანერია, მაგრამ ეს ნამდვილად პოლონური უნიფორმაა.

მამაჩემის თანაგუნდელზე რომ გითხარით, გვარს გაგაგებინებთ-მეთქი, – ეს ლეშჩეკი ლეონ მანიტიუსია.

რაც შეეხება დლიურს, 50 გვერდია ფოტოებთან და საგაზეთო ამონაჭრებთან ერთად. კატერინა არის ამის კურსში. მოიცავს 1931-1939 წლების პერიოდს. რაღაც ადგილები კატერინას დანერილია პოლონურად რთული კალიგრაფიით და ძნელი სათარგმნია, თუ ერთ პოლონელ ქალს არ ვთხოვე დახმარება, მაგრამ ეს დიდ დროს წაიღებს.

რაც შეეხება პოზნანური რეაადგილიანის ეკიპაჟის შემადგენლობას, მე მაქვს მათი გვარები: ა. იონკე, ი. ტერიაშვილი, კურილოვსკი, ლეონ მანიტიუს, ტ. კონიეჩნი, ბრ. ანჯეევსკი, ა. სტილერ, ი. ტრუცინსკი და მესაქე მ. ბაკლერ.

ჩემმა მამიდაშვილმა მაციეჟ განატოვსკიმ, კატერინას შვილმა, რომელიც ჟენევაში ცხოვრობს, მითხრა, რომ ჩვენი გვარმა რამდენჯერმე იცვალა ფორმა. გუგლში, ქართველ აზნაურთა ნუსხაში ვნახეთ გვარი ტეირიშვილი. შეიძლება, რომ ტერიაშვილი ტეირიშვილიდან მოდიოდეს?

გაზეთის ამონაჭრის თარგმნას ხვალ ვცდი, ამ ინფორმაციას კი დღესვე გიგზავნი. გიგზავნი აგრეთვე დასკანირებულ დოკუმენტებს, რომლებიც, როგორც გელამ მითხრა, დაბადების და ნათლობის მოწმობებია ქართულ ენაზე.

სალმით,

ლიდია :

**პაატა ნაცვლიშვილი – ლიდია ტერიაშვილის (თარგმანი ინგლისურიდან)
10 იანვარი, 2015**

: ძვირფასო ლიდია თამარ,

დიდი მადლობა დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდებისათვის. მე ეკიპაჟის წევრთა სახელებს ვგულისხმობ.

რაც შეეხება დლიურს, კარგი იქნება, რომ იგი საქართველოში გამოვაქვეყნოთ. 50 გვერდი არც ისე ბევრია. ჩვენ შეგვიძლია მთლიანად დავბეჭდოთ იგი ჟურნალის

მომდევნო ნომერში. ასე რომ, ბევრი დრო გვაქვს საიმისოდ, რომ იგი ჯერ პოლონურ-რიდან ინგლისურად და შემდეგ ქართულად ვთარგმნოთ.

არა, ტერიაშვილი სხვა გვარია. ბაბუათქვენი კონსტანტინე ყველა ქართულ წყაროში ტერიაშვილად არის მოხსენიებული. რუსიფიცირებული გვარი ტერიევი, რომელიც თქვენს მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში გვხვდება, უკან რომ „გად-მოვთარგმნოთ“, ტერიაშვილი ან ტერიაშვილი იქნება. გვარი ტერიევი ქართლ-კახეთის სამეფოს აზნაურთა ნუსხაშია შეტანილი, ხოლო ბაბუათქვენი ნარმოშობით ახალციხიდან იყო, რომელიც არ არის ქართლ-კახეთის ნაწილი.

საუკეთესო სურვილებით,

პაატა :

ლიდია ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილი (თარგმანი ინგლისურიდან) 11 იანვარი, 2015

: ბოდიში, პაატა, მე მეტი კონცენტრაცია მჭირდება. ძალზე ბევრი სამუშაოა საიმისოდ, რომ ყველაფერი კარგად გავაკეთო.

ნიჩბოსანთა ეკიპაჟის სახელი დღიურში ვნახე და ასე იკითხება – AZS Poznan.

ესე იგი, ჩემს მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში კონსტანტინეს გვარი იქნება ტერიაშვილი ან ტერიაშვილი. მე ვიცი, რომ ტერიევი ჩვენი გვარი უსაფრთხოების გამო გადაკეთდა. მამაჩემმა მითხრა ამის შესახებ...

დღიურის შესახებ უნდა გითხრა, რომ მე არა ვარ საუკეთესო პიროვნება ამის სათარგმნად. ასე რომ, ეს დიდ დროს ნაიღებს. როდესაც აპირებთ კვლავ ჩამოსვლას არგენტინაში? ან იქნებ მე უფრო ადრე ჩამოვიდე საქართველოში. მე მართლა ვგეგმავ, შევეხო ქართულ მიწას. მე ეს ძალიან მჭირდება. მე შინაგანად ქართველი ვარ. ჩვენ უნდა შევხვდეთ. ეს მშვენიერი იქნება. კეთილი, ვინმეს დავისმარ თარგმანში. შეიძლება ეს იყო გოჩა, რომელიც ბუენოს აირესში ცხოვრობს და რომელიც პოლონეთში სწავლობდა. ეს მშვენიერი აზრია. გელა მას კარგად იცნობს.

გისურვებთ სასიამოვნო უიკენდს. შემეხმიანეთ.

სალმით

ლიდია :

ლიდია ტერიაშვილი – პაატა ნაცვლიშვილი (თარგმანი ინგლისურიდან) 12 იანვარი, 2015

: ძვირფასო პაატა,

მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი მამიდაშვილი მატ გნატოვსკი, კატერინას და ლეონ გნატოვსკის შვილი. მე მას თქვენი იმეილი გავუგზავნე და ის შეძლებს თქვენთან დაკავშირებას. მან მითხრა, რომ დაინტერესებულია, რათა ითარგმნოს კატერინას დღიურები.

მე მიყვარს ჩემი მამიდაშვილი მატი. იგი შესანიშნავი ინტელიგენცია, ჟენევაში ცხოვრობს და კარგი იქნება თუ მასთანაც გექნება ურთიერთობა.

სალმით

ლიდია ტერიაშვილი :

სამწუხაროდ, მატ გნატოვსკი არ შემხმინებია. არც ლიდიას გამოუგზავნია საგაზეთო ამონაჭრების თარგმანები. ალბათ იმიტომ, რომ მამამისის ოლიმპიური ჩემპიონობის დამადასტურებელი გაზეთებში არაფერი ეწერა. ამონაჭრები მე თა-

ვად ვთარგმნე გუგლტრანსლეიტორის დახმარებით და განსაკუთრებით საინტერესო აქ არაფერი აღმოჩნდა, გარდა იმისა, რომ პოლონური გაზეთის ამონაჭრის მეშვეობით დადგინდა:

პოზნანის უნივერსიტეტის ნიჩბოსნები, და ვანო ტერიაშვილიც მათ შორის, მართლა გამოსულან ოთხი ქალაქის ტურნირზე გრუნაუში. ეს რეგატა ჩატარებულა „გერმანული ნიჩბოსნობის დიადი დღის“ ფარგლებში და მას თავად ჰიტლერიც დასწრებიან. როგორც ჩანს, პოლონელებმა სწორედ აქ დაამარცხეს გერმანელები და ყველაფერი, რასაც ლიდია ტერიაშვილი, როგორც ოლიმპიადაზე მომხდარს, ისე ჰყვება, ამ შეჯიბრებაზე მოხდა. ეტყობა, მართლა გადასცა მედლები და თასი პოლონელ ნიჩბოსნებს ადოლფ ჰიტლერმა. იმ ასპარეზობაში გამარჯვებულ პოლონელ ნიჩბოსანთაგან ბერლინის ოლიმპიადაზე ერთადერთი – სტანისლავ კურილოვიჩი მოხვდა, როგორც ოთხადგილიანის წევრი.

გოჩა, რომელსაც ლიდია ტერიაშვილი თავის ბოლოსწინა წერილში ახსენებს, დოქტორი გოჩა შათირიშვილია, ვარშავის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელსაც ბუენოსაირესში ბუკინისტური მალაზია აქვს. კარგად იცის ესპანური, ინგლისური და პოლონური ენები. მე მრავალი წელია ვმეგობრობ მასთან, არაერთხელ შევხვედრევართ ერთმანეთს საქართველოსა თუ არგენტინაში. ტერიაშვილების დღიურების თარგმნაში მისი იმედი უფრო მაქვს.

დღიურებზე ადრე კი შეიძლება ლიდია ტერიაშვილი ჩამოვიდეს საქართველოში.

მაშინ იგი იმასაც გაიგებს, რომ ბაბუამისს გვარი ტერიევად უსაფრთხოების მიზნით არ გადაუკეთებია და რომ ქართველები არა მარტო ამერიკელებისაგან, თვით არგენტინელებისაგანაც კი განსხვავდებიან, რადგან ერთმანეთთან დაუპატიუებლად არა მხოლოდ ყავის დასალევად დადიან.

ხოლო კონსტანტინე ტერიაშვილის ოჯახის და მისი შთამომავლების პოლონურ-არგენტინული თავგადასავალი, თავისი ქართული, იტალიური თუ ინგლისური ჩანართებით, მართლა ძალიან საინტერესოა.

ვფიქრობ უინტერესო არც ის ორიგინალური ფორმა უნდა იყოს, რომელიც მე ამ ამბების გადმოსაცემად შევარჩიე.

PAATA NATSVLISHVILI

Polish Georgians in Argentina

Summary

With the short report of his South American scientific trip on the background the author conveys the story of Argentinean Lydia Tamar Teriashvili about her ancestors and family, the roots of which are related to Georgia.

Lydia herself was born in Buenos Aires in a family of a Georgian emigrant from Poland Vano (Jan) Teriashvili. Vano Teriashvili was 4 years old when he and his younger sister, Ekaterina were taken away by their parents – Constantine Teriashvili

and Anna Decker-Schenk, from Georgia occupied by Bolshevik Russia first to Istanbul and then to Poznan.

Vano Teriashvili graduated from Poznan University, Faculty of Economics and Commerce. During his student hood, he was a rower having taken part in many international sport competitions. He and his father fought in World War II as part of the Polish Army. After the war Ivan Teriashvili together with his wife moved first to England and then to Argentina. In Buenos Aires, he began working as an accountant at an American company A.P.Green, where at the end of his career he became a president of the company.

Vano Teriashvili had two children – Lydia Tamar and Victor. Victor now lives with his family in the USA, as for Lidia Tamar, she lives in Buenos Aires together with her second husband and two daughters.

The main text of the article is presented in a very original and interesting form – in the form of e-mail correspondence.

არზაყან ემუხვარის ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის

არზაყან ემუხვარის შესახებ დღევანდელი აფხაზობის უმეტესობას ფრიად ბუნდოვანი და ამასთანავე ნეგატიური წარმოდგენა გააჩნია. მიზეზი მოსაძებნია უპირველეს ყოვლისა აფხაზ ისტორიკოსებში, რომლებიც, ჩანს, ერთსულოვანნი არიან მსგავსი სტერეოტიპის ჩამოყალიბებაში. თავის მხრივ, მათი შეფასება ეფუძნება მიხეილ თარნავასეულ¹ დახასიათებას – „ცნობილი მენშევიკი, თავადი არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი – უნებისყოფო, უნიჭო, მხდალი ადამიანი“ (Бражба О. Лакоба С. 2007: 247) სხვათა შორის, ანალოგიურია ამ პიროვნების ნესტორ ლაკობასეული დახასიათებაც: „დონდლო, ზღაზნია (МЯМЛЯ), უტვინო, გამოტვინებული (БЕЗМОЗГЛЫЙ), გონებარწლუფი (ТУПОЙ)“ (Лакоба Н. 1987: 51).

ცნობილია, რომ აქ დასახელებული ორივე პიროვნება მწვავედ იყვნენ დაპირისპირებული არზაყან ემუხვართან, უპირველესად სოციალურ საფუძველზე: თუ პირველნი გლეხობის წრიდან იყვნენ, ემუხვარი წარმოადგენდა აფხაზ თავადაზნაურობას (თავადობას). უფრო მეტად ითქმის ეს პოლიტიკური მიმართულების თაობაზე: თუ პირველნი რადიკალური მარქსიზმის, უფრო სწორად ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმის წარმომადგენლები იყვნენ, მეორე განასახირებდა რადიკალურ მარქსიზმს ანუ, რუსული ტერმინი რომ ვიხმაროთ, „მენშევიზმს“. რასაკვირველია, მათეული შეფასება ძალზე სუბიექტური ხასიათისა იქნებოდა. ეს გარემოება კი სერიოზული, ობიექტურად განწყობილი ისტორიკოსებისათვის შეუმჩნეველი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ვერ მოვთხოვთ დღევანდელ აფხაზ ისტორიკოსებს.

თუმცა უკვე დამონმეულ ავტორთა სახელმძღვანელოში ერთგან მაინც აღნიშნულია, რომ 1905-1907 წლების რუსეთის პირველ (ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე) დასჯილ 46 რევოლუციონერს (აფხაზეთის მასშტაბით) შორის, მხოლოდ ხუთი იყო საკუთრივ აფხაზეთიდან გამოსული (ВЫХОДЦЫ), აფხაზი ეროვნებისა კი – სამი – პლატონ და არზაყან ემუხვარები და ვასილ ლურჯუა (Бражба О. Лакоба С. 2007: 247). თუნდაც აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, საეჭვო ხდება მიხეილ თარნავასეული და ნესტორ ლაკობასეული დახასიათება არზაყან ემუხვარისა.

საერთოდაც, ფრიად საეჭვოა დასახელებულ აფხაზ ავტორთა (განსაკუთრებით სტანისლავ ლაკობას) შესაბამისი ცოდნის ფაქტობრივი საფუძველი. ისინი არ იცნობენ ანდა ყოველ შემთხვევაში იგნორირებენ ფაქტებს, რაც გასაგებს ხდის მათი შეფასების არაობიექტურობასაც.

ცხადია, ჩვენი დიდი ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილისა არ იყოს, ისტორიკოსი შორს უნდა იდგეს „ადვოკატურ–გამოსარჩლებითი მეთოდისაგან“. იგი თავისუფალი უნდა იყოს აპრიორული, წინასწარშემუშავებული შეხედულებისაგან და უნდა გამოდიოდეს სათანადო საისტორიო წყაროებიდან, შესაბამისი ფაქტებიდან.

დავინწყოთ იქიდან, რომ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას (მანამდე მან დაამთავრა ახალსენაკის სასულიერო სასწავლებელი) არზაყან ემუხვარი

1 აფხაზთა ბოლშევიკი ლიდერის, ნესტორ ლაკობას მიხედვით, მიხეილ თარნავა თავდაპირველად მენშევიკი ყოფილა და შემდგომ გაბოლშევიკებულა. იხ. Н.А. Лакоба, Статьи и речи, Сухуми, 1987, გვ. 57. აღსანიშნავია, რომ თვითონ ლაკობაც თანამშრომლობდა „მენშევიკებთან“, რომელთა ზეობის დროსაც იგი კოდორის (ოჩამჩირის) კომისარი იყო.

ხელმძღვანელობდა მოსწავლეთა აქტიურ წრეს, აგრეთვე რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალ „რიჟრაჟს“. მისი ბიოგრაფიის ბადრი არიძის თანახმად, ჯერ კიდევ ქუთისის სასულიერო სემინარიაში ყოფნისას „არზაყანი დაუახლოვდა განმათავისუფლებელ მოძრაობასაც და მიემხრო მესამე დასელებს. ეს უთუოდ დიდი გაბედულება იყო იმ აფხაზისთვის, რომელიც ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების სტიპენდიანტი იყო... აღნიშნულ საზოგადოებას იმედი ჰქონდა, რომ მისი სტიპენდიანტი მღვდლად ეკურთხებოდა და წარჩინებულ მისიონერად მოველინებოდა აფხაზეთს. მაგრამ იგი იმედგაცრუებული დარჩა. რუსმა არქიელმა მყისვე დაადგა თვალი აფხაზ თავადიშვილს. განა საკითხავი იყო, რომ ესოდენ ბრწყინვალე გვარის ჩამომავალი უფრო მიენდობოდნენ „ტუზემცები“. განა საკითხავი იყო, რომ აფხაზ მისიონერებს უფრო ხელენიფებოდათ აფხაზთა გულებისა და გონების დამორჩილება რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლებისათვის“ (მარშანი 2012: 28-29). ალბათ ცხადი უნდა იყოს, რომ ამგვარ არჩევანს ვერ გააკეთებდა ისეთი ხასიათის ადამიანი, როგორც არზაყან ემუხვარი აფხაზ ბოლშევიკ მეთაურებს წარმოედგინათ და თანამედროვე აფხაზი ისტორიკოსებიც იმეორებენ.

აქ ციტირებული წიგნის ავტორმა, პროფესიით ჟურნალისტიმა ქალბატონმა, ნატო მარშანიამ საქართველოს არქივებში მოიძია რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც გვიჩვენებენ არზაყან ემუხვარის რევოლუციურ შემართებას 1905-1907 წლებში. პარადოქსი გახლავთ, რომ სტანისლავ ლაკობასთვის, რომელიც ავტორია სპეციალური მონოგრაფიისა „აფხაზეთი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში“, შეუმჩნეველი დარჩენილა ეს დოკუმენტები.

უკვე 1905 წლის დასაწყისში სოხუმში გამართულა თათბირი კავკასიაში, კერძოდ, აფხაზეთში, ერობის შემოსაღებად. თათბირს თავმჯდომარეობდა არზაყან ემუხვარი. იგი არჩეულ იქნა სათანადო თორმეტკაციან კომისიაში.² ემუხვარი გამხდარა „რსდმპ ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფის წევრი“. მეტიც, მას მოიხსენიებენ ამ ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერად.

ნოემბერში სოხუმში გამართულ მიტინგზე გამოსვლისას არზაყან ემუხვარი მოითხოვდა ბოიკოტი გამოეცხადებინათ სოხუმის თვითმმართველობისადმი. იგი უფრო შორსაც მიდიოდა და ნივთადებას აყენებდა, დაეთხოვათ სოხუმის საქალაქო საათაბირო (*дума*), მის ადგილას კი აერჩიათ ახალი საათაბირო საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული ხმის მიცემით. რაკი ამისათვის საჭირო იყო მოსახლეობის სრული რაოდენობის დადგენა, აღწერისათვის უნდა გამოყოფილიყო 2000 მანეთი.

მომდევნო, 1906 წლის იანვარში (ჩანს, ოცდაექვსიდან) არზაყან ემუხვარი რიგ თანამებრძოლებთან ერთად სოხუმის ციხეში მოათავსეს.

1906 წლის 17 თებერვალს სოხუმის ოკრუგის უფროსი, შედარებით ლიბერალი ლევან ჯანდიერი კავკასიაში მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორს და პოლიციის უფროსს გენერალ შირინკინს აუწყებდა არზაყან ემუხვარის მიერ განუული აგიტაციის შესახებ რუსეთის სახელმწიფოებრივი ნესწყობილების წინააღმდეგ, ნოდებათა შორის ურთიერთობის გასამწვავებლად. აქვე დასძენდა, რომ «Захаров, Эмухвари и Гатошия неоднократно являлись ко мне, стараясь внушить мне, что правительственная власть уже уничтожена, что народ управляет собою

2 უნდა ვიფიქროთ, რომ არზაყან ემუხვარი აქტიური მონაწილე იქნებოდა სოციალ-დემოკრატების ინიციატივით გამართული აფხაზეთის გლეხთა ყრილობისა. ალბათ, აქ ჰქონდა ადგილი ინიციატენტს მასა და ნესტორ ლაკობას შორის. იხ. Н.А. Лакоба, Статьи и речи, გვ. 51.

сам, и что они являются народными представителями Сухумского округа» (მარშანია 2012: 33). ამის საფუძველზე სოხუმის ოკრუგის უფროსი დასძინდა: „Прошу ходатайства Вашего Превосходительства на Кавказе упомянутых выше лиц – Захарова, Эмухвари и др. сослать на вечные времена в отдаленные места России“ (მარშანია 2012: 33). ამასვე თხოულობდა ჟანდარმერიის (სოხუმში) რუსი გენერალ-ლეიტენანტიც (მარშანია 2012: 33).

არზაყან ემუხვარის „სისხლის სამართლის საქმე“ განიხილა თბილისის სასამართლო პალატამ, რომელიც დაასკვნინდა, რომ ემუხვარი იმსახურებდა გადასახლებას. მაგრამ იჩინდა რა „გულმონყალებას“, უსჯიდა მას ერთი წლით ციხეში პატიმრობას. „ბრალდებულმა“, რასაკვირველია, მსგავსი განაჩენი გააპროტესტა ზემდგომ ინსტანციაში (Правительственный Сенат), რაზედაც უარი მიიღო. ასე რომ, საბოლოოდ იგი ჩასვეს სოხუმის ციხეში, საიდანაც გათავისუფლდა 1910 წლის 21 თებერვალს.

აქ აღარ შევჩერდებით არზაყან ემუხვარის პოლიტიკურ აქტიურობაზე 1917-1918 წლებში. დავჯერდებით იმას, რომ 1919-1921 წლებში იგი გახლდათ აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ კი კომისარიატის (მთავრობის) თავმჯდომარე.

თუ რა მოიმოქმედა არზაყან ემუხვარმა აფხაზეთზე მეცხრე წითელი არმიის ნაწილების შეტევისას (დაიწყო 1921 წლის 21 თებერვალს), ამის შესახებ ქალბატონ ნატო მარშანიას წიგნში ვკითხულობთ: „აფხაზეთის „გენერალ-გუბერნატორად“ დანიშნული აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარემ დ. ემუხვარმა გამოსცა „ბრძანება N1“, რომლითაც მოუწოდებდა 35 წლამდე (ჩათვლით) ყველა მოქალაქეს თავდამსხმელი საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ გამოსვლისაკენ. თავის არიდება და გამოუცხადებლობა განიხილება, როგორც რესპუბლიკის ღალატი და დაისჯება საომარი დროის კანონების მთელი სიმკაცრით. სწრაფი და განუსრულებელი შესრულება ამ ბრძანებისა დაევალა სამაზრო და საქალაქო (სოხუმის – გ.ყ.) თვითმმართველობებს და საუნყებო და ადმინისტრაციულ ორგანოებს. პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უმოქმედობაში, სიზანტესა და დაუდევრობაში იქნებიან შემჩნეულნი, გადაეცემიან სამხედრო სასამართლოს“ (მარშანია 2012: 90-91).

ამავე წიგნში აღნიშნულია, რომ 26 თებერვალს (ცხადია, 1921 წლისა) არზაყან ემუხვარის მიერ გამოცემული „N2 ბრძანებით“, სოხუმის, გუმისთის, კოდორისა და სამურზაყანოს მაზრები გამოცხადებულ იქნა სამხედრო ფრონტის გამაგრებული ზურგის რაიონებად (მარშანია 2012: 91).

ამგვარ უაღრესად კრიტიკულ სიტუაციებში განეული ქმედებანი, რასაკვირველია, გვიჩვენებენ არზაყან ემუხვარის ხასიათის სიმტკიცეს. ეს გარემოება საცნაური ხდება მისეული წერილიდანაც, რომელიც მან უფროს ვაჟს – ვლადიმერს ემიგრაციიდან (პრაღიდან) საქართველოში (ქუთაისში) გამოუგზავნა 1923 წლის 23 ოქტომბერს: „ხასიათის სიმტკიცე მოითხოვს, რომ გული არ გაიტყუო და უფრო დინჯაო (!), დაკვირვებით ეცადო შემდეგისათვის მიზანს მიაღწიო. თუ მოთმენა და დაკვირვება გეყო, აუცილებლად მიზანს მიაღწევ“ (შარაძე 1993: 60).

აღნიშნულის დასადასტურებლად სხვა მაგალითებსაც მოვიტანთ. მისთვის დიდად ძვირფას კონსტანტინე კანდელაკისადმი (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის ყოფილი მინისტრი) 1924 წლის 17 აპრილს გაგზავნილ წერილში არზაყან ემუხვარი აღნიშნავდა: „ამხანაგო კონია, გიძლვნი ძმურ სალაშს და გისურვებ ჯანმრთელობას და სანატრელს ბარბაროსებისაგან

(ე.ი. ბოლშევიკებისაგან – გ.ყ.) განთავისუფლებულ სამშობლოში მალე დაბრუნებას ყველა ამის მოტრფიალედ ემიგრაციასთან ერთად“ (მარშანია 2012: 154). ამავე წერლობით ვკითხულობთ: „გვემინა ზოგიერთების, ყოველ შემთხვევაში, რომ მთელი თავისი ბარგი-ბარხანით საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლობაში (პრალისა – გ.ყ.) არ გადაბარდნენ. ჩვენი ტრაგედია ამაშია და არ ვიცით, როგორ გადავირჩინოთ თავი ამ უბედურ მდგომარეობისაგან“ (მარშანია 2012: 155).

როდესაც შეუძლებელია მარიამ ჩიკვაძე-ემუხვარისამ არზაყანს შესთავაზა საქართველოში დაბრუნება, მან არზაყანისგან ასეთი პასუხი მიიღო: „თუ იგი აზნაირად დათანხმდება ჩემს პოლიტიკურ და მორალურ სიკვდილს, მაშინ მე ჩამოვალ“ (მარშანია 2012: 176). ამგვარ თანხმობას მოჰყვა მეუღლის, ჭემმარიტად ღირსეული ადამიანის, პასუხი: „ვიდრე ისე ჩამოხვიდოდე როგორც ჩამოვიდა კონია სულაქევილი³, მაშინ უმჯობესია ჩვენ ერთმანეთი აღარასდროს ვნახოთ“-ო (მარშანია 2012: 156).

თავის მეგობარ აკაკი ჩხენკელს (სხვათა შორის, ესეც წარმოშობით აფხაზეთიდან, სოფელ ოქუმიდან იყო) არზაყან ემუხვარი 1935 წლის 30 დეკემბერს წერდა: „ყველა იქ (პარიზში) დარწმუნებული იყოს, რომ მე ის ვარ, რაც ვიყავი სამშობლოში. ხამელეონები (!) იქაც მეჯავრებოდა და მეზიზღებოდა, ამაში ჩემი დათმობა შეუძლებელია. მე კარიერის მაძიებელი მისდღემში (!) არ ვყოფილვარ. შენ მე კარგად მიცნობ. მე მისდღემში (!) არ ვყოფილვარ პრეტენზიის (!) კაცი და არც ვიქნები მომავალში“ (მარშანია 2012: 184).

უკვე დასახლებულმა კონსტანტინე კანდელაკმა არზაყან ემუხვარის დასაფლავების დროს (ლევინოში, 1939 წლის 26 მარტს) აღნიშნა: „დამოუკიდებელი, მტკიცე კეთილშობილებით და თავმდაბლობით აღსავსე ხასიათი, რომელიც შენ ტოლ-მეგობრებში შენდამი უსაზღვრო პატივისცემის გამოხატველი იყო; დავაჟ-კაცებასთან ერთად იზრდებოდა შენში ადრინდანვე შეთვისებული სიყვარული თავისუფლების, ხალხის სამსახურის, სამშობლოსათვის თავდადების“.

დაბოლოს არზაყან ემუხვარზე მის ბიოგრაფოს ბ. არიძის სიტყვებს მოვიხმობთ: „მეტად ჩუმი და მორცხვი ბუნების მოღვაწე განსაცვიფრებელ სიმტკიცეს და ნებისყოფას იჩენდა, სადაც კი ეს საჭირო იყო და ხელისუფლების სწორად გაგებულ პრესტიჟი მოითხოვდა“. თავის მხრივ, არზაყან ემუხვარის მტკიცე, შეუპოვარი, საბჭოთა წყობილებისადმი შეურიგებლობით აიხსნება ის ფაქტი, რომ მისი უფროსი ვაჟი – ვლადიმერი 1937 წლის „დიდი საბჭოური ტერორის“ მსხვერპლი შეიქნა, ხოლო უმცროსი ვაჟი – გივი გადარჩა იმით, რომ იგი საქართველოს გაეცალა და წლების განმავლობაში მოსკოვსა და ლენინგრადში ცხოვრობდა.

სწორედ ასეთი, მორალურად სპეტაკი, დიდად პრინციპული არზაყან ემუხვარი ამოიჩინა პროტოტიპად თარაშ ემუხვარის მხატვრული სახისათვის რომან „მთვარის მოტაცებაში“ გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ (ამის თაობაზე იგი არზაყან ემუხვარის უმცროს ვაჟს წერდა 1934 წელს).⁴

სულ ბოლოს არზაყან ემუხვარის პიროვნების დასახასიათებლად ფრიად უპირიანად გვეჩვენება გავისხენოთ ეპიზოდი, როცა მან დატუსაღებულ ნესტორ ლაკობას – აფხაზეთის მომავალ ბოლშევიკ ლიდერს მიმართა: „სიმაართედ გითხრა ჭანგუ (ნ.

3 რენეგატი, ყოფილი „მენშევიკი“, თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორი (ივანე ჯავახიშვილის რექტორობიდან წასვლის შემდგომ), რომელმაც ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე 1937 წელს.

4 ამავე წერილში არზაყან ემუხვარის შესახებ ვკითხულობთ: „გიჟი ენგურის ზვირთებთან შეკაჟება (!) ეს მისი იდეების შებრძოლება იყო იდეალისა და დღევანდელი არსებული მიმდინარეობისა“.

ლაკობას რევოლუციური ფსევდონიმი), შენ არც ისე დიდსულოვანი ხარ, შენ მე ციხიდან არ გამომიშვებდი. ჩემს ადგილზე შენ რომ გქონოდა ხელისუფლება, როგორ მოიქცეოდი? ლაკობამ მიუგო, რომ დააყენებდა მას კედელთან, დაუმიზნებდა და დახვრეტდა“. მსგავს რამეს საბჭოური, ბოლშევიკურ-კომუნისტური მენტალობის მქონე ადამიანები, კერძოდ აფხაზეთში, შესაბამისად აღიქვამენ და აფასებენ, მაგრამ შეეფერება ეს ზოგადსაკაცობრიო მორალს, თუნდაც „აფსუარას“, რაზედაც მაგან აფხაზებს პრეტენზია აქვთ?

დავამთავრეთ რა აფხაზი ხალხის დიდებული შვილის, არზაყან ემუხვარის ფსიქოლოგიური პორტრეტის გადმოცემა, საჭიროდ ვცანით ეპილოგის სახით დაგვემატებინა შემდეგი.

თავის დროზე (1991 წელს) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მართებულად საჭიროდ სცნო პარიზთან ახლოს მდებარე ლევილის სასაფლაოდან ქაქუჩა ჩოლოყაშვილისა და არზაყან ემუხვარის ნეშტების საქართველოში გადმოსვენება. ვიდრე ეს გაკეთდებოდა, მან სათანადო წერილით შეატყობინა აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ვლადისლავ არძინბას თუ რას ფიქრობდა იგი ამ იდეაზე, – ხომ არ მოისურვებდა აფხაზობა არზაყან ემუხვარის სოხუმში დაკრძალვას. არზაყან ემუხვარის უმცროსი ვაჟის გივის (ცხოვრობდა წყალტუბოში, გარდაიცვალა 1980 წელს) ცნობით, არძინბა თითქოს გაგებით შეხვდა ამ ამბავს. მაგრამ, ვიცით რა მისი ხასიათი, არა გვეგონია, რომ ვ. არძინბა ამ შემთხვევაში გულწრფელი იყო და „აფსუარას“ მორალური კოდექსით ხელმძღვანელობდა. ამიტომაც საქმე გაჭიანურდა. ასევე მოხდა სოხუმში არზაყან ემუხვარის სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით. აფხაზეთის ბიუროკრატიათი თითქოს ისიც კი ვერ დაადგინა თუ სად (ცხოვრობდა არზაყან ემუხვარი თავისი ოჯახით. რასაკვირველია, ამგვარი პასუხი საბჭოური ხელისუფლების (კერძოდ, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის) არსენალიდან გახლდათ. ასეთი რამ მხოლოდ საბაბი იყო. მიზეზი კი სხვა გარემოებაში მდგომარეობდა.

უპირველესად არზაყან ემუხვარი განასახიერებდა სულ სხვანაირ, დემოკრატიულ ტენდენციას, რაც მკვეთრ ნინაალმდეგობაში აღმოჩნდა ბოლშევიკურ, კომუნისტურ მენტალობა-მიმართულებასთან. დიდად საუბედუროდ, გაიმარჯვა და შვიდი ათეული წლის განმავლობაში გაბატონდა უკანასკნელი ტენდენცია, რომლის რეციდივებისაგან დღევანდელი აფხაზობა, ყოველ შემთხვევაში, მმართველი პოლიტიკური ფენა ამჟამადაც ვერ გამოთავისუფლებულა. მათგან განსხვავებით, არზაყან ემუხვარის მტკიცე რწმენით, „ერთ-ერთი მიზანი ჩვენი აქაური (საზღვარგარეთული – გ.ყ.) მუშაობის უნდა იყოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული: ეს მიზანი უნდა აერთებდეს (!) ყველა მამულიშვილს, განურჩევლად მიმართულებისა“ (მარშანია 2012: 185). (წერილი აკაკი ჩხენკელისადმი, 1934 წელს).

მეორე მიზეზი მდგომარეობს შემდეგში: არზაყან ემუხვარი, გამოდიოდა რა ისტორიის ლოგიკიდან, ქართველთა და აფხაზთა ხანგრძლივი ისტორიული თანაცხოვრებიდან, ასევე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიული (არა საბჭოური!) მოწყობის აუცილებლობიდან, საჭიროდ მიიჩნევდა ჩვენი ორი ხალხის თანაცხოვრებას შემდგომშიც. მისი მრწამსით, „ვინც საქართველოს და აფხაზეთის ისტორიას იცნობს, მისთვის შეუძლებელია მათი განცალკევების თუნ-

დაც უბრალო წარმოდგენა“; „საჭიროა და აუცილებელია საქართველო-აფხაზეთის შედუღება და ყოველნაირი მათი განცალკევების საბაზის ძირშივე მოსპობა... ამისათვის საქართველოს მოღვაწეებმა (!) უნდა დიდი საფრთხილით მოეპყრონ აფხაზეთს, რომელიც საქართველოს დასავლეთის დიდი მნიშვნელოვანი კარია“ (მარშანია 2012: 12). სავსებით ლოგიკური იყო, რომ იგი გახლდათ ხელმომწერი „აფხაზეთის ავტონომიის აქტზე“. ცხადია, აფხაზი სეპარატისტები, პირველ რიგში მათი იდეოლოგოსები, ჩაბმულნი თანამედროვე რუსული (პუტინისეული) იპერიალიზმის ფარვატერში, მსგავს პოზიციას ვერ შეინწყნარებენ (ვერც გაიგებენ!).

საბედნიეროდ, ისტორიას აქვს თავისი ლოგიკა, განსხვავებული რუსეთის პოლიტიკური წრეებისა და მათი დამქაში აფხაზი სეპარატისტების შეხედულებებისაგან. მოვა, მალე მოვა დრო, როცა გაიმარჯვებს ქართველ-აფხაზთა ერთიანობის იდეა, რომლის ერთ-ერთი დიდი მქადაგებელი იყო არზაყან ემუხვარი.

GURAM KORANASHVILI

For the psychological portrait of Arsakhan Emuxvari

Summary

Proceeding from the political opponents, today's Abkhazian historian ascribe negative qualities to Arsakhan Emuxvari. The author tries to reject the kind of idea.

დამონებანი

1. მარშანია ქედუხრელი რაინდი, თბილისი, 2012.
2. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, წ. 2, თბილისი, 1993.
3. Бражба О. Лакоба С. История Абхазии. С древнейших времен до наших дней. Сухум, 2007.
4. Лакоба Н. Статьи и речи, Сухуми, 1987.

სამთავრობო ნიშნები

ილია კუჭუხიძე (მინდია ლაშაური)

გერმანიაში ქართული ემიგრაციის ისტორიიდან

ემიგრაციაშიცა და საქართველოშიც ძირითადად მინდია ლაშაურის ფსევდონიმით ცნობილი ემიგრანტი მწერალი ილია კუჭუხიძე გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა იმ ნაკადის წარმომადგენელია, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად გახდნენ ამ ქვეყნის მკვიდრნი.

ქართველ ემიგრანტთა პირველი მნიშვნელოვანი დიასპორა გერმანიაში გასული საუკუნის ათიან და ოციან წლებში გაჩნდა, რაც არსებითად აღმოჩნდა განპირობებული ჩვენს ქვეყანაში იმუხამად შექმნილი მდგომარეობით. კერძოდ, როგორც ცნობილია, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელთა მიერ ევროპაში შექმნილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (1914-1918 წწ.), რომელიც ძირითადად ბერლინიდან წარმართავდა თავის საქმიანობას, აქტიურად თანამშრომლობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან.

როგორც პარიზში გამოძვალ ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ (1962 წლის №39-40) ხსენებულ ორგანიზაციასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში ამ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი კალისტრატე სალია წერდა, ქართული საქმის პროპაგანდამ ბერლინში მაშინ თურმე იმდენად დიდი ნაყოფი გამოიღო, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობას აუარებელი თანამგრძნობი გამოუჩნდა არა მარტო პოლიტიკურ წრეებში, არამედ ცნობილ მხედართა, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადოების სხვა გავლენიან პირთა შორის, რასაც დიდი გავლენა ჰქონდა თვით საგარეო საქმეთა სამინისტროზედაც. დაარსდა ქართულ-გერმანული საზოგადოება, რომელშიც შედიოდნენ ცნობილი იურისტები“ (შარაძე 2001: 74).

„საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ საქმიანობის უმთავრეს მიზანს რუსული კოლონიალიზმის კირთებისაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. ქართველ მამულიშვილთა და პოლიტიკოსთა მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში გერმანიისთვის ასეთი დიდმნიშვნელოვანი როლის დაკისრება იმხანად უსაფუძვლო ოცნების ნაყოფს რომ არ წარმოადგენდა, ამის თვალნათლივ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ თავისი ამ სანუკვარი ოცნების რეალურად აღსრულება ქართველმა ხალხმა 1918 წლის 26 მაისს პირველ ყოვლისა სწორედ გერმანიის აქტიური მხარდაჭერით შეძლო.

სამწუხაროდ, ჩვენმა ქვეყანამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იმხანად სამ წელიწადსაც კი ვერ შეინარჩუნა და 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა ხელმეორედ მოახდინა მისი ოკუპაცია.

ფართოდ ცნობილი ეს ისტორიული მოვლენები მე აქ კიდევ ერთხელ პირველ ყოვლისა იმის ხაზგასასმელად გავისხენე, რომ გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებს ქართველ ემიგრანტთა პირველმა დიდმა ნაკადმა სწორედ იმხანად მიაშურა.

გერმანიაში ნებსით თუ იძულებით მოხვედრილ ქართველთა რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ესენი ძირითადად ტყვედ ჩავარდნილი ქართველი მებრძოლები იყვნენ, რომელთა დიდი ნაწილი გერმანულ არმიამ გაერთიანდა და იმის იმედით, რომ ამ ომში გერმანიის გამარჯვების შედეგად საქართველო რუსეთის მონობისაგან განთავისუფლდებოდა და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას აღიდგენდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განხორციელებულ საომარ ოპერაციებში.

გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ისტორიის ცნობილი მკვლევრის — შტეფი ხოტივარი-იუნგერის ხაზგასმით, ჰიტლერის არმიამ მაშინ „15-20 ათასი ქართველი ჯარისკაცი იბრძოდა ნებაყოფლობით (ან არც მთლად თავისი სურვილით) გერმანულ საბრძოლო შენაერთებში. აქედან 13 სუფთა ქართული ბატალიონი იყო და თითოეულში 1000 კაცი ირიცხებოდა. მათ მხარდასაჭერად გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო“ (ხოტივარი-იუნგერი 2001: 31).

გერმანიაში ქართველთა მრავალრიცხოვანი დიასპორის გაჩენა არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით იყო საინტერესო მოვლენა, არამედ ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებისთვის ხელშემწყობ ფაქტორადაც იქცა. კერძოდ, გარდა იმისა, რომ ამ ქვეყნის ცნობილ უნივერსიტეტებში მრავალი ქართველი მეცნიერი და მწერალი სწავლობდა და მუშაობდა, სხვადასხვა დროს აქ არაერთი დასახელების ქართული გაზეთიც, ჟურნალიცა და წიგნიც გამოვიდა.

კერძოდ, „1915 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე ბერლინში ათამდე დასახელების ქართული გაზეთი იბეჭდებოდა... მაგალითად: 1915-1916 წლებში — ქართველი სამხედრო ტყვეებისათვის გამოდიოდა გაზეთი „კაკასია“ (სულ გამოვიდა 28 ნომერი). 1916-1918 წლებში ქართული სამხედრო გაზეთის „კლდეს“ — 23 ნომერი. ტყვეებისათვის გამოდიოდა „ქართული გაზეთი“ (სულ გამოვიდა 58 ნომერი). 1934-1936 წლებში გამოვიდა ქართველი ნაციონალისტების გაზეთი „კლდე“, სულ 23 ნომერი.

1942-1945 წლებში გამოდიოდა ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო“ (გამოვიდა 138 ნომერი). პირველ ორ გაზეთს მკაფიოდ განსაზღვრული მკითხველთა რაოდენობა (გერმანიაში დაახლოებით 3000 სამხედრო ტყვე იმყოფებოდა) ჰყავდა. გაზეთ „კაკასიას“ ბერლინის აღმოსავლეთის საინფორმაციო სააგენტო გამოსცემდა 1300 ეგზემპლარად“ (ხოტივარი-იუნგერი 2001: 27).

სამწუხაროდ, გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი სათანადო მეცნიერულ დონეზე დღემდე არაა შესწავლილი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ ქვეყანაში ნაცხოვრებ ჩვენი თანამემამულეების ცალკეულ წარმომადგენლებს (მაგალითად, გრიგოლ რობაქიძეს, მიხაკო წერეთელს, გრიგოლ ფერაძეს, აკაკი და თამარ პაპაევებს, გიორგი გამყრელიძეს, გივი მარგველაშვილს, ალექსანდრე ჭეიშვილს...) ქართული მეცნიერებისა და მწერლობის განვითარებაში საგულისხმო წვლილი აქვთ შეტანილი, ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გააქტიურება ყოველგვარი ემპირიკის გარეშე უნდა მივიჩნიოთ ქართველოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებულ მოღვაწეთაგან განსხვავებით, მინდია ლაშაურს, როგორც მწერალსა და ჟურნალისტს, ქართული კულტურის ისტორიაში ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული, მისი ღვაწლის შესწავლა მაინც თუნდაც იმპროვიზაცია აუცილებელი, კიდევ უფრო ნათელი და სრულყოფილი წარმოდგენა რომ შეგვექმნეს ქართული ემიგრაციის ისტორიაზე.

ქართველ ემიგრანტთა ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, მ. ლაშაურის, როგორც მწერლის, ქართული რადიო „თავისუფლების“ ლიტერატურული მიმომხილველისა და მკვლევრის, შემოქმედებითი ღვაწლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ „ქართული ემიგრაციის ისტორიის მომავალი ამწერი მის ტალანტს გვერდს ვერ აუვლის“ (ჩვენ 1985).

საქართველოში მინდია ლაშაურის სახელი დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ იმ გადაცემებით იყო ცნობილი, რომლებსაც რადიო „თავისუფლება“ აწარმოებდა მიუნხენიდან საბჭოთა საქართველოს მოსახლეობისთვის. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ კი სათანადო ცნობები ქართველ საზოგადოებას პირველად გურამ შარაძემ მიანოდა (მისი წერილები იხ. გაზეთებში: „კომუნისტი“ (31. VIII. 1988 წ.) და „თბილისი“ (18. III. 1989 წ.), ასევე წიგნში: გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, 1989 წ. გვ. 587-594).

გარდა გურამ შარაძის დასახელებული წერილებისა, მინდია ლაშაურის საქმიანობასთან დაკავშირებით ქართულ პრესაში ორიოდ პატარა წერილი, მართალია, ამის შემდეგაც გამოქვეყნდა, მაგრამ მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა დღემდე არ ქცეულა საფუძვლიანი შესწავლისა და განსჯის საგნად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დღესდღეობით მ. ლაშაურის მიერ უცხოეთში გამოცემული და ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებული ნაწარმოებების მხოლოდ ნაწილია ხელმისაწვდომი, ვფიქრობ, ისინიც სავსებით საკმარისია საიმისოდ, მეტ-ნაკლებად ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნეს მის მოკრძალებულ წვლილზე ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიაში.

მ. ლაშაური თავისი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ საკმაოდ ვრცლად და საფუძვლიანად გვიამბობს 1985 წელს მიუნხენში გამოცემულ მემუარებში — „მოგონებათა წიგნი.“ ხსენებული ნაშრომისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მასში ავტორი თავისი დროის საქართველოში არსებული ვითარებისა და ქართველი ემიგრანტების შესახებაც გვანვდის საგულისხმო ცნობებს.

მ. ლაშაურის მოგონებათა წიგნის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად აქ მისი იმ ფრაგმენტის გახსენებაც იქნება საკმარისი, სადაც ავტორი პატრიოტული აღმფოთებით საუბრობს გასულ საუკუნის 30-იანი წლების სამეგრელოში ისაკ ჟვანიასა და მისი თანამოაზრე სეპარატისტების მიერ დაწყებულ მოძრაობაზე მეგრულისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მიინჭებასთან და სკოლებში ამ ენაზე სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით.

ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს მ. ლაშაურის ხსენებული წიგნიდან: „მამინ ზუგდიდში დაიწყო ე. წ. „მაფაღლისტების“ მოძრაობა. „მაფაღლ“ მეგრულია და ქართულად „აყვავებას“ ნიშნავს. ამ მოძრაობას მეთაურობდა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი ისაკ ჟვანია და მოითხოვდა სახელმწიფო დაწესებულებებში მეგრულ ენაზე საქმის წარმოებას და სწავლას მეგრულად სკოლებში, ქართული ანბანის გამოყენებით... ისე წავიდა საქმე, რომ ზუგდიდში ქართულად ლაპარაკი საჩოთირო გახდა. საანკეტო მონაცემებში ეროვნებას აღნიშნავდნენ „მეგრელი.“ დაარსდა ამ ანტიეროვნული მოძრაობის ბეჭდვითი ორგანო „ყაზახიმი გაზეთი,“ რომელიც გამოდიოდა მეგრულ ენაზე...

ისაკ ჟვანიამ თავისი მოქმედებით წყალი მიუშვა რუსი შავრაზმელების ოცნებას: „დაჰყავი და იბატონე.“ ზუგდიდიდან სოფლის საბჭოებს ინსტრუქციები ეგზავნებოდათ მეგრულ ენაზე... „ყაზახიმი გაზეთი“ იყიდებოდა თბილისის ჟურნალ-გაზეთების კიოსკებში, როგორც სხვა ეროვნებათა გაზეთები. ამან მოშხამა ატმოსფერო

და საქმეში გაბედულად ჩაერია მეგრული წარმოშობის ქართველი მონინავე ინტელიგენცია. თბილისის საოპერო თეატრში შეიკრიბა ეს ინტელიგენცია. შეკრებაზე იყვნენ ალექსანდრე აბაშელი, სიმონ ჩიქოვანი, არნოლდ ჩიქობავა, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი და სხვები...

მაღე ისაკ ჟვანია ზუგდიდიდან მოხსნეს, ყბადასალები „ყაზახიში გაზეთი“ დახურეს და ხალხმაც ამოისუნთქა.

ილია კუჭუხიძე დაიბადა 1906 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმანში. მამამისი — ვასილ კუჭუხიძე ამ სოფელში საცხოვრებლად წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებიდან ყოფილა გადასული. 1917 წელს, ხობის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ, ილიას სწავლა გაუგრძელებია ქუთაისის გიმნაზიაში.

1921-1924 წლებში ი. კუჭუხიძე სწავლობდა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში (რომელიც მალევე ჰუმანიტარულ ტექნიკუმად გადაუქცეობიათ). ბათუმში სწავლის პერიოდში იგი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი ხდება და აქტიურად ერთვება იმჟამად გამართულ ანტიბოლშევიკურ ღონისძიებებში. კერძოდ, 1922 წელს მას მონაწილეობა მიუღია მოსწავლეთა დემონსტრაციაში, რისთვისაც „ხალხის მტრის“ ბრალდებით ერთი დღე-ღამის განმავლობაში დაკავებულიც კი ყოფილა.

ბათუმში სწავლის პერიოდში ი. კუჭუხიძემ და შემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესებულმა მისმა მეგობრებმა გიმნაზიაში დააარსეს ლიტერატურული წრე და გამოსცეს ხელნაწერი ჟურნალი „ჩირაღდანი“, რომლის რედაქტორიც ყოფილა შემდგომში ცნობილი ლიტერატურათმცოდნე პროკლე კეკელიძე, მხატვარი კი ლადო გრიგოლია.

ბათუმში მყოფ მწერალს ახლო მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია სიმონ ჩიქოვანთანაც, რომელიც იმხანად ბათუმის გარეუბან ფერიაში დაბანაკებულ ქართულ ლეგიონში მსახურობდა ბიბლიოთეკის გამგედ.

როგორც ცნობილია, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკურად არასაიმედო და საეჭვო პიროვნებათა დევნის აქტიური კამპანია გაჩაღდა. ი. კუჭუხიძის ინფორმაციით, რეპრესიებისაგან თავის დაღწევის მიზნით, პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთი ნაწილი კომპრომისის გზას დაადგა და გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ განცხადებებში ანტისახელისუფლების საქმიანობაში თავის მონაწილეობას შემდეგნაირად „ინანიებდა:“ „ვეკუთვნოდი ამა თუ იმ პარტიას, მაგრამ დავრწმუნდი რა ჩემს შეცდომებში, გავდივარ პარტიიდან და ვდგები კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და ჩამოვდივარ საბჭოთა პლატფორმაზე“ (ლაშაური 1985: 24).

მწერლის გულახდილი აღიარებით, ამგვარ „მომნანიებელთა“ შორის ისიც აღმოჩნდა: კერძოდ, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, როგორც ანტისახელისუფლებო საქმიანობაში მონაწილეობის გამო ნაპატიმრალმა, თურმე „მსხვერპლი მანაც გაიღო,“ „შეცდომები მოინანია, საბჭოთა პლატფორმაზე დადგომა“ აღიარა და თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. პარალელურად, ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ სპეციალობაზეც სწავლობდა. მატერიალური ხელმოკლეობის გამო კი საარსებო სახსრის მოსაპოვებლად იმავდროულად ფიზიკურ საქმიანობასაც ეწეოდა.

საქართველოში ცხოვრების პერიოდში ი. კუჭუხიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა სკოლაში, პროფკავშირულ ორგანიზაციებში, იყო მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი, დრამატული წრეების ხელმძღვანელი...

1941 წელს, საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის დაწყებისთანავე, ი. კუჭუხიძე მოქმედ არმიამი გაიწვიეს, სადაც 1942 წელს ტყვედ ჩავარდა. ტყვეთა ბანაკიდან განთავისუფლების შემდეგ იგი ბერლინში დარჩა და ქართველი ლეგიონერებისთვის განკუთვნილი ქართული გაზეთის — „საქართველოს“ (რედაქტორი გაიოზ მალაკელიძე) რედაქციაში დაიწყო მუშაობა რედაქციის მდივნად.

„საქართველოში“ ხანმოკლე მუშაობის შემდეგ მ. ლაშაური სამუშაოდ ბერლინშივე გამომავალ ჟურნალ „ქართველი ერის“ (მთავარი რედაქტორი გიორგი მაღალაშვილი (ფრონელი), ფაქტობრივი რედაქტორი — ვიქტორ ნოზაძე) რედაქციაში გადადის პასუხისმგებელ მდივნად (კუჭუხიძე 1985: 231).

1942-1944 წლებში „ქართველი ერი“ იმდენად პრესტიჟულ პერიოდულ გამოცემას წარმოადგენდა, რომ მის ირგვლივ ქართველ ემიგრანტთა მთელი ელიტა (გროზაძე, ა. პაპავა, რ. გაბაშვილი, ი. მანწკავა, დ. საღირაშვილი...) ყოფილა შემოკრებილი (მარაძე 1991: 591).

ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ მ. ლაშაური ძირითადად გერმანიაში, კერძოდ კი ქალაქ მიუნხენში, ცხოვრობდა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართველ ემიგრანტთა საქმიანობაში. მწერლის შეფასებით, ომის შემდგომ წლებში მიუხენი, ბერლინის შემდეგ, „ემიგრაციული ცხოვრებისა და მოქმედების ცენტრი გახდა. ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნიებიდან ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი, ძველი და ახალი“ (კუჭუხიძე 1985: 262).

უცხოეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში მ. ლაშაური თავდადებით იცავდა და ექომაგებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ტყვედ ჩავარდნის შემდეგ მწერალი სამშობლოში არა თუ არასოდეს ჩამოსულა, არამედ აქაურ ნათესავებთან და ნაცნობებთან წერილობითი კავშირიც კი ჰქონდა განწყვეტილი, იგი მაინც ახერხებდა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისათვის აქტიურად ედევნებინა თვალი და შეძლებისდაგვარად გამომხაურებოდა მათ.

მ. ლაშაური ევროპაში სხვადასხვა მისიით ჩასული ჩვენი თანამემამულეების ეროვნული ინტერესების აქტიური დამცველის როლშიც გამოსულა არაერთხელ. მაგალითად, 1973 წელს ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ქართული ცეკვის ანსამბლის გერმანიაში გასტროლების დროს იქაურ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში ქართველ მოცეკვავეთა კავკასიელ რუსებად და კაზაკებად მოხსენიების გამო „უსაზღვროდ აღშფოთებული მწერალი თავის „მოგონებათა წიგნში წერდა:“ „კაზაკები ალბათ იმიტომ გვიწოდეს, რომ კაზაკებსაც აცვიათ ხოლმე კავკასიური ტანისამოსი და იფიქრეს, ესენიც კაზაკები არიანო. ამან ამაღლევა მეტის მეტად და შეეუდექი დაუსრულებელი წერილების წერას რედაქციებისადმი, რომ ესენი ქართველები არიან საქართველოდან და არა რუსები. დამჭირდა გაზეთების მიმართ საქართველოს ისტორიის პატარა მიმოხილვა გამეკეთებინა“ (კუჭუხიძე 1985: 326).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მ. ლაშაურის მემუარები ომის შედეგად ევროპაში დარჩენილი ქართველი ემიგრანტების ცხოვრების შესახებაც გვანდის საინტერესო ინფორმაციებს. მაგალითად, წიგნში დიდი ყურადღება ექცევა არჩილ მეტრეველის მიერ მიუნხენში ქართული სტამბის გამართვასთან, ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთების გამოცემასთან და რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის მუშაობასთან დაკავშირებული ამბების მოთხრობას.

მ. ლაშაურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გერმანული პერიოდიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ იგი დაარსების პირველივე დღეებიდან (1953 წ.) მოყოლებული, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა მიუნხენში

დაფუძნებული ქართულენოვანი რადიო „თავისუფლების“ რედაქციაში ლიტერატურულ მიმომხილველად, პარალელურად კი, ცნობილი ქართველოლოგის — იულიუს ასფალგის წარდგინებით, 1968-1984 წლებში, ქართულ ენასაც ასწავლიდა მიუნხენის უნივერსიტეტში.

გერმანიაში ცხოვრების პერიოდში მ. ლაშაურმა ცოლად შეირთო გერმანელი ქალი ანელეზე, რომელთანაც 1965 წელს შეეძინა ქალიშვილი — გაბრიელე (გაბი).

მ. ლაშაური გარდაიცვალა 1992 წელს.

საქართველოში ცხოვრების პერიოდში მ. ლაშაური აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას არ ეწეოდა და იმდროინდელ ქართულ პრესაში მას მხოლოდ რამდენიმე წერილი ჰქონდა გამოქვეყნებული. მწერლობით მისმა დაინტერესებამ კი თავი ემიგრანტობის წლებში იჩინა და სწორედ ამ პერიოდში დაწერა მან თავისი შემოქმედების უკლებლივ ყველა მნიშვნელოვანი ნიმუში.

კერძოდ, უცხოეთში მოღვაწეობის პერიოდში მინდია ლაშაურმა გამოსცა შემდეგი წიგნები:

წმინდა ნინო ქართველთა განმანათლებელი და ქრისტიანობის როლი საქართველოში, მიუნხენი, 1958.

აუცილებელი პასუხი ქართველი ერის ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ, მიუნხენი, 1960. (რუსულ ენაზე).

ქართული სული, მიუნხენი, 1961.

XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორია თანამედროვე საბჭოთა ინტერპრეტაციით, მიუნხენი, 1965. (რუსულ ენაზე).

ლაზთა მეფე გუბაზ მეორე, მიუნხენი, 1972.

ფიქრები საქართველოზე (რჩეული მოთხრობები და ლექსები), მიუნხენი, 1983.

სამაგიდო რვეულიდან. მოგონებათა წიგნი, მიუნხენი, 1985.

ოდიშის მთავარი ცოტნე დადიანი, ისტორიული მოთხრობა, მიუნხენი, 1985.

უტუ მიქავა, ისტორიული მოთხრობა, მიუნხენი, 1986.

მინიატურები და მინიატურული პროზა, მიუნხენი, 1987.

ამბავი ერთი სიყვარულისა, მიუნხენი, 1987.

მ. ლაშაური თავის ნაწერებს ასევე სისტემატურად აქვეყნებდა პარიზში, ნიუ-იორკსა და უცხოეთის სხვა ქალაქებში გამოცემულ ისეთ ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში, როგორებიცაა: „ბედი ქართლისა,“ „ქართული აზრი,“ „კავკასიონი,“ „ივერია,“ „ჩვენი დროშა,“ „მამული,“ „თავისუფალი ტრიბუნა“...

გარდა ქართული პერიოდიკისა, ჩვენი ქვეყნის ისტორიული და თანადროული ყოფისა და სულიერი კულტურისადმი მიძღვნილი მ. ლაშაურის წერილები დროდადრო გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენოვან ენციკლოპედიებსა და პერიოდულ გამოცემებშიც იბეჭდებოდა ხოლმე.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ი. კუჭუხიძეს თავისი წიგნებისა და წერილების უდიდესი ნაწილი მინდია ლაშაურის ფსევდონიმით აქვს გამოქვეყნებული. გარდა ამისა, დროდადრო იგი ისეთ ფსევდონიმებსაც იყენებდა, როგორებიცაა: ალექო ლორია, ი. დურუჯული, ლაშა ეგრისელი და სხვ.

მ. ლაშაურის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეფასების დროს ქართველი ემიგრანტები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ მისი ლიტერატურული შესაძლებლობების ყველაზე მეტად წარმომჩენ სფეროდ პირველ ყოვლისა მხატვრული პროზა იქცა — ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში ნაკლებად განვითარებულ ჟანრი. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ცნობილი ისტორიკოსი

ალექსანდრე მანველიშვილი მწერლისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „ემიგრაციაში თქვენ პირველი ხართ მგონია, რომ ასე მშვენიერი ქართული პროზა მოგვანოდეთ. ლექსებს ბევრი წერს, მაგრამ მხატვრული პროზა იშვიათია და თქვენი მოთხრობების ღირსებასთან ერთად ეს მოვლენა კიდევ უფრო ზრდის მის ღირებულებას“ (ლაშაური 1986: 148).

მ. ლაშაურისა და ემიგრაციაში მოღვაწე სხვა ჩვენი თანამემამულეების ნაწერების შეფასების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ განსხვავებით საბჭოთა კავშირში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისაგან, რომლებიც აქ არსებული იდეოლოგიური დიქტატურის გამო იძულებულნი იყვნენ, თავიანთი თვალთახედვა არსებული პოლიტიკური რეჟიმისათვის დაექვემდებარებინათ და კონიუნქტურული ფორმით გამოეხატათ, უცხოეთში მოღვაწე ქართველები ასეთი შეზღუდვებისაგან თავისუფალნი იყვნენ.

პირველ ყოვლისა სწორედ ამით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და თანადროული ყოფის ბევრი ბრობლემური საკითხი მათ ნაწერებში ზოგჯერ არსებითად განსხვავებული სახითაა გააზრებული.

ემიგრაციაში მცხოვრები მწერალი მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა — წერდა პროზაულ ტექსტებს, ლექსებს, ლიტერატურულ ესეებს, ისტორიულ ნარკვევებს, მემუარული ჟანრის ნაწარმოებებს, იყო აქტიური ჟურნალისტი. მისი მწერლური მემკვიდრეობა, მართალია, ერთი პატარა, მოკრძალებული ხელნაკადაია მეოცე საუკუნის ქართული ემიგრანტული ლიტერატურისა, სიტყვიერი ხელოვნებითა და მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით არც თუ ისე ფასეული და მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ანგარიშგასანევი ის მასალა, რომელიც ახალი ნიუანსებით ავსებს და ამდიდრებს ქართული ემიგრაციის ისტორიას.

მწერლის ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედებიდან დღევანდელი მკითხველისთვის ყველაზე მეტად საინტერესო მაინც მისი ესეები და წერილებია, რომლებშიც მკვეთრად გამოხატული ეროვნული პოზიციებიდანაა შეფასებული და წარმოჩენილი ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ღვაწლი და ადგილი ჩვენი სულიერი კულტურის ისტორიაში.

პირველ ყოვლისა სწორედ ამ თვალსაზრისით მიიწინააღმდეგება ქალაქ მიუნხენში 1961 წელს გამოცემულ წიგნს „ქართული სული“, რომელშიც მძაფრად გამოვლენილი ეროვნული სულისკვეთებითაა გაანალიზებული კლასიკური და ავტორის დროინდელი ქართული მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა (ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავის, ალექსანდრე ყაზბეგის, იოსებ გრიშაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ტიცვან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ალექსანდრე აბაშელისა და კონსტანტინე გამსახურდიას) შემოქმედებითი მემკვიდრეობა; ასევე ბაგრატიონთა სამეფო გვარის დიდი წარმომადგენლების, თბილისის, ქართველი ქალისა და ქართული ენის როლი და მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული თავისთავადობის დაცვისა და შენარჩუნების ისტორიულ პროცესში.

ნიგნისათვის ნამძღვარებული ავტორისეული განმარტებით, „ქართული სული“ „სამშობლოს გულ-მკერდიდან უბედო ბედისაგან მოწყვეტილი ადამიანის გულში აღძრული ნადების გადმოშლაა; ამიტომ ჩვენი წიგნი არც ქართული ლიტერატურის ისტორიაა, არც მეცნიერული კვლევა-ძიება.

ჩემი გულის ნადებს, გადმოხვეწილობაში წლობით დაგუბებულს, სძლიეს გრძნობებმა და ქალაღზე გადმომატანინეს ის.“

ავტორისეული მიზანდასახულობიდან გამომდინარე, მ. ლაშაურის წიგნის ღირსებას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ქართველ მწერალთა შემოქმედებიდან კარგად ცნობილი ნაწარმოებების ანალიზის დროს მ. ლაშაური მკითხველის ყურადღებას უპირველეს ყოვლისა სწორედ მათი ავტორების ეროვნული თვალთახედვის წარმომჩენ პასაჟებს მიაპყრობს და ცდილობს, ამით კიდევ უფრო მეტად განგვიმტკიცოს საბჭოთა იმპერიის კიროთებქემ მგმინავი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა.

მაგალითად, „ყველაფერი დაეკარგეთ: სამშობლო — ცა ფირუზი, ხმელეთ ზურმუხტი... მოდუდუნე მტკვრის ნაპირი... აღარ გვესმის ალზევანს მავალი ქართველი გლეხის ურმული, მაგრამ სული ხომ შეგვრჩა, ქართული სული და მისი შვენება — ქართული ენა, რომლითაც დიდმა ილიამ ხალხის გულში უკვდავად გამოაქანდაკა: „ჩვენი სული ჩვენადვე გვეყუნესო!“

თუმცა ქართველ მწერალთა ეროვნულ მრწამსს მ. ლაშაური მხოლოდ პატრიოტული რომანტიზმის პოზიციებიდან არ წარმოაჩენს და იმ მსოფლმხედველობრივ გაორებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ცალკეულ ავტორთა თვალთახედვისთვისაა დამახასიათებელი. ამ მხრივ მან განსაკუთრებული ყურადღების საგნად პირველ ყოვლისა გრ. ორბელიანის მოღვაწეობა და შემოქმედება აქცია და აშკარა უკმაყოფილება გამოხატა იმის გამო, რომ მისი სახით ჩვენს წინაშე ორი გრიგოლ ორბელიანი დგას: ერთის მხრივ — „ჭალარა კავკასიონის დამპყრობი ლაშქრის ბელადი,“ რომელმაც „შამილის დამარცხებით საქართველოს ციხე-სიმაგრეს უკანასკნელი კარი შეუნგრია და მტრის სათელავ ასპარეზად აქცია,“ მეორეს მხრივ კი პოეტი, რომელიც „ბარათაშვილივით დასტირის საქართველოს დანამკრთალ პარნასს და გულდაკოდილი მოსთქვამს ჩვენი ქვეყნის უბედობაზე“ (ლაშაური 1961: 19).

მ. ლაშაური ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საბედისწეროდ გარდამტეხ მიჯნად პირველ ყოვლისა რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ XIX საუკუნის დასაწყისსა და 1921 წლის თებერვალში საქართველოსთვის თავსდატეხილ ტრაგიკულ მოვლენებს მიიჩნევს. მწერლის ამგვარ პოზიციას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ, მისი შეფასებით, ამ მოვლენებმა მამინ არა მარტო ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას დაუსვეს ნერტილი, არამედ ქართველ მამულიშვილთა არც თუ მცირე ნაწილის ცნობიერებაშიც მოახდინეს არსებითი გარდატეხა.

ავტორისეული თვალთახედვის არსში უფრო ღრმად და საფუძვლიანად გასარკვევად გავიხსენოთ ფრაგმენტი წიგნიდან: „ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ქარქაშიდან ამონვდილი ხმალი გადატყდა. ქართული სული დაატყვევეს და ხიშტიანი ჯარისკაცებით შემოსალტულს „ერთგულების“ ფიცი სიონის ტაძარში მიადებინეს. ქართველმა თავად-აზნაურობამ დაჰკარგა ქვეყნის განმგებლობა და ნოდებრივ ფენად გადაიქცა. მისი მებრძოლი ნაწილი, ქართული სულით გახელებული, ფარ-ხმალს არ ჰყრის, ოღონდ სანადელს მიაღწიოს. რა არის ეს სანადელი? ეს არის ქართული სახელმწიფოს აღდგენა...“

მეორე ნაწილი თავად-აზნაურობისა იმპერიის სამსახურში შევიდა, რუსული ჩინმედლები გაიხადა საწუკვარ ოცნებად. ზოგი ჩინმედლებით გაბრუებული თავის ქვეყანას დაერია...

მესამე ნაწილი თავად-აზნაურობისა შემოქმედებაში შთაინთქა; ქართულ სულს აქედან სწვდა და ფასდაუდებელი ძეგლი დაუდგა თავის ქვეყანას“ (ლაშაური 1961: 9).

რაც შეეხება მ. ლაშაურის პროზაულ ტექსტებს, ობიექტურობა მოითხოვს, ითქვას, რომ მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით ისინი საკმაოდ სუსტ ნაწარ-

მოებებს წარმოადგენენ და აშკარად არიან მოკლებულნი სიტყვიერი ხელოვნების მადლსა და გრძნეულებას. ამისდა მიუხედავად, მწერლის ამ ნაწერებში მკითხველი მაინც იპოვის ისეთ პასაჟებსა და ეპიზოდებს, რომლებიც არა მარტო საკუთრივ მათი ავტორის მოქალაქეობრივი მრწამსის შესაცნობადაა საინტერესო, არამედ ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის გასააზრებლადაც.

ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიშველიებ კონკრეტულ მაგალითებს მწერლის პროზაული ტექსტებიდან. დავინყებ ვრცელი მოთხრობით „ამბავი ერთი სიყვარულისა“ (მიუნხენი, 1987). მართალია, ერთმანეთზე თავდავინყებით შეყვარებული ორი პიროვნების სასიყვარულო თავგადასავლის ავტორისეული მონათხრობი სიუჟეტური თვალსაზრისითაც ნაკლებად ორიგინალურია და სიტყვიერი ხელოვნების მხრივაც საკმაოდ მოისუსტებს, მაგრამ მისი ცალკეული პასაჟები მაინც იწვევენ გარკვეულ ინტერესს.

მხედველობაში მაქვს მოთხრობის ის ეპიზოდები, სადაც კომუნისტებისა და კომკავშირლების ანტირელიგიური ქმედებანი და ეკლესიების დარბევის ამბავია მოთხრობილი. მაგალითად, ეკლესიის გუმბათიდან ჯვრის ჩამოსაგდებად და მის ადგილზე ხუთქიმიანი ვარსკვლავის აღსამართად ამხედრებული კომკავშირლები ტაძრის ეზოში შეიჭრნენ და „ტრაპეზე შედგნენ...“

ემპაკეულებივით დახტოდნენ წინ, უკან... ერთს კიდევ თავზე მღვდლის ქუდი დაესურა, ანაფორა ჩამოეცა, საცეცხლური ხელში დაეჭირა და „წირავდა.“

ერთმა კომკავშირელმა გაიკეთა ოლარი, გიჟივით გამოვარდა ეკლესიიდან და გაიძახოდა: „შემომხედეთ, რა და ვინა ვარო.“ შემდეგ ფეშხუმი დაამტკრიეს. მოიტანეს კიბე და რადგან მოკლე გამოდგა, კიბეს კიბე მიადგეს, შეჰკრეს ორი კიბე თოკით და მიადგნენ ეკლესიას.“

მოთხრობისადმი ინტერესს მნიშვნელოვანიწილად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ იგი საბჭოთა პერიოდის აფხაზეთში ეროვნული თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებაც გვანვდის გარკვეულ ინფორმაციას. მაგალითად, ნაწარმოების მთავარ პერსონაჟთან — აფხაზ ლაშა როდონაიასთან სოხუმში მისი სწავლის პერიოდში სტუმრად ჩასული მამა შვილს შემდეგნაირად ესაუბრება აფხაზეთში ეროვნული გადაგვარების კუთხით მოსალოდნელ საფალალო შედეგებზე: „მოვდივარ, შვილო, სოხუმის ქუჩებში და ქართული ლაპარაკი არსად ისმის... სულ რუსულად ლაპარაკობენ... ჩვენი აფხაზებიც გადავჯიშდნენ, სულ რუსულად საუბრობენ!.. გზად ერთი ნაცნობი აფხაზი შემხვდა, გვარად ლაკობა... შევჩვილე ჩემი გულის დარდი და იცი რა მითხრა?.. — თქვენ ქართველები რუსდებით და რალა ჩვენ გავქართველდეთო!“

საბჭოთა პერიოდის აფხაზეთში ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად გატარებული რუსიფიკატორული პოლიტიკა, რასაც შედეგად ქართული სახელმწიფოებრივი სივრციდან ამ ძირძველი მხარის საბოლოოდ ჩამომორება უნდა მოჰყოლოდა, მოთხრობის სხვა ეპიზოდებშიცაა მხილებული და კრიტიკული განსჯის საგნად ქცეული.

მაგალითად, მშობლიურ აფხაზეთში დიდი ხნის არყოფნის შემდეგ ჩასულ ლაშას ერთ-ერთი აფხაზი გულისტკივლით ეუბნება: „აფხაზეთი აჭრელდა... უცხოელ მოსულნი ეუფლებიან მას... აქ, ნებელდასთან ახლოს, არის ხუთი სოფელი სომხებისა. ისინი ბეირუთიდან არიან აყრილნი და ჩვენთან მოსულნი... მაგრამ ისე მტკიცედ მოიკიდეს ფეხი და იქამდეც კი მივიდნენ, რომ თვითმმართველობა მოითხოვეს; ჩვენ გვინდა ჩვენს მიერ არჩეული მთავრობაო, ჩვენს კანონს ჩვენ თვითონ უნდა ვადგენდეთო.“

თუმცა, ამგვარი მამხილებლური პოზიციის მიუხედავად, ავტორის ეროვნული თვალთახედვა ქსენოფობიასა და სხვა ხალხთა წინააღმდეგ მიმართულ ისტერიასი არასოდეს გადაიზრდება. ეს რომ წამდვილად ასეა, ამას მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნათქვამი თუნდაც ეს სიტყვებიც ადასტურებს ნათლად და არაორაზროვნად: „ჩვენ არავინ გვძულს, ყველას ვიგუებთ, მაგრამ ჩვენს მიწა-წყალზე ნუ შეგვეცილებიან... იგი ღვთისგან ნაკურთხი და ბოძებულია!“

მ. ლაშაურის პიროვნული ცხოვრებისეული ბედიდან გამომდინარე, მისი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემად სავსებით ლოგიკურად იქცა საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი რეჟიმის კრიტიკა. განსხვავებით ამ რეჟიმის კირთებქვეშ მცხოვრები მისი კოლეგებისაგან, რომელთაგანაც მხოლოდ ცალკეული წარმომადგენლები თუ ახერხებდნენ თავიანთი წამდვილი ეროვნული და მოქალაქეობრივი თვალთახედვის ნაწილობრივ ან შენიღბული ფორმით გამოხატვას, ემიგრაციაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ასეთ იდეოლოგიურ შეზღუდვებს მთლიანად იყენებდნენ მოკლებულნი.

ამ გარემოების გათვალისწინებით, მათ ნაწერებს, მიუხედავად იმისა, რომ წმინდა სიტყვიერი ოსტატობის მხრივ ისინი ბევრად ჩამოუვარდებიან საბჭოთა რეჟიმის პირობებში მცხოვრები მათი კოლეგების მხატვრულ შემოქმედებას, მაინც თუნდაც იმიტომაც უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რომ ჩვენი ემიგრანტი თანამემამულეები საბჭოთა კავშირში რეალურად არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას ამ რეჟიმისაგან თავისუფალი ადამიანის თვალთახედვით წარმოაჩვენებენ.

ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ერთ პატარა ეპიზოდს მ. ლაშაურის ზემოთ ხსენებული მოთხრობიდან.

აფხაზეთში ჩასული ლაშა როდონაია დაბურულ ტყეში მოულოდნელად ვილაც „ბანჯგვლიან, თმაგაჩრილ ტყიურს“ გადაეყარა. ეს გაველურებული ადამიანი ყაბარდოდან აფხაზეთში გადმოხვენილი კაცი გამოდგა, საბჭოთა რეჟიმის შედეგად მშობლიურ კუთხეს იძულებით მონყვეტილი და დღენიდაგ ტყე-ღრეში ნადირივით მოხეტიალე ნამასწავლებლარი.

აი, როგორ უამბობს იგი ლაშას თავის ცხოვრებისეულ ტრაგედიას: „ოდესლაც კაცი ვიყავ, ვმასწავლებლობდი სოფლად. მამაჩემი მშრომელი გლეხი იყო, დღედაღამეს ასწორებდა, სახლ-კარი გვექონდა გამართული. მერე საერთო მეურნეობაში შეგვეყარეს... ჩვეული კერძო ცხოვრებას, მის დაკარგვას ვერ შეურიგდა მამაჩემი, ტყეში გაიჭრა. იქ მისებრ თავგანწირულები დაიძმობილა... მთებს მისცეს თავი და ეცემოდნენ დროგამოშვებით ადგილობრივ ხელისუფლებას... მამა მოკლეს. მე სკოლიდან დამითხოვეს... გავიდა დრო. ჭრილობა მოშუშდა. მე წითელ ჯარში გამიწვიეს და საგანგებო რაზმში მომაქციეს. თავდადება გამოიჩინეო, მითხრეს. მეც ვემსახურებოდი მას, ვინც მძულდა, ვეტკბილებოდი მას, ვინც მამა მომიკლა და მაღლობას მოვახსენებდი იმას, ვინც „ხალხის მტერს“ ბოლო მოუღო... გადიოდა დრო. სიზმრები მტანჯავდნენ... სულ მამაჩემი მედგა თვალწინ, პირსისხლიანი, ნახევრად ყბა-მოღრეცილი, მოდრეკილი ხელებით და მეუბნებოდა:

– მურთაზ, შვილო, შური იძიე, ვერ ვისვენებ სასულეთში, კუპრში ვიხარებები... სისხლი აიღე და მომასვენე!“

ამგვარი მტანჯველი სიზმრებით სულშეძრულმა ყაბარდოელმა მამას სურვილი შეუსრულა, საბჭოთა რეჟიმის სიმბოლურ ხატებად წარმოსახული ერთ-ერთი კომუ-

ნისტი სიცოცხლეს გამომასალმა, მშობლიური მხარე მიატოვა და თავის გადასარჩენად აფხაზეთის ტყეებში დაიდო ბინა.

მინდია ლაშაურის მწერლური შესაძლებლობები ყველაზე მეტად დოკუმენტური პროზის ჟანრში გამოვლინდა. კერძოდ, მისთვის ხელმისაწვდომ ისტორიულ დოკუმენტებსა და სათანადო მეცნიერულ ნაშრომებზე დაყრდნობით იგი შეეცადა მკითხველისათვის მხატვრული ფორმით მოეთხრო საქართველოს ისტორიიდან ფართოდ ცნობილი ეპიზოდები და რამდენადმე ახლებურად გაეაზრებინა მათთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები.

ხსენებული ტექსტებისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად ზრდის ის გარემოებაც, რომ ისტორიული წარსულის ამგვარი სახით წარმოსახვა ავტორმა პირველ ყოვლისა თავისი დროის სინამდვილესაც დაუკავშირა არაპირდაპირი ფორმით და ამ გზითაც ცადა საკუთარი ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის გამოხატვა.

მწერლის შემოქმედებიდან აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობები „ცოტნე დადიანი“ და „უტუ მიქავა.“ როგორც ხსენებული ნაწარმოებებიდან თვალნათლივ ჩანს, მ. ლაშაურის ისტორიული ტექსტების შექმნის აუცილებელ წინაპირობასა და ლიტერატურული შთაგონების წყაროს არა მარტო შესაბამის პერიოდთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტები და სამეცნიერო ნაშრომები წარმოადგენდნენ, არამედ მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებებიც.

მაგალითად, ისტორიულ მოთხრობაში — „უტუ მიქავა“ ტექსტოლოგიურადაც და სიუჟეტური თვალსაზრისითაც ხელშესახებად იგრძნობა სერგი ჭილაიას ბიოგრაფიული რომანის — „ეკატერინე ჭავჭავაძის“ (პირველად გამოიცა 1966 წელს) ზეგავლენის კვალი. კერძოდ, ხსენებულ ნაწარმოებთა ამგვარი სიახლოვე არა მარტო ცალკეული ლიტერატურული პასაჟებისა და სიუჟეტური ეპიზოდების მსგავსებით დასტურდება, არამედ მათი ავტორების ეროვნულ-პოლიტიკურ შეხედულებათა თანხვედრებითაც. მიუხედავად იმისა, რომ „ეკატერინე ჭავჭავაძე“ საბჭოთა ეპოქაში დაიწერა და დაიბეჭდა, იგი იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური ტენდენციურობით შებოჭილ ნაწარმოებს არ წარმოადგენს და ისტორიულ მოვლენათა ავტორისეული გააზრება დღევანდელი მკითხველისთვისაც ყოველგვარი კორექტირების გარეშეა მისაღები.

ამ გარემოებას ასეთი სიმკვეთრით ხაზს ამჯერად იმიტომაც ვუსვამ, რომ მ. ლაშაურისა და ს. ჭილაიას ხსენებულ ნაწარმოებებს ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც ბევრი რამ აქვთ საერთო. თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს „უტუ მიქავა“ „ეკატერინე ჭავჭავაძის“ დუბლირებულ ვარიანტს წარმოადგენდეს და მხატვრულ და მსოფლმხედველობრივ ინდივიდუალობას მოკლებული ნაწარმოები იყოს.

ეს რომ ასე არ არის, ამას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მ. ლაშაურმა მხატვრული წარმოსახვის უმთავრეს საგნად 1856-1857 წლებში უტუ მიქავას ხელმძღვანელობით სამეგრელოში მომხდარი გლეხთა აჯანყება აქცია, ს. ჭილაიას რომანქრონიკაში კი ავტორისეული თვალთახედვა პირველ ყოვლისა სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფლის — ეკატერინე ჭავჭავაძის ცხოვრებისკენაა მიპყრობილი და უტუ მიქავასთან დაკავშირებული ამბები მასში მხოლოდ ეპიზოდურადაა მოთხრობილი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მ. ლაშაურის „უტუ მიქავა“ დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებია, რომელშიც ავტორისეული თვალთახედვის არეში მოქცეული მოვლენები თითქმის ზედმიწევნითი ისტორიული სიმართლითაა წარმოსახული. თუმცა

ისტორიზმით ავტორის ამგვარი გატაცება ნაწარმოების ცალკეულ ეპიზოდებში იმდენად თვითმიზნურ ხასიათსაც კი იძენს, რომ მის მიერ საკმაოდ ვრცლად მოთხრობლ საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ ამბავთა ერთი ნაწილი მთლიანადაა მოკლებული მხატვრულ მიზანდასახულობას (მაგალითად, ეპიზოდები ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიებიდან და მისთანანი).

ნაწარმოების ნაკლოვან მხარეთა ხაზგასმის დროს რამდენიმე სიტყვა ავტორისეულ თხრობაში გაპარულ ფაქტოლოგიურ უზუსტობებზეც უნდა ითქვას. მაგალითად, კლასობრივ უსამართლობაზე საუბრისას უტუ მიქავა ამბოხებულ გლეხებს დაბეჯითებით არწმუნებს, ყველა თავადი ბოროტ ადამიანს როდი წარმოადგენსო და ნათქვამის დასტურად სხვა ქართველ მწერლებთან ერთად ილია ჭავჭავაძესაც და აკაკი წერეთელსაც იხსენებს. იმის გამო, რომ ილია და აკაკი უტუ მიქავას მიერ მონყობილი აჯანყების დროს სალიტერატურო ასპარეზზე ჯერ კიდევ არ იყვნენ ფეხმოდგმულნი და, როგორც მწერლები, სწორედ მაშინ ემზადებოდნენ პირველი ნაბიჯების გადასადგმელად, ამ კონტექსტში მათი სახელების მოხსენიება ვითარებასთან ამკარად შეუთავსებელ ფაქტს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი, კონკრეტულ ვითარებასთან შეუსაბამო და მოვლენათა ყალბად რომანტიზების მსგავსი მაგალითები ნაწარმოებში საკმაოდ გვხვდება, მ. ლაშაურის მოთხრობა მკითხველში მაინც აღძრავს გარკვეულ ინტერესს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება პირველ ყოვლისა ორ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა მივაქციოთ — ერთის მხრივ, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხებულ ადამიანთა საბრძოლო თავგადასავლებისა და ეროვნული მისწრაფებების წარმოსახვას იმჟამინდელ ისტორიულ მოვლენათა კონტექსტში და მეორეს მხრივ, იმ შეფასებებს, რომელთაც ავტორი მის მიერ წარმოსახულ ისტორიულ მოვლენებსა და ამ მოვლენათა პროცესში აქტიურად ჩართულ პიროვნებათა ქმედებებს აძლევს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების უმთავრეს თემას სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული გლეხთა ამბოხება წარმოადგენს, ავტორი მხოლოდ ამ მოვლენასთან დაკავშირებული ამბების მოთხრობით არ იფარგლება და ჩვენს ქვეყანაში იმჟამად არსებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ვითარების აღწერასაც აქცევს უდიდეს ყურადღებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს პირველ ყოვლისა მოთხრობის ის ეპიზოდები იწვევს, რომლებშიც ნიღაბხილი სახითაა წარმოსახული რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის მიმართ მიზანმიმართულად გატარებული კოლონიური პოლიტიკის არსი.

მაგალითად, ნაწარმოებში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ როგორც დამპყრობელმა, რუსეთმა სხვა აგრესორ სახელმწიფოებზე გაცილებით მეტი უბედურება მოუტანა ჩვენს ქვეყანას. კერძოდ, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის — დავით დადიანის თქმით, „რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, რაც არ უქნიათ სპარსელებს, თურქებსა და მონღოლებს... ვინ არ იყვნენ ჩვენში, ათასნაირი დამპყრობლები, მონღოლი თუ სპარსი, ბიზანტიელი თუ ოსმალი, მაგრამ არც ერთს არ გაუუქმებია ქართული სამეფო.“

ამ და მსგავსი შეფასებებით, რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება ნაწარმოებში, დაბეჯითებით ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ქართველ მეფე-პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის მიერ გატარებული პრორუსული პოლიტიკა, რასაც საფუძვლად ერთმორწმუნეობა ედო, სინამდვილეში ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის საფუძვლის გამოთხრელი მოვლენა გამოდგა.

საქართველოს სხვა აგრესორი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, რომლებიც სისხლისმღვრელი ომებით ახერხებდნენ ჩვენი ქვეყნის ცალკეული რეგიონების მიტაცებას, რუსეთი მოყვრისა და მფარველის სახელით შემოსული ის მტერი აღმოჩნდა, რომელმაც ნაწილ-ნაწილ დაქუცმაცებული საქართველო თავისი იმპერიის გაუბრუნებლად აქცია.

მართალია, XIX საუკუნის 50-იან წლებში, რომელიც მ. ლაშაურის მოთხრობაშია წარმოსახული, სამეგრელოს სამთავრო ფორმალურად ჯერ კიდევ განაგრძობდა დამოუკიდებლად არსებობას, მაგრამ რუს პოლიტიკოსებს იმხანად მის ოფიციალურ დასამორჩილებლადაც ჰქონდათ უკვე საფუძველი მომზადებული.

მ. ლაშაურის მოთხრობის უთუო ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მასში ეს მოვლენა საკმაოდ დამაჯერებლადაა წარმოსახული. კერძოდ, ავტორმა რუსეთის მიერ სამეგრელოს სამთავროს საბოლოოდ გასაუქმებლად და შესაერთებლად მოხერხებულად გამოიყენა გლეხთა მასობრივი აჯანყების შედეგად სამთავროში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა და ჩვენი ქვეყნის ეს რეგიონიც აქცია იმპერიის შემადგენელ ნაწილად.

საქართველოს ისტორიიდან კარგად ცნობილი ეს მოვლენა მ. ლაშაურის მოთხრობაში საკმაოდ შთამბეჭდავად და დამაჯერებლადაა აღწერილი. კერძოდ, რუს ხელისუფალთა მზაკვრული გეგმების ნილაბახდილი ფორმით წარმოსახვით ავტორი ცდილობს კიდევ უფრო მეტად განგვიმტკიცოს ის აზრი, რომ ქვეყანაში ვითარების დაძაბვისა და გამწვავებულ სიტუაციათა ხელოვნურად წარმოქმნის გეგმა, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამეგრელოს სამთავროს გაუქმება უნდა მოჰყოლოდა შედეგად, „რუსეთის მთავრობის მიერ პეტერბურგში მზადდებოდა და ტფილისში მთავარმართებლის სასახლეში ინასკვებოდა.“

მოთხრობაში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ამ მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად სოფელ-სოფელ მოთარეშე ყაზახ-რუსები ისეთ სისასტიკესაც კი იჩენდნენ, რომ მათთან შედარებით „თურქობაც მონაცონი იყო.“

მ. ლაშაურის მოთხრობისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ ნაწარმოების მიხედვით, ამ მდგომარეობიდან თავის დახსნისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთადერთ მყარ გარანტიად ევროპასთან ურთიერთობის განმტკიცებაა მიჩნეული. რუსეთთან დაკავშირებული პოლიტიკური ილუზიების ტყვეობიდან თავდახსნის სამეგრელოს დედოფალს, რომელიც თვალნათლივ ხედავდა, რომ იგი საკუთარი ძალებით სამთავროს დამოუკიდებლობის გადარჩენას ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ შეძლებდა, მწერალი ამ თვალსაზრისს ერთგან შემდეგნაირად გამოახატვინებს: „ეკატერინე მახეში გაება... ვის უნდა დაყრდნობოდა საცოდავი დედოფალი — სპარს თუ თურქს?.. ორივე ნაულია ჭირსა და ნკვარამს. ერთადერთი იმედი განათლებული ევროპაა, მაგრამ მას სად შეუძლია ბრძოლა სამეგრელოსათვის. განა ევროპა სამეგრელოსათვის შეეძლება პირდაღებულ უზარმაზარ ვეშაპს?“

სამწუხაროდ, როგორც მოვლენათა განვითარების ისტორიულმა პროცესმა დაადასტურა, ევროპის აქტიური თანადგომით ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გადარჩენაზე მეოცნებე დედოფლის ეს ოცნებაც მორიგი ილუზია გამოდგა და პეტერბურგის საიმპერატორო კარმა სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელ დედოფალს — ეკატერინესა და მის მემკვიდრეს — ნიკო დადიანს „ნებაყოფლობით“ ათქმევინა უარი სამთავრო ტახტზე.

ზუგდიდიდან პეტერბურგს ვითომცდა საპატიო სტუმრად მიწვეულ და რუსეთის იმპერატორის მიერ მოჩვენებითი ზარ-ზეიმით მიღებულ ეკატერინეს უკვე კარგად ჰქონდა გააზრებული ის ფაქტი, რომ დედოფლის რანგში იგი უკანასკნელად იმყოფებოდა საიმპერატორო კარზე. ამ ტრაგიკული მოვლენის გაცნობიერებით შეძრწუნებული ეკატერინე ნათლად ხედავდა, რომ „სამეგრელოს სამთავროს მზე სამუდამოდ ჩაესვენა“ და იმპერატორთან მისი იმჟამინდელი სტუმრობის შემდეგ იგი „სამეგრელოში დაბრუნდებოდა არა როგორც დედოფალი, არამედ როგორც კერძო პირი და უბრალო მემამულე.“

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, მ. ლაშაურის მოთხრობა იმითაცაა საინტერესო, რომ მასში XIX საუკუნის 50-იანი წლების სამეგრელოს სამთავროში განვითარებული ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენებიცაა დოკუმენტური სიმართლით წარმოსახული, როგორებიცაა თურქეთის სამხედრო აგრესია ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონის დასაპყრობად და ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა ამ აგრესიის მოსაგერიებლად, მონათა ბაზარზე ქართველ ტყვეთა გაყიდვასთან დაკავშირებული შემადრწუნებელი ეპიზოდები, გლეხთა სოციალური ჩაგვრა-შევიწროება, რასაც 1857 წელს შედეგად მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით უპრეცედენტოდ დიდი აჯანყება მოჰყვა და ა. შ.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მინდია ლაშაურის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან არა თუ მკითხველთა ფართო წრისათვის, არამედ თვით სპეციალისტებისთვისაც შიდა დღესდღეობით მხოლოდ მცირე ნაწილია ხელმისაწვდომი. ასე რომ, ამ მემკვიდრეობის სრულყოფილად შესწავლა და მისთვის კუთვნილი ადგილის მიკუთვნება ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიაში სამომავლოდ გასაკეთებელი საქმეა.

მაგრამ მწერლის შემოქმედებიდან ჩვენთვის ამჯერად ცნობილი ტექსტებიც საესებით მყარ საფუძველს იძლევა იმის სათქმელად, მინდია ლაშაურის სახით მეოცე საუკუნის ქართულ ემიგრაციას მშობლიური ქვეყნის ისტორიაზე, აწმყოსა და მომავალზე ღრმად მოფიქრალი ერთ-ერთი გულმხურვალე მამულიშვილი და მხატვრული სიტყვის მოკრძალებული წარმომადგენელი რომ ჰყავდა.

დამონებანი

1. ჟურნალი „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1985.
2. ლაშაური მ. ქართული სული, მიუნხენი, 1961.
3. ლაშაური მ. სამაგიდო რვეულიდან. მოგონებათა წიგნი, მიუნხენი, 1985.
4. ლაშაური მ. უტუ მიქავა, ისტორიული მოთხრობა, მიუნხენი, 1986.
5. ლაშაური მ. ამავე ერთი სიყვარულისა, მიუნხენი, 1987.
6. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, თბ., 1989.
7. შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 2001.
8. ხოტივარი-იუნგერი შ. ქართველები ბერლინში, თბ., 2001.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

From The History Of Georgian Immigration In Germany Ilia Kuchukhidze (Mindia Lashauri)

Summary

An emigrant writer Ilia Kuchukhidze mainly famous by his pseudonym Mindia Lashauri both in emigration and in Georgia is the representative of Georgian emigrants who have become inhabitants of this country after the Second World War.

The first significant diaspora of Georgian emigrants appeared in Germany in the beginning of the twentieth century that was essentially conditioned by the contemporary state of our country. In Germany the number of Georgian emigrants increased significantly during the period of the Second World War. They were mostly Georgian warriors who were taken captive. The majority of the prisoners of war joined the German armed forces with the hope that after German victory Georgia would be freed from the slavery of Russia and would regain its state independence.

During emigration period Mindia Lashauri was engaged in diversified creative work – wrote prosaic texts, poems, literary and historical essays, memoir compositions and was an active journalist. His literary heritage is a small tributary into the XX c. Georgian emigrant literature but is still to be taken into consideration as it fills up Georgian emigration history with new nuances.

გიორგი მაჩაბლის მიმართვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ლეონიდე ოქროპირიძეს

ელდარ ბუბულაშვილის პუბლიკაცია

საქართველოს დამოუკიდებლობის მეტრძოლთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია საზოგადო მოღვაწესა და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჯერ ევროპაში, მერე კი ამერიკაში ემიგრირებულ, წარმატებული პარფიუმერული ბრენდის „პრინცი მაჩაბლის“ მწარმოებელს გიორგი მაჩაბელს. მართალია, გიორგი მაჩაბლის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული გამოკვლევა ჯერ-ჯერობით არ არსებობს, მაგრამ ბოლო დროს გამოქვეყნებული საინტერესო ნაშრომები ზოგად წარმოდგენას გვიქმნის მისი საქმიანობის შესახებ.

ქართველ საზოგადოებას გიორგი მაჩაბელი პირველად გააცნო ცნობილმა მკვლევარმა გურამ შარაძემ, რომელმაც თავის მიერ უცხოეთიდან ჩამოტანილ ემიგრანტულ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით წარმოაჩინა მისი ღვაწლი (შარაძე 1993: 119-131). ემიგრაციაში გიორგი მაჩაბლის საქმიანობა სათანადოდაა შეფასებული პროფესორ რუსუდან დაუშვილის ნაშრომებში (დაუშვილი 2002; დაუშვილი 2007); ახლახან გიორგი მაჩაბლის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ საინტერესო პუბლიკაცია გამოაქვეყნა მკვლევარმა ოთარ ჯანელიძემ, რომელმაც დღემდე მისი საქმიანობის შესახებ უცნობ ფაქტებზეა ყურადღება გამახვილებული (ჯანელიძე 2013: 98-109).

გიორგი მაჩაბლის მემკვიდრეობისა და მისი ღვაწლის წარმოჩენის მიზნით, 2009 წლის აპრილში თბილისში დაფუძნდა გიორგი მაჩაბლის ფონდი (ფონდის პრეზიდენტი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ჯანელიძე). ფონდს უცხოეთში აქვს თავისი წარმომადგენლობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ირინა ასათიანი (ქართული 2010: 870). ფონდის გრიფით 2010-2012 წლებში გამოიცა სამი კრებული „ქართული ემიგრაციის“ სახელწოდებით. 2012 წლის შემოდგომაზე გიორგი მაჩაბლის ფონდის პარტნიორი გახდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი და ამ უნივერსიტეტთან არსებული ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (დირექტორი პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი). აღნიშნული გადანაცვლების გამო შეიცვალა ფონდის გრიფით გამოცემული „ქართული ემიგრაციის“ ფორმატი, კრებულის ნაცვლად იგი 2013 წლიდან გამოდის სამეცნიერო ყურნალის სახელწოდებით.

გიორგი მაჩაბლის მრავალმხრივი ღვაწლის წარმოჩენას საგანგებოდ მიეძღვნა 2011 წელს ფონდის სახელით გამოცემული „ქართული ემიგრაციის“ მეორე კრებული, სადაც დაბეჭდილია ოთარ ჯანელიძის (ჯანელიძე 2011: 4-25), რუსუდან კობახიძის (კობახიძე 2011: 26-37), გიორგი მამულიას (მამულია 2011: 38-77) და ირინა ასათიანის (ასათიანი 2011: 78-85) სამეცნიერო სტატიები.

გიორგი მაჩაბლის მოღვაწეობის ამსახველი მასალები ძირითადად უცხოეთშია საძიებელი, რადგან იგი ახალგაზრდობის წლებიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში — გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, თურქეთში და ბოლოს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმიანობდა, სადაც 1935 წელს აღესრულა. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ

გიორგი მაჩაბლის ირგვლივ საქართველოს სიძველეთსაცავებაში არ უნდა გავაგრძელოთ კვლევა და ძიება. ამ სტრატეგიის ავტორმა საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში არსებულ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდე ოქროპირიძის პირად ფონდში (სცსა, ფ. 1699, აღნ. 1, საქმე №57, ფურც. 1-2) მიაკვლია 1919 წლის 15 აპრილით დათარიღებულ, კონსტანტინოპოლიდან გიორგი მაჩაბლის მიერ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრ ლეონიდე ოქროპირიძისადმი გაგზავნილ მეტად საინტერესო მიმართვას, რომელსაც სრული სახით გთავაზობთ (სტილი და ორთოგრაფია დაცულია).

მის უწმინდესობას სრულიად საქართველოს კათოლიკოსს ლეონიდს უწმინდესო და ყოვლად პატიოსანო მამაო!

ნება მიბოძეთ ჩემი ღრმა და გულწრფელი სიხარული გამოგიტყვათ, რომ ჩვენი განთავისუფლებული ეკლესია თქვენი უმაღლესი ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს ხელში ჩვენს ეკლესიას არაფერი საფრთხე არ მოეღოს. პირიქით, თქვენის ბრძნულის მეთაურობით ქართული ეკლესია ერთს მხრივ შეასწორებს იმ ნაკლოვანებებს, რომელიც ჩვენ დაავიციოვარ რუსთა ბატონობამ და მეორეს მხრივ ჩვენი ეკლესია ეცდება განვითარდეს და აყვავდეს დღეთა პირობებისა დაგვარად.

ჩვენ დაახლოებას რუსეთთან წარსულ საუკუნეში საბუთად ჰქონდა არამარტო ის ფაქტი, რომ ჩვენც რუსებსავით მართლმადიდებელი ვიყავით, არამედ უმთავრესად ჩვენი სრული იზოლაცია, რომ ჩვენს ეკლესიას, როგორც ჩვენს სამშობლოს არ ჰყავდა ძლიერი, დამხმარე მოკავშირე. როგორც პოლიტიკურად ისე სულიერად ვიყავით მართო და მოსარჩლე და დამცველი არ მოგვეპოვებოდა.

მაგრამ თუ მაშინ დასავლეთ ევროპასთან ძნელი იყო მისვლა-მოსვლა, ეხლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღორძინების შემდეგ, ჩვენ უნდა ვეცადოთ აღვადგინოთ რაც შეიძლება მჭიდრო და მეგობრული კავშირი ევროპის კულტურულ სახელმწიფოებთან. უნდა გავაცნოთ ჩვენი თავი, გავუზიაროთ ჩვენი სურვილი, ჩვენი მისწრაფება, დავუახლოვდეთ სულიერად და ამგვარად მოვიპოვოდ მათი მეგობრობა, მათი სიმპათია. ყველაფერი რაც რუსეთთან გვაკავშირებს და გვაერთებს საჭიროა ძირფესვიანად იყოს ამოცანებული ჩვენის ცხოვრებიდან და მინამდის დრო და შემთხვევა გვაქვს რუსეთის ბატონობის კვალი მოსპობილ იყოს.

ჩვენს ეკლესიასაც შეუძლია დიდი მონაწილეობა მიიღოს ამ ჩვენი ცხოვრების განახლებაში. მასაც აქვს საუკეთესო შემთხვევა დაუმეგობრდეს რომელიმე გავლენიან და ძლიერ ეკლესიას, რასაკვირველია მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ჩვენმა ეკლესიამ შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა და მამა-პაპათა წესი, ე. ი. მართლმადიდებლობა. ჩემი აზრით, მეტად ადვილად შეიძლება დაახლოება, მაგალითად რომთან, რაც ჩვენი ეკლესიისათვის უწმიდესი არ იქნებოდა. მე აქ მქონდა (იგულისხმება კონსტანტინოპოლი ე. ბ.) კერძო ლაპარაკი პაპის წარმომადგენელთან არქივისკოპოსს დოლოთან ამ საკითხზე და ის შთაბეჭდილება მივიღე, რომ რომი დიდის თანაგრძნობით მოგვეკიდება და ყველა ჩვენთვის აუცილებელ პირობებს მიიღებს. შეიძლება ერთგვარი კონკორდატის დადება რომთან და ამგვარი დაკავშირება მასთან უზრუნველ ჰყოფდა ჩვენ ეკლესიას ყოველი რუსული გავლენისაგან, იმ შემთხვევაშიც, თუ ევროპის სახელმწიფოები (თუმცა მე არა მგონია) გვაიძულებდნენ და რუსებს უკან მიგვცემდნენ.

არ ვიცი თქვენი უწმინდესობა რა აზრისა ბრძანდება ამ საკითხზე, მაგრამ მაინც იმედი მაქვს არ გამოკაცხავს ჩემი ამგვარი გულწრფელი აზრის გამოთქმისათვის და უყურადღებოდ არ დატოვებს ამისთანა მნიშვნელოვან საკითხს.

საუკეთესო იქნებოდა გაგზავნა თქვენი რომში მისიის ინფორმაციული ხასიათისა, რომელსაც დაავალდებით ამ საგანზედ მოლაპარაკებას. გარდა იმისა, რომ თქვენი გაგზავნილები ადგილობრივ გაიცნობდნენ რომის აზრს და განწყობილებას ჩვენი ეკლესიის მიმართ. ამავე დროს, ამ მისიას ექნებოდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ყველა ალაპარაკება ჩვენს შესახებ. ეკლესიის საკითხთან უსათუოდ დადგებოდა პოლიტიკური საკითხიც და დიდ სამსახურს გაუწევდა ჩვენს პროპაგანდას, რომელიც ასე აუცილებელია ჩვენთვის ამისთანა გადამწყვეტ საათში, როდესაც უნდა გამოირკვეს ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი. ჩვენზედ კი ძალიან ცოტა იციან ევროპაში და თუ არ ვეცდებით ჩვენი თავი გავაცნოთ, არც უნდა გავგიკვირდეს თუ უყურადღებოდ მოგვეცევიან.

ჩვენი მთავრობის მოსაზრება ამ მისიის შესახებ, მართალია არ ვიცი, მაგრამ მე მგონი საინინალმდეგო არაფერი უნდა ჰქონდეთ, მით უმეტეს, რომ ამნაირი ნაბიჯი ჩვენი დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად იქნება მიმართული.

მე ახლა რომში მივდივარ და შეიძლება ვიქონიო კერძო ლაპარაკი იქაურ წრეებშიაც, თუ მოვახერხე იქიდან ნერილის გამოგზავნა, შეგატყობინებთ თუ რას ფიქრობენ იქაც ჩვენზედ, მინამდის ნება მიბოძეთ მოგახსენოთ ჩემი ღრმა უდიდესი პატივისცემა და გისურვოთ ყოველივე სიკეთე.

**თქვენი მორჩილი და ერთგული მონა გიორგი მაჩაბელი
ქ. კონსტანტინოპოლი, 15 აპრილი, 1919 წელი.**

შინაარსობრივი თვალსაზრისით წარმოდგენილი წერილი მეტად საინტერესოა. ირკვევა, რომ გიორგი მაჩაბელს, რომელიც აქტიურად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, დიდად ახარებდა საქართველოს ეკლესიის თავისუფლებაც. მის მიერ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრისადმი შეთავაზებული წინადადება გულისხმობდა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უნიის გაფორმებას. როგორც ჩანს, გიორგი მაჩაბელი ქართველი საზოგადოების იმ მცირე ნაწილის პოზიციას იზიარებდა, რომლებიც მეოცე საუკუნის დასაწყისში, ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობის დროს, რომის პაპთან უნიის გაფორმების მომხრე იყვნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობდა ქუთაისის საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელი. ისინი კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ძმობის დახმარებით ცდილობდნენ რომთან დაკავშირებას. უნიის მომხრებს ქართველი სასულიერო პირების ჩაბმაც სურდათ აღნიშნულ მოძრაობაში, მაგრამ ქართველი სამღვდლოება არ იზიარებდა მათ შეხედულებას და თავიდანვე გაემიჯნა ამ მოძრაობას (ბუბულაშვილი 2000: 59).

ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის განწყობა გიორგი მაჩაბლისათვის უცნობი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო, რადგან იგი ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში არსებულ ქართული კათოლიკური მონასტრის ძმობასთან. უფრო მეტიც, მონასტრის წინამძღვარი 1905 — 1912 წლებში იყო შალვა ვარდიძე, რომელიც მისი თანამოაზრე და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი იყო. შალვა ვარდიძე აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული საკითხის მოგვარებაში. სწორედ მისი მუშეობით უნიის მომხრეები უკავშირდებოდნენ იმხანად რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილს, რომელსაც ეს საკითხი ვატიკანის უმაღლეს წრეებთან უნდა მოეგვარებინა.

გიორგი მაჩაბლის თვალსაზრისს, რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უნიის გაფორმების შესახებ, რა თქმა უნდა მხარს არ უჭერდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ახლად დადგენილი ლეონიდე ოქროპირიძე, რის გამოც იგი არ გამოხმაურებია გიორგი მაჩაბლის მიმართვას.

დამონშებანი

1. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, თბ., 1993.
2. დაუშვილი რ. ქართველი მრეწველები და გამოგონებლები ამერიკაში, თბ., 2002.
3. დაუშვილი რ. ქართული ემიგრაცია 1921-1939, თბ., 2007.
4. ჯანელიძე ო. გიორგი მაჩაბელი დიპლომატიურ ასპარეზზე, ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, თბ., 2013 №1.
4. ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, 1, თბ., 2010.
5. ჯანელიძე ო. საქართველოს განთავისუფლების ქართულ-გერმანული პროექტი პირველი მსოფლიო ომის წლებში და გიორგი მაჩაბელი, ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, 1, თბ., 2011.
6. კობახიძე რ. გიორგი მაჩაბლის წერილები აკაკი ჩხენკელს, ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, 1, თბ., 2011.
7. მამულია გ. „თეთრი გიორგის“ იდეოლოგიურ საწყისებთან: გიორგი მაჩაბლის და გიორგი კერესელიძის ახლად აღმოჩენილი მიმონერა (1923-1924), ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, 1, თბ., 2011.
8. ასათიანი ი. გიორგი მაჩაბელი — პარფიუმერიის წარმოების პიონერი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, 1, თბ., 2011.
9. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1699, აღწ. 1, საქმე №57, ფურც. 1-2.
10. ბუბულაშვილი ე. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, კრებული, ქრისტიანობა საქართველოში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 2000.

ELDAR BUBULASHVILI

Giorgi Machabeli's Appeal to Catholicos-Patriarch of Georgia – Leonide Okropiridze

Summary

In the scientific work is represented the letter of a famous politician – Giorgi Machabeli dated by 1919. The letter found by us was kept in the private fund of the Catholicos-Patriarch Leonide in the Central Archive of Georgia. Giorgi Machabeli appeals to the superior of the Georgian Church for supporting Georgia's entrance under the patronage of the Pope of Rome. He thought that in this case the Russian authority would not have been able to infringe on the Georgian Church independence. As it appears, he belonged to the few number of Georgians who were supporters of union with the Catholic Church of Rome. Georgian clergy did not share the above-mentioned opinion. For this reason the Catholicos Leonide did not respond to the appeal of Giorgi Machabeli.

გიორგი მაჩაბლის კერძო წერილები აკაკი ჩხენკელს

მასალები ქართული დიპლომატიის ისტორიის კვლევისათვის

რუსუდან კობახიძის პუბლიკაცია

„მისი სტიქია –
დიპლომატიური წარმომადგენლობა იყო“.

შალვა ქარუმიძე

„უდიდესი შეცდომა ჩემს პოლიტიკურ მოღვაწეობაში ... იყო – ჩემი ლოიალობა, ჩემი რწმენა, რომ წარსული საქართველოს მმართველი პარტია დაადგებოდა ნამდვილ ეროვნულ გზას, რომელიც დაისახავდა მხოლოდ ქართველი ერის ინტერესების დაცვას. ეს მე მრწამდა, ამიტომ ლოიალობა ეს იყო ჩემი უდიდესი შეცდომა“ – წერდა 1923 წლის 9 ნოემბერს გიორგი მაჩაბელი რომიდან პარიზში აკაკი ჩხენკელს.

საქართველოს დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებული ქვეყანა დატოვა პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ. ხელისუფლებას კაპიტულაცია არ გამოუცხადებია და, რაც მთავარია, არ შეგუებია ქვეყნის ბედს.

1921 წლის მარტიდან იწყება დამოუკიდებელი საქართველოს ან უკვე დევნილობაში მყოფი მთავრობის, მისი დიპლომატიური კორპუსისა და რიგითი ქართველი ემიგრანტების ცხოვრებისა და ბრძოლის ახალი ეტაპი. იყო იმედი ბოლშევიკური რუსეთის დამარცხებისა, შესაძლოა იმედი რეალობადაც ქცეულიყო, რომ არა დასავლეთის ქვეყნების უპრინციპო და შემრიგებლური პოლიტიკა დამპყრობელი ქვეყნისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია მიღებული იყო ევროპის ქვეყნების მიერ, 1933 წლამდე საფრანგეთში საქართველოს საელჩო ფუნქციონირებდა ლეგაციის სახით, მთავარ ქალაქებში დაარსდა ქართული სათვისტომოები, ემიგრანტებს ხელი არ ეშლებოდათ პოლიტიკურ ბრძოლაში, გამოიცემოდა ქართული ჟურნალ-გაზეთები, დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ ევროპის პოლიტიკური წრეებიდან, მოგვიანებით ამერიკიდანაც, ფაქტია, მსოფლიო ვერ თუ არ აღუდგა წინ რუსულ ბოლშევიზმს. ეს იყო მსოფლიოს დიდი პოლიტიკის შედეგი – საქართველო და მასთან ერთად მთელი კავკასია კიდევ ერთხელ გაიწირა.

დამოუკიდებლობის დაკარგვის ფაქტს განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდა ქართველ ემიგრანტთა მემარჯვენე ფრთა, ის პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც სოციალ-დემოკრატების მიმართ ნდობით არასოდეს იყო განწყობილი, მაგრამ თავის დროზე, ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისამდე დიდი როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. გიორგი მაჩაბელი 1918 წლის 29 აპრილს ბერლინიდან გამოგზავნილ წერილში აკაკი ჩხენკელს – ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტებს აცნობს და ფაქტობრივად, „ჟენევის ქართველ სეპარატისტთა ჯგუფის“, შემდეგში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ (1914-1918 წწ.) მუშაობის ანგარიშს აბარებს: „ჩვენ კომიტეტს ჰქონდა მხოლოდ პოლიტიკური მიზანი – საქართველოს დამოუკიდებლობა, კავკასიის კონფედერაციის წინააღმდეგაც, რომლის ერთ ნაწილს საქართველო შეადგენდა – არაფერი გვქონდა.

დღეს ჩვენი მიზანი აღსრულდა. ჩვენს მუშაობას თუ დღევანდლამდის რევოლუციონური, არა ლეგალური ხასიათი ჰქონდა, ეს ხასიათი მოისპო, ჩვენ ვართ ეხლა საზღვარ გარეთ მყოფი ქართველების ერთი ჯგუფი, რომელიც მთელი თავისი არსებით თქვენ გვერდში გიდგიათ და მოსურვებულა ყოველის ღონისძიებით დაგეხმაროთ და თქვენ ძნელი მუშაობა გაგიადვილოთ. ჩვენ ველით თქვენ ყურადღებას, თქვენ ინსტრუქციებს, თქვენს ბრძანებას“. არც გიორგი მაჩაბელს და არც კომიტეტის არც ერთ წევრს სიტყვა არ გაუტეხია. პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები, ნესტორ მაღალაშვილი, მიხაკო წერეთელი... ქვეყნის სამსახურში იდგნენ. ეს იყო სახელმწიფოებრივი აზროვნების შესანიშნავი მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატთა მსოფლმხედველობა მათთვის არ იყო მისაღები, განსაკუთრებით, ეროვნულ საკითხში, მათ იკისრეს პასუხისმგებლობა ქვეყნის მომავალზე. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს აკაკი ჩხენკელის ფენომენიც – „...პარტიაში ითვლებოდა დისციპლინის კაცად, მაგრამ იდეოლოგიურად იცავდა ყველა ქართველის ერთობას... ეროვნულ საკითხში მას ჰქონდა სულ სხვა მიდგომა“ – წერს ქართველი ემიგრანტი გრიგოლ წერეთელი (წერეთელი 1971: 67).

ყენევაში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ დაარსებას წინ უძღოდა XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში განვითარებული მოვლენები. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ქვეყანაში რეაქცია მიჰინვარებდა, იდეგნებოდა ეროვნული ცნობიერების მქონე ყოველი ადამიანი.

1908 წელს თბილისში შეიქმნა ფარული ორგანიზაცია „საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფი“, რომლის მიზანი იყო საქართველოს მიწა-წყლის დაცვა და მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ორგანიზაციის წევრები იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სვიმონ ყიფინი, ალექსანდრე ყიფშიძე, მიხაკო წერეთელი, მემედ აბაშიძე, გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კიტა აბაშიძე და სხვები. მათ ჰქონდათ ყოველკვირეული ორგანო – ჟურნალი „ერი“, რომელიც კონსპირაციის მიზნით სხვადასხვა სახელწოდებებით გამოდიოდა..

1910 წლიდან დაიწყო ამ ორგანიზაციისა და საერთოდ ეროვნულად განწყობილი მოღვაწეების დევნა. ბევრი გადაასახლეს, ხოლო ერთი ნაწილი უცხოეთში გადაიხვეწა.

ერთ-ერთმა მათგანმა, ჟურნალ „ერის“ პირველმა რედაქტორ-გამომცემელმა პეტრე სურგულაძემ განაახლა „დამოუკიდებლობის ჯგუფის“ მუშაობა, რომელსაც „ყენევის ქართველ სეპარატისტთა ჯგუფი“, 1914 წლიდან კი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ეწოდა. მათი მოქმედების გეოგრაფიული არეალი ვრცელი იყო და მათ სახელთან ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტია დაკავშირებული.

გიორგი მაჩაბლის 1918 წლის 29 აპრილის წერილში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ჯგუფის მუშაობის ერთგვარი ანგარიშია წარმოდგენილი. აქ საუბარია იმ პოლიტიკურ-სამართლებრივ დოკუმენტებზე – ხელშეკრულებებზე, რომელთაგან „ზოგიერთს მათგანს აქვთ საერთაშორისო ხასიათი და ჩვენთვის მეტად საყურადღებოა და თუ ზოგიერთს მათგანს ეს ხასიათი არა აქვს, მაინც მორალურად ჩვენთვის მნიშვნელოვანია და შეიძლება როგორც არაუქმენტი გამოვიყენოთ მოლაპარაკების დროს“ – წერს გიორგი მაჩაბელი აკაკი ჩხენკელს.

1914 წლის 14 სექტემბრის „ხელწერილობითი განცხადება“ კონსტანტინოპოლში გერმანიის ელჩის ბარონ ვანგენჰაიმის მიერ; ოსმალეთის მთავრობის განცხადება, ხელმოწერილი ოსმან ბეისაგან; გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრების 1915 წლის დეკემბრის წერილობითი განცხადებები; ოფიციალური ნოტა გაცვლილი ცენტრალურ სახელმწიფოებსა და ოსმალეთს შორის; მოლაპარაკე-

ბა ქ. ვარშავაში 1918 წლის 4 თებერვალს გიორგი მაჩაბელსა და ოსმალეთის დიდ ვეზირს თალაათ ფაშას შორის – ყველა ეს დოკუმენტი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზღვრების აღდგენის საქმეში ამ სახელმწიფოთა მხრიდან მხარდაჭერას გამოხატავს.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საქმიანობა მხოლოდ პოლიტიკური დოკუმენტების გაფორმებით არ შემოფარგლულა. კომიტეტის წევრთა (გიორგი მაჩაბელი, მიხეილ წერეთელი და სხვები) საიდუმლო მოგზაურობები საქართველოში, ფულისა და იარაღის შემოტანა და მზადება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ... ჟენევის კომიტეტთან საიდუმლო კავშირი ჰქონდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ ჯგუფს – დათა ვაჩნაძეს, რევაზ გაბაშვილს, შალვა ამირეჯიბს, სპირიდონ კედიას, შალვა ქარუმიძეს და სხვებს. კონსპირაციული შეხვედრები თბილისსა და ქუთაისში. „დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ შექმნა I მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ქართველებისაგან „ქართული ლეგიონი“, რომელიც ფრონტზე მებრძოლ რეგულარულ ძაღას წარმოადგენდა. მას ხელმძღვანელობდნენ ქართველი და გერმანელი ოფიცრები. ქართველთა მხრიდან მთავარი ოფიცერი ლეო კერესელიძე იყო. ბერლინში 1916-1918 წწ. გამოდიოდა პერიოდული ორგანო „ქართული გაზეთი“ სპეციალურად ტყვეებისათვის. რედაქტორები იყვნენ ჯერ მისაკო წერეთელი, შემდეგ გიორგი კერესელიძე.

აი, მოკლედ ყოველივე იმის თაობაზე, რაც ჟენევის „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ და მისმა ყოველმა წევრმა აკეთა საქართველოს გათავისუფლებისათვის. მათ, ფაქტობრივად, ევროპაში მოამზადეს ნიადაგი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და აღიარებისათვის. მათი ღვაწლი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული და დაფასებული.

თავზარდამცემი იყო გიორგი მაჩაბლისთვის საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტი. ჯერ კიდევ 1921 წლის 15 თებერვლის წერილში იგი წერდა: „ჩვენი გამარჯვება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი დაფასება მხოლოდ ისტორიას შეუძლიან“. ზუსტად ათ დღეში თბილისში წითელი დროშა აფრიალდა.

გიორგი მაჩაბელი – დემოკრატიული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი იტალიაში – მკაცრ შეფასებას აძლევს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მიერ დაშვებულ სერიოზულ შეცდომებს, რასაც დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ წერილებში სწორედ ეს მოვლენებია ასახული და ნათლად ჩანს ემიგრაციაში განვითარებული პროცესები. აქტუალურია გიორგი მაჩაბლის – თავდადებული ქართველი არისტოკრატისა და გამოცდილი პოლიტიკოსის, დიპლომატის კეთილგანწყობილი შეგონებანი: „მხოლოდ თავგადადებული სიყვარული ჩვენი ერისადმი, მხოლოდ სიფაქიზე და სინმინდე ჩვენი მუშაობისა გამოიყვანს ჩვენს ხალხს იმ გაჭირვებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი ეხლა ჩავარდნილა. ვერავინ ვერ დაგვეხმარება, თუ ჩვენც ჩირქი მოგვეცხო მათ თვალში“.

ქვემოთ უცვლელად ვბეჭდავთ აკაკი ჩხენკელისათვის გაგზავნილ გიორგი მაჩაბლის წერილებს:

კვრძღ

რომი. 15/II.1921

ძვირფასო აკაკი,

დარწმუნებული ვარ მშვიდობით ჩახვედით პარიზში და არაფერი უსიამოვნობა გზაში არ შეგმთხვევიათ. კიდევ გაგიმეორებთ, რომ ძალიან მოხარული ვარ თქვენი ევროპაში

ჩამოსვლის გამო, როგორც საერთო ინტერესების მხრივ, ისე კერძოთ თქვენთვის. აგრეთვე არ შემოიძლიან არ გაგიმეოროთ, რომ თქვენგან არჩეული გეგმა თქვენი ევროპაში მოღვაწეობისა არ იყოს მეტად ოსტატური, გონივრული და ჩვენი ქვეყნის პირობებთან შეთანხმებული. თქვენი ჩამოსვლა ევროპაში და გადმოტანა მოღვაწეობისა აქ მით უფრო სასიხარულოა და სასარგებლო ჩვენი ნორჩი სახელმწიფოსათვის, რომ თქვენ (არ მიიღოთ ეს პირად ქებათ ან სათნოებათ) ეკუთვინით იმ სამსუხაროდ ორიოდე პირთ, რომელნიც არა ვინრო პარტიულ მოსაზრებით მოქმედობენ, არამედ ამყარებენ თავიანთ პოლიტიკურ მუშაობას ფართო სახელმწიფოებრივ ნიადაგზედ, ესმით ჩვენი სახელმწიფოს გასაჭირნი და სუსტი მხარეები და მთელი თავისი ენერგიით სცდილობენ ჩვენი ერის დღეგრძელობაზედ, მის განვითარებაზედ, მის პოლიტიკურ და ეკონომიურ ფეხზედ დაყენებაზედ. გარდა მაგისა ნოეს სწორეთ უთქვამს, როდესაც იგი შეჭმება, თუ ვის აქვს ჩვენ პოლიტიკურ მოღვაწეებში სწორე, პირდაპირი ხაზი, რომ ამ მხრივ თქვენ ერთათ ერთი ხართ. ჩვენ დღევანდლამდის ბევრს და დიდ შედეგებს მივალნიეთ, ჩვენი გამარჯვება იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ მისი დაფასება მხოლოდ ისტორიას შეუძლიან. ვინცებთ ახალ ფურცლებს ჩვენი ისტორიისას და ეხლა უნდა ვეცადოთ, რომ ეს ფურცლები, თუმცა მეტად მნიშვნელოვანნი არ იყვნენ აგრეთვე მცირერიცხოვანნი, რომ ყოველ ახალ ფურცელზედ ინერებოდეს ახალი გამარჯვება, ახალი წარმატება და ამ ახალთ გამარჯვებებს მოსდევდეს სხვანი. იწყება ახალი ხანა და რომ ეს ხანა ხანგრძლივი და მტკიცე იყვეს, უნდა ჩაეყაროს მას ისეთი მაგარი ბურჯ-საძირკველი, რომ მომავალ თაობებმა თავისუფლად და უშიშრად ერთი საართული მეორეს დაადგან, გაამშვენიერონ და გაასპეტაკონ ეს შენობა – ეს ჩვენი პატარა, მაგრამ ტურფა და ლამაზი საქართველო. ჩვენმა ერმა დაამტკიცა ამ მოკლე ხანში, რომ მას აქვს უნარი აშენებისა, შექმნისა, მაგრამ როგორც ყოველ ერს სჭირია მეთაურები, ოსტატები, რომელნიც დააყენებენ მას სწორ გზაზედ, რომელნიც მისცემენ მათ მაგალითს და უჩვენებენ მათ სწორ ხაზს. ერთი უდიდესი პირობემა ამ დასაწყის მუშაობაში არის ჩვენი მესვლა საერთაშორისო ოჯახში; პირველ ხანებში როგორც გავაცნობთ ჩვენ თავს და რა შთაბეჭდილებას დავსტოვებთ მასზედ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამის მხრივაც არის ერთი დიდი ნაბიჯი გადადგმული წინ – ეს თქვენი განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატების წყალობით, თქვენ დაუკავშირეთ ჩვენი სოციალ-დემოკრატული პარტია ევროპის დემოკრატებს, ან უკეთ რომ ვსთქვათ ევროპის ზომიერ სოციალისტებს, თქვენ გააცანით მათ არამც თუ თქვენი პარტია და მისი მუშაობა, თქვენ დაუახლოვეთ მათ მთელი საქართველო, გაუზიარეთ და ადგილობრივ დაანახვეთ ჩვენი ჭირ-ვარამი, გადაუშალეთ მათ თვალთ წინ ყველა ჩვენი მხარეები კარგი თუ ცუდი, მაგარი თუ სუსტი და ამით გაუჩინეთ საქართველოს მეგობრები მნიშვნელოვან წევრთა შორის საერთაშორისო ოჯახისა. ეს მეგობრები მომავალში ძალიან გამოგვადგებიან, ჩვენს ლხინსაც გავვილხინებენ და გაჭირებულ წუთებშიაც გვერდში ამოგვიდგებიან, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. ამასთანავე მეგობრები უნდა გავიჩინოთ ყველა წრეებში და ნაწილებში ამ საერთაშორისო ოჯახში. ჩვენი სახელმწიფო მარტო პარტია არ არის და ამ საკითხსაც უნდა შეხედოთ უფრო ფართო სახელმწიფოებრივ თვალთ-აზრით, გარდა ამისა მარტო ზომიერ სოციალისტებზედ არ არის დამყარებული ევროპა-ამერიკის სახელმწიფოების ბედ-იღბალი და მარტო მათი მეგობრობა არ კმარა. თქვენ პარტიაში კი ძალიან ცოტანი გყავთ, რომელთაც შეუძლიანთ ამ დარგში დიდი სარგებლობა მოუტანონ ჩვენს ქვეყანას. ამიტომ უნდა გამოინახოს იმისთანა გზა, რომ თქვენ საერთო პოლიტიკის ხაზსაც არ ეწინააღმდეგებოდეს და საერთო ინტერესებიც დაცული იყოს. მე მესმის და აქ არა ნორმალური არაფერია, რომ თქვენ პარტიაში, როგორც მთავრობის პარტიაში ის აზრი სუფევს, რომ ევროპის სახელმწიფოებში წარმომადგენლებიც ამ პარტიიდან უნდა იყვნენ დანიშ-

წლენი. ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი არ ეთქმის, მხოლოდ ისინი, ვინც ამას თხო-
ულობენ იმას კი არ უწევენ ანგარიშს, რომ, როგორც ზევით ვსთქვი, ამ თანამდებობისათ-
ვის ხალხი არ ჰყავთ ჯერ მომზადებული. სახელები არ მინდა დავასახელო, მაგრამ ვინც
იყო დანიშნული თქვენი პარტიიდან აქამდის ევროპაში საწარმოადგენლო მინდობილო-
ბით, ძალიან ცოტა უნარი და მომზადება გამოიჩინეს. ვერ მოახერხეს არამც თუ დაეინტე-
რესებინათ ევროპელები ჩვენი ქვეყნით და მეგობრები გაეჩინათ სხვა და სხვა წრეებიდ-
გან (გარდა სოც. დემოკრატებისა და ისიც არა ყველგან), არამედ ხეირიანათ გაეცნოთ
მათთვის ჩვენი თავი. ამიტომ ალტაცებით ვეგებები თქვენს ევროპაში დანიშვნას და მერე
იმ სახით, როგორც თქვენ ჩვენ მთავრობასთან გადაგინყვეტით ეს საკითხი, ე.ი. თქვენ
იქნებით სრულ წარმომადგენლად არა მარტო ერთ სახელმწიფოს წინაშე, არამედ ყველა
ანტანტის და ნეიტრალურ სახელმწიფოების წინაშე. ამით თქვენ იქნებით მატარებელი და
პასუხისმგებელი ჩვენი მთავრობის საერთო პოლიტიკის ამ სახელმწიფოებისადმი და გე-
ყოლებათ ყველა ამ ქვეყნებში დამხმარებელნი და მომუშავენი, რომელნიც დაგეხმარე-
ბიან და გაგიადვილებენ თქვენს მუშაობას და საჭიროც არ იქნება, რომ ეს პირნი იყვნენ
თქვენი პარტიიდან, რადგან მათ არ ეკისრებათ საპასუხისმგებლო პოლიტიკის თავზედ
ალება. დამავინყდა ისიც მეთქვა, რომ ექსპერიმენტების გაკეთება ამ დარგში, როგორც
ზოგიერთებს ჩვენში ჰგონიათ (გზას ისწავლიანო, ევროპას გაეცნობიანო) ეხლა მაგის
დრო არ არის და არც ესე ადვილია ევროპაში წარმომადგენლობა. მარტო ენის შესწავლა
არ კმარა, საჭიროა მეტის ცოდნა, ვისთან დაიჭირო დამოკიდებულება, ვინ დაიახლოვო,
როგორ მიიღო, ვის რა უთხრა და ბევრი კიდევ გარეგნული თვისებები, რაც აღამიანისათ-
ვის ძნელია ერთბაშით შეისწავლოს, თუ ბავშვობიდანვე არ შეუსწავლია, ან თუ დიდი უნა-
რის და ნიჭის პატრონი არ არის. ამისთანა ექსპერიმენტები კი ბევრ დროს დაგვაკარგვი-
ნებენ და საქმესაც წაახდენენ. სწორეთ ამ მოვლენამ დამანახვა და მაძიულა ჩემ გადანყ-
ვეტილებაზედ (პოლიტიკურ წარმომადგენლობისაგან სამზღვარ გარეთ უკან დახევა)
უარი მეთქვა და ხელ ახლად ჩემი თავი მთავრობის განკარგულებაში მიმეცა. სულით და
გულით ვიტანჯებოდი და ვწუხდი, როდესაც ვხედავდი, თუ რამდენი კარგი რამ შეიძლე-
ბოდა გაკეთებულიყო ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ და ზოგიერთ პირთა უვარგისობის
გამო ხდებოდა და არ კეთდებოდა. ველარ მოვითმინე ევგენისაც¹⁵ მივწერე ჩემი შეხედუ-
ლებანი და რომ არ ესაყვედურნა და არ ეთქვა, რომ გითავაზედ თქვენც თანაგეპრომათ
ჩვენთან ამ დარგშიო, სურვილი განვაცხადე ამ დარგში მუშაობაზედ. თქვენ წინადადება-
ზედ ხომ სრული ჩემი თანხმობა გაგიზიარეთ. რასაკვირველია ისიც უნდა გითხრათ გულ-
ახდილად, რომ გერმანიაში უფრო დიდი ასპარეზი¹⁶ მექნებოდა მოქმედებისა, იქ უფრო
განვავითარებდი და გავაფართოვებდი ჩემს მოღვაწეობას, იქაურ ქვეყანას და ხალხს
უფრო კარგად და ღრმად ვიცნობ და შედეგები ჩემი მუშაობისა იქ უფრო დიდი იქნებოდა.
როგორც მესმის, მართალია ლადოს¹⁶ იქაურ ზომიერ სოციალისტებთან მჭიდრო და კარ-
გი დამოკიდებულება აქვს, მაგრამ მეორეს მხრივ მიყრუებულია ყველა სხვა წრეებთან.
არავითარი კავშირი არა აქვს სხვა წარმომადგენლებთან, რაც მეტად სამნიშვნელოა მე-
ტადრე ბერლინში. გერმანულ-ქართულ საზოგადოებას, რომელსაც უდიდესი კულტურუ-
ლი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა და სხვა გერმანულ სამეცნიერო და საზოგადო წრეებთან
დაახლოვებისათვის, სულ დაუძინია. გერმანია დიდ ყურადღებას გვაქცევს და დიდი დახ-
მარება გაგვიწია, ყველა ეს არის შედეგი ჯერ ჩვენი კომიტეტის და მერე თქვენი მისიის
მუშაობის და მოღვაწეობისა. გერმანია როგორც რუსეთის საკითხში, ისე ევროპის ეკონო-

15 ევგენი გეგეჭკორი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

16 ვლადიმერ ახმეტელი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმო-
მადგენელი გერმანიაში.

მიურ აღორძინებაში დიდ როლს ითამაშებს და ვშიშობ ამ მნიშვნელოვან ევროპის ცენტრში არ ვიკოჭლოდ მომავალში, თუ ისეც ლადო დარჩება სრულ-უფლებიან ჩვენ წარმომადგენლათ. ამ საკითხს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. მე ჩემის მხრივ რასაკვირველია ვიკისრებდი ბერლინში ჩვენს წარმომადგენლობას, მაგრამ ალბათ თქვენ პარტიაში თანახმანი არ იქნებიან, მე იქ არ მიცნობენ და არც ვარ სოციალ-დემოკრატი. ადგილის გამო კი ვერ წავალ ჩემს მცნების და სინიდისის წინააღმდეგ, მე ამისთანა კაცი არა ვარ, მხოლოდ ერთს კი ვიტყვი, რომ გერმანელი სოციალ-დემოკრატებთანაც კი მოვახერხებდი მჭიდრო და მაგარი კავშირი მქონდა, არა ნაკლებ რომელიმე ქართველ სოციალ-დემოკრატის წარმომადგენელისა. მე მრწამს და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო იქნება, მრწამს რომ ზოგიერთი სოციალისტური მოვლენებიც იქნება გატარებული ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამას მოითხოვს დღევანდელი ეკონომიური ცხოვრების პირობები, მაგრამ არ მწამს ქართველი გლეხის სოციალისტობა; არ მწამს, რომ მომავალში ქართველ პროლეტარიატზედ ავაშენებთ ჩვენ სახელმწიფოებრივ შენობას, არამეთ წვრილ მესაკუთრებზედ – გლეხსზედ. მასზედ აშენებული სახელმწიფოც უფრო სალი და ძლიერი იქნება. ჩვენი გლეხისთვის კომუნა და კომუნური დამუშავება მინისა მიუღებელი და გაუგებარია. მას სჭირია საკუთრება და არ მგონია შეიცვალოს მან ეს მოსაზრებანი. დაეუბრუნდები ჩემს აქაურ მუშაობის საკითხს. გუშინ წინ ველაპარაკე სფორცის¹⁷ მდივანს, რომელსაც აქამდის ებარა ჩვენი საქმეები სამინისტროში. ესლა ის დანიშნულია ლონდონის საელჩოში პირველ სეკრეტერად (მდივანად). გვარი მისი ტალიანი-ა (**Francesco Taliani**), ამ დღეებში სფორცისთან ერთად ლონდონში მიდის და დაესწრება იქაურ კონფერენციას. მან დანამდვილებით მითხრა, რომ ჩემი საკითხი თავის დღეში არ ყოფილა დასმული სამინისტროში და რომ იტალიის მთავრობას არაფერი ჩემი საწინააღმდეგო არც წინად და არც ესლა აქვს. მე ვუთხარ მაიონის¹⁸ ამბავი თბილისში და მან მიპასუხა, რომ მაიონის არაფერი ნება არ ჰქონდა რამე ეთქვა ამის შესახებ და რომ მას სამინისტროში ეს საკითხი არ დაუყენებია. ასე რომ არ ვიცი რაშია საქმე. ეს კი ვიცი, რომ ჩემი ქალაქები თავის დღეში თვალთ არ მინახავს და მაშინდელ მისიასაც არ მიუღია (?) და რომ მაიონის და ევგენის ლაპარაკში რალაც გამოურკველობა დაიბადა. ასე რომ მე ჩემის მხრივ აღარ ვხედავ არავითარ დაბრკოლებას თქვენ წინადადებაზედ არ დავთანხმდე. რასაკვირველია ალბათ თქვენც თქვენის მხრივ გქონდათ ევგენისთან მოლაპარაკება და საკითხი გამორკვეული გექნებათ. ერთს კი გთხოვთ მეგობრულად ისევე გულ-ახდლად როგორც მე გემუსაიფებით ამ წერილში, თქვენც შემატყობინეთ შედეგი თქვენი მოლაპარაკების ევგენისთან. ესლა პატარა შენიშვნა შესახებ ტეხნიკური მხარისა ამ საკითხის გამო. იმისთანა მოვლენაში, როდესაც სრულ-უფლებიანი წარმომადგენელი (**Ministre plénipotentiaire**) წასულია, ან სხვა ქალაქში სცხოვრობს მის საქმეებს ასრულებს ან პირველი მდივანი, ან ლეგაციის მრჩეველი (**Conseiller de la Légation**) მარეე დაფერის (**Chargé d'affaires**) სახელით. მე მგონი თქვენ არაფერი საწინააღმდეგო არ გექნებათ პირველი მდივნის მაგივრად – ლეგაციის მრჩეველი მენოდოს, მით უმეტესად რომ ეს საქმის ვითარებას ან შინაარს არ სცვლის. წარმომადგენლად ნამყოფს მდივნის სახელი ცოტა უხერხულია, არა პირადათ ჩემთვის, რადგან მე საქმე მხოლოდ მაინტერესებს, არამედ გარეშე პირებისადმი. რაც შეეხება ჯამაგიის და აქაურ წარმომადგენლობის ბიუჯეტს, ამაზედაც დანწრილებით მინდა მოგწეროთ, მანდ დაეკითხეთ და აჩვენეთ ეს ციფრები და ამაზედაც გულახდლად მომწერეთ. მე ჩემთვის არავითარი ზედმეტი ჯამაგიირი არ მინდა.

17 კარლო სფორცა — იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1919-1921 წლებში.

18 მაიონი — სავარაუდოდ, იტალიის ერთ-ერთი მისიის წარმომადგენელი საქართველოში.

ეხლა გავათავებ წერას, უნდა გამოგიტყდეთ ძალიანაც დავილაღე . ბევრს კიდევ მოგწერდი, მაგრამ ვაი თუ თავი მოგაბეზროთ.

ქ-ნ მაკრინეს¹⁹ და თქვენ გიძღვნიტ ჩვენ ორთავენი გულითად სალამს. სანდროს²⁰ მოკითხვა, აგრეთვე ყველა ჩვენებს.

თქვენი მარად ერთგული
გიორგი მანაბელი

კერძო

რომი. 4/III.1921

ძვირფასო აკაკი,

თქვენი წერილი დაგვიანებით მივიღე, ფლორენციაში წავედი ერთი დღით [ცოლიც ცოტა ავად მყავს] და იქ მომხდარ ამბების გამო ჩავრჩი სამი-ოთხი დღით. სრული გაფიცვა იყო. აქაურ ქუჩებში პირდაპირ ბრძოლები იყო, ზარბაზნებსაც კი ისროდენ, ბევრი კვდარია, სამასამდის დაჭრილი. მაგრამ ეს ეხლა მე არ მაინტერესებს. რა დაგვემართა, რა ლეთის რისხვა დაგვატყდა თავზედ. პირდაპირ გონზედ ვერ მოვსულვარ. თბილისის ალების ამბავი და ჩემი ძმის ნიკოს სიკვდილი (თქვენც იცნობდით მას) ერთად გავიგე. არ ვიცოდი ვინ დამეტირა, საერთო უბედურება თუ კერძო მწუხარება; სულით და გულით ვიტანჯები, მაგრამ მაინც ვერაფერი მოჰკლავს ჩემში, ვიბრძოლო უფრო თავგადადებით, უფრო მეტის ენერჯით ჩვენი საერთო საქმისათვის, ჩვენი ერის ამ საშინელ მდგომარეობის დახსნისაგან. საშინლად მაკვირვებს, რომ ლონდონში არ ხართ ამისთანა მნიშვნელოვან მომენტში. ვინ არის იქ, ვინ იცავს ჩვენს ინტერესებს. ეხლა ხომ წყდება იქ მეტად მნიშვნელოვანი ჩვენთვის საკითხები. ვერაფერი გამიგია. ბეკორ რაჰში²¹ აქ ენახე, ჯერ არაფერი ვიცოდით რა ხდებოდა ჩვენში. მან მითხრა, ძალიან კარგი განწყობილება გვაქვს ერთმანეთშიო. თქვენთან წერილი ჰქონდა მდივანისაგან.²² მეც არაფერი აღარა მოგწერეთ რა, რაკი ლონდონში მეგულეობდით. თუ ეხლა რაიმე ხსნა არ გამოვნახეთ, ჩვენი მდგომარეობა სასონარკვეთილი იქნება. ნუ თუ არავინ დაგვეხმარება და არაფერი კომბინაცია არ შეიძლება გამოეძებნოთ? იტალიელებს აშკარად აქვთ კავშირი როგორც ქემალისტებთან, ისე ბოლშევიკებთან. არ ვიტყვი რაიმე გადაჭრილი გეგმა მოქმედებისა იყოს მათ შორის შემუშავებული, ამისათვის არა მაქვს ხელთ დასამტკიცებელი საბუთები, მაგრამ რალაც შეთანხმება რომ მნიფდება მათ შორის, ეს კი აშკარაა. ამ კომბინაციაში შეიძლება გერმანელებიც შევიდნენ; უკანასკნელთათვისაც ხომ მეტად ხელსაყრელია ქემალისტ-ბოლშევიკების კავშირი და საერთო მოქმედება. გიმეორებთ ბერლინს მიაქციეთ ყურადღება, მერე გვიან აღარ იყოს. თქვენ აქ როდის აპირებთ ჩამოსვლას. საჭიროა აქაც მოენყოს ნამდვილი წარმომადგენლობა და ორგანიზაცია. მანდაური ინფორმაციული ბიუროთი აქ მუშაობა ყოვლად შეუძლებელია. რამდენიმე მაგალითს ამ ბოლო დროიდგან მოგიყვანთ. ამას წინად

19 მაკრინე — აკაკი ჩხენკელის მეუღლე

20 სანდრო — ვინაობა გაურკვეველია.

21 ბეკორ რაჰში — სავარაუდოდ, თურქი დიპლომატი.

22 სემონ მდივანი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი თურქეთში.

ვოეტინსკის ინფორმაცია მოუვიდა აფხაზს – თბილისის ალების ამბავი გაზეთების საშუალებით უარპყავითო და სწორედ იმ დღეს მივიღეთ ეს სამწუხარო ამბავი. მერე რაზეც მანდაური ბიურო ათავსებს **Temps**-ში და ამ გაზეთიდან ჩვენ ვკითხულობთ, რამდენიმე დღის შემდეგ ვოეტინსკისაგან მოდის ეს ამბავი აქაურ გაზეთებისათვის. მაგ. ქეთევანიძის საქმე, როდესაც არაფერი მნიშვნელობა ამ საკითხს არ ჰქონდა. გარდა მაგისა ბევრჯერ აქაურ პრესაში იბეჭდება ყალბი ხმები და ამბები ჩვენზედ, რომელზედაც მაშინათვე უნდა გაეცეს პასუხი. ერთის სიტყვით ყოველის მხრივ უსაფუძვლოა და დანაშაულობათაც მიმართა მაგოდენა ფულის ხარჯვა მაგ ბიუროზედ, როდესაც ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. აქაურ საკონსულოს სადეპუტო ფულიც კი არა აქვს (მე ვესმარებოდი ამ ბოლოს დროს) და საშინელ კრიზისს განიცდის და მანდ კი სულ ტყუილ უბრალოთ იხარჯება მნიშვნელოვანი თანხები. რაც შეეხება ჩემს საქმეს, მე ყველაფერზედ თანახმა ვარ. ნეტავი მქონდეს ჩემი შეძლება, რომ სრულიათაც უჯამაგიროდ ვიმუშავო. ამ ბოლო დროს აფხაზი უჩემოდ არას აკეთებდა, სულყველგან მე ვგზავნიდი და რჩევას ვაძლევდი. მე თვითონ კი, რაკი არაფერი ოფიციალური ხარისხი ჯერ არა მაქვს, ვერავისთან ვერ წავიდოდი, უხერხული იყო. უნდა დააჩქაროთ თქვენი დამტკიცება აქაურ მთავრობისადმი თქვენი წარმომადგენლობის და წარუდგინოთ სია აქაურ მისიის წევრებისა.

რაც შეეხება ამერიკას, მე ამაზედაც მზად ვარ, მხოლოდ კი მქონდეს შეძლება მუშაობისა. **კარგი იქნება მანდ შეეკითხოთ (ეხლა ხომ შეიცვალა ამერიკაში მთავრობა) მანდაური ამერიკის ელჩის შემწეობით, თუ მიიღებს მათი მთავრობა ჩვენს ოფიციალურ წარმომადგენელს გააცნოს ამერიკის მთავრობას ჩვენი საკითხი. ჯერ პიროვნებას ნუ დაასახელებთ. საჭიროა ჯერ პრინციპიალურად დათანხმდნენ მიიღონ ჩვენგან დელეგატი.** თუ თანხმობა მოვიდა, მაშინ მე და ნორინა²³ ჩამოვალთ პარიზში და ყველაფერზედ მოვილაპარაკებთ. საჭიროა კი დააჩქაროთ ეს საკითხი, რადგან სწორეთ ეხლა მეტად საჭიროა პრობაგანდა ამერიკაში. მე ამ საქმეს მოვანყოფი იქ. ჯერ ჯერობით კი აქ ვიმუშავებ.

საქართველოდან ახალი ამ ორ დღეში არაფერი მოსულა. არ ვიცით რა ხდება თბილისში. ვინ გაბატონდა, აიკლეს იქაურობა თუ არა. სოხუმის და გაგრის ალება გაგონილი გექნებათ. არა დამტკიცებულ წყაროებიდან თითქოს ფოთზედ მოდიან. მეორეს მხრივ გორიც ალებული უნდა იყოს. თურქები აჭარის წყალში არიან. შეუჩერებიათ ბათუმზედ წამოსვლა, მაგრამ ვინ იცის ბოლშევიკების წინ მსვლელობას ელიან, რომ მათ დაასწრონ ბათუმის ალება. რანამს ახალი რამე იქნება, მაშინდავე შეგატყობინებთ. თქვენც გთხოვთ საჩქაროთ მაცნობოთ, როგორაა ჩვენი საქმე, რატომ ლონდონში ჩვენი საკითხი არ აღიძრა და როდის აპირებთ აქ ჩამოსვლას. აფხაზს სრულიათ არა აქვს ფული. ჯამაგირებიც კი ვერ მიუცია.

გულითადი სალამი თქვენ და მაკრინეს.

თქვენი
გიორგი მაჩაბელი

23 ნორინა — გიორგი მაჩაბლის მეუღლე

ძვირფასო აკაკი,

მართალია, ოფიციალურად თქვენ გექვემდებარებით და იქნებ მეგობრები რომ არ ვყვებით არც მოგწერდით ამ წერილს, მაგრამ ამ წერილს გწერთ, როგორც გიორგი მანაბელი აკაკი ჩხენკელს და ეს კერძო ჩვენი დამოკიდებულება არ უნდა ეხებოდეს ჩვენს ოფიციალურს მდგომარეობას, რომ ამით წერა და შეძლება მიქონდეს გაგიზიაროთ ხოლმე ყველა ის, რაც ოფიციალურ წერილში უხერხული და შეუძლებელია. ჩვენ იმისთანა კრიტიკულ და მეტად მნიშვნელოვან დროს განვიცდით, რომ აქ მხოლოდ სიმართლის თქმა არის საჭირო. მაგრამ არ კმარა სიმართლის თქმა და დასტურობა, საჭიროა მაგარი ხასიათი, გადაჭრილი და მამაცი მოქმედება. ჩამოვიდნენ პირველი ლტოლვილები სხვა და სხვა ეროვნებისა (ქართველები, სომხები, იტალიელები, რუსები და სხვა). ყველანი ერთხმად იმისთანა ხმებს ავრცელებენ, რომ როდესაც ჩემს ყურს ხვდება, მონამლულ დანასავით მოქმედებს, რომელსაც გულში გცემენ. ამ ხმებს მე თქვენ როდისმე გაიბზობთ, მე ისინი არ მჯერა, მაგრამ არის იმისთანა ზოგიერთი საბუთები, რომელიც სამინელ ჩირქს სდებს ჩვენ მთავრობას და არიან იმისთანა მოქმედებები, რომელიც ძალიან ცუდად ახასიათებენ ჩვენი მთავრობის ზოგიერთ ნევრებს. მომენტი ძნელია, მეტად გაჭირვებული და ამისთანა მომენტში უფრო დიდი სიფაქიზე, სიფრთხილე არის საჭირო. ჩვენ გვიკვირს, რატომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა იყო ისეთი სასოხარკვეთილი? (და რამაც ბოლო მოევიღო). როგორ უნდა გამოკეთებულიყო ჩვენი მდგომარეობა, როდესაც ჩვენი მინისტრები ექვს-შვიდ თვეობით სამზღვარ გარეთ რჩებოდნენ და ეს ჯდებოდა ასეული მილიონები. მარტო ბნ ევგენის ევროპაში მოგზაურობა დამჯდარა 10.000 სტერლინგი = 1 მილიონი ლირა და მერე იმ დროს, როდესაც ბოლშევიკები მშიერი მგლებსავით აქეთ იქით გვეხვეოდნენ. განა ეს შესაძლებელია და მისაღები? ეს კიდევ არაფერი. მთელი ჩვენი მდიდარი ქვეყნის გარეშე ვაჭრობ-მრეწველობის საქმეები ებარა უცხო პირს – ჩვენ მტერ ბოლშევიკების არამც თუ თანამოაზრეს, არამედ იქნებ მათ აგენტს. მე მაქვს საბუთები, რომ მან ჩვენ არამც თუ გვლანძღა პარიზში, არამედ გვემუქრებოდა და სწორეთ იმ დროს, როდესაც ჩვენ ვყიდულობდით მანდ იარაღს ჩვენი უბედური ჯარისათვის. მე ეს ამბავი რომ გავიგე, ეჭვი შემეპარა და რაც უფრო მეტს ეკუთხდებოდა სხვა და სხვა ფაქტებს, ვრწმუნდები, რომ ჩვენ დამარცხებაში **ლალატია** ჩარეული. აცნობეს ბოლშევიკებს, რომ ჩვენ ვმარდებით, მალე გვექნება იარაღი და სწორეთ იმ წუთს როდესაც უნდა დაიბვიროს ფრანგული გემი ჩვენთვის იარაღით, ბოლშევიკები ყველა მხრიდან გვარტყევენ ალყას. გვივლიან თბილისიდან და შავი ზღვიდან, რომ ვერაინ დაგვეხმაროს. პასუხს გასცემენ ქართველ ხალხს ის პირნი, რომელთაც ამისთანა პირების ხელში ჩააგდეს ჩვენი ქვეყნის ბედ-ილბალი. მეორე ვილაც შორიდან მოთრეულ უცხოელს აბარებენ პროპაგანდის საქმეს და არამც თუ მას ძვირფას სასახლეში ბინას აძლევენ და ჯიბებს უესებენ, არც ერთ საკითხს უიძისოდ არ სწყვეტენ. **ეს არის სრული ვაგხანალია**. ამას უნდა ბოლო მოელოს. აკაკი, მე თქვენი და მხოლოდ თქვენი იმედი მაქვს, გამოიჩინეთ ხასიათი, გაასუფთავეთ ჩვენი საქმე უცხო ქიებისაგან, რომლებიც მხოლოდ ღრწინან საქართველოს ბედ-ილბალს და სუქედებიან. რასაც მე თქვენ პირველზედ გწერთ, თუ საჭირო იქნება, მანდ პარიზში ჩამოვალ და ყველაფერს პირში ვეტყვი. ნუ ჰგონია, რომ ოქროს პორტ-სიგარებით მეც მიყიდის. სისხლი ყელში მოდის. ყველა ნამდვილი, პატიოსანი ქართველი თქვენ ამოგადგებათ გვერდში. მხოლოდ თავგადადებული სიყვარული ჩვენი ერისადმი, მხოლოდ სიფაქიზე და სინწინდე ჩვენი მუ-

შაობისა გამოიყვანს ჩვენს ხალხს იმ გაჭირვებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი ეხლა ჩავარდნილა. ვერავინ ვერ დაგვეხმარება, თუ ჩვენც ჩირქი მოგვეცხო მათ თვალში. მეორე ინტერნაციონალის იმედი ნუ გექნებათ. იგი დამარხეს თვით მის ლიდერებმა ამას წინად. მისი საფლავი თბილისშია. მოიგონეთ მომავალში ჩემი სიტყვები. ტყუილად კი არ იყვნენ ჩვენში. ასე შორს ვინ წავა, თუ არა რაიმე მნიშვნელოვან საქმისათვის. მოიკრიბეთ ირგვლივ არა პარტიის ხალხნი, ისინი თქვენთვის ეხლა საჭირო არ არიან, არამედ ნამდვილი გულით და სულით ქართველნი, მცოდნე, თავდადებული, მოსიყვარულე თავის ერისა. ბევრნი არ არიან ეხლა აქ სამწუხაროდ, მაგრამ სამყოფნი გამოიძებნებიან. ფულს ძალიან გაუფრთხილდით, ნუ შეაჭმევთ მაგ ჭიებს, დიდი ბრძოლა და ხარჯები მოგელით გაუძღვეთ წმინდა საქმეს. მე ყველაფერზედ თანახმა ვარ, ოღონდ ვხედავდე მუშაობას. ამას კი გეტყვით, რომ თუ დავინახე, რომ არ გამოგიჩინიათ სიმამაცე მაგათ წინ და ეგენი ისევ ისე ფარეშობენ და სჭამენ უკანასკნელ გროშებს ქართველი ერისას – მაშინ კი მე წუღარ დამემდურებით, თუ ჩემს თანამშრომლობაზედ უარი გითხარით და ჩემს საკუთარ გზაზედ დავდექი. მაგრამ მე მრწამს თქვენი ღრმა სიყვარული ქართველი ერისადმი და მრწამს, რომ თქვენ მას თავის დღეში არ უღალატებთ. დიდი მოკითხვა [ოჯახს].

თქვენი
გიორგი მაჩაბელი

რომ წაიკითხო, სჯობია დახიო
კერძო

რომი. 14.X.1922

ძვირფასო აკაკი,

დღე ჩვენი ყოფნა არ ყოფნისა ახლოვდება. ვამბობ ყოფნა არ ყოფნისა, რადგან თუ ბოლშევიკებმა თავისი გაიტანეს, საქართველოს დამოუკიდებლობაც ისე მალე გაჰქრება, როგორც შარშანდელი თოვლი. დიდი მუშაობა გეჭირია. მაგრამ მარტო ეს ჩვენი მუშაობა არ კმარა. საჭიროა აგრეთვე აქტიური ბრძოლიანი გამოსვლა. ამაზედ შევთანაც მქონია ლაპარაკი. გადავსწყვიტე, როგორც ამ საქმეს ცოტა მოვანესრიგებ, ბერლინში ავირბინო რამდენიმე დღით და იქაც მოვანყო ყველაფერი, რომ როგორც შევაცხოვინებ არ მიღალატონ. აქ საქმე უკვე მოწყობილია. ფაშისტებთანაც მოვახერხე კარგი განწყობილების ჩამოგდება. ერთის სიტყვით ეხლა ძილი აღარ შეიძლება. მე მგონი ბერლინშიაც ყველაფერი მოეწყობა. არ ვიცი მანდ თუ არის ვინმე, რომელიც იკისრებდა თავის თავზედ. სირცხვილი ყველა თქვენთვის, რომ ის მოღალატე სკობოლევ²⁴ ასე თავისუფლად ნავარდობს. თუ გვეღირსა ბედნიერი დრო, ყველანი თქვენ პასუხის გებაში იქნებით მისაცემი ამის გამო. ეხლა მალე დავინახავთ ვინ არის ნამდვილი მამულიშვილი და ვინაა მზათ შესწიროს ყველაფერი თავის სამშობლოს. – ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩემი მოწაფეა. სათავადაზნაურო სასწავლებელში მე ვიყავი მისი უფროსი. რა ცელქი, მაგრამ რა კარგი გულის ბავშვი იყო. ეხლა საქართველოში რომ ვიყავი, ვერ ვიცან. თვითონ მომავლად, თუ როგორ ვსჯიდი მას ცელქობისათვის. მაშინ მომავლად. ძალიან მძიმე ბედი შეხვდა

24 მათე სკობლევ — ცნობილი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), რუსეთის IV სახელმწიფო სა-თათბიროს წევრი ამიერკავკასიიდან. რუსეთის დროებითი მთავრობის შრომის მინისტრი, 1921 წლიდან პარიზში მუშაობდა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, 1922 წლიდან გადავიდა ბოლშევიკურ პარტიაში.

ჩვენ საწყალ თავად-აზნაურობას, მაგრამ მაინც როგორ ყოჩაღად არიან. თუ გვე-
ღირსა საქართველოს ხელ ახლად საზიზღარ ბრჭყალებისაგან დახსნა, თქვენ უნდა
ესენი დააჯილდოვოთ. ნურავის ავინყდება, რომ საქართველოს 25 საუკუნის გან-
მავლობაში ჩვენი კლასი ემსახურებოდა და აკლავდა თავს. — იზეთ ფაშას²⁵ ძალიან
კარგათ ვიცნობ. ეგ იყო რომ ხელი მოანერა ენვერის²⁶ მაგივრად იმ ხელშეკრულე-
ბაზედ, რომელიც მე დავდევე ოსმალებთან. **ბათუმი ჩვენი უნდა ყოფილიყო.** მაშინ
ეს იზეთი იყო კოლონელი, შტაბის განყოფილების უფროსი. ყრუა, მაგრამ კარგი
ოფიცერი და სიმპატიური პიროვნება. — ახალ სულთანსაც ხომ ისე ვიცნობ, როგორ
შენ. მაშინ მეოთხე კანდიდატი იყო სულთნობისა. რანამს ჩამოვიდოდი სტამბოლ-
ში, თავის ადიუტანტს გამომიგზავნიდა ხოლმე და დამიბარებდა თავისთან. დედა
ქართველი ჰყავს, ჯაფარიძის ქალი. ჩინებული კაცია. ძალიან კარგად და მეგობ-
რულად მექცეოდა. ხატავს კარგად (ოსმალის გემოვნებას გადააჭარბა). მაჩვენა
ყველა თავისი ნახატი სურათები, თავისი ბიბლიოთეკა. საათობით არ მიშვებდა
თავისაგან. ვმუსაიფობდით ყოველგვარ საგნებზედ და საკითხებზედ. თუ გავლენა
ჩაიგდო ხელში, შეიძლება ძალიან გამოგვადგეს. — ინსტრუქციებს ნუ მომაკლებ.
ნორინა ფლორენციაშია. ძმური სალამი და კეთილი სურვილები შენ და მაკრინეს.
ხომ კარგად ხართ.

შენი გიორგი

25 იზეთ ფაშა — ისმეთ ინენიუ — თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1922-1923 წლებში.
თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1938-1950 წლებში.

26 ენვერი — ენვერ ფაშა — ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

დამონშებანი

1. მანაბელი გ. ნერილები, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გ. შარაძის კერძო კოლექცია, ფ.М-ა.5-ბ.3,4,5,8.
2. შარაძე გიორგი, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003.
3. შარაძე გურამ, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. 3, თბ., 1993.
4. ნერეთელი გ. ქართული ემიგრაცია და ადამიანები, პარიზი, 1971.

RUSUDAN KOBAKHIDZE

The letters of Giorgi Machabeli to Akaki Chkhenkeli

The materials for the study of the history of the Georgian diplomacy

Summary

The article deals with the activity period of Giorgi Machabeli, one of the members of the diplomatic corps of the independent Democratic Republic of Georgia (1918-1921) and the representative of Georgia in Italy.

The addressee of Giorgi Machabeli's letters is Akaki Chkhenkeli – the first minister of Foreign Affairs of the independent Georgia and the ambassador to the European countries, as G. Machabeli writes: „To Entente and neutral countries“.

The letters were written in 1921-23. This is the period when the exiled government of the independent Georgia and the diplomatic missions continue fighting against the Bolshevik Russia.

The letters of Giorgi Machabeli are current even today. All of them are political ones and include the advices of the experienced diplomat.

The letters published by us show the international situation around Georgia. Besides this, political and personal portraits of the two Georgian diplomatic figures – Giorgi Machabeli and Akaki Chkhenkeli – are painted.

გიორგი მაჩაბელი 1930-90-იანი წლების ამერიკული გაზეთების მიხედვით

1930-90-იანი წლების ამერიკული პრესა სავსეა არა მარტო „პრინცი მაჩაბლის“ სუნამოების სამეფო გვირგვინის ფორმის ფლაკონების ფოტოებით, მისი პროდუქციის რეკლამებით, სადღესასწაულო შეთავაზებებით, სუნამოს მოხმარების წესებით, არამედ გიორგი მაჩაბლის საპარფუმერო კომპანიაზე სხვა საინტერესო ინფორმაციითაც.

ჩვენს მიერ მიკვლეული ქრონოლოგიურად პირველი დოკუმენტური წყარო პრინცი მაჩაბლის შესახებ ამერიკულ პრესაში 1932 წლის 7 ნოემბრით თარიღდება. გაზეთ „პიტსბურგ პრესის“ ერთი სვეტი „ბროდვეი“ გვამცნობს ნიუ-იორკში მიმდინარე სიახლეებს, მათ შორის იმასაც, რომ თეატრის გახსნისას, წარმოდგენის ჩაშლის მიზეზი თეატრალურ მოქმედებებს შორის გიორგი მაჩაბლის ჩურჩული გამხდარა. მის ამგვარ საქციელს კი მოწონება არ დაუმსახურებია. მასალიდან ცხადი ხდება, რომ ამგვარი ქმედებით იგი თითქოსდა აპირებდა თავის წოდებაზე უარის თქმას და უბრალო „ბატონად“ გახდომას, როცა მოქალაქეობას მიიღებდა. „ნიუ იორკმა მისცა მას შანსი სუნამოებისა და კოსმეტიკის ბიზნესით შეექმნა მდიდრული ცხოვრება და მას ეს წოდება ზედმეტად ეჩვენება“, – აღნიშნულია ინფორმაციაში. სტატიიდან ასევე ვიგებთ, რომ ეს წარმოდგენა ყოფილა ქალბატონი ჯო ლებლანგის. მიუხედავად იმისა, რომ მისსავე ბილეთების კომპანიას განადგურების პირას მიყვანილი ბევრი თეატრალური შოუ გადაურჩინია, მან ამ შოუს გადარჩინა მაინც ვერ შეძლო (Broadway 1932:). საუბარია თეატრალურ სფეროში მოღვაწე ცნობილი ამერიკელი მენარმის ჯოზეფ ლებლანგის მეუღლეზე, ბიზნესუემენისა და ფილანტროპ თილი ლებლანგის შესახებ, რომელიც, 1931 წლიდან, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ხელმძღვანელობდა 12-15 მილიონიან საოჯახო ბიზნესს, ხოლო სტატიაში აღნიშნული ბილეთების კომპანია კი არის ნიუ-იორკის „ცენტრალური და საზოგადოებრივი მომსახურების თეატრის ბილეთების სააგენტო“, რომელიც მოსახლეობას ბროდვეის ბილეთებს ნახევარ ფასად სთავაზობდა (Discount 2014:). ქალბატონი ლებლანგი დიდი დეპრესიის პერიოდში ხელმძღვანელობდა თეატრსა და ბილეთების ბიზნესს, ასევე დაგამდა სპექტაკლებს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1932 წელს წარმოდგენილი კომედია „უთხარი ქალბატონს სიმართლე“ და ოპერეტა „დიუბარი“ (Elliot 2014:). კომედია სცენაზე 1932 წლის 28 ოქტომბრიდან 1932 წლის 5 ნოემბრამდე იდგმებოდა, ხოლო ოპერეტა – 1932 წლის 22 ნოემბრიდან 1933 წლის 4 თებერვლამდე (Tillie 2014). ეს თარიღები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, რომელი სპექტაკლის დროს ნაჩურჩულა პრინციმა მაჩაბელმა: „პიტსბურგ პრესის“ ინფორმაცია 1932 წლის 7 ნოემბრით თარიღდება, 1932 წლის 28 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით კი სცენაზე იდგმებოდა ქალბატონ ლებლანგის პიესა „უთხარი ქალბატონს სიმართლე“. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიორგი მაჩაბელი ამ პიესას ესწრებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პიესა კომედიური ჟანრისა იყო, გიორგი მაჩაბლის საქციელის მიზეზი ცხადი გახდება – ალბათ გვერდით მჯდომ მეგობარს თავისი ემოციები გაუზიარა. სავარაუდოდ, 1930-იანი წლების კონსერვატიული ამერიკული საზოგადოების წარმომადგენლებმა პრინციის ეს ქმედება მიუღებლად მიიჩნიეს და ამბავი გაზეთშიც აღნიშნა. ამ თითქოს პატარა

და ერთი შეხედვით უმნიშვნელო საგაზეთო ინფორმაციამ გიორგი მაჩაბლის ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდამდე მიგვიყვანა.

1934 წლის 11 აგვისტოს გაზეთი „სპოკენე დეილი ქრონიკლი“ გვამცნობს, რომ პრინცმა მაჩაბელმა ჰობი მომგებიან ბიზნესად აქცია (**A Real 1934**) – „უარი არ თქვა ნოდებაზე და ნიუ-იორკის მიერ მიცემული შანსიც წარმატებით გამოიყენა“.

„პრინცი მაჩაბელი“ ამერიკელებს განსაკუთრებულ საჩუქრებს სთავაზობდა შობისა და ვალენტინობის დღისათვის. მაგალითად, გაზეთ „დესერატ ნიუსის“ 17 დეკემბრის ნომერში შეთავაზებულია საშობაო სიახლე – პრინცი მაჩაბელის 4 სუნამო სპეციალურ ფასად:

„1. **Cologne Curiosity Shoppe** – შობა დღისათვის ნამდვილი სიამოვნებაა ქალბატონისათვის... ვარდი, არომატიზებული ნარევი და საშობაო ანგლოზის ფლაკონი დიკენსით შთაგონებულ საშობაო დეკორაციაში – 1,5 \$, პლუს ბეგარა; 2. **Cologne Duet** – საშობაო ზარები. ნითელი და თეთრი ბაფთები ამშვენებს ამ მომხიბვლელ საჩუქარს, რომელიც წარმოდგენილია **Beloved**-ისა და **Stradivari**-ის ოდეკოლონებით – 2,5 \$, პლუს ბეგარა; 3. **Cologne Collection** – ექვსი გზა, რომ ასიამოვნო ის ერთადერთი ქალბატონი უნიკალური და მშვენიერი საჩუქრით. ოდეკოლონები **Wind Song**, **Beloved**, **CrownJewel**, **Stradivari**, **Abano da Added Attraction** – 3,50 \$, პლუს ბეგარა; 4. **Cologne Spray Duet** – პრინცი მაჩაბლის ორი ცნობილი არომატი **Stradivari** და **Wind Song** – მოხერხებულ და პოპულარულ მისაპკურებელ ფლაკონში. სადღესასწაულო შეფუთვა ოქროსფერ, თეთრ და წითელ ფერებშია – 4 \$, პლუს ბეგარა“ (**Very 1958**:).

ამერიკელ ქალბატონებს მამაკაცებისათვის საშობაოდ ერთ-ერთ სასურველ საჩუქრად სთავაზობდნენ პრინცი მაჩაბლის **Black Watch**-ს. „ერთმანეთში ფაქიზად შერეული ტყავისა და თამბაქოს სურნელი ღრმა მერქნისებრი დანამატებით. შეიძლება სასიამოვნოდ და მადის ამღვქვრელად არ უღერს, მაგრამ ეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კაცის სუნამოების ხაზია 5 \$“, – აღნიშნავს რუბრიკის ავტორი, გაზეთ „მაია ნიუსის“ სილამაზის ხელოვნების შესახებ სიახლეების რედაქტორი მირენა ოდელი (**Odell 1961**:).

რაც შეეხება ვალენტინობის დღის საჩუქარს, 1943 წლის გაზეთ „სქინექთი-დი გაზეთის“ 7 თებერვლის ნომერის რეკლამა ამერიკელ მამაკაცებს სთავაზობს პრინცი მაჩაბლის სუნამოებს: „ამ ცნობილი ოდეკოლონებით, იასამნით დახუნძლული **Duchess of York**, ეგზოტიკური **K Katherine the Great**, ან ქორფა ყვავილების **Georgian Carnation**. კიდევ ერთხელ უთხარი ქალბატონს, რომ გიყვარს. ყველაფერი ეს ნითელი გულებით კიდევ უფრო რომანტიკული გახდება – 1 და 1.5 \$. ასევეა ვალენტინობის მისალოცად „პრინცი მაჩაბლის“ მინიატურული **Crown**-ი – 1,25 \$“ (**Schenectady 1943**:).

სპეციალური შეთავაზებები მხოლოდ შობისა და ვალენტინობის დღეებით არ შემოიფარგლებოდა. გიორგი მაჩაბელი მის მიერ შეზავებულ **Duchess of York**-ის უძღვნდა მსოფლიოში ყველა მშვენიერსა და მოსიყვარულე ქალბატონს. „ისეთივე რომანტიკული, როგორც იასამნებით დახუნძლული სიო... და ქორფა, როგორც გაზაფხული. უმაღლესი კომპლიმენტი, რაც შეგიძლია შენს ქალბატონს აჩუქო არის **Duchess of York** -ი – 5,50 \$“. ამავე რეკლამაშია აღნიშნული მაჩაბლის სხვა ნაწარმიც – **Eau de Toilette** – 5 \$ და **Cologne** – 1,50 და 2,50 \$ (**Give 1943**:).

1969 წელს **Wind Song**, **Stradivari**, **Prophecy**, **Beloved**, **Abano** მიპკურებელი ოდეკოლონები უკვე 2 \$ ღირდა (**Star 1969**:).

1936 წლის 3 აპრილის გაზეთ „სპოკან დეილი ნიუსის“ რუბრიკაში „ტუალეტის სხვა ფუფუნების საგნები“ აღნიშნულია: 2 \$. არ არსებობს „პრინცი მაჩაბლის“ კომპლექტზე ან გვირგვინის ფორმის ფლაკონის მქონე სუნამოზე უფრო ლამაზი და გონივრული საჩუქარი (Other 1936:).

მაჩაბლის სუნამოების შექმნა, ხელმისაწვდომი ფასის გამო, არა მარტო პრაგმატული გადაწყვეტილება იყო, არამედ საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ ქალბატონებს თავი ერთადეთ და განუმეორებელ პიროვნებებად ეგრძნოთ. მაჩაბლის სუნამოების რეკლამები იმიტაც არის გამორჩეული, რომ მართლაც ზღაპრული ეპითეტებით არის შემკობილი მისი პროდუქცია, ამის ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითია 1979 წლის 10 მაისით დათარიღებული გაზეთი „გადსდენ თაიმის“ ინფორმაცია: „მსოფლიოში ბევრი ბალია, მაგრამ არც ერთია პრინცი მაჩაბლის 3 დიდებულ არომატზე უფრო სურნელოვანი და უფრო მშვენიერი, ესენია: Cachet – ძალიან ინდივიდუალური არომატი, რომელსაც შეუძლია ქალის ინდივიდუალურობის გამომჟღავნება; Wind Song – რომანტიკული არომატი, რომელიც ქალის სინაზის აურას ქმნის; Aviance – გრძობადი, მხიარული არომატი, რომელიც ამაღლებს სულიერ განწყობას“ (Introducing 1979:).

მთავარია არა სუნამოს ქონა, არამედ მისი სწორად გამოყენება. გაზეთ „პიტს-ბურგ პოსტ-გაზეტის“ 1940 წლის 8 იანვრით დათარიღებული ნომრის სექცია „საყიდლებზე პოლისთან ერთად“ გვამცნობს, რომ პოლის ინტერვიუ აუღია ცნობილი ექსპერტის, პრინცი მაჩაბლისაგან. თავად სექცია არ არის ინტერვიუს ფორმით დაწერილი, პოლი გვიყვება გიორგი მაჩაბელთან საუბარის შინაარსს: „მან მთელ მსოფლიოში შეისწავლა ქალების სურვილები და საკუთარი ცოდნა ფლაკონებში ესენციებად გამოხატა. მან იცოდა ყველაფერი ფუტკრებისა და ყვავილების შესახებ, აგრეთვე ბევრი კარგი საშუალება საუკეთესო აურის შესაქმნელად. მისი აზრით, კანის ფაქტურასა და ფერს სუნამოს არჩევასთან არანაირი კავშირი არა აქვს, რომ ქერები, შავგვრემნები და ჟღალთმიანები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები იყვნენ და სწორედეს ინდივიდუალურობა აბრუნებს დედამინას!.. ამ სუნამოებს აქვთ ძიმიური რეაქცია კანზე, რომელიც სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვა სურნელს ქმნის“, – ვკითხულობთ სტატიაში. „ჩვენმა სუნამოების ექსპერტმა გვიჩინა, რომ ვიყოთ თქვენი (იგულისხმება მკითხველი – მ.ბ.) საკუთარი ლაბორატორიის ექსპერიმენტი“, – გრძელდება სტატია და მკითხველს სთავაზობს სუნამოების მოხმარებისა და გამოყენების ინსტრუქციებს: სანამ დასაძინებლად წახვალთ, შეიზილეთ ცოტაოდენი სუნამო ორივე მაჯაზე და დილით გაღვიძებულმა შეამოწმეთ, შეგრჩათ თუ არა ის არომატი (თუ კი, ე.ი. რაღაც მიგიღიათ); ატარეთ თქვენი სუნამო ქალაქში და ნახეთ, მოსწონს თუ არა თქვენს საუკეთესო მეგობარს ის (და ის გეტყვით ამას), შეცბუნებულია თუ არა თქვენი მტერი და სადამდე გაგყვებათ ინანათი; გადაწყვიტეთ, რამდენად ეხამება თქვენი სუნამო ხასიათს სახლიდან გასვლისას; არასდროს დაისხათ სუნამო ტანისამოსზე – დაიდეთ კანზე, თქვენს თეთრულზე, ხელსახოცზე (ვალ-ვალე ან ერთად; საპკურები სახელოს სიგრძეზე დაიჭირეთ ისე, რომ მიპკურებისას სუნამო მიზანს განუწვის გარეშე მოხვდეს; მიისხურეთ სუნამო (ან ოდეკოლონი ან ტუალეტის წყალი) სხეულზე დაბანის შემდეგ და თმაზე ისე, რომ ტანსაცმელი არ დაალაქავოთ; დააფასეთ საკუთარი სიფაქიზე, ნუ გაინუნებით ფლაკონიდან ან საცობიდან სუნამოს სწრაფი მისხმით, უკეთესია, თითებით წაისვით ყურების უკან ან წარბებთან; როდესაც სუნამოს ყიდულობთ დრეპებში (წონის ერთეული – მ.ბ.) ან კოლბებით, ადვილია მისი გადატანა მისაკურებელში,

ხოლო ფლაკონები გასალამაზებლად შეინახეთ; ფლანელის რბილი ნაჭერი თქვენი საყვარელი სუნამოთი გაჟლინოთ და კომოდის უჯრაში შეინახეთ, ფლანელი გადაჭერით და ჩამოკიდეთ კაბაზე; გამოიყენეთ სუნამო (ან კონცენტრირებული ესენცია ან ტუალეტის წყალი) აბაზანაში მარილის მაგივრად, დაამატეთ რამდენიმე წვეთი თქვენი თეთრეულისა და წინდების გავლებსაც; თუ არ გინდათ, რომ წვიმამ ჩამორეცხოს თქვენი ინანათი, სურნელოვანი პატარა ნაჭრები გამოაკერეთ ქუდსა და საყელოს. სუნამოს მოხმარების ამ ჯადოსნური წესებთან ერთად, სტატებიდან ვიგებთ, რომ „არსებობს სუნამოები, რომლებიც გაბედნიერებთ და სუნამოები, რომლებიც გადარდიანებთ.....და სადღაც, ამ ვრცელ სამყაროში არსებობს მხოლოდ თქვენთვის შექმნილი სუნამო, თუ ბედი გწყალობთ და მას იპოვით, არ შეგეშალოთ მისი გამოყენება, მაგრამ შეინახეთ იმ დიდებული მომენტისათვის, რომლისთვისაც ბევრი ენერჯიაა საჭირო“ (Shopping 1940:). პოლის მიერ მესამე პირში გადმოცემული თხრობა იმდენად შთაბეჭდილია, რომ გეუფლება გრძნობა – ამ ინსტრუქციებზე არა სხვა, არამედ თავად პრინცი მაჩაბელი გვესაუბრება.

ყველა ინდუსტრია განიცდის როგორც აღმავლობას, ასევე დაღმავლობას. 1973 წლის გაზეტ „სთარ-ნიუსის“ სტატიის „სუნამოების ინდუსტრია ძლიერდება ქალთა განმანათავისუფლებელი მოძრაობის დროსაც კი“ ავტორი გეი პოლი საუბრობს, რომ სუნამოების ბიზნესზე ეროვნული ეკონომიკის აღმავლობამ და დაცემამ მცირედ იმოქმედა. „ქალმა შეიძლება არ იყიდოს ახალი კაბა, ანგარიში გაუნოს ოჯახის ბიუჯეტს, რადგან დიდი დანახარჯი იქნება, მაგრამ ის გაინებვირებს თავს და ასიათვისებს თავის მამაკაცს სუნამოთი ან ოდეკოლონით, რადგან ეს არ ანგრევს ყოველთვიურ საბანკო ბალანსს“. აღნიშნულ სტატიაში მოხსენიებულია ქალბატონი ჰენრი ენ ქანი, რომლის სამსახური ქალებისათვის სასურველი სუნამოების შეგროვებაა. მისივე თქმით, ამ ინდუსტრიაში იმუშავებდა სხვა ფაქტორიც მოქმედებდა; „ეს არის ახალი თავისუფლება, რასაც ქალები გრძნობენ, რადგან ქალებმა უფრო მეტად შეიცნეს საკუთარი თავი და უფრო მეტად ცდილობენ თავს ასიათვისონ. სტატიის მიხედვით, ქალბატონი ქანი სუნამოების ბიზნესში 18 თვის წინ მისულა გიორგი მაჩაბლის კომპანიის ბრენდ-მენეჯერად. „ეს არის ფირმა, რომელიც 1930-იან წლებში ნიუ-იორკში ემიგრირებულმა რუსმა პრინცმა დაარსა, ახლა ის „Chesbrough-Pond's Inc“-ის ნაწილია. ამავე მასალის მიხედვით ირკვევა, რომ 1973 წელს არსებობდა „მაჩაბლის კვლევითი გუნდი“, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მოგზაურობდა, საუბრობდა მალაზიის თანამშრომლებთან, აგროვებდა ექვსი, შვიდი ან რვა ქალისაგან შემდგარ ჯგუფებს, რომ გაეგოთ, რა სურდათ მათ. მკვლევართა აღმოჩენებზე დაფუძნებით კი ქიმიკოსები მუშაობდნენ ფორმულებზე, რომ არ ჩამორჩნოდნენ საერთო ტენდენციას. ქალბატონი ქანიც ჯგუფთან ერთად მოგზაურობდა. მან თქვა: „რთულია ტენდენციის განსაზღვრა, სულ ცოტა 300 განსხვავებული სურნელი არსებობს. ვგრძნობ კლასიკიდან, სიმუხუბქიდან გადანაცვლებას, მოტებო სუნიდან ნათელ, ქორფა თანამედროვეზე. ასევე რთულია კაცური რეაქციების განსაზღვრა სუნამოებისა და ოდეკოლონებზე“ (Gay Pauty 1973:).

1930-80-იანი წლების ამერიკული პრესის მიმოხილვისას, ჩვენთვის დიდი აღმოჩენა გახდა ის, რომ არსებობდა „პრინცი მაჩაბლის“ სახელობის ჯილდო.

21 წლის საიბლ შეფარდისა და სხვა ქალებისათვის 1972 წლის 25 იანვარს უნდა გადაეცათ „პრინცი მაჩაბლის“ ჯილდო სუნამოების კომპანიისგან „კარიერაში 1971 წელს მიღწეული ახალ სიმაღლეებისათვის“. ცერემონია „თანამედროვე ამერიკული ხელნაკეთი ნივთების მუზეუმში“ გაიმართა (Judy Klemesrud 1972:). სა-

იბილ შეფარდის, ცნობილი ამერიკელი მსახიობის, მოდელისა და მომღერლის ბიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ 1971 წელს მან მონაწილეობა მიიღო ფითერ ზოგდანოვიჩის ფილმში „უკანასკნელი კინოსენსი“ და კრიტიკოსებისაგან საუკეთესო შეფასებები დაიმსახურა (Cybill 2014:). იმავე წელს ის ოქროს გლობუსის ნომინაციაზე იყო წარდგენილი, როგორც ყველაზე პერსპექტიული დამწყები მსახიობი ქალი (Cybill Shepherd 2014:).

თემაზე მუშაობისას აღმოვაჩინეთ, რომ „პრინცი მარჩაბლის“ ჯილდო „Sun Shower Award“ „1971 წელს კარიერაში მიღწეული წარმატებისათვის“ ასევე მიიღო აფრო-ამერიკული პოეზიის პრინცესად ნოდებულმა ამერიკელმა მწერალმა ნიქი ჯიოვანმა, ქალაქ ნიუ-იორკის საბალეტო დასის პრინა ბალერინა ქეი მაზომ და დიზაინერმა ბეთსი ჯონსონმა (Jet 1972:). 1970-იანი წლების დასაწყისში საზოგადოებამ დაიწყო ბეთი ჯონსონის ნიჭისა და შრომის დაფასება. 1972 წლის 25 იანვარს „ამერიკული ხელნაკეთი ნივთების საბჭოში“, ნიუ-იორკში, „პრინცი მარჩაბლის“ კომპანიის მიერ დაფინანსებულ წვეულებაზე, მან მიიღო პირველი ყოველწლიური ე.წ. „მზის საჩუქარი“. ამ სამ ქალბატონს ჯილდო გადასცა „პრინცი მარჩაბლის“ კომპანიის პრეზიდენტმა ფრანკ სტამბერგმა. ასე რომ, მარჩაბლის ჯილდო გადაეცათ გამოჩენილ ქალბატონებს 1971 წელს კარიერაში მიღწეული ახალი წარმატებისათვის (Kathryn 2011:).

1980-90-იან წლებში ასევე არსებობდა „პრინცი მარჩაბლის სახელობის ეროვნული გმირის ჯილდო“ მამაკაცებისათვის. როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ამერიკელი სპეციალისტი იმეილი ალნიშნავენი, ეს ჯილდო საუკეთესო საშუალება იყო კომპანიისათვის – შეექმნა ახალი პროდუქცია განსაკუთრებული მოვლენებისა და შეთავაზებების შემთხვევაში. „პრინცი მარჩაბლის“ კომპანიის განყოფილებამ „Chesebrough-Pond's USA“-მ მომხმარებლებს წარუდგინა მამაკაცის ახალი ოდეკოლონი სახელად „გმირი“. იმისათვის, რომ ეს ახალი შეთავაზება იმავე წელს გამოსული 21 სახეობის მამაკაცური არომატისაგან განესხვავებინათ, ფირმამ შეიმუშავა „ეროვნული გმირის ჯილდოს პროგრამა“ ნამდვილი ამერიკელი მამაკაცი გმირებისათვის და დახმარება სთხოვა ამერიკის „დიდ ძმებსა და დიდ დებს“ დახმარებოდნენ პროგრამის განხორციელებაში (Public Relations 2014:). ეს არასამთავრობო ორგანიზაცია 1904 წელს ნიუ-იორკში დაარსდა. მისი მიზანი იყო, პროფესიონალ მოხალისე მენტორთა მეშვეობით, დახმარებოდა ბავშვებს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენაში (110 Years 2014:).

როგორც ირკვევა, ეროვნული გმირის ჯილდოს პროგრამა ამოქმედებულა 1988 წელს. კომპანია „ამერიკის დიდ ძმებთან და დიდ დებთან“ ერთად აჯილდოვებდა ნამდვილ გმირებს, რათა გაეცნოთ ისინი ამერიკელი ბავშვებისათვის და დახმარებოდნენ ამ უკანასკნელთ როგორც საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში, ისე სამომავლო კარიერის დაგეგმვაში. 1989 წელს აღნიშნულმა პროგრამამ მოაგროვა 180.000 \$ მეტი და 33%-ით მეტ მოხალისე მოზარდს მისცა სტიმული გმირული ძაღლისხეობისათვის, რომ ბავშვების ცხოვრება პოზიტიურად შეეცვლა. „პრინცი მარჩაბლის“ ეროვნული გმირის განსაკუთრებულ ჯილდოზე წარადგინეს პიტერ გილორდი – აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე (Diane Silvotti 1992:).

1989 წელს პრინცი მარჩაბლის სახელობის ეროვნული გმირის ჯილდო ხელოვნებისა და საესტრადო ღონისძიებების დარგში მიიღეს: ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა, სცენარისტმა ჯიმ ჰენსონმა (Jim Henson 2014:), „მაკდონალდის“ ყოფილმა დირექტორმა, სახელოვანმა ამერიკელმა ქველმოქმედმა ედვარდ რენსიმ (Ed Rensi 2014:), ხოლო 1990 წელს ეს ჯილდო მუსიკის დარგში ამერიკული ქანთრის,

სამხრეთული როკისა და ბლუგრასის შემსრულებელ მუსიკალურ ჯგუფ „ალაბამას“ გადაეცა (List of awards 2014:).

საყურადღებოა ისიც, რომ როგორც 1990 წლის 26 ივლისის „ვესთ ლიონ ჰერალდი“ იუნყება, „პრინცი მაჩაბლის“ სახელობის ეროვნული გმირის ჯილდოს“ მოსაპოვებლად წარდგენილ კანდიდატებს შორის იყო ამერიკის შეერთებული შტატების 41-ე პრეზიდენტი ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუში; ამერიკელი მსახიობი, მოცეკვავე, მომღერალი ბობ ჰოუფი; ამერიკელი ბეისბოლისტი გერი კართერი და ამერიკელი კომიკოსი, სცენარისტი, მსახიობი ჯერი ლიუისი. „ვინ მოიგებს 1990 წლის ეროვნული გმირის ჯილდოს? ჩვენ ამას მალე შევიტყობთ, როგორც კი ათასობით ამერიკელი ხმას მისცემს „პეოპლუ მაგაზინეს“ გამოკითხვის მეშვეობით საკუთარ რჩეულს“, – ვკითხულობთ ამავე გაზეთში: „მეორედ ყოველწლიური ეროვნული გმირის ჯილდოს აფინანსებს ოდეკოლონ „გმირის“ შემქმნელი „პრინცი მაჩაბლის“ კომპანია და ეხმარება „BBBS America“-ს, რომ „გმირი“ ბავშვებს გააცნოს. ამ წელს ყველას შეუძლია დაეხმაროს ამ ეროვნულ ბავშვთა ორგანიზაციას ფასდაუდებელი საქმიანობის გაგრძელებაში. „პრინცი მაჩაბელი“ შესწირავს 50 ცენტს BBBS-ს და 1 \$ თუკი ასევე შეიძენთ ოდეკოლონს. მონაწილეობის მისაღებად, იხილეთ ანკეცა 30 ივლისის „პეოპლუ მაგაზინეს“ ნომერში, ან ადგილობრივ მაღაზიაში, სადაც იყიდება ოდეკოლონი „გმირი“, – ვიგებთ გაზეთში აღნიშნული ინფორმაციიდან (America's Heroes 1990:).

„პრინცი მაჩაბლის“ სახელობის ეროვნული გმირის ჯილდო არა მარტო საუკეთესო მენეჯმენტური გათვლა იყო ჰარფიუმერიული კომპანიისთვის, არამედ ბნყინვალე ჰუმანიტარული და საქველმოქმედო მიზნების გახორციელებაც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში „პრინცი მაჩაბლის“ პროდუქციას ყველა სოციალური კლასის, რასისა და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანი მოიხმარდა. მათ შორის იყო ცნობილი ამერიკელი მზარეული, ავტორი და სატელევიზიო წამყვანი ჯულია ჩაილდი, რომელიც თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ შაბათობით ის და მისი მეგობრები ისვამდნენ „პრინცი მაჩაბლის“ ალუბლისფერ ტურსაცხს და მიდიოდნენ სან-ფრანცისკოში: „ჩვენ ვფიქრობდით, რომ ძალიან ელეგანტურები ვიყავით“, – აღნიშნა ჩაილდმა (Molly O'neill 1989:).

არა მხოლოდ გიორგი მაჩაბლის სუნამოების მოხმარება იყო საზოგადოებაში გამორჩეული აურისა და მდგომარეობის შექმნის საშუალება, არამედ „პრინცი მაჩაბლის“ კომპანიაში მუშაობაც იყო ერთგვარად პრესტიჟული საქმე. ალბათ, სწორედ ამიტომაც არის ეს აღნიშნული რამდენიმე ამერიკული გაზეთის იმ სექციაში, რომელშიც საუბარია ადგილობრივი ნიშნობებისა და საქორწინო ცერემონიების შესახებ. წყვილების მცირე ბიოგრაფიაში მითითებულია, რომ ისინი „პრინცი მაჩაბლის“ სუნამოების კომპანიაში მუშაობდნენ, მათ შორისაა გლორია რუთ ნიუქომბი (Engagements 1947) და ჯეან მერი ჰესთერი (District Engagements 1982:).

ამრიგად, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ 1930-90-იანი წლების ამერიკული პრესის ანალიზის შედეგად, გიორგი მაჩაბლის თემის შესახებ რამდენიმე ასპექტი გამოიყოფა. ესენია: პირველი ბეჭდური საგაზეთო წყარო ამერიკის შეერთებულ შტატებში გიორგი მაჩაბლის მოღვაწეობის შესახებ; „პრინცი მაჩაბლის“ სუნამოების რეკლამები და სადღესასწაულო შეთავაზებები; სუნამოს მოხმარების წესები; სუნამოს ინდუსტრიის განვითარება 1970-იან წლებში და ახალი ტენდენცია ამ სფეროში; „პრინცი მაჩაბლის“ სახელობის ჯილდოები, როგორც ცნობილი და გამოჩენილი ამერიკელი ქალების, ასევე მამაკაცებისათვის; „პრინცი მაჩაბლის“ კომპანიის თანამშრომლები.

მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, წინამდებარე სტატიას ქართულ სამეცნიერო სივრცეში გიორგი მანაბლისა და მისი პარფიუმერული კომპანიის შესახებ აქამდე უცნობი, სრულიად ახალი მასალები შემოაქვს.

დამონებანი

1. America's Heroes 1990: America's Heroes, Americans Choose their 1990 Heroes – “The West Lyon Herald”, 1990, 26,VII, p.3.
2. A Real 1934: A Real Prince Makes Perfumes – “Spokane Daily Chronicle”, 1934, 11, VIII, p.5.
3. Broadway 1932: Broadway – “The Pittsburgh Press”, 1932, 7, XI, p. 26.
4. Cybill 2014: Cybill Shepherd Biography, [Internet], 2014. The Biography.com website .
5. Cybill Shepherd 2014: Cybill Shepherd, [Internet], 2014, The Wikipedia.com Website.
6. Diane Silviotti 1992: Diane Silviotti, Warren County, 1992, 4, VI, [Internet], The articles.mcall.com website.
7. Discount 2014: Discount Broadway Tickets, Joe LeBlang Ticket Business Timeline, 2014 [Internet], the nytx.com website.
8. District Engagements 1982): District Engagements – “The Pittsburgh Press”, 1982, 1, IV, p.S19.
9. Ed Rensi 2014: Ed Rensi, Biography, 2014,[Internet], the luluspeakers.com website.
10. Elliot 2014: Elliot Ashkenazi, Tillie Leblang, 2014, [Internet], the jwa.org website.
11. Engagements 1947: Engagements, Miss Gloria Newcomb Robert C. Becks to be Wed – “Daytona Beach Morning Journal”, 1947, 30, IX, p.8.
12. Gay Pauley 1973: Gay Pauley, Perfume Industry Gains Even with Lib Movement, – “Star-News”, 1973, 24, VII, p.6.
13. Give 1943: Give her the Loveliness of Duchess of York by Prince Matchabelli – “Schenectady Gazette”, 1943, 7, V, p. 7.
14. Introducing 1979: Introducing Gardens by Prince Matchabelli – “Gadsden Times”, 1979, 10, V, p.7.
15. Jet 1972 : “Jet”, 1972, 6 IV, p.28.
16. Jim Henson 2014: Jim Henson: Awards and Honors, [Internet], 2014, the muppet.wikia.com Website.
17. Judy Klemesrud 1972: Judy Klemesrud ,The Model Road to Stardom, – “St. Petersburg Times”, 1972, 13, I, p.2D.
18. Kathryn 2011: Kathryn Oosterhuis, Betsey Johnson in the American Craft Council Archives – 2011, 17, XI, [Internet], the craftcouncil.org website.
19. List of awards 2014: List of awards and nominations received by Alabama, [Internet], 2014, The Wikipedia.com Website.
20. Molly O'neill 1989: Molly O'neill, Chef Julia Child Looms Larger than Life, – “The News-Journal”, 1989, 16, XI, p.4D.
21. Odell 1961: Odell M., Last-Minute Gifts Sometimes Make The Most “Scents” – “The Miami News”, 1961, 22, XII, p.2B.

22. Other 1936: Other Dainty Toiletries – “Spokane Daily Chronicle”, 1936, 3, IV, p.4.
23. Public Relations 2014: Public Relations, 2014, [Internet], the inc.com website.
24. Schenectady 1943: “Schenectady Gazette” – 1943, 9, II, p.7.
25. Shopping 1940: Shopping with Polly – “Pittsburgh Post-Gazette”, 1940, 8, I, p. 11.
26. Star 1969: Star Your Beauty, Look Perfectly Heavenly – “The Milwaukee Journal”, 1969, 12, III, p.7.
27. Tillie 2014: Tillie Leblang, Productions, 2014, [Internet],the ibdb.com website.
28. Very 1958: Very,Very Christmas... Fragrance Gifts Excitingly Packaged by Prince Matchabelli – “The Deseret News”, 1958, 17, XII, p.2D.
29. 110 Years 2014: 110 Years of History, 2014, [Internet], the bbbs.org website.

MARIAM KHATIASHVILI

“Prince Matchabelli” According to the American Papers in the 1930-90s

Summary

The survey reports the particular information on Georges Vasili Matchabelli, Georgian-born American perfumer and the Prince Matchabelli Perfume Company. The report is mainly developed on the evaluation of the 1930-1990s American digital magazines and journals and through the primary and secondary sources the author discovers the unknown and the newest data about Prince Matchabelli in Georgian scientific field. The document reads a role of the first printed media source about the life of Prince Matchabelli in the United States as a key component in analyzing his American activities. It also describes the advertisements of his products and special offers, his instructions of perfume usage, the development of Prince Matchabelli perfume industry in the 1970s and new tendencies in this business. The author finds samples of “Prince Matchabelli” special awards in the United States. The research reports the examples about the annual “Prince Matchabelli” “Sun Shower Award” for outstanding women who “have achieved new heights in their careers in 1971” and a “Prince Matchabelli” “National Hero Awards Program” honoring authentic male heroes. According to the media sources the author gives names of upon mentioned prizewinners. Finally the author also reports that National Hero Awards Program was a real marketing success in the public relations field with humanitarian aim that benefited “Big Brothers Big Sisters of America”, aiding it in its efforts to provide real-life “heroes” for thousands of America’s at-risk children during the 1980-1990s.

შემოქმედი ქართველი ქალები ემიგრაციაში

1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდნენ მთავრობის, დამფუძნებელი კრების, სამხედრო, პოლიტიკური, საქმიანი წრეებისა და კულტურის ცნობილი წარმომადგენლები ოჯახებით. 1922-1923 წლებში მათ მიემატნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული და მეტეხის ციხიდან ემიგრაციაში გაძევებული უნივერსიტეტის 94 პროფესორ-მასწავლებელი და ინტელიგენტი, 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ – გადარჩენილი მემბოხეები. მომდევნო წლებში საქართველოს ტოვებდნენ რეპრესიებს გარიდებული ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, კოლექტივიზაციით, ქონებისა და მიწების ჩამორთმევით დაზარალებული რიგითი ქართველები. მათი დიდი ნაწილი საზღვარზე საიდუმლოდ გადადიოდა. ისინი ოჯახის წევრებს სამშობლოში ტოვებდნენ მომავალში მათი გაყვანს იმედით, თუმცა ეს უმეტესობამ ვეღარ მოახერხა. ამდენად, პირველი ტალღის ემიგრანტთა შორის ცოტა იყო ოჯახები და ძალიან ცოტა მარტოხელა ქალები. 1921-1930 წლებში ემიგრაციაში ძირითადად მამაკაცები წავიდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტყვედნაწარდნილმა საბჭოთა მეომრებმა უცხოეთში დარჩენით შეადგინეს ემიგრანტთა მეორე ტალღა. ასე რომ პირველ-მეორე ტალღის ემიგრანტთა შორის ქართველ ქალთა რიცხვი მცირეა. მათი უმეტესობა პირველი წლების მძიმე ემიგრანტულ ყოფას მედგრად შეხვდა. უკლებლადნენ ქმარ-შვილს, ყოველდღიური საზრუნავისა და საოჯახო საქმეების შემდეგ სახლში მოტანილ შეკვეთებზე გვიან ღამემდე მუშაობდნენ – ქსოვდნენ, კერავდნენ და ამით ეხმარებოდნენ ოჯახებს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ისედაც პრობლემებით დატვირთულ ევროპაში პროფესიულ ასპარეზზე წარმატების მიღწევა ძალიან ცოტამ თუ მოახერხა. ამაში ხელს უშლიდათ ლტოლვილთა სტატუსიც, ვინაიდან პირველი ტალღის ემიგრანტთა უმეტესობამ დაიტოვა დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეობა და არ მიიღო იმ ქვეყნების ქვეშევრდომობა, რომელშიც ცხოვრება მოუწია. მიუხედავად ამისა, დაბრკოლებების გადალახვა ყველამ თავისებურად მოახერხა და სანიტარესო კვალი დატოვა მსოფლიო, ქართული ემიგრაციის და საქართველოს ისტორიაში.

ქართული ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ ქალთაგან ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილი არიან: მწერალი თამარ პაპავა, ჟურნალისტი ნინო სალია, ბალერინები ეთერ ფალავა და თამარ თუმანიშვილი, მსახიობი მარია მერიკო – მარიამ ალიმბარაშვილი, მხატვარი ვერა ფალავა, შესანიშნავი მოგონებების ავტორი სოფიო ჩიჯავაძე-კედი, „ლეილის დედად“ წოდებული ნამეცია გოგუაძე-ბერძენიშვილისა, საფრანგეთის „უკვდავთა“ აკადემიის წევრი, სოვეტოლოგი ელენ დანკოს-ზურაბიშვილისა, რადიო „თავისულების“ ქართული რედაქციის მთავარი რედაქტორი გულნარა პატარიძე და სხვები. მაგრამ კიდევ უფრო მეტია ისეთი, რომელთა სახელი უცნობია არა თუ ჩვენთვის, არამედ ხშირად ემიგრაციის ახალი თაობისათვისაც. არადა, მათი ღვაწლი ღირსია იმისა, რომ გავაცნოთ საზოგადოებას.

პირველ-მეორე ტალღის ემიგრაციის წარმომადგენელი შემოქმედი ქალბატონები სხვადასხვა გზით აღმოჩნდნენ ემიგრაციაში. განსხვავებულია მათი ცხოვრების გზა,

საქმიანობა, ბედი. ამ 9 ქალის შესახებ – ელენე თარხნიშვილი, სონია დუმბაძე, რუსუ-დან მდივანი, ვერა ფალავა, თამარ გამსახურდია, თამარ თუმანიშვილი, ეთერ ფალავა, მარიამ ალიხანაშვილი, თამარ პაპავა – სხვადასხვა დროს გამოვაქვეყნეთ სტატიები. მათგან 2 მომღერალია, 1 მოქანდაკე, 2 მხატვარი, 3 ბალერინა, 1 მსახიობი და 1 მწე-რალი. ისინი 2 კონტინენტის 6 ქვეყანას წარმოადგენენ. ელენე თარხნიშვილი და სო-ნია დუმბაძე – იტალიის, ვერა ფალავა, თამარ გამსახურდია, მარიამ ალიხანაშვილი – საფრანგეთს, ეთერ ფალავა – საფრანგეთსა და მონტე-კარლოს, რუსუდან მდივანი – საფრანგეთსა და ესპანეთს, თამარ თუმანიშვილი საფრანგეთსა და ამერიკის შეერ-თებულ შტატებს, თამარ პაპავა – არგენტინას.

ელენე თარხნიშვილი-ვიტა, რომელიც 15 წელი წარმატებით გამოდიოდა იტა-ლიის საოპერო სცენებზე და 28 წელი განთქმულ მომღერლებს ზრდიდა, დაიბადა 1883 წელს სოფელ კოდაში, იოსებ თარხან-მოურავის ოჯახში. მის აღზრდაში დიდი როლი შეასრულა მამიდამ, მწერალმა ეკატერინე თარხნიშვილ-გაბაშვილმა. მუსიკის სიყვარული ჩაუნერგა ანასტასია მარჩბელმა, რომელსაც მომაკვდავმა დედამ ჩააბარა გოგონა. მუსიკალური მონაცემებითა და წკრილა ხმით წმ. ნინოს სასწვლებელშივე გამოირჩეოდა. სოლისტი იყო რატილის მოსწავლეთა გუნდში. 1900 წელს სასწავლე-ბელი წარმატებით დაასრულა. მღეროდა სალონებსა და საოჯახო საღამოებზე. ივა-ნე მარჩბლის ოჯახში აკაკი წერეთელმა მოუსმინა და რომანსისათვის „მხოლოდ შენ ერთს“ ახალი ტექსტი – „სიმღერა“ მიუძღვნა.

1905 წელს, მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, პეტერბურგს მიაშურა. დილა-ობით მდივნად მუშაობდა, შუადღისას – კერძო გაკვეთილებს იღებდა, საღამოს კი – იტალიურ და ფრანგულ ენებს სწავლობდა. მამამისს გული მოუბრუნდა და იტალიაში გასამგ ზაფრებელი ფული გაუგზავნა. მილანში ჩასულ ელენეს სადგურზე ვანო სარა-ჯიმიელი დახვდა და პანსიონში მიიყვანა. მერე კი მესეტრო ემა დოტისთან მოაწყო მონაფედ.

მილანში ელენემ მუსიკალურ სალონი მოაწყო, სადაც თავს იყრიდნენ ცნობილი ვოკალისტები, კომპოზიტორები, დირიჟორები, სასწავლებლად ჩასული ქართველები – ვანო სარაჯიმიელი, მიხეილ ნანობაშვილი, სანდრო ინაშვილი, დავით აკოფაშვილი, ვალერიან ქაშაკაშვილი და სხვები. 1906 წელს დოტის სალონში ელენეს პირველად მოუსმინეს მასკანიმი, ვიტამი, პოტიმი, შალიაპინმა, სარაჯიმიელმა. ოპერებიდან ნაწყ-ვეტების გარდა შეასრულა ქართული რომანსიც. ამ პირველივე გამოსვლით პრესამ ახალგაზრდა სოპრანოს დიდებული მომავალი უწინასწარმეტყველა.

1910 წელს ამერიკაში საგასტროლო დასის შესადგენად კომპოზიტორ პიეტრო მასკანიმი „ლა სკალამი“ კონკურსი გამართა. კონკურსში 14 მომღერალს შორის გა-მარჯვებული ელენე, 1911 წლის იანვრიდან მისამდე, ამერიკაში გასტროლებზე გაემგზავრა. მილანში დაბრუნების შემდეგ მიიწვიეს მონცაში, სავონასა და მოდენაში. მკაცრი იტალიური პრესა ხოტბას ასხამდა ქართველი სოპრანოს გამოსვლებსა და ვო-კალურ მონაცემებს.

1911 წლის ნოემბერში ელენე სამშობლოში ჩამოვიდა. თბილისელი მაყურებელი აღტაცებით შეხვდა ახალგაზრდა მომღერალს. ბილეთები წინასწარ დაიტაცეს. იმღე-რა ოპერებში „ტრავიატა“, „რიგოლეტო“, „ბოჰემა“, „ფაუსტი“. 21 დეკემბერს ბრწყინ-ვალე ბენეფისი მოუწყვეს. ტაშს, ყვავილებსა და საჩუქრებს ბოლო არ უჩანდა. ელენეს წარმატება მთელ საქართველოს მოედო. პრესა ხოტბას ასხამდა. გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „მსახიობი დაჯილდოებულია ხავერდოვანი ტემბრის ლირიკულ-კოლორიტუ-ლი სოპრანოთი. ხმა დამუშავებული აქვს იტალიური სკოლის ყველა წესის მიხედვით:

კარგი ვოკალიზაცია, ვრცელი სუნთქვა, წუნდაუდებელი სწორი ინტონაცია და ლამაზი სტილი მონაწილეს იძახს, რომ მას უნაყოფოდ არ გაუტარებია დრო იტალიაში“ („Кавказ“, 1911: 3). აკაკი წერეთელმა „ტრავიატაში“ თარხნიშვილ-სარაჯიშვილის დუეტს ალტ-ცეხული სტრიქონები უძღვნა (წერეთელი 1912: 3). 12 იანვარს ქუთაისში სტუდენტთა სასარგებლოდ გამართულ საღამოზე ელენემ რამდენიმე სიმღერა შესარულა. 21 იანვარს ბაქოში მონაწილედ ქართულ საღამოზე გამოვიდა ვანო სარაჯიშვილთან ერთად. მონაწილეობდა საქველმოქმედო საღამო-წარმოდგენებშიც. სერგო ევლახიშვილის საოპერო დასის წარმატება, რომელმაც 1912 წლის ქუთაისსა და ბათუმში 12 სპექტაკლი დადგა, დიდწილად ელენემ განაპირობა. 14 აპრილს გამოსათხოვარ გრანდიოზული კონცერტშიც და ქართული კლუბის ფოიეში 60-კაციან ნადიმზე ელენემ და ვანომ ბევრი იმღერეს (კაშმაძე 1950: 387). 15 აპრილს ელენე პეტერბურგს გაემგზავრა და უკვე 21 აპრილს ქართველ სტუდენტთა მიერ მონაწილედ კონცერტში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ კი თავის მილანურ სალონს დაუბრუნდა და საოპერო კარიერა გააგრძელა. წამყვან პარტიებს მღეროდა იტალიის ქალაქებში. ყველგან დიდი წარმატება და შესანიშნავი პრესა ჰქონდა. 15-წლიანი არტისტული კარიერა ქალაქ ბერგამოში დაასრულა, სადაც ოთხი – 1921-1925 წლების სეზონები ჩაატარა. ბოლო სპექტაკლის, „ლუჩია დი ლამერმურის“ პრემიერამ მას ახალი წარმატება მოუტანა. დიდხანს არ წყდებოდა ოვაცია.

1920 წელს ელენე ცოლად გაჰყვა შესანიშნავ იტალიელ ტენორსა და პიანისტს არტურო ვიტას. 1925 წელს ვიტა ბოსტონის კონსერვატორიის პროფესორად მიიწვიეს. მამის ავადმყოფობის, შემდეგ კი გარდაცვალების გამო ელენე ქმარს ამერიკაში ვერ გაჰყვა, მწვავე ანთრიტიმა კი სცენას ჩამოაცილა. ის პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. ელენე ვიტას სტუდიაში მრავალი ცნობილი მომღერალი აღზარდა, რომლებიც წარმარტებით გამოდიოდნენ იტალიისა და მსოფლიოს დიდ საოპერო სცენებზე. მათ შორის იყო თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი ნინო ცერცვაძე (შალამოვი 1960: 32).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალიაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო ელენემ გაყიდა ბინა-სტუდია და გარდაცვლილი მეუღლის სიძის მიწვევით, რეჯიო-კალაბრიაში გადავიდა. დაყრუებული და ღარიბი ელენე თარხნიშვილი ქმრის ნათესავების სარჩენი გახდა. საქართველოს ოკუპაციამ სამშობლოსაკენ გზა დაუხმო. სამშობლოსა და ახლობლებს მონატრებული, ოდესღაც დიდების მწვერვალზე მდგომი ქართველი მომღერლი გარდაიცვალა 1961 წელს, დაკრძალულია რეჯიო-კალაბრიაში.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 1960 წელს მკვლევარ ამირან ცამციშვილს მისთვის გაუგზავნია 1959 წელს გამოცემული თავისი ნიგანი „ხელოვნების ქართველი მოღვაწენი უცხოეთში“, რომელშიც მის ღვაწლზეც იყო საუბარი. „თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ გამომაცოცხლეთ და დამბრუნეთ ცხოვრებისადმი ინტერესი. ვიტყვი, რაც იშვიათად მემართება, ბოლოს და ბოლოს მე აქ უცხო ვარ, დაყრუებიან განსამყაროდან მონყვეტილი და ამიტომ მარტოობაში განწირული. მაგრამ ამჟამად მშობლიურ, ძვირფას საქართველოდან ჩემამდე მოაღწია სიყვარულისა და მოწონების თბილმა ექიმმა, რომელსაც უდაბლესად მივესალმები და მადლობას ვუხდის. ეს არის ყველაზე ძვირფასი პრემია მთელს ჩემს ცხოვრებაში“ (ცამციშვილი 1968: 25).

საბედნიეროდ, ელენე თარხნიშვილის ხსოვნა 21-ე საუკუნეშიც შემოინახა ქართულმა საზოგადოებამ. ყველას შეეძლო ენახა თბილისის ოპერის თეატრის მუზეუმში გამოფენილ ფოტოებზე სხვადასხვა როლში გამოსახული მომღერალი, ეხილა სიუჟეტი ტელევიზიით, წაეკითხა მისი ცხოვრების ისტორია პრესაში (დაუშვილი 2012: 54-55), თუმცა ჯერ კიდევ მოსაძიებელია მომღერლის პირადი არქივი და ფოტოები.

სონია დუმბაძე. ოზურგეთის სოფელ შემოქმედის მღვდელს, ცნობილ მგალობელ დავით დუმბაძეს 2 ვაჟი და 9 ქალიშვილი ჰყავდა. ვაჟის, მორგანების ბანკის წამყვანი ფინანსისტის, ვასილ დუმბაძის მსგავსად, ერთ ქალიშვილს, სონიასაც ბედმა ემიგრანტობა არგუნა და უკანასკნელი განსასვენებელი უცხო მიწაში გაუმზადა.

მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ დებს შორის, რომლებიც ოზურგეთის ე.წ. „ბალის კლასში“ და დიმიტრი სიმფულიდის გუნდში გალობდნენ, 1904 წელს დაბადებული სონია წკრილაღა ხმით გამოირჩეოდა. სოლისტი იყო ფოთის გიმნაზიისა და ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის გუნდში. 1919 წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის კონსერვატორიაში. მეცადინეობა პედაგოგ ანა ჯაყელთან დაიწყო, თავის სარჩენად კი ტელეფონისტად მოეწყო. 1923 წელს სამსახურში უსიამოვნება შეხვდა და ბაქოს კონსერვატორიაში გადავიდა, სადაც მონაწილეობდა სტუდენტურ დადგმებში. მერე თბილისის კონსერვატორიის კონკურსში გამარჯვებულ 15 სტუდენტთან ერთად მილანში ჩავიდა და მაცეტრო დელი პონტისთან დაიწყო მეცადინეობა.

მაღელ საბჭოთა მთავრობამ ევროპაში გაგზავნილ სტუდენტებს სტიპენდია შეუწყვიტა. ოჯახი ვერ ეხმარებოდა, ვერც ძმა ამერიკიდან. ძალიან გაუჭირდა, მეცადინეობა მიატოვა და საბჭოთა მოქალაქეებსა და სტუდენტებს იტალიურს ასწავლიდა. იძულებული გახდა სპონსორ ბიჩე პალმას მოთხოვნას დაჰყოლოდა და პარიზში კოსმეტოლოგია შეესწავლა. მილანში დაბრუნებული უგულოდ მუშაობდა და ისევ მომღერლობაზე ოცნებობდა. ბიჩე პალმამ იმ პირობით, რომ ერთ მონაფეს მანაც გაზრდიდა უსასყიდლოდ, სწავლის ქირა გადაუხადა. ხმის დაყენებასა და პარტიტურაზე დირიჟორ ვანცოს ქალიშვილთან და რუს პიანისტ ხლებნიკოვთან, აგრეთვე სიგმა დე გრასისთან მუშაობდა, რომელთანაც ერთად სიმღერის შესანიშნავი სკოლა შექმნა. თავდაპირველად გამოდიოდა საქველმოქმედო კონცერტებზე. 1932 წელს მონაწილეობა მიიღო კონცერტში, რომელიც დირიჟორ ტოსკანინის ცოლის დის შვილმა მოანყო და ტოსკანინის ქებაც დაიმსახურა. სხვა კონცერტშიც მონაწილეობდა, მაგრამ ვოკალურ სფეროში მუშაობის უფლებას ვერ იღებდა და კვლავ კოსმეტიკით ირჩენდა თავს. მძიმე ოპერაციის გამო სცენას ჩამოშორდა. 1937 წელს ბარიტონ ჯოვანი ბონოს მეუღლე გახდა და საკონცერტო მოღვაწეობა მისი დახმარებით გააგრძელა. გამოდიოდა საესტრადო სცენებზეც, ორი უმძიმესი ოპერაციის შემდეგ სცენა საბოლოოდ მიატოვა (ცამციოვილი 1968: 29).

1946 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი და მალე ისახელა თავი. სხვადასხვა ეროვნების მრავალი ცნობილი მომღერალი გაზარდა. მიცემული პირობაც შეასრულა – 5 წელი უფასოდ ასწავლიდა ცნობილ ბარიტონს ოსკარ სკალიონს. ძმის, ცნობილი ემიგრანტი პოლიტიკური მოღვაწის ვასილ დუმბაძისაგან განსხვავებით, რომელიც ამერიკაში გარდაიცვალა ისე, რომ სამშობლოს ნახვას ვერ ეღირსა, სონიამ მოძებნა ახლობლები და მიმწერის შემდეგ 1963 წელს სამშობლოში ჩამოვიდა. 38 წლის განმორების შემდეგ კვლავ მოისმინა მშობლიური ენა და დების გალობა. სიძის, ცნობილი ტენორის, ნიკოლოზ ბელაქნელის საშუალებით დაუკავშირდა ოპერის თეატრს. ბელკანტოს სტილით რამდენიმე გაკვეთილი უფასოდ მისცა თეატრის სოლისტს ტატიანა მალაშევას. ერთი თვის განმავლობაში უსასყიდლოდ მუშაობდა გოჩა ბეჟუაშვილთან და კონსერვატორიის სტუდენტ ნუგზარ გელაშვილთან. ნ. გელაშვილმა შემდეგ დამოუკიდებლად განაგრძო სონია დუმბაძის მეთოდით მეცადინეობა, საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე შესანიშნავად იმღერა და უმაღლესი შეფასებაც მიიღო. როგორც ბატონმა ნუგზარმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, სწორედ სონიას დამსახურებაა, რომ 45 წლის შემდეგაც შენარჩუნებული აქვს ხმა (გელაშვილი 2009).

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საზოგადოების მუსიკის სექციამ და სსრკ-იტალიის საქართველოს განყოფილებამ შეხვედრა მოუწყო სონია დუმბაძე-ბონოს. ითქვა ბევრი თბილის სიტყვა. ამ შეხვედრის შემდეგ მალევე გაემგზავრა იტალიაში, სადაც მეუღლე და დავრდომილი დედამთილი ელოდა. იმედი ჰქონდა, რომ მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე ქმართან ერთად ჩამოვიდოდა სამშობლოში, მაგრამ ვეღარ მოასწრო – 1968 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია მილანში.

რუსუდან მდივანი – მოქანდაკე, ლანჯინის სახლის მოდელი, 1920-1930-იანი წლების ევროპულ-ამერიკული პრესის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა თავის ოთხ დამასთან ერთად. მათი სახელები შეგხვდებათ ჰოლივუდის ვარსკვლავთა და ცნობილ პიროვნებათა გვერდით გახმაურებულ ისტორიებში, ელიტურ ქრონიკებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ფილმებში. მათ აქებდნენ, აღმატებული ეპითეტებით ამკობდნენ, სმირად არასახარბიელო კონტექსტშიც იხსენიებდნენ. ერთი ეპითეტი კი ყველას მიმართ იხმარებოდა: „ექვორნივე მდივნები“.

გენერალ ზაქარია მდივნის და ნახევრად პოლონელი ელისაბედის შვილებმა კარგი განათლება მიიღეს თბილისში, პეტერბურგსა და ვარშავაში, ოკუპაციის შემდეგ – ევროპაში და მალე დაიმკვიდრეს ადგილი ჯერ პარიზში, ცოტა მოგვიანებით კი ამერიკაში. მშვენიერი ნინო მდივანი 1925 წელს ჩარლზ ჰუბერის გაჰყვა, 1936 წელს – ცნობილ ამერიკელ ადვოკატს, ავიატორს, განთქმული მწერლის, არტურ კონან-დოილის ვაჟს დენისს და მწერლის თხზულებათა გამოცემაზე უფლებაც მიიღო. დენისის დალუპვის შემდეგ, 1955 წელს მესამედ გათხოვდა ენტონი ჰერვორდზე.

გარეგნობით, განათლებით, დახვეწილობითა და არისტოკრატიზმით გამორჩეულ სამ ძმა მდივანს, ამერიკაში გადასახლების შემდეგ, კალიფორნიაში, ჰოლივუდის ვარსკვლავებს შორის მოუხდა ტრიალი. თავადი, ფრანგული გამოთქმით – „Prince“, მათ სამეფო სახლის შთამომავალთა რიგში აყენებდა. ნოდება და „ძმები მდივნების ჯადო“ ძალზე იზიდავდა დაბალი წარმოშობის მდიდარ ამერიკელებს. სერგის პირველი ცოლი იყო მუნჯი კინოს ვარსკვლავი პოლა ნეგრი, მეორე – საოპერო მომღერალი და ჰოლივუდის ვარსკვლავი მერი მაკკორმიკი, მესამე – ყოფილი რძალი ლუიზა ასტორი. დავითის ცოლიც ცნობილი კინოვარსკვლავი მერი მერი იყო. 1944 წელს დავითი „სინკლერ ოილის“ პრეზიდენტ ჰენრი სინკლერის ქალიშვილ ვირჯინიაზე დაქორწინდა, კალიფორნიაში ნავთობის ჭა შეიძინა და ბიზნესში ჩაერთო (37). პოლოს გუნდის კაპიტანი, შესანიშნავი სპორტსმენი და მომხიბვლელი პიროვნება ალექსი, კემბრიჯის კოლეჯში სწავლის წლებშივე გახდა პოპულარული. კოლეჯის შემდეგ ნიუ-იორკის სიტი ბანკის პარიზულ ფილიალში მიიწვიეს. ბანკის საქმეებზე 1931 წელს ამერიკაში ჩასულმა მეგობრის, ბენვეულის მაგნატ ვან ასტორის ოჯახი მოინახულა და მშვენიერ ლუიზა ასტორზე დაქორწინდა. იმავე წელს პარიზში საქართველოს ლეგაციის მდივანიც გახდა და 24 წლის ალექსი მდივანი სამობლოს სამსახურში ჩადა (დამოუკიდებელი 1933: 14). მალე გამომუდავდა მისი დიპლომატიური ნიჭი, განათლება, პატრიოტიზმი და ქველმოქმედება. ინახავდა მოხუც მამას, ახლობლებს, ქართულ ორგანიზაციებს, საქართველოს საკითხის გამო ხვდებოდა დეპუტატებს, პოლიტიკოსებს, დელეგატებს თავისი ხარჯით აცმევდა და გზავნიდა კონგრესებზე, თუ საჭირო იყო – თვითონაც მიდიოდა (ლა რევიუ 1932: 14-15). 1933 წელს ალექსი მეორედ დაქორწინდა უმდიდრეს ქალზე, „უნივერსალების მეფის“, „ვულვორტის“ იმპერიის მემკვიდრე ბარბარა ჰატენზე. ქორწინების მერე ალექსი ცოლის ფულსაც ხარჯავდა ქველმოქმედებაში. ექვთიმე თაყაიშვილის რჩევით 15 ხელმოკლე ქართველ სტუდენტს დაუნიშნა სტი-

პენდია. იაპონელთა ოკუპირებული ხარბინიდან ლტოლვილი ქართველებს შანხაიში 6-სართულიან სახლი უყიდა და მათი შვილებისთვისაც დაანესა სტიპენდიები. სხვა და-ძმებიც იჩენდნენ ხელგაშლილობას. როგორც ამბობდნენ, ქართული ემიგრაციის დიდი ნაწილი პარიზში მდივნების ხარჯზე ცხოვრობდა.

ნიჭიერი მოქანდაკე რუსუდან მდივანი პარიზში ჩასულ ქართველ მხატვრებთან დავით კაკაბაქსთან, ლადო გუდიაშვილთან, ელენე ახვლედიანთან და ქეთევან მაღალაშვილთან მეგობრობდა. მის შემოქმედებაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ პარიზში შექმნილი ნიკოლო მიწიშვილის ბიუსტით. რუსუდანი სახელგანთქმული ესპანელ მხატვარ-მონუმენტალისტის, 50 წლის ხოზე მარია სერტის მონაფე გახდა, რომელიც პიკასოს გამორჩენამდე პარიზში პირველ მხატვრად ითვლებოდა. სერტის ცოლი ნიჭიერი პიანისტი, დიდი ალლოს მქონე მეცენატი, რენუარისა და ტულუზ-ლოტრეკის მოდელი, მალარმეს მუზა, პრუსტის, კოქტოს გმირების პროტოტიპი მიზია გოდებსკამ მასში მტერი ვერ დაინახა. როგორც ჩანს, რუსუდანსაც ძმების მსგავსი მომხიბვლელობა და ადმინებთან ურთიერთობის იშვიათი უნარი გააჩნდა. მან მეტოქე მალე უფროს მეგობრად გაიხადა. მიზიამ კი ახალგაზრდა ხელოვანი თავისი სამეგობროს ნევრად აქცია. ანრი გიდელის აზრით, 53 წლის მიზიას, რომელსაც სამ ქმართან შვილი არ ჰყოლია, რუსუდანის მიმართ დედობრივი გრძნობა გაუჩნდა (38). გარკვეული როლი, ალბათ, საერთო პოლონურმა ძირებმაც ითამაშეს. სერტიც და მიზიაც აღმერთებდნენ რუსუდანს და ორივეს თავისებურად უყვარდა. სერტი გაეყარა მიზიას და რუსუდან მდივანზე დაქორწინდა. ესპანეთში, პალამოსში რუსუდანს ქმარმა სასახლე აუშენა, სადაც თავს იყრიდნენ პარიზული ბომონდის წარმომადგენლები. ზაფხულობით ელიტური ქრონიკებით სახელგანთქმული ძმები და ჰოლივუდის ვარსკვლავებიც აკოთხავდნენ. საზოგადოების სული და გული – ახალგაზრდა დიასახლისი საერთო სიყვარულით სარგებლობდა. საღვადორ დალი თავის უახლოეს მეგობრებად ასახელებდა „პარიზის ყველაზე ფანტასტიურ ქალებს“ ბეტინა ბერჟერს, კოკო შანელსა და რუსუდან მდივანს, რომელსაც ხშირად სტუმრობდნენ ის და მისი მეუღლე გალა. 1935 წელს „გალა და მე იქ ერთი კვირის გატარებას ვაპირებდით. ზაფხულის მიწურულს იქ მთელი პარიზული ჯგუფი გაეშურა. ჩვენ იქ რამდენიმე დღე გავატარეთ, რომლებმაც მხოლოდ ნოსტალგიური მოგონება დაგვიტოვეს ბრწყინვალე, შეუდარებელ ომისშემდგომი პერიოდისა. მოჯადოვება მონანავე ესპანური ცეკვების მუსიკითა და კოსტა-ბრავას მთელი საზღვაო მშვენიერებით, სამწუხაროდ, შეწყვიტა პალამოსიდან ფიგეიროსის გზაზე მომხდარმა ავტოკატასტროფამ, რომელშიც დაიღუპნენ თავადი ალექს მდივანი და ბარონი ტისენი“, – წერდა სახელგანთქმული მხატვარი თავის მოგონებებში (36).

„2 აგვისტოს ღამით ტრალიკულმა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა – 28 წლის ყმანვილი – ჩვენი თანამემამულე ა.ზ. მდივანი... – წერდა ჟურნალი „სამშობლო“, აღწერდა მის დამსახურებებს და ასკვნიდა, – ასეთი იყო ჯერ კიდევ იდეურად და ფიზიკურად გაუფორჩქენელ ახალგაზრდა ალ. მდივნის ხანმოკლე, მაგრამ მისი შემოქმედებით და მუშაობით მდიდარი ცხოვრება. მის საზოგადოებრივ მუშაობას ხომ 4 წლის ისტორიის მეტი არა აქვს! ვინ იცის კიდევ რამდენი საუკეთესო სურვილები და შემდეგში მუშაობის გეგმები თავის ქვეყნის სასარგებლოდ ჩაიტანა საფლაკში?“ ჭეშმარიტად, ქართველობამ დაკარგა ერთი თვალსაჩინო მოამაგე და მოყვარული შვილი“ (სამშობლო 1935: 58-59).

ალექსის ტრაგიკული დაღუპვა მდივნების ოჯახის ტრაგედიის დასაწყისად იქცა: ერთი წლის შემდეგ, ფილმის გადაღებისას, ფლორიდაში ცხენიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა სერგი. „რუსი ვერ გადაიტანა მწუხარება და ჩაიფერფლა 4 წლის

შემდეგ... რომ დავამტკიცო რამდენად მიყვარდა, საკმარისია უბრალოდ ვთქვა, რომ რუსი წყლის ორი წვეთით ჰგავდა „ლა ჰაიეს“ მუზეუმში დაცულ ვერმერის ნორჩი ქალოშვილის პორტრეტს“, – შენიშნავდა სალვადორ დალი (36). ძმების სიკვდილით შეძრული, ქლექით დაავადებული რუსუდანი მიზიამ და კოკო შანელმა სამკურნალოდ შვეიცარიამი წაიყვანეს, მაგრამ ველარ უშველეს. 1938 წელს გარდაცვლილი 32 წლის რუსუდანი მიზიამ გულით დაიტერა, ხოლო მედალიონი რუსუდანის გამოსახულებით სასიკვდილო სარეცელზეც კი არ მოუხსნია...

ვერა ფალავა – პირველი ტალღის ემიგრანტი, მხატვარი, რომლის შემოქმედება ფრანგული კულტურის ნაწილია. ის პირველად ამირან ცამციშვილმა გააცნო ქართულ საზოგადოებას (ცამციშვილი 1962: 140). მის შემოქმედებას არაერთი წერილი უძღვნა ქეთევან კინწურაშვილმა, 2012 წელს კი თბილისში მოწყობილი გამოფენით, ვერა ფალავას სახელი, სპეციალისტებისა და მხატვრობით დაინტერესებულთა ვიწრო წრის გარდა, საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებმაც გაიცნეს (ფალავა 2012).

ვერა ფალავას ბაბუა – მექი ფალავა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ხელმძღვანელი იყო. მან სამეგრელოში მასპინძლობა გაუწია ილია ჭავჭავაძეს. მექის მეუღლე, დარია ფალავა ქუთაისში დადგმული „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალ სურათებში მონაწილეობდა და მიხაი ზიჩის მიერ პოემისათვის შესრულებულ ილუსტრაციებშიც შევიდა. მათი 5 შვილიდან უფროსი იყო იური (1878-1950), რომელმაც იურიდიული ფაკულტეტი გერმანიაში დაამთავრა. 1908 წელს დაქორწინდა ასევე საზღვარგაღეთ განათლებამიღებულ ქალზე, ალექსანდრა (შურა) ნანიშვილზე (1879-1946), რომელიც შემდგომში პირველი გიმნაზიის დირექტორი იყო (შარაძე 1991: 567-570).

1920-1921 წლებში იური ფალავა დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა ირანში. ოკუპაციის შემდეგ ერთ ხანს სტამბოლში ცხოვრობდა. 1922 წელს ცოლ-შვილთან ერთად ემიგრაციაში, გერმანიაში წავიდა. 1923 წელს ოჯახი გერმანიიდან საფრანგეთში გადავიდა და პარიზის გარეუბანში, მონჟურში დასახლდა.

1907 წელს დაბადებული ვერა ფალავა 12 წლის იყო, როცა სამშობლო დატოვა. თავდაპირველად დეკორაციულ ხელოვნებათა სკოლაში დადიოდა, სადაც მას ლექციებს იმ დროისთვის პოპულარული მხატვარი და მოქანდაკე ანდრე ლიოტე უკითხავდა. შემდეგ ხელოვნებისა და რეკლამის სახელოსნოში, 1934-1939 წლებში კი რანსონის აკადემიაში გადავიდა, სადაც როჟე ბისიესთან სწავლობდა. მისი გავლენით ვერა ფალავა მოგვიანებით საეკლესიო ვიტრაჟების ერთ-ერთ საუკეთესო მხატვრად იქცა.

სტუდენტობისას ვერა დაუახლოვდა რანსონის აკადემიის ჯგუფს, რომელიც მომავალში „პარიზის მეორე სკოლის“ სახელთან ასოცირდება. მოგვიანებით კი უერთდება ლიონში მხატვრების გაერთიანებას „Témoignage“. მათი კონცეფცია ფერწერაში იყო ხელოვნება „წარმოსახვითზე უფრო მნიშვნელოვანია“. ამ პერიოდში ვერა ფალავა საკუთარი სტილს ეძებს. შიშველი ნატურა, პორტრეტი, ნატურმორტები, რელიგიური შინაარსის სცენები თავისი კომპოზიციური სტრუქტურით კლასიციზტურია. შემდგომში სტილი შეიცვალა და ფორმა მინიმალისტურ აბსტრაქციებად დაიყვანა. 1960-იან წლებში ნატურიდან ჩანახატებს მხოლოდ გრაფიკული ნერტილებით ასრულებდა. ასახავდა არა ობიექტს, არამედ უფრო გარემომცველ სივრცესა და განათებას.

1930-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ე.წ. „დიდმა დეპრესიამ“ განსაკუთრებით დააზარალა საფრანგეთი. უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ პარიზში მცხოვრები ემიგრანტები, მათ შორის ფალავების ოჯახიც. თავის გასატანად 30-იან წლებში ვერამ ტექსტილზე დაიწყო მუშაობა, ქსოვდა კიდეც. 1940 წელს მედლის განათლება მიიღო და დაჭრილებს უვლიდა. როგორც მხატვარი კი 1944 წელს გაიცნეს.

გამოფენაში პიკასოს მეუღლე, დორა მარიც მონაწილეობდა. გალერისტ ჟან ბიუშეს, რომელმაც 1920-1930-იან წლებში ბევრი ცნობილი ფრანგი შემოქმედი გამოიყვანა ას-პარეზზე, დიდი წვლილი მიუძღვის მხატვრის ტალანტის აღმოჩენასა და პოპულარიზაციაში. ერთ-ერთ წერილში ბიუშე, რომელიც ფალავას ფენომენით გაცხებულა, წერს: „პიკასოს ცოლთან ერთად გამოვფენ ვერას, ხალხი უფრო პიკასოს ცოლის სანახავად მოვა, ამ დროს კი ვერა ფალავას აღმოაჩენს და გაიცნობს“ (კაკაბაძე 2011). გამოფენის წარმატებამ ხელი შეუწყო მხატვრის შემოქმედებით პარიზის სახელოვნებო წრეების დანტერესებას. ბიუშეს გალერეაში ვერა 1960-იან წლებამდე დარჩა, მისი ნახატების პერსონალური გამოფენა რამდენჯერმე მოეწყო, მაგრამ მხოლოდ მხატვრობით თავის რჩენა შეუძლებელი იყო, ამიტომ სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდა. თავის რჩენა მხატვრობით მხოლოდ 70-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ არც ნახატებიდან შემოსული თანხა იყო პარიზში ცხოვრებისათვის საკმარისი. მითუმეტეს თავისი ნაშრომი არ ეთმობოდა, გრავიურებს საერთოდ არ ყიდდა.

ფერწერის პარალელურად ვერა ფალავა ქმნის ფრესკულ ხელოვნების ნიმუშებს, პარიზში საბავშვო ბაღებისთვის ქმნის მონუმენტურ-დეკორატიულ პანოებს, ვიტრაჟებს დიჟონის სენტ-ჟოზეფის ეკლესიისთვის, ქსოვილის დიზაინსაც ასრულებს, მხატვრულად აფორმებს წიგნებს. 1958 წელს ვერამ რომის პაპის, იოანე XXIII-გან სპეციალური ოქროს მედალი მიიღო ხეზე შესრულებული ფრესკა-პანოსთვის „ამალგება“. 1966 წელს ვენეციის 33-ე ბიენალეზე საფრანგეთს ვერა ფალავა წარმოადგენდა, მის ნამუშევრებს ცალკე პავილიონი ჰქონდა დათმობილი. ამ გამოფენამ ხელი შეუწყო მხატვრის შემოქმედების ევროპის ქალაქებში გატანას. მისი ნამუშევრების მოძრავი რეტროსპექტივა მოგზაურობდა ქალაქების ხელოვნების მუზეუმებში. გამოფენებმა საფრანგეთიდან ბერლინში, ნიუ-იორკში, რომში, ტურინში, ბრიუსელში, ვენაში გადაინაცვლა. ჟურნალმა „კავკასიონმა“ გამოაქვეყნა ემიგრაციაში მოღვაწე ფრანგ ავტორთა მაღალი შეფასებები ქართველ ხელოვანთა, მათ შორის ვერა ფალავას, შესახებ (კაკაბაძე 1981: 27-29). ეს შემოქმედებითი წარმატება ეკონომიკურადაც დაეხმარა მხატვარს – ფრანგმა კოლექციონერებმა და ხელოვნების მოყვარულებმა დაიწყეს ვერა ფალავას სურათების შეძენა.

1972 წელს პარიზში ვერა ფალავას გამოფენით გაიხსნა გალერეა „დარიალი“, რომელიც ასევე ემიგრანტ ქართველს, ვერა ფალავას ბავშვობის მეგობარ თამარ წულაძეს ეკუთვნოდა. მხატვარი თითქმის მეთოხედი საუკუნის განმავლობაში თანამშრომლობდა ამ გალერეასთან. მისი გარდაცვალების შემდეგ თამარ წულაძის ქალიშვილმა ელისო ტარასაშვილმა პარიზში გამოსცა ალბომი, რომელშიც ნამუშევრებთან ერთად ქრონოლოგიურად არის ასახული ვერა ფალავას შემოქმედება 1930-იანიდან 1980-იან წლებამდე.

ვერა ფალავას ნახატების დიდი ნაწილი კერძო კოლექციებში, გერმანიასა და შვეიცარიაში ინახება. მისი 15 ნახატი საფრანგეთის ქალაქ დიჟონშია, რამდენიმე კი გრენობლის ხელოვნების მუზეუმში და პარიზის პომპიდუს ცენტრის კოლექციაშიც არის დაცული, რომლებიც საცავებშია და საექსპოზიციო სივრცეში ჯერ არ გამოფენილა.

მხატვარმა გარდაცვალებამდე გალერეა „დარიალს“ უსახსოვრა და ამჟამად „ვერა ფალავას ასოციაციის“ საკუთრებაშია ნამუშევრები, რომლებიც 2012 წლის ოქტომბერში თბილისის ეროვნულ გალერეაში გამოიფინა. წარმოდგენილი იყო 35 ფერწერული ტილო, 28 ჩანახატი და აკვარელი. ასოციაციამ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ვერას 3 ნამუშევარი გადასცა საჩუქრად – „უცნობი“ (1967), „პატარა საქართველო“ (1979), და ერთ ჩარჩოში ჩასმული 3 გრაფიკული ჩანახატი – „ღვინის წიგნი, ფასარ-გადი, მეტაფიზიკური პოემები“ (1977-79) (მახარაძე 2012: 13-14).

ვერა ფალავა 1988 წელს 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. ბოლომდე მუშაობდა, აკეთებდა ვიტრაჟებს დიჟონის ეკლესიისთვის, განისვენებს ლევილის სასაფლაოზე მშობლების გვერდით.

თამარ გამსახურდია – ბალერინა, შემდეგ დიზაინერი, რომელიც ზრუნავდა ევროპისა და ამერიკის ცნობილი ქალბატონების ფიგურასა და გარეგნობაზე, დაიბადა 1896 წელს ბაქოსთან ახლოს, საცირკო ხელოვნების ოსტატის რომან სერგოს ძე გამსახურდიას ოჯახში (39).

თამარი სწავლობდა თბილისის საბალეტო სკოლაში, შემდეგ მოსკოვში, დიდი თეატრის ცნობილი სოლისტის მიხეილ მორდკინის კერძო სკოლაში. სულ მალე კი ზინინის კერძო ოპერის პრიმა-ბალერინა გახდა. რუსეთის რევოლუციის შემდეგ თამარი ყირიმში გადავიდა და მამის დახმარებით იალტაში საბალეტო სტუდია გახსნა. მიუხედავად ამისა, მამა შეილის საბალეტო კარიერას ენთუზიაზმის გარეშე ეკიდებოდა და ოცნებობდა, ქალიშვილი საცირკო არენაზე ეხილა. იალტაში შეიქმნა იმ დროისათვის ძალიან პოპულარული საბალეტო დუეტი გამსახურდია-დემიდოვი. 1919 წელს დუეტი გასტროლებზე წავიდა კონსტანტინოპოლსა და მარსელში. მალე თამარი და ალექსანდრე დემიდოვი დაქორწინდნენ. 1920 წელს ცოლ-ქმარი მსოფლიო ტურნეში გაემგზავრა. იცეკვეს ლონდონში, პარიზში, ზუენოს-აირესში. დუეტის ყველაზე დასამახსოვრებელი ნომერი იყო კრისტოფ გლიუკის მუსიკაზე მიხეილ მორდკინის მიერ დადგმული „ვაკჰანალია“. ყირიმში ბოლშევიკთა შესვლის შემდეგ, გამსახურდია საცხოვრებლად რამდენიმე წლით თბილისში გადმოვიდა. მონაწილეობდა 1920-1923 წლებში თბილისში არსებულ საბალეტო სტუდიის დადგმებში „კარნავალი“ და „ჟიზელი“. სტუდიას ანა პავლოვას პარტნიორი, მიხაილ მორდკინი ხელმძღვანელობდა. მორდკინმა საბალეტო დასის მოცეკვავეებისათვის საგანგებო ფოტოსესია მოაწყო. მოცეკვავეთა ფოტოები, მათ შორის თამარისა, სპექტაკლების სარეკლამო ანონსის სახით, თბილისის ქუჩებში ვრცელდებოდა (ობოლენსკი 2010: 10-13).

1927 წელს ქორეოგრაფად დაიწყო მუშაობა რუსი ლილიპუტების დასში, რომელიც პარიზის კაბარე „ფოლი ბერჟერში“ გამოდიოდა. მათთვის დგამდა რუსულ, ჩინურ, ჰოლანდიურ ცეკვებს. თამარი დასს ამერიკის ტურნეშიც გაჰყვა, სადაც გაიცნო მეორე მეუღლე, დასის იმპრესარიო, რუსეთის არმიის ყოფილ ოფიცერი სერგეი დავითის ძე კობიევი (კობიაშვილი).

1931 წელს ანა პავლოვამ თამარი სოლისტად თავის დასში მიიწვია, თუმცა ეს თანამშრომლობა ანას მოულოდნელი გარდაცვალების გამო არ შედგა. სამსახურთან დაკავშირებული წარუმატებლობების გამო, გამსახურდიამ ბერლინში, სადაც იხსანად ცხოვრობდა, საკუთარი საბალეტო სტუდიის გახსნა გადაწყვიტა. სტუდიის ქირისათვის აუცილებელი თანხა რომ შეეგროვებინა, თამარმა მუშაობა დაიწყო 1920-1960-იან წლებში არსებულ ქალის თეთრეულის სამოდელიო სახლში „ლორ ბელენი“. მისი დამაარსებელი, რუსეთიდან ემიგრირებული ებრაელი ლარისა ბეილინა თამარმა ბერლინში გაიცნო. ქალები მალე დამეგობრდნენ. ლარისა გერმანული თეოსოფიით და გიორგი გურჯიევის მისტიკით იყო გატაცებული, თამარი კი დიდი წარმატებით უძღვებოდა სამოდელიო ბიზნესს. 35 წლის თამარ გამსახურდიამ საბოლოოდ დატოვა სცენა, უარი თქვა საბალეტო სტუდიის გახსნაზე და სამოდელიო ბიზნესში ჩაერთო.

„ლორ ბელენი“ აწარმოებდა ქალის კორსეტებს. თამარს ძალიან დაეხმარა საბალეტო კოსტიუმის აგებულების ცოდნა. ამ გამოცდილების წყალობით ყოფილმა მოცეკვავემ დაიწყო კორსეტების სრულყოფაზე მუშაობა მისი ცოდნა ბიუჰსალტერებსა და კორსეტებს უფრო დახვეწილსა და მოქნილს ხდიდა. რეზინის, კაუჩუკისა და ელასტიური ქსო-

ვილები წყალობით ქალის ფიგურა სრულყოფილი ჩანდა. თამარს ეკუთვნის სპორტისა და ცხენოსნობისა გამოსაყენებელი სპეციალური ბიუჰსალტერების შექმნის იდეაც (43).

შეკვეთების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდებოდა. „ლორ ბელენის“ კლიენტები იყვნენ ბარონესა როტმილდი, იუგოსლავიის დედოფალი ანნამა, ბეგუმ ალა-ხანი, ჟაკლინ კენედი, რომელმაც სათანადოდ შეაფასა ყოფილი მოცეკვავის ხელობა და წერილით გადაუხდა მადლობა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მარლენ დიტრისი, რომელიც არა მხოლოდ კლიენტი იყო თამარის, არამედ უახლოესი მეგობარიც. ეს მეგობრობა გამსახურდიას ხელოვნების წყალობით შედგა, რომელმაც მარლენისათვის კაუჩუკის ფირფიტების დახმარებით ორიგინალური კორსეტი მოიგონა, რაც კინოვარსკვლავის სხეულს ღვთაებრივ ელფერს სძენდა. 1963 წელს მარლენ დიტრისს საბჭოთა კავშირში ვიზიტისას სწორედ თამარის შექმნილი კორსეტი ემოსა.

1940-იან წლებში ლარისა ბელინა ფაშისტებისგან თავდასაღწევად ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად. ამ პერიოდში სამოდელიო სახლს მთლიანად გამსახურდია განაგებდა. გააფართოვა წარმოება და დაიწყო დეკორატიული საღამოს კაბების გამოშვება (44). სამოდელიო ბიზნესში თამარ გამსახურდიას გვერდში ედგა და „ლორ ბელენში“ მხატვარ-ილუსტრატორად მუშაობდა თამარის გერი ირინა სოლმან დე კობი. ლარისა ბელინას გარდაცვალების შემდეგ „ლორ ბელენი“ ნიუ-იორკში გადაიტანეს. თამარ გამსახურდია კი ნიცაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც 1979 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია სანტ-ჟენევიე-დე-ბუას სასაფლაოზე. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თამარ გამსახურდია რუსეთს ეწვია, სადაც დატოვა თავისი პირადი არქივი, რომლის ადგილსამყოფელიც უცნობია.

თამარ თუმანიშვილი. ფრანგული და ამერიკული ბალეტის პრიმა-ბალერინას, „შავ მარგალიტად“, „შავ ბრილიანტად“, „ბალეტის დედოფლად“, „ბალეტის სარა ბერნარად“ წოდებულ თამარ თუმანიშვილს საბალეტო ენციკლოპედიებში, ვებსაიტებში, წიგნებსა თუ სტატიებში ერთნაირი გულმოდგინებით იჩემებენ რუსებიც, ებრაელებიცა და სომხებიც, თუმცა თამარი თავს ქართველად თვლიდა და ბავშვობიდანვე მონაწილეობდა ქართულ ემიგრანტულ ზეიმებში. თამარი პირველად გამოჩნდა 1930 წლის 4 მარტს პარიზში გამართულ ქართული მეჯლისში, რომელსაც უამრავი უცხოელი სტუმარი ესწრებოდა. „დარბაზი ახალი სტილის, პარიზის საუკეთესო უბანში, მონყობილობა და ჩასაცმელი მდიდრული, მუსიკა სულ პირველი, ქართული შონი და ზომიერება. დივერტისმენტებში: დარბაზილური ლეკური (ორი წყვილი), მარდი ნაურსკი, ქართული ჰანგები (ბ-ნ ნანობაშვილი), უცხოური რომანსები (ქ-ნ მაკ-კორმიკ), აღმტაცი ბალეტი (11 წლის თუმანიშვილის ასული, დიდი ოპერის ვარსკვლავი), – წერდა ზეიმის მონაწილე (თეთრი 1933: 4).

თამარ თუმანიშვილი დაიბადა 1919 წელს ჩინეთის გზაზე, მატარებელში. დედამისი ევგენია თუმანიშვილი ქმართან, რევოლუციას გარიდებულ მეფის არმიის ოფიცერთან ერთად მიდროდა, რომელიც მალე დაიღუპა ხარბინში. ასე დაებედა თამარს მუდმივი მოძრაობა, ბალეტს კი შანხაიში, ანა პავლოვას გასტროლებითა და მისი „მომავლი ვეილი“ ეზიარა. 1926 წელს თამარი პარიზში, ოლგა პრეობრაჟენსკაიას საბალეტო სკოლაში შეიყვანეს. იქ შეამჩნია ანა პავლოვამ. დებიუტი შედგა 1929 წელს ტროკადეროში გამართულ გალა-კონცერტზე, სადაც საცეკვაო ვარიაციებით 10 წლის თამარმა პირველი გამარჯვება მოიპოვა. კიდევ უფრო ბრწყინვალე გამოდგა 13 წლის თამარის გამოსვლა დიაგილევის დასში, გიორგი ბალანჩივაძის დადგმებში. „ბები-ბალერინები“ თუმანიშვილი, რიაბუშინსკაია, ბარიოვა უნისონში ასრულებდნენ შეჯიბრს ფუეტებში. ამით ცნობილი გახდნენ

მთელს მსოფლიოში, სადაც კი დიაგილევის „რუსული ბალეტის სეზონები“ იმართებოდა (42).

1929 წელს დიაგილევის გარდაცვალების შემდეგ, თამარი ანა პავლოვას დასმი გადავიდა. 1932 წელს 3 „ბები-ბალერინა“ მონტე-კარლოს ბალეტმა მიიწვია. თამარი გამოდიოდა ევროპულ-ამერიკულ დასებშიც – პარიზის „გრანდ ოპერაში“, მილანის „ლა სკალაში“, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში“ და ა.შ. მის რეპერტუარში კლასიკური ბალეტების გარდა თანამედროვე ბალეტებიც შედიოდა.

30 წლის ბალერინა ჯორჯ ბალანჩინმა ამერიკაში წაიყვანა. მალე მან არა მარტო ბალეტის მოყვარულთა, არამედ კინორეჟისორთა ყურადღებაც მიიპყრო. თამარი ერთადერთი ბალერინა იყო, რომელიც დრამატული ტალანტისა და არაჩვეულებრივი გარეგნობის წყალობით კინოში გადაიღეს – 1944 წელს გრიგორი პეკთან ერთად ჟაკ ტერენის ფილმში „დიდების დღეები“, 1956 წელს – ჯინ კელის შვედურ-ფრანგული ფილმში „მიპატრუება საცეკვაოდ“, 1966 წელს – ალფრედ ჰიჩკოკის ფილმში „დახეული ფარდა“, 1970 წელს – ბილი უაილდერის ფილმში „შერლოკ ჰოლმსის პირადი ცხოვრება“. ანა პავლოვას მეუღლის, დანდრეს თხოვნით ფილმში „ანა პავლოვა“ ითამაშა ლეგენდარული ბალერინას როლი (41).

1944 წელს თამარის ქორწინება ამერიკელ სცენარისტ და პროდიუსერ კეისი რობინსონთან 10 წლის შემდეგ დაირღვა. თამარ თუმანიშვილი „გრანდ-ოპერის“ დასსთან ერთად სამხრეთ ამერიკული ტურნეს შემდეგ პარიზის თეატრის პრიმა-ბალერინა გახდა. ცეკვავდა პლანეტის თითქმის ყველა დიდ სცენაზე, ყველა ცნობილ დასში, მისთვის დგამდნენ ბალეტებს ცნობილი ქორეოგრაფები, ნაწარმოებებს უძღვნიდნენ კომპოზიტორები, მხატვრები, პოეტები. მეგობრობდა ხელოვნების განთქმულ მოღვაწეებთან. 1958 წელს სამხრეთ ამერიკაში ქართული საბალეტო დასის მსახიობებსა და ვახტანგ ჭაბუკიანს შეხვდა, რომელმაც ჯერ კიდევ 1935 წელს ამერიკაში შეხვედრისას თამარს დიდი მომავალი უწინანარმეტყველა.

1965 წელს თბილისიდან და „გოსკონცერტიდან“ ჰქონდა მიწვევა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

1973 წელს დედის გარდაცვალება შეატყობინა თბილისელ ნათესავებს. მხოლოდ საქართველოს შექმლო ეშვა დედაჩემისნაირი ქალიო, – წერდა იგი. ევგენია კალიფორნიის ქართული საზოგადოების აქტიური წევრი იყო და შეკრებებზე ხშირად იცვამდა ქართულ კაბას. ქალიშვილის დიდი მეგობარი და მესაიდუმლე ყველგან თან დაყვებოდა. სამშობლოში მისი გადმოსვენება თამარს მხოლოდ თავისი სიკვდილის შემდეგ სურდა, რადგან სიოცხლეში დედის საფლავი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც შექმლი ტირილით გული მოეოხებინა.

1993 წელს 74 წლის თამარ თუმანიშვილმა ამერიკაში გასტროლებისას მოინახულა ნინო ანანიაშვილი და ძვირფასი გულსაბნევი აჩუქა, რომელიც თავის დროზე ანა პავლოვას მისთვის – საუკეთესო შეგირდსათვის მიუძღვნია, ანას კი იგი ოლგა პრეობრაჟენსკაიასგან მიუღია (დაუშვლილი 2011: 44-45). მხოლოდ ამ ერთადერთი ნივთით მოახერხა თამარ თუმანიშვილმა სამშობლოში დაბრუნება.

თამარ თუმანიშვილი გარდაიცვალა 1996 წელს ამერიკაში, დაკრძალულია სანტა-მონიკაში. ანდერძის თანახმად, მისი ქონება ქველმოქმედებას მოხმარდა. ბოლო წლებში ბევრი ინერება თამარ თუმანიშვილზე, სიუჟეტები და გადაცემებიც გაკეთდა ტელევიზიაში, მაგრამ მის გვარს ვერ შეხვდებით ქართულ ენციკლოპედიებში, თამარის შემოქმედება პრაქტიკულად უცნობია, ფილმები კი მისი მონაწილეობით ქართველი მაცურებლისათვის დღემდე არაა ხელმისაწვდომი. 2011 წლის იანვარში ჰოლივუდის

მუზეუმიდან თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა „დიდების დღეების“ გადასაღებ მოედანზე გადაღებული ფოტოები. იმედია, სსსრ-ის მასალაც დაბრუნდება საქართველოში, რათა უფრო სრულად მოხერხდეს თამარ თუმანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების აღდგენა.

ეთერ ფალავა – საქართველოს პირველი, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას შვილიშვილი, 1932 წელს დაიბადა პარიზში. ბავშვობიდანვე იტაცებდა ცეკვას. სწავლობდა ქართულ ცეკვებს. ერთხელ ქუჩაში გატაცებით მოცეკვავე 6 წლის ეთერი სახელგანთქმული სერჟ ლიფარის კონცერტმაისტერმა შენიშნა და დედამისს ურჩია იმ დროს პოპულარულ პედაგოგთან მიეყვანა. იქ ნიჭიერ გოგონა შეამჩნია სერჟ ლიფარმა და ნიჟინსკის ხსოვნის საღამოზე გამოიყვანა. პატარა ეთერის სცენიური ნათლობა დამთხვა ელისეს მინდერებზე ახალგაზრდა მოცეკვავის, როლანდ პეტისა და დიაგილევის ყოფილი თანამშრომლის, ბორის კოხნოს ახალი საბალეტო თეატრის დაარსებას. 1945 წელს ამ თეატრში დადგმულმა სპექტაკლმა „ფორენები“ (ბაზრის კომენდიანტები), სათავე დაუდო ახალი ჟანრის საბალეტო წარმოდგენას. დაუვინყარი იყო ბალეტის რამდენიმე სცენა, მათ შორის პატარა აკრობატის ნომერი, რომელმაც ეთერს სახელი გაუთქვა. 13 წლის გოგონას პარიზულმა პრესამ „ბავშვი საკვირველება“ უწოდა. 1948 წელს პეტიმ ნორჩი ბალერინა თავის მეორე ბალეტში, „ამურ იუპიტერშიც“ გამოიყვანა. 16 წლის ეთერი ლიფარმა მონტე-კარლოში, მარკო კუევას რუსულ დასში მიიწვია. იცეკვა ბალეტებში „რომეო და ჯულიეტა“ და „სომნაბულამი“, ლონდონში „სომნაბულას“ ახალ დადგმასა და ბალანჩინის ბალეტებში. ფერმკრთალი, თითქმის გამჭვირვალე სახის, შავი მეტყველი თვალებისა და ჰეროვანი ტექნიკის გამო ეთერს „პატარა ბრილიანტი“ შეარქვეს (გუნია 1968: 62-64). მისი შემდგომი წარმატება პარიზის „გრანდ ოპერასთანაა“ დაკავშირებული, სადაც პირველად გამოვიდა ბალეტში „ატლანტიდა“. რამდენიმე სეზონი ეთერ ფალავა თამარ თუმანიშვილთან ერთად გამოდიოდა მილანის „ლა სკალას“ სცენაზე, 50-იან წლებში ამსტერდამის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინა გახდა, მთელ მსოფლიოში მოიხვეჭა პოპულარობა და „ეტულის“ (ვარსკვლავის) წოდება მიიღო (კავკასიონი 1978: 106).

70-იან წლებში საფრანგეთის ხელოვნების აღორძინებისა და განვითარების მუდმივ კომისიაში მიწვეულ ეთერს მიენდო საზოგადოების ფართო ფენებში ქორეოგრაფიის პოპულარიზაცია. ტელევიზიით აცნობდა ქორეოგრაფიის მნიშვნელობასა და ტექნიკას, შემდეგ კი პროფესიონალი მოცეკვავეები ასრულებდნენ მის მიერ დადგმულ ბალეტებს. ეს გამოსვლები დიდი მოწონებით სარგებლობდა (კავკასიონი 1971: 103). 1980-იან წლებში ცეკვას ასწავლიდა პარიზის თეატრებში, უნივერსიტეტში, პომპიდუს ცენტრში.

საბედნიეროდ, ეთერ ფალავას ხელოვნება ქართული საზოგადოებისათვის ისეთივე უცნობი არ დარჩა, როგორც თამარ თუმანიშვილის. 1967 წელს სახელოვან ბალერინას თბილისში 2 სპექტაკლი – „უიზელი“ და „დონ კიხოტი“ პარტნიორობას უწევდა ვახტანგ ჭაბუკიანი. სამშობლოს ნახვით აღტაცებულმა, რადიოში განაცხადა, რომ მისი ოცნებაა თავისუფალი საქართველო. ამის გამო ვიზა აღარ გაუგრძელეს და მეორედ ჩამოსვლის ნებაც აღარ დართეს. მხოლოდ 1990 წელს ჩამოვიდა მეუღლესთან, ცნობილ მომღერალ ჟაკ დუაისთან ერთად, რომელმაც თბილისის ოპერაში თავისი რეპერტუარი შესარულა.

90-იან წლებში ბულონის ცყეში, ეთერი მეუღლესთან ერთად ხელმძღვანელობდა პატარა თეატრს. იქ ხშირად იდგმებოდა მისი საბალეტო სპექტაკლები, რომლებსაც ბავშვები აღტაცებაში მოჰყავდა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება ფრანგ მასურ-ბელზე მუხედენია თბილისიდან მიწვეულ ხლხური ცეკვის ბავშვთა ანსამბლს (ბასილია 1999: 23-24).

ეთერ ფალავა 2010 წლის აპრილში მონეეული იყო თბილისის ოპერის თეატრში, მაგრამ ავადმყოფობის და ასაკის გამო ვერ ჩამოვიდა.

მარიამ ალიხანაშვილი იგივე **მარია მერიკო** – ფრანგული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი იყო. ის და და მისი ოჯახი პირველად გურამ შარაძემ გაგვაცნო 1991 წელს თბილისში მცხოვრები ნათესავის, ნათელა კერესელიძის მიწოდებული მასალების მიხედვით შედგენილი სტატით (შარაძე 1991: 571-578), ერთი წლის შემდეგ კი პირადად გაიცნო პარიზში ყოფნის დროს (შარაძე 1993: 436-437).

მარიამის მამა, სოციალ-დემოკრატი ვანო ალიხანაშვილი 1921 წელს ოჯახთან ერთად წავიდა ემიგრაციაში, სტამბოლში, 1923 წელს კი მთელი ოჯახი გადავიდა პარიზში. ვანო 1926 წელს დაბრუნდა საქართველოში და 1937 წლამდე ენოვდა საზოგადოებრივ საქმიანობას, ამავე დროს წერდა ისტორიულ თხზულებას საქართველოს პარსეთის ურთიერთობაზე. ვანო ძალიან დარდობდა თავის ქალიშვილთან დამორჩევას, ცდილობდა როგორმე ჩამოეყვანა საქართველოში – მიზეზად გამოუყენებია ბავშვის სუსტი აგებულება, შეუფროვებია საბუთები, რომ საქართველოს ჰავა აუცილებელი იყო მისთვის და, როცა მერი უკვე მარსელში იყო ჩამოსული საქართველოში გამოსამგზავრებლად, უეცრად ვანოს ახლო მეგობრები დააპატიმრეს და მანაც სასწრაფოდ უდებუმა გოგონას, რომ უკან დაბრუნებულიყო. ვანოც მალე დააპატიმრეს და 1937 წელს დახვრიტეს.

მარიამმა განაგრძო საფრანგეთში სწავლა და დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ შევიდა გომონ-ზაფხანის კლასიკური ცეკვის სკოლაში, მაგრამ სუსტი აღნაგობის გამო იძულებული გახდა, დაეტოვებინა სასწავლებელი.

1941 წელს იგი ჩაირიცხა პარიზის ხელოვნების აკადემიაში, ქანდაკების განყოფილებაზე. სუსტი აღნაგობის გამო აქაც ვერ შეძლო სწავლის გასრულება – ეძნელებოდა ქვის ლოდის კოდვა და 1943 წელს დაიწყო ხელახლა ბედის ძიება. მეგობარს გაჰყვა ვაკერის სტუდიაში, სადაც დრამატული ხელოვნების კურსებს ატარებდა ცნობილი მსახიობი და პროფესორი ფერნანდ ბელანი, რომელსაც 9 წლის შემდეგ, 1952 წელს ცოლად გაჰყვა.

1945 წლიდან იწყება მისი თეატრალური მოღვაწეობა. 1946 წელს მას პირველი აღტაცებული რეცენზიები უძღვნა პარიზულმა კრიტიკამ. ასე დაიწყო პარიზისა და სხვა ქალაქების თეატრებსა და ფესტივალებზე მარია მერიკოს წარმატებული გამოსვლები ქალაკურ და თანამედროვე პიესათა დადგმებში („ოიდიპოს მეფე“, „ბერნარდა ალბას სახლი“, „კოროლიანოს“, „ფედრა“ და სხვა). მან მალე მიიქცია კინემატოგრაფის ყურადღება. 1957-1993 წლებში მარია მერიკო ცნობილი რეჟისორების 16 ფილმშია გადაღებული: სამა გიტრის „მკვლელები და ქურდები“, მარსელ ჰანონის „ერთი მარტივი ისტორია“, ანდრე იუნგელის „პარიზის საიდუმლოებანი“, ანატოლი ლიტვაკის „მანდილოსანი მანქანაზე სათვალეებითა და თოფით“, ფილიპ დე ბროკას „გამოუსწორებელი“, პატრის ამბარდის „მიჰყევით ამ თვითმფრინავს“, კრისტინა კომენჩინის „პირადი ცხოვრების გასართობებში“, ჟან-პიერ ვერჟინეს „პარიზი ჩვენთვის“ და სხვა (40).

1960 წლიდან მარია მერიკო ტელევიზიის ეკრანებზე გამოჩნდა და 1993 წლამდე 20 სატელევიზიო ტელეფილმში, სერიალსა და გადაცემაში გადაიღეს.

მარია მერიკოს გარდაცვალების წელს, 1994 წელს სატელევიზიო სერიალ „ნესტორ ბურმაში“ შესრულებული როლი მისთვის ბოლო აღმოჩნდა.

განსაკუთრებით შთაბეჭდავი სახე მარია მერიკომ შექმნა 1971 წელს ალექსანდრე დიუმას რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმში „გრაფინია დე მონსორი“. ეს იყო ეკატერინე მედიჩის როლი, რომელიც საბჭოთა მაყურებელმაც იხილა.

თამარ პაპავა და მისი ოჯახი პირველად რეზო თაბუკაშვილმა გაგვაცნო დოკუმენტური ფილმით „შორეული ახლობელი“, შემდეგ – გურამ შარაძემ გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული სტატიით, რომელიც შეიტანა სამტომეულში „უცხოეთის ცის ქვეშ“ (შარაძე 1991: 237-267).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული ევროპიდან ლათინურ ამერიკას ქართველი ლტოლვილები დიდ ტალღად მიაწყდნენ. სამხრეთ ამერიკაში ყველაზე მეტი ლტოლვილი არგენტინაში, ბუენოს-აირესის გარეუბან ლომას დე ზამორაში დასახლდა. ერთ-ერთი პირველი, აკაკი და თამარ პაპაევების ოჯახი იყო.

თამარ პაპავა-გოგოლაშვილი დაიბადა 1888 წელს ქუთაისში, ცნობილი ქართველი მსახიობის სიმონ გოგოლაშვილის ოჯახში. სამწერლო ასპარეზზე ძალზე ახალგაზრდა გამოვიდა და მაშინვე მიიტყია ლიტერატორთა ყურადღება. მალე თამარი ცოლად გაჰყვა ახალგაზრდა მწერალსა და ჟურნალისტს აკაკი პაპავას. მწერალთა კავშირის განყოფილების გამგე და ჟურნალ „ხელოვნების“ რედაქტორი აკაკი პაპავა 1922 წელს ბერლინს გაემგზავრა და ერთხანს იქიდან თანამშრომლობდა ქართულ გამოცემებთან. 1923 წელს თამარი ორი პატარა გოგონათი მეუღლესთან გაემგზავრა. ეს მოგზაურობა მოგვიანებით აღწერა ფრაგმენტში „ორი კვირა ვირთხებთან“ (პაპავა 1968: 93-97). იმ პერიოდიდან იწყება პაპაევების ემიგრანტული ცხოვრება ჰამბურგსა და ბერლინში, სადაც მათი სახლი ემიგრანტთა თავმჯდომარის ადგილი იყო. 1949 წელს ცოლ-ქმარი სამხრეთ ამერიკაში, არგენტინაში გადასახლდა. ბუენოს-აირესშიც მათი სახლი ალგარეს თომასის ქუჩაზე ნაყუდელი გახდა ქართველებისათვის – 1950-იანი წლებში არგენტინის 100-150-კაციანი ქართული დიასპორა სწორედ პაპაევების ოჯახის გარშემო იყო შემოკრებილი. ეს, პირველ რიგში დიასახლისის დამსახურება იყო, თუმცა თამარ პაპავა თავისი შემოქმედებითაცაა გამორჩეული ქართველ ემიგრანტ ქალთა შორის. მისი ისტორიული ნარკვევები, „მეფე ერეკლეს ქალები“, „ქართველი ქალები და 1832 წლის შეთქმულება“, „ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი“ იბეჭდებოდა პარიზში, კრებულ „კავკასიონში“ „ისახარის“ ფსევდონიმით. 1937 წელს კი პარიზში გამოქვეყნდა შესანიშნავი წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“. წინასიტყვაობაში თ. პაპავა მადლობას უხდის ექვთიმე თაყაიშვილს, სამსონ ფირცხალავას, ვიკტორ ნოზაძეს, შალვა ამირეჯიბს, სიმონ ბერეჟიანს, ვლადიმერ ახმეტელს და დავით ხელაძეს წიგნის გამოცემისათვის (პაპავა 1937: 7).

1951 წელს ბუენოს-აირესში ნოე ჟორდანიას წინასიტყვაობით გამცემული „დიდი სახეების“ II ტომი იყო ამერიკაში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნი. 1953 წელს ბუენოს-აირესში გამოიცა თამარ პაპავას II ტომის ახალი წიგნი (პაპავა 1953). ეს შესანიშნავი წიგნი ემიგრაციაში სამჯერ გაგრძელებებით გამოქვეყნდა, საქართველოში კი დიდხანს იყო დაფარული სიმართლე ერეკლე II-ის შთამომავლობასა და 1832 წლის შეთქმულებაზე, ამიტომ მხოლოდ 1990 წელს, დამოუკიდებელ საქართველოში გახდა შესაძლებელი წიგნის გამოქვეყნება.

ქართველმა ემიგრანტებმა 1921 წლის ოკუპაციის პირველი დღეებიდან დაიწყეს ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, მაგრამ წლები გადიოდა და ამ ბრძოლის შედეგი არ ჩანდა. უცხოეთის მიწაში ახალი საფლავები იჭრებოდა. ლევილის მამულთან, ქართულ სასაფლაოზე 1971 წელს 230-მდე ქართველი განისვენებდა. ამ საფლავებმა შთააგონა თამარ პაპავა. 1970 წელს პარიზში გამოცემულ მის წიგნში „გაბნეული საფლავები“ დიდი სულიერი მღელვარებითა და პოეტური განცდებით არის დანერილი ეტიუდები ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაზე, რომლებშიც იხატება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და პოლიტიკური მოღვაწეების: ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, კარლო ჩხეიძის, ევგენი გეგეჭ

კორის, კონსტანტინე კანდელაკის, აკაკი ჩხენკელის, სიმონ მდივნის, ირაკლი წერეთლის, სპირიდონ კედიას, ვალოდია გოგუაძის, სვიმონ წერეთლის, გიორგი გვაზავას, გიორგი ჟურჯულის პორტრეტები. იხსენებს გერმანიაში საქართველოს ელჩს ვლადიმერ ახმეტელს, ეროვნულ გმირს ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ზურაბ ავალიშვილს, მიხაკო წერეთელს, ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეებს, ვიკტორ ნოზაძეს, კიტა ჩხენკელს, პელო გეგელაშვილს, სამსონ ფირცხალავას, გრიგოლ რობაქიძეს, შალვა ამირეჯობს და სხვებს (პაპავა 1970).

თამარი და აკაკი პაპაევები არგენტინაში ყველა ქართული საქმის სული და გული იყვნენ. აკაკი პაპავა დაასახელეს 1950 წლის 29 ოქტომბერს ჩამოყალიბებული „არგენტინაში მყოფ ქართველთა საზოგადოება „ნმინდა გიორგის“ საპატიო თავმჯდომარედ (მამული 1951 ა: 30). 1952 წლის ივლისში საგანგებო სხდომაზე ვიკტორ ნოზაძის შემდეგ ქართული საზოგადოების თავმჯდომარედ თამარ პაპავა აირჩიეს (მამული 1953: 196-197). მთელი ოჯახი – თამარის და აკაკის შვილები და შვილიშვილები ჩართული იყვნენ სათვისტომოს საქმიანობაში – შობა-ახალი წლის, ნინოობის, 26 მაისის, საქართველოს ოკუპაციის დღის აღნიშვნაში. გამოდიოდნენ სიტყვით, მოგონებებით, კითხულობდნენ მოხსენებებს, დგამდნენ წარმოდგენებს. შვილიშვილები – მზია და გულნარა ჭეიშვილები და მათი მეგობარი არგენტინელი გოგონა ბეატრის ბერტოლი კითხულობდნენ ქართულ ლექსებს, ცეკვავდნენ ქართულ ცეკვებს. პაპაევების ოჯახი აქტიური მონაწილე იყო 1951-1952 წლებში ბუენოს-აირესის ლიტველთა კლუბში ჩატარებული ორი ქართული კონცერტისა, რომლებსაც ქართველების გარდა დიდი ხნის წინ არგენტინაში ჩასახლებული ქართველი ებრაელები და არგენტინელი სტუმრები დაესწრნენ (მამული 1951 ბ: 64; მამული 1953: 197-198). სიძეები ლეო და ალექსანდრე ჭეიშვილებიც გვერდში ედგნენ პაპაევებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია პაპაევების ოჯახის ღვაწლი ეროვნული სინმინდის – ემიგრაციაში მოხვედრილი თბილისის სიონის ტაძრის ტრაპეზის ძველი ნაქარგი გადასაფარებლის გადარჩენა-შენახვის საქმეში.

აკაკი პაპავა მოულოდნელად გარდაიცვალა 1964 წლის 27 ივნისს, ლომას დე ზამორას ავტობუსში, ქართველ მოცეკვავეთა კონცერტის ბილეთებით ჯიბეში. ანდერძის თანახმად დაკრძალეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. თამარ პაპავა 1976 წელს გარდაიცვალა და ისიც ქმრის გვერდით, ლევილის სასაფლაოზეა დაკრძალული.

ჟურნალისტ პაატა ნაცვლიშვილის მიერ 1997 და 2012 წლებში არგენტინიდან ჩამოტანილი პაპაევების არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაბინავებული პაპაევების სახელობის კაბინეტში, რომლის გახსნაზე 2009 წლის აპრილში პაპაევების ექვსი შვილიშვილიდან ოთხი ჩამოვიდა. თამარ და აკაკი პაპაევებისადმი მიძღვნილი დღეების ფარგლებში მოეწყო გამოფენა, ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მოხსენებები მოგვიანებით კრებულ „სამშობლოს“ პირველ ნომერში დაიბეჭდა (სამშობლო 2009). არქივის ნაწილი უკვე დამუშავებულია და გამოსაცემად მომზადებული, პაატა ნაცვლიშვილმა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დახმარებით რამდენიმე წიგნაკი გამოსცა (ექვთიმე თაყაიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, მიხაკო წერეთლის, სამსონ ფირცხალავას წერილები პაპაევებისადმი). არქივი დახმარებას გაუწევს მკვლევრებს, რათა საფუძველიანად იქნას შესწავლილი არა მარტო პაპაევების ოჯახის, არამედ სხვა „არგენტინელ ქართველთა“ წვლილი ქართული კულტურის წინაშე.

დამონმებანი

1. აღმანახი „სამშობლო“, ქართული ემიგრაციის საკითხები, I, 2009.
2. ბასილია ნ. ქართული ემიგრაციის დღიურიდან — ჟურნ. „იმიჯი“, 1999, №11.
3. გელაშვილი ნ. მოგონება სონია დუმბაძეზე, 2009, პირადი არქივი.
4. გუნიან ნ. ბაღეცის ოსტატი — ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1968, №3.
5. დაუშვილი რ. FAMUS GEORGIANS თამარ თუმანიშვილი, „შავი მარგალიტი“ — გაზ. Prime Time, 2011, №29, 18 ივლისი.
6. დაუშვილი რ. FAMUS GEORGIANS ელენე თარხნიშვილი — „ლა სკალას“ სოლისტი — გაზ. Prime Time, 2012, №10, 12 მარტი.
7. „დამოუკიდებელი საქართველო“ (ჟურნ.), პარიზი, 1933, №90.
8. „კავკასიონი“ (ჟურნ.) პარიზი, 1981, №20.
9. „კავკასიონი“ (ჟურნ.), პარიზი, 1971, №15.
10. „კავკასიონი“ (ჟურნ.), პარიზი, 1978, №19.
11. ვერა ფალავა, თბ., 2012.
12. კაკაბაძე დ. ნახატი, როგორც ლექსი, ანუ ვერა ფალავას გაცნობის მოლოდინში — 2011, 22 ივლისი — www.radiotavisupleba.ge/content/.../24274044.html
13. კაშაძე შ. თბილისის ოპერისა და ბაღეცის თეატრი 1851-1921, ნაწ. I, თბ. 1950.
14. მახარაძე მ. წონასწორობა, მედიტაცია და სიჩუმე — გაზ. „24 საათი“, Weecend, 2012, 21 ოქტომბერი, გვ. 13-14.
15. პაპავა თ. გაბნეული საფლავები, პარიზი, 1970.
16. პაპავა თ. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, პარიზი, ტ. I, 1937.
17. პაპავა თ. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, ბუენოს-აირესი, ტ. II, 1953.
18. პაპავა თ. ორი კვირა ვირთხებთან — ჟურნ. „კავკასიონი“, №13, 1968.
19. „მამული“ (ჟურნ.), 1951 ა, №1.
20. „მამული“ (ჟურნ.), 1951 ბ, №2.
21. „მამული“ (ჟურნ.), 1953, №6.
22. „სამშობლო“ (ჟურნ.), პარიზი, 1935, №17-18.
23. „თეთრი გიორგი“ (გაზ.), პარიზი, 1933, №64.
24. შალამოვი ი. მომღერალი და პედაგოგი ნინო ცერცვაძე — ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, №9.
25. შარაძე გ. აკაკი და თამარ პაპაევები, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, 1991.
26. შარაძე გ. ვერა ფალავა, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, 1991.
27. შარაძე გ. ლევილში, ქართველთა მამულში, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. III, 1993.
28. შარაძე გ. მარია მერიკო, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, 1991.
29. ცამციშვილი ა. ბუდემოშვილი, თბ. 1968.
30. ცამციშვილი ა. უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანნი, თბ. 1962.
31. წერეთელი ა. სათეატრო შენიშვნები — გაზ. „თემი“, 1912, 9 თებერვალი.
32. „Кавказ“ (გაზ.), 1911, №278.
33. Оболенский И. Тамара Гамсахурдия, Судьба красоты. Истории грузинских жён, Тბ, 2010.
34. Театральное искусство, казенный театр — «Кавказ», 1911, №278, стр.3
35. Les Amis de la France, Le Prince et la princesse Mdivani — „la revue diplomatique“, 1932, 31 II.
36. bookz.ru/authors/dali-sal_vador/tainaa-j_137.html -

37. en.wikipedia.org/wiki/Mdivani
38. lib.aldebaran.ru/.../gidel_anri_koko_shanel__0.html –
39. ruscircus.ru/encyc
40. fr.wikipedia.org/wiki/Maria_Meriko
41. www.answers.com/topic/tamara-toumanova
42. www.ballerinagallery.com/toumanov.htm
43. [www.nplg.gov.ge/emigrants/ka T gamsxaurdia](http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka_T_gamsxaurdia)
44. www.sites.google.com/site/chicago1932/stati-po.../moda

RUSUDAN DAUSHVILI

Georgian female artists in immigration

Summary

The article deals with 9 Georgian female artists in immigration. Very few of the Georgian women managed to achieve success in their professions. Emigrant life and the status of the refugees hampered the Georgian women. Most of the immigrants kept the citizenship of independent Georgia and did not become citizen of the country where they had to live. 9 Georgian ladies represent 6 countries of 2 continents. 2 opera singers – Elene Tarkhnishvili and Sonia Dumbadze have performed on the opera stages in Italy and brought up singers. Roussadana Mdivani, sculptress, model of the Lanvin Fashion House and spouse of famous painter Josep Maria Sert, has lived in France and Spain. The work of painter Vera Pagava is a part of the French art. Ballet stars Tamar Gamsakhurdia, Tamar Tumanishvili and Eter Pagava have danced on the stages of France, Monte Carlo and the United States of America. Tamar Gamsakhurdia has been involved in fashion industry and made corsets for famous ladies (Baroness Rothschild, Marlene Dietrich, Jacqueline Kennedy) in the lingerie fashion house of „Laure Belen“. Tamar Tumanishvili was the only ballerina who became a movie star, thanks to dramatic talent and appearance. Eter Pagava popularized choreography through television and was a head of a small theatre in Paris. Mariam Alikhanashvili – Maria Meriko is a French theatre, movie and TV star. Writer Tamar Papava has written Georgian books in Argentina and led Georgian community in Buenos Aires.

ექვთიმე თაყაიშვილი: „მე მხოლოდ ჩემ ქართულ მოვალეობას ვასრულებდი“

ილიას შემდგომ საქართველოში თუ ვინმემ ჩვენს სინამდვილეს „განათლებული კვალი“ დააჩნია, ერთი მათგანი უცილობლად ექვთიმე თაყაიშვილია. „ღვთისკაცად“ ქცეული ამ ერისკაცის მთელი ცხოვრება მკაფიოდ და ნათლად ცხადყოფს, რა არის ადამიანის დანიშნულება ნუთისოფელში და რაში მდგომარეობს მისი ვალი უფლისა და სამშობლოს წინაშე.

1883 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის დასრულების შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგს გაემგზავრა. ჩაირიცხა აქაური საიმპერატორო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1887 წელს ბერძნულ-ლათინურ ენათა განხრით დაამთავრა.

პეტერბურგიდან თბილისში ჩამოსვლისთანავე ექვთიმე აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. როგორც თვითონ წერს, მას ამ დროისათვის უკვე გარკვეული ქონია „მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლებოდა, მეტი გამოიმეზურებინა და მისანდომი გამეხადა მკვლევართათვის.“ ეს ძალისხმევა მომავალ ღვთისკაცს ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ მიაჩნდა, მაშინ, როდესაც ბევრ მის თანამედროვეს „არ ესმოდა ამის მნიშვნელობა და გემო.“ ექვთიმეს სიტყვით, „თითქოს გვყავდა ინტელიგენცია, მაგრამ ნამდვილად და ღრმად ვერავინ ხვდებოდა კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და ადგილობრივ შესწავლის აუცილებლობას.“ მალე ილია ჭავჭავაძის მონოდებით, საქართველოში ხალხის „ყოველგვარი გონებითი ნაწარმოების“ – ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის როგორც შეკრება და დაცვა, ისე მეცნიერული შესწავლა დაიწყო. ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის მთავარ ასპარეზად სწორედ ეს სფერო გახდა.

თავდაპირველად ექვთიმე თბილისის ქართულ სათავადაზნაურო სკოლაში, შემდეგ კი კლასიკურ გიმნაზიაში მიიწვიეს. ასწავლიდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, ასევე ისტორიასა და გეოგრაფიას. 1894 წლიდან იგი მთელი 10 წლის განმავლობაში სათავეში ედგა სათავადაზნაურო გიმნაზიას და მესვეურობდა მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. თანამდროვეთა მოგონებით, ექვთიმეს დროს „ქართული გიმნაზია ერთი იმ მცირერიცხოვან დაწესებულებათაგანი იყო, საცა ქართული ტრადიცია და ქართული იმედი იყრიდა თავს“ (ქარუმიძე 1953:). აღსანიშნავია, რომ ექვთიმე თაყაიშვილი იმთავითვე ჩაერთო იმ ფართო ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომელსაც ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ გარშემო შემოკრებილი ქართველ მამულიშვილთა დასი ეწეოდა.

მომავალი მეცნიერი და მოღვაწე მოგზაურობდა ქვეყნის ცალკეულ კუთხეში, ფეხით მოიარა გურია, სამეგრელო, ქართლი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი. დაეძებდა და აგროვებდა ძვირფას წიგნებს, სიგელ-გუჯრებს, შინამრეწველობის

ნიმუშებს, სხვადასხვა ისტორიულ საბუთებს და მნიშვნელოვან არტეფაქტებს. გადმოიღო ეკლესია-მონასტრებში გადაწვადების პირას მისული ათეულობით ფრესკის პირი, აღწერა და აზომა მრავალი ტაძარი, შეაგროვა უნიკალური ეპიგრაფიკული მასალა და დალუპვისაგან იხსნა არაერთი ხელნაწერი თუ საეკლესიო სიძველე. „თუმცა ჩემი მთავარი მოღვაწეობა პედაგოგობა იყო... იმავე დროს შეძლებისამებრ ვმუშაობდი საქართველოს ისტორია-არქეოლოგიაში, საზოგადოდ ქართული კულტურის ისტორიაში. აქ მიზნად დავისახე საბუთებისა და ძეგლების შეკრება, მათი მოწესრიგება, აღწერა გამოქვეყნება და, რაც მთავარია, დაცვა,“ აღნიშნავდა დიდი ერისკაცი.

განსაკუთრებით ფასეულია ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით 1902, 1907, და 1917 წლებში სამხრეთ საქართველოში („ოსმალეთის საქართველოში“) მონაწილე ექსპედიციები, რომელთა საფუძველზეც გამოცემულია მეცნიერული გამოკვლევები. სწორედ ამ ექსპედიციებისას შეისწავლეს ხახულისა და ოშკის ტაძრები, პარხალისა და ოთხთა ეკლესიები, თორთუმის ციხე და სხვ. აღმოაჩინეს და გადმოიღეს მრავალი საყურადღებო წარწერა, შეისწავლეს ეკლესია-მონასტრთა მხატვრობა, საეკლესიო ჭურჭელი, მინიატურები.

„ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა ჩააყენა საქართველოს ისტორიის სამსახურში მდიდარი ქართული დოკუმენტური მასალა, ქართული ეპიგრაფიკა, მანამდე შეუსწავლელი ქართული ხელნაწერები და მათი ანდერძმინანერები, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები და ყოველივე ამით მყარი ნიადაგი მოუმზადა ქართული ისტორიის მეცნიერების აღმავლობას“ (მეტრეველი 2010: 8).

მიხაკო წერეთლის სიტყვით, ექვთიმე თაყაიშვილი იყო „ნამდვილი ბატონი საქართველოს წარსული კვლევის ფართო ნიადაგზე“ (წერეთელი 1954: 27). როგორც აკაკი პაპავა მიუთითებდა: „ჩვენი წარსული კულტურის ძეგლები ისეთი მოცულობით და მკვეთრობით ჯერ არავის გამოეჩინა, როგორც ეს ექვთიმემ შესძლო. ... ის იყო ნამდვილი მჭედელი და ზუროთმოძღვარი, რომელიც დიდ ეპოქებს კვლავ ალაღებდა წარწერების და ორნამენტების ფრაგმენტებიდან“ (პაპავა 1953: 24).

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან ექვთიმე თაყაიშვილი არჩეული იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგებობის წევრად. 1907 წელს მან ჩამოაყალიბა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელსაც 1921 წლამდე (ემიგრაციაში წასვლამდე) თვითონვე ხელმძღვანელობდა. როგორც მაშინ შენიშნავდნენ, ეს იყო „ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ახორციელებს“ (მეტრეველი 2010: 10).

ექვთიმე თაყაიშვილის სახელს უკავშირდება წარმატებული არქეოლოგიური გათხრები დებედის ხეობაში, სოფელ ვორნაკში და სხვ. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგორის ცნობილი განძის შეგროვებასა და დაცვაში. ექვთიმემ მოიძია და თავი მოუყარა „ვეზისტყაოსნის“ ორ ათეულამდე ხელნაწერს, რომელთა შორის ყველაზე ძველი მე-17 საუკუნის ხელნაწერი იყო.

ექვთიმე თაყაიშვილმა დააფუძნა ორი სამეცნიერო სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი.“ მეცნიერი აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში, იყო ამ უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი პირველი პროფესორი. 1918 წლის 21 მაისს თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ მას დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

საგულისხმოა, რომ ექვთიმე თაყაიშვილი იყო საქართველოში ისეთი მნიშვნელოვანი სიძველეთსაცავი კერის შექმნის თაოსანი, როგორიცაა ეროვნული არქივი.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის 1920 წლის 12 იანვარს წარდგენილი მისი მოხსენება ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების საჭიროების შესახებ, გახდა იმავე წლის აპრილში თბილისში ამ ტიპის დაწესებულების გახსნის საფუძველი.

ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიიდან დიდი ხნის განმავლობაში ამოხეული იყო ფურცლები, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მეცნიერის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეობას ასახავდა. ექვთიმე თაყაიშვილი 1917 წელს ჩამოყალბებული საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი იყო. ამ პოლიტიკური ორგანიზაციის სიით იგი არჩეული იყო ჯერ საქართველოს ეროვნული საბჭოს, ხოლო 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად. დამოუკიდებელი ქვეყნის ამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ექვთიმეს თავმჯდომარის მოადგილის (როგორც მაშინ უწოდებდნენ, ამხანაგის) თანამდებობა ეკავა. პარალელურად იყო კრების საბიბლიოთეკო კომისიის თავმჯდომარე, ასევე სახალხო განათლების კომისიის წევრი (ჯანელიძე 1998: 129-130).

ბოლშევიკური რუსეთის ძალმომრეობამ 1921 წლის თებერვალ-მარტში ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებაცა და ბედიც ძირეულად შეცვალა – მეოთხედი საუკუნე მან იძულებით უცხოეთში გაატარა. ექვთიმე ქართულ ეროვნულ განძს მეთვალყურედ და მცველად გაჰყვა საფრანგეთში, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენელი. „მოულოდნელად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ მოვშორებოდი ჩვენი ერის სასიქადულო კულტურულ საგანძურს“ – იგონებდა ექვთიმე თაყაიშვილი.

ალსანიშნავია, რომ მას ეს საშვილიშვილო დავალება საქართველოს დამფუძნებელი კრებისაგან ჰქონდა მიწოდებული. 1921 წლის 1 მარტით დათარიღებულ ექვთიმე თაყაიშვილის მოწმობას, რომ ის დანიშნულია განძეულის მცველად, ხელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე აწერდა (1: № 1115). ამასთან, მეცნიერი იმავდროულად საქართველოს მუზეუმებისა და ქართველი სამღვდელოების რწმუნებულე ბითაც იყო აღჭურვილი. მრავალმხრივ საგულისხმოა, რომ სახელოვანი მამულიშვილი პასუხისმგებლობას მთელი ქართველი ერის წინაშე გრძნობდა, ვისთვისაც ეს წმიდათანმიდა საგანძური იყო.

ექვთიმე თაყაიშვილი 1921-1924 წლებში აქტიურად იყო ჩართული ბოლშევიკური ოკუპაციისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, რომელსაც ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ევროპაში აწარმოებდა. 1924 წელს მან არ გაიზიარა საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების იდეა, არსებითად ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას და სამეცნიერ-კვლევითი მოღვაწეობის ასპარეზზე გადაინაცვლა. სტატიებს ბეჭდავდა პარიზისა და ბრიუსელის ცნობილ სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში, ეცნობოდა საფრანგეთის სახელგანთქმული ემიგრანტების მოწყობისა და საქმიანობის გამოცდილებას, მუშაობდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში და სხვ. 1922 წელს ექვთიმე თაყაიშვილი აირჩიეს პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების, ხოლო 1925 წელს საფრანგეთის სააზიო საზოგადოების ნამდვილ წევრად. ექვთიმე არჩეული იყო ემიგრაციაში არსებული ქართველ სტუდენტთა კულტურულ-კადემიური კავშირის საპატიო წევრად, ასევე ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების წევრად ემიგრაციაში (1: № 1132) და სხვ.

პარიზის მახლობლად, ლევილში მცხოვრები ექვთიმე თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ გამოცემებთან, მათ შორის გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“, ჟურნალებს: „სამშობლო“, „კავკასიონი“, „ქართლოსი“, „ჯვარი ვაზისა“ და „ბედი ქართლისას“ რედაქციებთან, იყო ლონდონში გამომავალი სამეცნიერო პერიოდული გამოცემის „Georgica“-ს სარედაქციო საბჭოს წევრი და სხვ. ყველა ამ პერიოდული ორგანოს მესვეურთათვის თავიანთ ჟურნალებში ისეთი აღიარებული მეცნიერის მონაწილეობა, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი ბრძანდებოდა, სასურველი და დიდად საპატიო იყო.

ექვთიმე თაყაიშვილს გარკვეული დამსახურება მიუძღვის ბრიუსელის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის დაარსებაში (დამოუკიდებელი 1932; შარაძე 2001: 306-309).

ექვთიმე თაყაიშვილი აუცილებლობად მიიჩნევდა, რომ უცხოეთს შეიზნულ ქართველ ემიგრანტთა შვილებს ესწავლათ მშობლიური ენა. მიუხედავად მოუცლელობისა, ამ საქმისთვის დროს თვითონაც პოულობდა. ცნობილია, რომ იგი ბელგიაში მოღვაწე ქართველი მენარმის ალექსანდრე ჯაყელის ბავშვებს ქართულ ენასა და ისტორიას ასწავლიდა (ექვთიმე 2009: 9). 1925 წელს ექვთიმემ პარიზში საქართველოს ისტორიის კურსები ჩამოაყალიბა, რომლის გაძღოლა თვითონვე იკისრა (1: №1130). მის ღრმად შინაარსიან ლექცია-საუბრებს ინტერესით ისმენდნენ სამშობლოს მონყვეტილი ქართველი ახალგაზრდები.

1929 წლის აპრილში ქართველმა ემიგრანტებმა პარიზში წმინდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დააარსეს. დამფუძნებელთა შორის ექვთიმე თაყაიშვილიც იყო, რომელიც ამ ეკლესიის მზრუნველთა საბჭოს მუდმივ წევრადაც აირჩიეს.

ზემოთ ჩვენ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ვახსენეთ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი „ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდის“ სახით ექვთიმე თაყაიშვილმა 1937 წელს ემიგრაციაშიც, პარიზში დააფუძნა და მის საქმიანობას სათავეში თვითონვე ჩაუდგა. ფონდი უცხოეთში მცხოვრები კერძო პირებისა და ქართული ემიგრანტული ორგანიზაციების შემოწირულობებით არსებობდა. ფონდის ძალისხმევით 1937-1939 წლებში გამოიცა ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომები: „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ (440 გვ.), „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“ (87 გვ.), „მეფეთა და კათოლიკოზთა სულთა მატთანე ნიკორწმინდის ხელნაწერში“ (16 გვ.) და სხვ.

1931 წელს ექვთიმე თაყაიშვილს ცხოვრების თანამგზავრი და მეუღლე ნინო პოლტორაძეცაია გარდაეცვალა. „ერთგული მეგობრის, მუშაობაში თანამშენისა და ტვირთის შემსუბუქებელი“ ადამიანის დაკარგვა მეცნიერმა მძიმედ განიცადა. ნათქვამის საილუსტრაციოდ ისიც გამოდგება, რომ ერთი წლის განმავლობაში მგლოვიარე ექვთიმე თაყაიშვილი კერძო წერილებს შვარშიან ფურცლებზე წერდა (ექვთიმე 2009: 12). ექვთიმე თაყაიშვილი ემიგრაციაში გაჭირვებაში, უაღრესად ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ ამ გარემოებას მისთვის ხელი არ შეუშლია, ყოველწლიურად აღენიშნა მეუღლის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები.

ეროვნული საგანძურის ოდისეა ქართველი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი და მასზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. დავძენ მხოლოდ, რომ ექვთიმემ კარგად იცოდა, საქართველოდან გატანილი საუნჯის სამშობლოში დაბრუნება საბჭოთა ხელისუფლების გარეშე ვეღარ მოხერხდებოდა. დიდ ეროვნულ მოღვაწე-

სა და მამულიშვილს, ცხადია, ბოლშევიკები გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ მინდობილი განძეულის ბედი აიძულებდა, თანადგომისათვის საქართველოს კომუნისტური მმართველობისათვისაც მიემართა.

„მე აღარა მაქვს საშუალება და უფლება ნივთების დაცვასა და შენახვას ჯეროვნად მეთვალყურეობა გაეუნო, ნებაც რომ მქონდეს, ფიზიკური მდგომარეობა არ მაძლევს საშუალებას, მოვხუცდი, ფეხიც დამიშავდა, ძლივს დავდივარ. დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები და ჩემთვის მეორე სიკვდილი იქნება, თუ ის ნივთები ან მისი ნაწილი დაგვეკარგება. ... ვერ დავემშვიდდები, მანამ ის ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდება და მუზეუმს არ ჩაბარდება.“ საჭირო იქნება საფრანგეთის მთავრობისადმი წარდგენილ ჩემს მოხსენებას საქართველოს ხელისუფლების ხმა და შუამდგომლობაც დაერთოსო, – წერდა ექვთიმე თაყაიშვილი 1935 წლის აპრილში პროფესორ ვუკოლ ბერიძეს, რომელიც იმ ხანად საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელი იყო (2). ერთ-ერთ სხვა წერილში კი ექვთიმე აღნიშნავდა: „ჩვენ ყველას ვალად გვადევს ამ საქმის (ეროვნული განძეულის მოვლა, – ო.ჯ.) დიდი ყურადღებით მოვეპყრათ და მუზეუმებს ეს ძვირფასი და ჩვენი კულტურისათვის პირველხარისხოვანი ნაშთები არ დაეკარგოს. ეს მეორე საქართველოს დაკარგვა იქნებოდა“ (ღვთისკაცი 2004: 163).

ქართული განძეულის სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ 1945 წლისათვის, სტალინისა და დე გოლის ჩარევით, გახდა შესაძლებელი. განძთან ერთად საქართველოში დაბრუნდა ექვთიმე თაყაიშვილიც.

გამომგზავრების წინ მსცოვან მოღვაწეს ემიგრანტმა თანამემამულეებმა გაცილები სალამო მოუწყვეს. შეხვედრაზე, რომელიც ლევილში გაიმართა, ვალიკო ჩუბინიძის მოწმობით, ერისკაცს უთქვამს: „მსხვერპლად ვენიღებ ჩემს თავზედ აღბულ მოვალეობას. ... იქ მე ვიცი დიდი პატივით მიმიღებენ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მე მათ მუდმივი „დამაშნი არესტში“ ვეყოლები თავისუფლებას მოკლებულ“ (ღვთისკაცი 2004: 154), ხოლო ემიგრაციიდან საქართველოში ჩამოსულ ექვთიმეს განუცხადებია: „მიუხედავად მრავალგვარი გასაჭირისა და იმოდენა ხნის უსიხარულო ემიგრანტული ცხოვრების სიმძიმისა, შემიძლია ვთქვა, რომ პირნათლად შევასრულე ჩემი მოვალეობა ერის წინაშე“ (კელენჯერიძე 1983: 23).

1945 წლის აპრილში ექვთიმე თაყაიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორად დაინიშნა. მალე მას დამსახურებული პროფესორის წოდება მიანიჭეს და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. მიუხედავად ამისა, ემიგრაციიდან დაბრუნებული ერისკაცი უშიშროების სამსახურის მუდმივი ყურადღების ცენტრში რჩებოდა. მოხუცი სწავლული საბჭოთა რეჟიმისათვის მიუღებელი იყო, როგორც ცოცხალი მატთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომლის ტრაგიკული აღსასრული ბოლშევიკ-კომუნისტებთანა დაკავშირებული (ჯანელიძე 1998: 132).

საქართველოში დაბრუნებული მეცნიერი აღნიშნავდა: „ორიოდ წლის სიცოცხლე დამრჩენია და, საბედნიეროდ, ისევ სამშობლოში მინევს. ... მოვასმარ ჩემზე დარჩენილი ვალის ბოლომდე მოხდას: ვეცდები, აღარც ერთი ჩემ ხელთ ნამყოფი თუ ჩემ მიერ დათვალნიერებული ძეგლი აღარ დარჩეს გამოუცემელი, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი უკვე იმსხვერპლა დრომ“. მეცნიერული კვლევა-ძიება ექვთიმეს სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია, მიუხედავად იმისა, რომ 1952 წლის მარტში ის პროფესორის თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და პენსიაზე გადაიყვანეს. მანამდეც ექვთიმე თაყაიშვილს არაერთი პრობლემა შეექმნა. დაუპატიმრეს

შვილობილი ლიდა პოლტორაცკაია, ჩამოაშორეს ილია დოლაბერიძე, რომელიც მეცნიერს მუშაობაში ეხმარებოდა. ამასთან, ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვით, „ხმა დაყარეს, რომ მე მაქვს სახლში პატიმრობა და ისე დააშინეს მეცნიერები, რომ მათ შეწყვიტეს ჩემთან სიარული“ (სარკე 2004: 31).

ამავე პერიოდს დაემთხვა ე. წ. მეგრელთა საქმე, რომელიც 1951 წელს საბჭოთა კავშირის უშიშროების სამინისტროში შეითხზა საქართველოს სახელმწიფო და პარტიულ სტრუქტურებში მოღვაწე მეგრული წრემოშობის პირთა მიმართ. ათეულობით ადამიანი დააპატიმრეს და კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხეს. მათ ბრალი ედებოდათ ანტისაბჭოთა საქმიანობაში, მეგრულ ნაციონალიზმში, სსრ კავშირიდან საქართველოს გამოყოფისა და თურქეთთან შეერთების მისწრაფებაში და სხვ. ამ განმაურებულ საქმესთან დაკავშირებით, 1952 წლის 24 თებერვალს დაკითხეს ცხრა ათეულ წელს მიტანებული ექვთიმე თაყაიშვილიც. დაკითხვას საქართველოს უშიშროების მინისტრი გენერალ-ლეტენანტი ნ. რუხაძე აწარმოებდა.

შევიწროებული მეცნიერი იძულებული ხდება წერილით მიმართოს საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელს, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს აკაკი მგელაძეს. 1952 წლის 12 სექტემბრით დათარიღებულ ამ წერილში ექვთიმე აღწერდა სამშობლოში დაბრუნების შემდგომ მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, განსაკუთრებით ადანაშაულებდა ზემოთ ხსენებულ რუხაძეს, „რომელმაც მიმიღო უბრალო ემიგრანტად და მოინდომა ჩემი მოსაპოვა“. წერილი თავდებოდა თხოვნით: „გთხოვთ, გამოარკვიოთ ჩემი მდგომარეობა. თუ საჭიროა, რომ განვავარძო მუშაობა, მომეცით ამის საშუალება“ (სარკე 2004: 31). მეცნიერისთვის არავის უპასუხია.

ექვთიმე თაყაიშვილი 1953 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა. იგი ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს, საიდანაც 10 წლის შემდეგ დიდუბის პანთეონში გადაასვენეს, ხოლო 2000 წელს სამუდამოდ მთაწმინდის მიწას მიაბარეს. ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისსა და სოფელ ლიხაურში გახსნილია მისი სახლ-მუზეუმები, დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის სახელი მიკუთვნებული აქვს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას, ხოლო ვერის ბაღში აღმართულია ექვთიმეს შთამბეჭდავი ძეგლი (მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი).

„მანათობელი ვარსკვლავია ჩვენთვის დიდი ექვთიმე თაყაიშვილი, კაცი მეცნიერი და კაცი გმირი, რომელიც თავისი მოწამებრივი ცხოვრებით მეოცე საუკუნიდან ოცდამეერთე და სხვა მომდევნო საუკუნეებში ასწავლის თავის უმაღლეს ზნეობას მომავალ ქართველობას, ქართველთა მომავალ თაობებს“, წერდა მურმან ლებანიძე ექვთიმე თაყაიშვილი შესახებ (ღვთისკაცი 2004: 390).

თავის დროზე ლადო გუდიაშვილს ექვთიმეზე უთქვამს: „ამნაირ ადამიანებს ძველად ტაძრის კედლებზე ხატავდნენ“. დიდი მხატვრის ეს სიტყვები ერთგვარად წინასწარმეტყველური გამოდგა. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად შერაცხა და მას სახელად „ექვთიმე ღვთისკაცი“ უწოდა. 2003 წლის მაისში თბილისში „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის“ სახელობის ტაძარი გაიხსნა. დაიწერა მისი სახელობის ხატი და ტროპარი. „ექვთიმე ღვთისკაცის“ ხსენების დღედ დაწესებულია 3 იანვარი (ძვ. სტილით). თაყაიშვილის მშობლიურ სოფელში, ლიხაურში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ყოველი წლის 16 იანვარს „ექვთიმეობას“ დღესასწაულობენ.

2013 წელი, ერისა და ღვთისკაცის დაბადებიდან 150-ე წლისთავი, იუნესკო-მ ექვთიმე თაყაიშვილის საიუბილეო წლად გამოაცხადა.

დამონმებანი

1. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი.
2. <http://lib.ge/book.php?author=534&book=9169>
3. გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1932, N 78, 84.
4. ექვთიმე თაყაიშვილი, წერილები თამარ და აკაკი შავერებს, პ. ნაცვლიშვილის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 2009.
5. კელენჯერიძე ე. ექვთიმე თაყაიშვილი საზღვარგარეთ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1983, N2.
6. მეტრეველი რ. ექვთიმე თაყაიშვილი (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა), ნიგნში – ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953). ბიბლიოგრაფია, თბ., 2010.
7. შაპავა ა. ექვთიმე დამფუძნებელი, გაზ. „მებრძოლი საქართველო“, პარიზი, 1953, N 15, ივლისი.
8. ჟურნალი „სარკე“, 2004, № 47.
9. ქარუმიძე შ. თავადი გიორგი მაჩაბელი, გაზ. „კლდე“, პარიზი, 1935, N 9-10.
10. ლეთსკაცი ექვთიმე თაყაიშვილი, საიუბილეო კრებული, თბ., 2004.
11. შარაძე გ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, წგნ. 4, თბ., 2001.
12. ნერეთელი მ. ექვთიმე თაყაიშვილი, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1954, № 16, იანვარი.
13. ჯანელიძე ო. ექვთიმე თაყაიშვილი პოლიტიკურ სარბიელზე, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1998, № 2.

OTAR JANELIDZE

Ekaterine Takaishvili „I did only my Georgian Duties“

SUMMARY

In the article, there are reviewed main aspects of biography of a Georgian scholar and public benefactor, canonized by the Georgian Church as a saint (St. Eqvtime Gvtiskatsi-Man of God), Eqvtime Takaishvili. Here attention is drawn to the period of his life in emigration and his greatest contribution to the Georgian Nation. 2013, when we celebrate 150 years of the birth of this public figure and a man of God, was declared by UNESCO as the jubilee year of Eqvtime Takaishvili.

კონსტანტინე კანდელაკის მიმონერა

მასალები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის¹

ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ემიგრანტულ არქივებში დაცული პირადი მიმონერა, რომელიც ემიგრაციის საქმიანობის მნიშვნელოვან და საყურადღებო ფაქტებს შეიცავს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის (1883-1958) მიმონერა რაჟდენ არსენიძესთან (1880-1965), ალექსანდრე (სანდრო) კორძაიასთან (1888-1959), აკაკი პაპავასთან (1890-1964) და პავლე [სარჯველაძესთან] (1898-1981). წერილების შინაარსი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის 1956-1958 წლებს შორის პერიოდს შეეხება. მიმონერის გეოგრაფიული არეალია პარიზი-მიუნხენი და პარიზი-ბუენოს აირესი.

პირად წერილებში საუბარია სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის შესახებ. ნოე ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ ქართველი ემიგრანტები (მთავრობის წევრები, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და „ეროვნული საბჭოს“ წევრები) განიხილავდნენ საკითხს – თუ როგორ და რა ფორმით უნდა ეარსება მთავრობას ემიგრაციაში შექმნილი ახალი რეალობის გათვალისწინებით. ისინი მსჯელობდნენ „კომიტეტის“ ან „მთავრობის ფუნქციების შემსრულებელი ორგანოს“ შექმნაზე, რომელიც მთავრობის პოლიტიკისა და საქმიანობის გამგრძელებელი იქნებოდა. იწერებოდა პროექტები, სადაც მთავრობის შემადგენლობის გაზრდას და მასში პოლიტიკური პარტიების წევრების შეყვანას არ გამორიცხავდნენ. კონსტანტინე კანდელაკის აზრით, ახალი ორგანოს შექმნას შეიძლებოდა მოჰყოლოდა დაპირისპირება, რაც დასუსტებულ ემიგრაციაზე უარყოფითად აისახებოდა, წინააღმდეგობას იწვევდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არსებული გათიშულობაც, ამიტომ პრიორიტეტად მიაჩნდა უკვე არსებული ორგანიზაციის – ეროვნული საბჭოს განმტკიცებაზე ზრუნვა. „კომიტეტის“ შექმნის და მთავრობის „გაფართოების“ წინააღმდეგი იყვნენ რაჟდენ არსენიძე და აკაკი პაპავა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალში „ჩვენი დროშა“, 1960 წლის №33-ში დაბეჭდილია მემორანდუმი, რომელიც, იქვე გაკეთებული განმარტების თანახმად, 1960 წლის 12 მაისს გადასცეს აშშ-ს პრეზიდენტს, საფრანგე-

¹ ეს ტექსტი „ქართული ემიგრაციის“ წინა ნომერში რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გარკვეული ხარვეზით გამოქვეყნდა. რედაქცია ბოდიშს უხდის როგორც ავტორს, ასევე მკითხველს და სტატიას ბეჭდავს განმეორებით.

თის პრეზიდენტს და დიდი-ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს. ამჯერად, ჩვენთვის საყურადღებოა, რომ მემორანდუმს ხელს აწერენ ნიკო ურუშაძე ეროვნული საბჭოს სახელით და გიორგი ერაძე „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილ მთავრობის წევრთა კოლეგიის“ სახელით. როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში მთავრობის საკითხის ირგვლივ მიმდინარე მსჯელობა დასრულდა ახალი ორგანოს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილ მთავრობის წევრთა კოლეგიის – შექმნით. ამ საკითხის სამომავლოდ კვლევის გაგრძელება დამატებითი საარქივო მასალის გამოვლენის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

კონსტანტინე კანდელაკის მიმონერიდან საყურადღებოა, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილი მთავრობის წევრებად კონსტანტინე კანდელაკსა და აკაკი ჩხენკელს მიიჩნევს, ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ საარქივო ფონდში არსებობს „დევნილობაში მყოფი საქართველოს მთავრობის“ (Gouvernement National de Géorgie en exil) ბლანკი, რომელსაც მთავრობის სახელით ხელს აწერენ კონსტანტინე კანდელაკი და აკაკი ჩხენკელი. ამ დროს მთავრობის წევრებიდან კვლავ აქტიურ მოღვაწეობას აგრძელებენ იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე, რომელიც იმ პერიოდში რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის რედაქტორია და მიუნხენში ცხოვრობს, ასევე შრომის მინისტრი გიორგი ერაძე, განათლების მინისტრის მოადგილე ნოე ცინცაძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე გვარჯალაძე.

წერილები შეეხება ასევე სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არსებულ განხეთქილებას, პარტიის ორ ფრაქციად დაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რუსულ ემიგრაციასთან ურთიერთობის საკითხში შეუთანხმებლობა იყო. რუსული ემიგრაცია არ სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მხოლოდ ბოლშევიკური რეჟიმის დამარცხების შემდეგ საბჭოთა კავშირში შემავალი ერების „თვითგამორკვევის“ უფლებას აღიარებდა, თუმცა ქართველი ემიგრანტების ნაწილი მაინც თანხმდებოდა მათთან მოლაპარაკებებს, რაც ემიგრაციის მეორე ნაწილისთვის მიუღებელი იყო და დაპირისპირებას იწვევდა.

კონსტანტინე კანდელაკის მიმონერა საყურადღებოა ემიგრაციის „ამერიკულ კომიტეტთან“ ურთიერთობის, „პარიზის ბლოკში“ ქართველების მონაწილეობის შესწავლის და „ქართული ეროვნული საბჭოს“ ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

მიმონერის ავტორები პოლიტიკური ემიგრაციის ამოცანებზეც წერენ. მათ მიაჩნიათ, რომ ემიგრაციამ საერთაშორისო საზოგადოებას უფრო აქტიურათ უნდა გააცნოს საქართველოს საკითხი, რათა დამოუკიდებლობას მეტი მხარდამჭერი და დამცველი ჰყავდეს იმ წრეში, რომელსაც სამომავლოდ საქართველოს საკითხის გადაწყვეტა შეეხება.

წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველი ემიგრანტები მათი უკვე ხანდაზმული ასაკისა და ჯამრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, კვლავ აქტიურად არიან ჩართული ემიგრაციაში მიმდინარე საკითხების გადაწყვეტაში.

1. კონსტანტინე კანდელაკისა და რაჟდენ არსენიძის მიმონერა²

1. რაჟდენ არსენიძის წერილი კონსტანტინე კანდელაკს

[უთარილო]

ძმაო კონია! გიგზავნი პაპავას ადრესს. როგორც შეიძლო ისე მიწერე. როგორც გითხარი ჩვენი საბჭოს³ გაეგზავნება ამ დღეებში. აკაკისათვის აღარ დამირეკია დღეს. ალბათ არც ახსოვს, როგორც მითხრა. სხვა ახალი არაფერია შენი ნახვის შემდეგ. გაზეთის გამოცემას ფიქრობენ და შენთვისაც ულაპარაკნიათ. მე მგონია რომ ნომერი გარდა ერთი-ორი წერილისა, უნდა იყოს (...) ⁴ ამ რანგის საქმეებზე ქრონიკული ხასიათისა. ე. ი. რა მოხდა და რა გამოძახილი ჰქონდა მსოფლიოში და ყველა წრეებში. თუ შენც ამ აზრის იქნები — ეს მე შემიძლია გავაკეთო კარგათ, რადგან ძალიან ბევრი ფაქტური მასალა დავაგროვე. ეს რასაკვირველია ჩვენს საქმეებს ვერ უშველებს, მარა ჩვენი აქ ყოფნის ისტორიისათვის ექნება დიდი მნიშვნელობა.

მებრძული სალმით

შენი მიმა

2. რაჟდენ არსენიძის წერილი კონსტანტინე კანდელაკს

[1956 წ. მიუნხენი]

ამხ. კონია!

გამარჯობა. დიდი ხანია მინდოდა მთავრობის საკითხზე მომწერა, მაგრამ ვერ მოვიცალე. ახლაც გწერ მოკლეთ. მე კომიტეტის შექმნის მომხრე არ ვარ. ეს ისეთი სახელია, რომ შემდეგ ყველა მოისურვებს მანდ შემოსვლას და თუ უარი უთხარით, — განზე გადაგება. მთავრობამაც მოითხოვენ შემოსვლას — მაგრამ ეს უფრო ადვილი მოსაცილებელია. ამიტომ მე ვფიქრობ: შედგეს მთავრობის ყოფილ წევრებისაგან „მთავრობის ფუნქციათა შემსრულებელი ორგანო“, ⁵ რომელიც უცხოელებისათვის, საჭიროების დროს, გამოვა, როგორც საქართველოს სუვერენობის გამომხატველი მთავრობა.

შემადგენლობა: თავმჯდომარე კ. კანდელაკი

მოადგილე: ნ. ცინცაძე.

წევრები: ჩხენკელი, ერაძე, გვარჯალაძე⁶, მე (მგონი ყველა)

ამ ორგანოს გარშემო იქნება საბჭო ან სათათბირო, ყოფილ დეპუტატების, ან ყველა პარტიების და პოლიტიკურ დაჯგუფებათა წარმომადგენლებისაგან შემდ-

2 წერილებში ადრესატების სტილი დაცულია.

3 საუბარია ეროვნულ საბჭოზე, რომელიც 1951 წლის 21 ოქტომბერს პარიზში დაარსდა. მასში გაერთიანებული იყვნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები. ეს ორგანიზაცია საქმიანობდა მთავრობის წევრებთან შეთანხმებითა და მათთან კოორდინაციით. განცხადებებს აკეთებდა მთავრობის და ორგანიზაციის სახელით.

4 ფურცელი ამოჭრილია.

5 ხაზგასმა ყველგან გაკეთებულია კონსტანტინე კანდელაკის მიერ.

6 აკაკი ჩენკელი (1874-1959), გიორგი ერაძე (1882-1971), კონსტანტინე გვარჯალაძე (1984-1969).

გარი, განურჩევლად მიმართულებისა — პოზიცია-ოპოზიციონერობისა. ოპოზიციას შეეძლება ყველა საკითხზე თავისი აზრი სთქვას და საერთო მუშაობაზე სათანადო გავლენა მოახდინოს. ე. ი. მუშაობა საბჭოსი უნდა იყოს პარლამენტური ხასიათის, მაგრამ არა გადამწყვეტი უფლებით. მის აზრს მაინც უნდა დიდი აზრი გაეწიოს, როგორც უმრავლესობის ისე უმცირესობისას.

თუ უკეთეს რამეს შექმნით, მე იმისიც თანახმა ვიქნები. სამწუხაროთ, უშუალო მონაწილეობის მიღების საშუალება არ მექნება აქაური მუშაობის გამო. ჩემი სახელი კი თქვენს განკარგულებაშია.

მამ ასე. იყავი კარგათ.

შენი რ. არსენიძე

P.S. ამაზე ვწერ მოკლეთ ნ. ცინცაძესაც

3. კონსტანტინე კანდელაკის წერილი რაჟდენ არსენიძეს

30 ოქტომბერი. 1956 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8^e

ძმაო რაჟდენ,

შენი წერილი „მთავრობის“ საკითხის გამო მივიღე. მაღლობელი ვარ შენი აზრი, რომ მაცნობე და იმისათვისაც, რომ შენ წინდანინ ნდობას გვიცხადებ.

ველაპარაკე ნოსაც⁷. დეტალებზე არ შემიძლია ახლა შეგჩერდე; მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ ადვილათ შევთანხმდებით, თუმცა საკითხი არც ისე მარტივია, როგორც ზოგიერთებს აქვს წარმოდგენილი. წამოყენებული კომბინაცია უკანასკნელი ცდა იქნება კოლექტიურ მუშაობის და ცდა ემიგრაციის დიდი ნაწილის გაერთიანების ზოგ უდაო კონკრეტულ საკითხებზე მაინც.

ეს თუ არ მოხერხდა, მერე?

მეორე მხრით „ბუნება ცარიელ ადგილს არ ითმენს“. საჭიროა მომქმედი ორგანო არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო საქმეებისთვის, ე. ი. ყველაფერ იმისთვის, რასაც ეროვნული მთავრობა ეწეოდა უცხოეთში, სხვადასხვა ქვეყნებში (ყავდა წარმომადგენლები, მუშაობდა ადგილობრივ საზოგადოებაში და სხვ.). ყველაფერს ამას ახალ ორგანიზაციაში ხელახლა თავის მობმა სჭირია და ამისთვის კი, საუბედუროთ, ჩემი ჯამრთელობა ჯერ კიდევ არ მადლევს საშუალებას ცოტადინვი ვიმუშაო მაინც ისე, როგორც მიმუშავნია. პრინციპიალური მომხრე თითქოს ყველა ვართ, პრაქტიკულათ „თავის მომბელი“ კი არ სჩანს.

თუ რაიმე კონკრეტულს შევიმუშავებთ, გაცნობებთ (არც მე ვარ მომხრე „კომიტეტის“ და სხვ.). ამასობაში ცოტა ხნით იქნება შენც შეძლო ჩამოსვლა.

კეთილის სურვილებით

შენი კ. კანდელაკი

P.S. ჩემი ჯამრთელობის საკითხი ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის წინ. ექიმები მარწმუნებენ, რომ ნორმალურია იმდენიხნის ავთამყოფობის შემდეგ, მაგრამ ასეთი იმედი ჩემს მდგომარეობას არ შევლის.

7 ნოე ცინცაძე (1886-1978) – 1918-1920 წლებში საქართველოს პირველი რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე.

II. კონსტანტინე კანდელიძისა და
ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას⁸ მიმონება

4. ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას წერილი კონსტანტინე კანდელაძეს

[16 აგვისტო. 1956 წ. მიუნხენი]

ძვირფასო კონია!

აკაკი⁹ მწერს, რომ შენ უკვე პარიზში ხარ და რაც მთავარია თავს თურმე კარგათ გრძნობ. წარმოდგენილი გექნება უთუოდ თუ რა სასიამოვნოთ დაგვიჩვენოდა აქ ყველა შენს მეგობარს ეს ცნობა. ნოე¹⁰ ჩამოვა პარიზში შაბათს ან კვირას და ის ალბათ გინახულებს და გაგაცნობს აქაურ ამბებს. შემიძლია დაგარწმუნო, რომ პარიზის ბლოკის¹¹ კონფერენცია კარგ ატმოსფეროში ჩატარდა და ამას ერთი მხრივ ნოეს¹² უნდა ვუმაღლოდეთ. სომხეთის მთავარ დელეგატმა ხატანიანმაც ეს დაუდასტურა ნოეს. ეროვნულ საბჭოს წინადადება ამერიკულ კომიტეტთან¹³ თანამშრომლობის შესახებ ცოტა შესწორებით მიღებულ იქნა კონფერენციის მიერ. საერთო პოლიტიკურ მომენტზე იქნა აგრეთვე მიღებული რეზოლუცია. ამ რეზოლუციის დამამუშავებელ კომისიაში იყო ნოეც არჩეული. კომისიამ თავის მხრივ მიანდო რეზოლუციის ტექსტის შედგენა ნოეს და ნოეს წარმოდგენილი ტექსტი გაზიარებული იქნა როგორც კომისიის ისე კონფერენციის მიერ. გრიშა¹⁴ ალბათ გაგაცნობდათ კონფერენციის მუშაობას.

ნოესთან გვექონდა აქ ლაპარაკი მთავრობის შე[...]-ბის¹⁵ შესახებ. ჩვენ იმედი გვაქვს ეს საქმე მოგვარდება ისე როგორც ამას ჩვენი ეროვნული ინტერესი მოითხოვს. ყველას შენი იმედი აქვს... ამერიკიდანაც მწერენ ამის შესახებ. დათა ვაჩნაძემ მთხოვა რომ ამის შესახებ ჩვენც გველაპარაკა აქ ვინრო წრეში მიხაკოს¹⁶ თანდასწრებით. მიხაკო წ.-ს აზრი უკვე იცი შენ ამ საკითხზე. პასუხი არ არის საჭირო... იყავი კარგათ და მხნეთ.

შენი სანდრო კორძაია

8 ალექსანდრე (სანდრო) კორძაია (1888-1959) – ქ. ფოთის მერი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს. XX ს-ის 20-ან წლებში ორგანიზაცია „ქართველ მოქალაქეთა საზოგადოება გერმანიაში“ წევრი იყო. ის არის გერმანიის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი დამფუძნებელი და 1945-1953 წწ. მისი პირველი თავმჯდომარე. დაკრძალულია მიუნხენში, სასაფლაო „ვალდფრიდჰოფზე“.

9 ჩხენკელი

10 ცინცაძე

11 დაარსდა 1953 წელს გერმანიის ქ. კარლსრუეში, საბოლოოდ ჩამოყალიბდა პარიზში, სახელიც აქედან დაერქვა. მასში შედიოდნენ ქართველები, უკრაინელები, ბელორუსები, იდელ-ურალის ხალხები (თათრები, ბაშკირები.), თურქესტანელები, ჩრდილო კავკასიელები, აზერბაიჯანელები, სომხები. ორგანიზაციას ჰქონდა ბიურო, რომლის ხელმძღვანელი იყო აბრამოვიჩი. 1955 წლიდან სახელწოდება შეიცვალა „პარიზის ბლოკის“ ნაცვლად ეწოდა „საბჭოთა კავშირის ერების განმათავისუფლებელი ლიგა“.

12 ნოე ცინცაძე „პარიზის ბლოკი“ „ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენელი იყო. ის „პარიზის ბლოკის“ არაერთი რეზოლუციის, დეკლარაციისა და მიმართვის შემდგენელია.

13 ამერიკული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1951 წელს. მიზნად ისახავდა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის წარმოებას, საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა ემიგრანტული გაერთიანებების მხარდაჭერას და დახმარებას.

14 გრიგოლ ურატაძე

15 ფურცელი ამოჭრილია

16 წერეთელი

5. კონსტანტინე კანდელაკის წერილი ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას

12 სექტემბერი. 1956 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8^e

ძვირფასო სანდრო,

კონკრეტულათ არაფერი მაქვს ახალი მოსაწერი, მაგრამ მინდა გაგახსენო, რომ შენს წერილებს გულდასმით ვკითხულობ და კიდევ ამ სოფლათ ვარ.

ერთ თვეზე მეტია, რაც პარიზში დავბრუნდი; საჭირო იყო კიდევ დიდხანს დარჩენა¹⁷, რომ ღონეზე მოვსულიყავი, მაგრამ ამის საშვალეა აღარ მქონდა. ძალიან სუსტათ ვგრძნობ თავს და რეგულარულათ არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

მეგობრებმა გამაცვენეს „გაფართოების“ საკითხს, მოლაპარაკება ექნებათ სხვა ჯგუფებთანაც. ჩემი აზრი მე მათ გავაცანი: არ შევქმნათ ისეთი დანესებულება, რაც სილაზე იქნება აშენებული და ახალი შეხლა-შემოხლის საგნათ გადაიქცევა. საკითხს კარგად დამუშავება უნდა; ამიტომ ძალიან აჩქარება არ ვარგა. ზოგი კი ჩქარობს და რაც 3-4 წლის განმავლობაში ვერ გააკეთეს, იმის გაკეთებას — სხვადასხვა გჯუფების ერთი მთავარი საკითხის ირგვლივ გაერთიანება — რამდენიმე დღეში მოითხოვენ.

პირადათ მე არ ვიცი: თუ ჩემი ჯამრთელობა არ გაუმჯობესდა, შევძლებ საჭირო მუშაობის განხვევას თუ არა. ექიმების აზრით, მე ისეთი მძიმე ავთამყოფობა გადავიტანე, რომ საჭიროა დიდი ხნის ვადა გამოჯამრთელებისთვის. როგორ მოვახერხებ ამას არ ვიცი.

შენ მაინც მომწერე, ჩემო სანდრო, დროგამომგვებით ინფორმაცია; დავალებით კი წურაფერს დამავალბე, რადგან ჯერ კიდევ არ შემიძლია საქმეს მივდიო.

მოკითხვა მეგობრებს. ჩემი გულითადი სალამით და საუკეთესო სურვილებით

შენი კ. კანდელაკი

6. ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას წერილი კონსტანტინე კანდელაკს

22 სექტემბერი. 1956 წ. [მიუნხენი]

ძვირფასო კონია!

დიდათ გამიხარდა შენი წერილის მიღება. გეტყობა რომ მართლაც უკეთ გრძნობ თავს და იმედი უნდა ვიქონიოთ მომავალში სრულებით გამოჯანსაღდები, მხოლოთ — რასაკვირველია — თავს უნდა მოვლა: ყოველგვარ უსიამოვნებას და ალელვებას უნდა ერიდო. შენ კარგად გაქვს წარმოდგენილი თუ რას ნიშნავს ჩვენი ეროვნული საქმისთვის შენი ჯამრთელობა და კარგად ყოფნა. როგორც შენი პოლიტიკური მდგომარეობის ისე პირადი თვისებების მიხედვით შენ შეგიძლია ჩვენი გაბნეული ეროვნული ძალების თავის მოყრა და მათი პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმა... შემიძლია დაგარწმუნო რომ ასეთი აზრი ტრიალებს თითქმის ყველა უცხოეთში არსებულ სხვა და სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის... გუშინ მივიღე გიორგი ერადის წერილი. მწერს შენზედ და საერთო მდგომარეობის შესახებაც. მაკვირვებს რომ ამ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციის გამთლიანებას საშველი არ დაადგა. გიორგი ფიქრობს, რომ შენ თუ შეძელი მთავრობის საკითხის მოგვარება, მაშინ შეიძლება ჩვენი

¹⁷ ავადმყოფობის გამო კონსტანტინე კანდელაკი ლოზანაში (შვეიცარია) მიდიოდა დასასვენებლად.

პარტიის გაერთიანებაც მოხდესო... მწერს, რომ კარგი იქნება თუ მიშა არსენიძე ჩამოვა პარიზშიო — მას შეეძლო თავის წრეში გავლენის მოხდენაო... მიშას ჩამოსვლა სამწუხაროდ არ მოხერხდება. ის ახლა შვებულბაშია და ალგოის მთებში არის წასული დასასვენებლათ. მისთვის ეს აუცილებელი იყო, ვინაიდან ის ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. მისი მუშაობა მას ძალიან ქანცავს — მე კი ვიტყვოდი — მუშაობა კი არა იმდენათ, რამდენათაც შექმნილი უწესრიგობა მის რედაქციაში¹⁸. ამის გამოსწორება შეიძლებოდა მხოლოდ უფრო მეტი სიმამრის და სიმტკიცის გამოჩენით. შენ იცი მგონი რომ მიშა აქ ირიცხება ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში. მე მას დაახლოებით გავაცანი შენი წერილის შინაარსი. გვექონდა საუბარი შენს შესახებ. და მთხოვა მოგწერო, რომ მზად არის დაბრუნდეს მთავრობაში თუ კი შენ ამას დაინახავ ჩვენი საქმისთვის საჭიროთ... ერთის სიტყვით ის მოელის შენგან ოფიციალურ ქალაქს... მას მიაჩნია აუცილებლათ დღევანდელ ჩვენს პირობებში — მთავრობის საკითხის მოგვარება... მისი აზრით მთავრობის შევსება არ ნიშნავს რომ მთავრობა ახლავე შეუდგეს მუშაობას, საკმარისი იქნებოდა მისი აზრით დრო გამოშვებით გამომსაურება ჩვენს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე. მას კარგად ესმის შენი სიფრთხილე. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ნოე ცინცაძისა და მიშა არსენიძის მონვევით მთავრობაში დაინყება ცდა მთავრობის ძველი ხაზის გადასინჯვის — ასეთი ფიქრი, ჩემის აზრით, ყოვლად უსაფუძვლოა. რასაკვირველია ასეთი განზრახვის მქონე ადამიანის მონვევა თავისთავად ცხადია არ შეიძლება. ვიკტორ ულენტიის წერილი მიიღო მიშამ და ისიც თხოვდა მას — თუ კი შენგან მიიღენდა წინადადებას — დათანხმებულიყო... რასაკვირველია ზოგიერთ წრეებში დაინყება მითქმა-მოთქმა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ მთავრობის დეკლარაცია გამოაცლის ნიადაგს მათ ოპოზიციას... შეიძლება ჩვენს წრეშიდაც იყვნენ მონინაალმდგენი. მინდა ერთი მოგაგონი: როდესაც მე პარიზში ჩვენი ორგანიზაციის კრებაზე ვიცავდი და ვამტკიცებდი ჩვენი პარტიული გაერთიანების საჭიროებას — ერთმა ამხანაგმა წამომამძახა: „ამხ. სანდრო კორძაია, იმისთვის ჩამოდი, რომ ჩვენ ნოე ყორდანას პოზიციების მომხრენი რუსოფილებთან მიგვიყვანოთ“... მაგრამ შემდეგ როდესაც ამ ამხანაგს დაწყნარებით ვესაუბრე ის ცოტა შეფიქრიანდა... მან ისიც განაცხადა თუ ორგანიზაცია გიზიარებდა გაერთიანების აუცილებლობას — ის იმ შემთხვევაში ორგანიზაციას დასტოვებდა, მაგრამ, როგორც ვიცი, მას ორგანიზაცია არ დაუტოვებდა. და ასევე მოიქცევიან, ჩემის აზრით, მთავრობის შევსების მონინაალმდგენიც... პეჩი¹⁹ ტოვებს მიუნხენს და გადადის ნიუ ორკში სამუშაოთ... პარიზის ბლოკის მუშაობა მიყუჩებულია. რუსებს (სოლიდარისტებს) ქონდათ კონფერენცია ფრანკფურტში. როგორც ამერიკელებმა გადმომცეს მათ დაუდგენიათ რევოლიუციონურ ბრძოლაზე ხელი აიღონ და გადავიდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურ ოპოზიციასზე. ამდენ ხანს უმთავრესად ეს ორგანიზაცია ეწეოდა აკტიურ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ. არ ვიცი რამდენათ სწორია ეს ცნობა. ჯერ კონფერენციის ანგარიშები არ გამოქვეყნებულა.

ჩერკესმა ტრახომ გამოსცა წიგნი „Черкесы“. გადმომცა ერთი ცალი შენთვის. გიგზავნი. ათავეს თავის შრომას შენი მოხსენებიდან ამოღებული ციტატიით... ის გახსოვს უთუოთ — კონფერენციაზე ილაპარაკა შენი მოხსენების გამო... მაშინ კი-

18 რაჟდენ არსენიძე 1953-1962 წლებში რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის რედაქტორი იყო.

19 სავარაუდოდ, საუბარია გერმანელი ქართველოლოგის გერტრუდ პეჩის (Gertrud Pätsch. 1910-1994) შესახებ, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურას იკვლევდა.

დედ ის იყო ცნობილი, როგორც რუსოფილი, მაგრამ ახლა სჩანს შეუცვლია აზრი...
იყავი კარგათ. როგორც ხედავ არავითარი დავალებები ჩემგან. დავალებებს მო-
ველი მე შენგან.

შენი სანდრო კორძაია

გიგზავნი აგრეთვე ხრუშჩევის სიტყვასაც. შეიძლება მთელი ტექსტი არ გქონდეს
ნაკითხული.

7. ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას წერილი კონსტანტინე კანდელაკს

5 მარტი. 1957 წ. [მიუნხენი]

ძვირფასო კონია!

დიდათ მოხარული ვარ რომ შენ კარგათ გრძნობ თავს. გიორგი მწერდა ამ ორი
კვირის წინ, რომ შეგიძლია კონიას წერილი მიწერო. მაგრამ მე მაინც ვერიდებო-
დი შენს შეწუხებას. და აი თავათ დღეს მივიღე „ჩვენი დროშა“²⁰ და შენი წერილი
გადავიკითხე ორჯერ — ისეთი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ნუ თუ ასეთმა დასა-
ბუთებამ არ უნდა ჩააფიქროს ყველა ისინი ვისაც ეს ეხება? მე მინდა წარმოვიდგი-
ნო რომ როდესაც შენ ეროვნულ გაერთიანებაზე ლაპარაკობ აქ გულისხმობ ჩვენს
ფრაკციებსაც უთუოთ.

ხომ დავინახეთ ახლა მაინც თუ რა ამბავი დატრიალდა გრიშა ურატაძის წიგნის²¹
გამო. მერწმუნე ჩვენი ორგანიზაციები რომ გაერთიანებული ყოფილიყვნენ და
უფრო მჭიდრო კონტაქტს ჩვენ შორის ადგილი ჰქონოდა, მაშინ, ვფიქრობ, ასეთ
შემოტევასაც ადგილი არ ექნებოდა. სამწუხაროთ ეს ვერ შეიგნო ვასო წულაძის
ორგანიზაციამ. ჩემის ღრმა რწმენით — სანემდი ჩვენ პარტიის გაერთიანებას ვერ
მოვახერხებთ — მანემდი ნაკლები იმედი უნდა გვექნეს საერთო გაერთიანების.
ამისთვის ყოველ კუთხიდან, სადაც კი ჩვენი ორგანიზაციები არსებობენ, უნდა იქ-
ნეს კატეგორიულ ფორმაში მოთხოვილი ნ. ცინცაძისაგან რომ მან მხარი დაუჭიროს
ჩვენი პარტიის გაერთიანებას. თუ ნოემ ამას მხარი დაუჭიროს — არ ვფიქრობ, რომ
მის ფრაქციაში ვინმემ შეძლოს მის წინააღმდეგ გამოსვლა.

ძალიან საინტერესოთ გაქვს საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობა და-
ხასიათებული. მე დარწმუნებული ვარ ყოველ საღ მოაზროვნე ქართველ პატრიოტ-
ზე ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება უნდა დასტოვოს... თუმცა ყველა იცნობს შენს
ინიციალებს, მაგრამ მე როგორც მკითხველი, ამ შემთხვევაში, ვაძლევ ჩემს თავს
ერთი შენიშვნა გავაკეთო... სახელდობრ ის, რომ სრულიად შენი გვარი მოგენერა
საქმისთვის უკეთესი იქნებოდა... ეს სხვათა შორის...

არ მინდა კიდევ მთავრობის საკითხის გამო შეგანუხო... მე ჩემ მოგზაურობის
დროს, სადაც კი მომიხდა მისვლა — ყოველგან ვაცხადებდი, რომ ჩვენი მთავრობა
ჯერ კიდევ იმყოფება პარიზში და ყველას სასიამოვნოთ ურჩებოდა ეს ცნობა. მე მო-
ვიარე თითქმის დასავლეთ გერმანიის ყველა ქალაქები — ცოტა გამოკლებით — და
ბერლინი... ჩემი მგზავრობის მიზანი იყო იმის გამოკვლევა, თუ რა გავლენას ახდენს
ემიგრაციაზე მიხაილოვის კომიტეტის პროპაგანდა სახლში დაბრუნების შესახებ. მე

20 სოციალ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული ორგანო, გამოდიოდა 1949 წლიდან პარიზში.

21 გრიგოლ (გრიშა) ურატაძემ (1878-1959), 1956 წელს მიუნხენში გამოსცა წიგნი „Образование и консолидация Грузинской Демократической Республики“.

მოგზაურობდი ჯერ როგორც ქართველი და მერმედ, როგორც ლტოლვილთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი. ვიყავი ბონში სამინისტროებში პარლამენტში — ტიმემ — დიდი პატივი მცა — დეპუტატებს აცნობდა ჩემს თავს, როგორც მთავრობის წარმომადგენელს — მასხოვს — მე ჩაუფუჩინე ერთ შემთხვევაში — „ნუ ლაპარაკობ ასეთ რამეს, რომ ვინმემ საჭირო საბუთი მომთხოვოს ხომ ვერ ვაჩვენებ“ თქო... ის რასაკვირველია ასე ტრალიკულათ ამას არ უყურებს „საქმისთვის ასე ჯობია“ მიპასუხა მან. სამინისტროში პასუხისმგებელ პირებთან შეხვედრა ლაპარაკი — რასაკვირველია უმთავრესად ემიგრაციაზე (ჯერ კიდევ არის გერმანიაში 234.000 კაცი) და ბოლშევიკების აგენტების მუშაობაზე ჩვენ შორის. ვნახე ლტოლვილთა მინისტრი პროფ. Oberländer-ი. მასთან ბერლინში ერთად ვიმგზავრე. ბერლინში მიმიღო სენატის პრეზიდენტი და იმას კი ქართველების სახელით მივესალმე. ყოველგან პარტიულ კომიტეტებსაც ვესტუმრებოდი ხოლმე. მეორეჯერ ასეთ მგზავრობას აბა მე როგორ მოვახერხებ და ამისათვის ვსარგებლობდი ამ შემთხვევით, რომ ყველასთვის ჩვენი თავი მომეგონებია. აგრეთვე ზოგიერთ გაზეთების რედაქციებშიაც მივდიოდი. დაწესებულებებში წინდა წინ გაფრთხილებულები იყვნენ რომ მე მივიდოდი. ამერიკული კომიტეტი ძალიან დაგვემხარა ამ შემთხვევაში, თორემ ამდენ ხარჯებს ემიგრანტული ორგანიზაციები ვერ გაიღებდნენ. მიუხედავად ამისა ბერლინში დარჩენისას ბავარიის რადიო სადგურის რეპორტირებმა ინტერვიუ გამიკეთეს და მე შევეცადე პოლიტიკაზეც მელაპარაკა — მოვიგონე გერმანულ ჟარების ყოფნა ჩვენში და მათი დამოკიდებულება ჩვენდამი. აგრეთვე ისიც, რომ მე ბუდმა მარგუნა გენერალ კრესის დასაფლავებაზე ჩემს სიტყვაში აღმენიშნა თუ რა სამსახური გაუწია მან ქართულ საქმეს მისი საქართველოში ყოფნის დროს. მგონი ეს გადაცემული იქნება 22 ამ თვეს.

შენი სანდრო კორძია

დანარჩენზე შემდეგ. ჩემი თხოვნაა — საპასუხო წერილისთვის თავს ნუ შეიწუხებ. ბერლინში ველაპარაკე ტელეფონით პულ ლიობეს. ძალიან ესიამოვნა და მოგონა ჩვენები და დარჩენილებთან სალამი დამაბარა.

8. კონსტანტინე კანდელაკის წერილი ალექსანდრე (სანდრო) კორძიას

16 მარტი. 1957 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8°

ძვირფასო სანდრო,

შენმა წერილმა 5 ამ თვის თარიღით ძალიან მასიამოვნა. წელიწად-ნახევარი ახლა, ჩამოცილებული ვარ ყოველგვარ აქტიურ საქმიანობას; აქაური მეგობრები მნახულობენ, მამხნევენ, ხოლო სხვაგან მყოფთა შესახებ ამათგან ვტყობილობ ამბავს. ჩემი ჯამრთელობის საქმე თუ წინ მიდის, მიდის ძალიან ნელის ნაბიჯებით და მეშინია ახლანდელ მდგომარეობამ სტაბილური ხასიათი არ მიიღოს; სულ ძალიან დაღლილათ ვგრძნობ თავს და ცოცხათ თუ ბევრათ დამდგარი ხანგრძლივი მუშაობა არ შემიძლია, ვერ ვახერხებ.

მეგობრები მაცნობებენ ჩვენი საქმეების მდგომარეობას. ვფიქრობ რომ ეს მდგომარეობა არ არის სანატრელი. ერთად თავის მოყრისა და ერთსულოვნობის დამყარების მაგიერ, ემიგრაციის წრეები იშლება და თვით სხვადასხვა წრეებში შეთანხმების მაგიერ, გათიშვის[ს] მიმართულებანი იმარჯვებენ, ყოველ შემთხვევაში მე საქმეს ასე ვხედავ.

კარგი გიქნია, რომ გიმოგზავრია და ჩვენი საქმე და ჩვენი საკითხი ძველი და ახალი მეგობრებისთვის მოგიგონებია. აი რა გვჭირია ჩვენ, ჩვენი საკითხის ირგვლივ: ემიგრაციის დარაზმვა, ჩვენი საკითხის პროპაგანდა და პროპაგანდა. მაღლობელი ვარ, ჩემო სანდრო, რომ ჩემს წერილს გამოეხმაურე. უნდა მიჩვენო თუ რამე არის შეუსაბამო, შემცდარი და სხვ. ეს მე მსიამოვნებს და არც მენწყინება თუ რამე გასაკრიტიკებელია, გააკრიტიკო. — იმ წევრებს ჩვენი „პოპოზიციისას“ შენ, რომ მისახელებ, მე ვხვდები და ერთსა და იმავეს ვეჩიჩინები; ისინი „პოპოზიციას“ აბრალებენ შეურიგებლობას და ამნაირათ სიტყვიერებას ერთი მეორის წინააღმდეგ არა აქვს დასასრული. ჩემი ახლანდელი ძალ-ღონე არ კმარა ამ გაორების შესარიგებლათ ჩარევისთვის და მით უფრო ჩვენი პარტიის გადაღმა მდგომთა ჩვენი პარტიის მოქმედების ხაზთან დასაახლოებლათ.

მე არ ვივინყებ, ჩემო სანდრო, „მთავრობის საკითხსაც“, მაგრამ განა ჩემი ჯამრთელობა მაძლევს მე საშუალებას ამ საგანზე ვიზრუნო და მით უფრო ვიდავო. გარემოებამ ხელი არ შემიწყო, ჩემდა სამწუხაროთ, ამ საკითხში პოპოზიცია ამელო და იგი დამეცვა; დამეცვა მეთქი, ვამბობ, რადგან მონაწილემდეგ ამ საქმეშიც ბევრი იქნება მარჯვნივთაც და მარცხნივთაც. სანამ ამის ფიზიკური საშუალება არ მექნება, თუ ამ ზაფხულში პარიზიდან ჩამოსვლა მოვახერხე და როგორც მაიმედებენ ცოტა მაინც მოვიკეთე, იქნება უფრო მეტი ენერგია გამოვიჩინო შემდეგ იმ საკითხების მონესრიგებაში, რომელიც ახლა ყველას გვანუხებს.

თუ არა — და რა ვქმნა? გლახა მოხუცებულობა მენვია, გლახა.

ასე, ჩემო სანდრო, მოკითხვა და საუკეთესო სურვილები. ხანდახან ნუ დაიზარებ გამოემხმეურო.

მოკითხვა მეგობრებს.

შენი ერთგული კ. კანდელაკი

9. ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას წერილი კონსტანტინე კანდელაკს

15 მაისი. 1957 წ. [მიუნხენი]

ძვირფასო კონია!

დიდათ მოხარული ვართ ყველა აქაური მეგობარი, რომ შენ თავს კარგად გრძნობ. იმედი გვაქვს შენ მალე სრულებით გამოჯანსაღდები და კვლავ ძველებურად შეძლებ მუშაობაში ჩაბმას და ჩვენი საქმის ხელმძღვანელობას... მე ვცდილობდი არ შემეწუხებინე ჩემი წერილებით... აკაკი²² მწერს, რომ შვეიცარიაში აპირებ გამგზავრებას... მიშამ²³ მთხოვა შეგატყობინო, რომ ივნისის თვეში იქნება აქ ინსტიტუტის²⁴ კონფერენცია.. თუ კი გექნება ჩამოსვლის სურვილი მაცნობე და მიშა წარგადგენს.. არ არის აუცილებელი მოხსენების გაკეთება.. ასე რომ არავითარი წინასწარი მომზადება არ დაგჭირდება და მართლაც დიდებული იქნება რომ გადაწყვეტდე აქ ჩამოსვლას. თან ამიდიც ხელს გინყოფს... ჩვენითვისაც იქნება დიდათ

22 ჩხენკელი

23 არსენიძე

24 მიუნხენის „კულტურისა და ისტორიის კვლევა-ძიების ინსტიტუტი“, არსებობდა ამერიკული კომიტეტის დახმარებით. ქართველი ემიგრანტები მონაწილეობდნენ ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კონფერენციებში. კონსტანტინე კანდელაკის ერთ-ერთი პირველი მოხსენება ეხებოდა კრემლის ეროვნულ პოლიტიკას კავკასიაში.

გასახარი შენი ნახვა და შენთან საუბარი.. პარიზში მომხდარმა ამბებმა — გითხრა სიმართლე — ძალიან დაგვაღონა.. შეიძლება ყოველივე ამის თავიდან აცდენა.. რაც მოხდა-მოხდა.. ამის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ პარტიული მთლიანობის აღდგენით. ვინც ამას ხელს უშლის ის თავიდან უნდა მოვიშოროთ. ვინც არ უნდა იყოს და რაც დამსახურება არ უნდა მიუძღოდეს პარტიის წინაშე. გვენერნ რომ შენ და აკაკი²⁵ დასწრებიხართ ცენტ. ბიუროს სხდომას... მოველით ბიუროს დადგენილებას.. აქაური ამბები გეცოდინება ნოესგან..²⁶ უთუოთ სტრასბურგის კონფერენციის მოწვევა მოხერხდება. იქაც მოგიხდება ალბათ წასვლა შენ ნოესთან ერთად... დიდი ამბების მოწმენი ვართ და ვნახოთ რით დამთავრდება ყოველივე ეს..

იყავი კარგათ

შენი სანდრო კორძაია

10. კონსტანტინე კანდელაკის წერილი ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას

19 მაისი. 1957 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8^e

ძმაო სანდრო,

შენი წერილი ყოველთვის სასიამოვნო არის ჩემთვის და ახლაც მან ძალიან მასამოვნა.

საუბედუროთ, ჩემი მდგომარეობა არ არის ისე ვარდისფერი, როგორც აქედან უცნობებიათ, ვერ დავძლიე უკიდურესი სისუსტე, თუმცა შესახედავათ შედარებით მოკეთებული ვარ. დღემდის მიჭირს მეტროთო ან ავტობუსით ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში მარტო მისვლა, ვინმე უნდა წამყვეს.

ასეთ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, ვერავითარ კონფერენციაზე წამსვლელი მე ვერ ვიქნები. მე გთხოვ ეს გადასცე რაჟდენს²⁷, რომ არ დაბრკოლდეს და ვინმე სხვის დასახელებაზე იზრუნოს.

წელსაც მინდოდა, ცოტა ხნით მაინც, შვეიცარიაში წასვლა, — სამხრეთში მზიან ადგილებში ყველაზე უფრო ახლო პარიზთან ის არის და შედარებით ის უფრო იაფიც მიჯდება, — მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ მოვახერხებ.

საზრუნავი ბევრია, ბევრს არა სასიამოვნო ამბავს აქვს ადგილი, ყოველგან — პარტიაშიც და სერთოდ ემიგრაციაშიც. ყველაფერი ეს მიშლის ნერვებს. მდგომარეობის გამოსწორებისთვის ბევრი ჯაფაა საჭირო, ერთი მეორის მიყოლა, დადებითი მუშაობა. აშენებულის დაშლა უფრო ადვილია, ვიდრე დაშლილის აშენება. არის ბევრი წვრილმანიც, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ ვარგა. მართალი ხარ, ჩემო სანდრო, ბევრია — ბევრი გასაკეთებელი, გამკეთებელი კი ცოტა.

ჩემი ნატვრაა, რომ ცოტა მოვლონიერდებოდე, რიგებში ჩავდგე და საქმის გამოკეთება ვემსახურო, თუმცა აღარ შემეძლება ძველი ენერგიით, ძველი ძალ-ღონით...

გთხოვ გადასცე ჩემი სალამი მაქაურ მეგობრებს და მიიღო ჩემი საუკეთესო სურვილები.

შენი კონია კანდელაკი

25 ჩხენკელი

26 ცინცაძისგან

27 არსენიძე

18 დეკემბერი. 1957 წ. [მიუნხენი]

ძვირფასო ამხ. კონია!

დიდი ხანია არ მომიწერია შენთვის — ვერიდებოდი შენ შენუხებას... დიდათ მოხარული ვართ ყველა ჩვენი მეგობარი, რომ შენი ჯამრთელობა იმდენად გამოკეთდა, რომ ძველებურად ახერხებ კვლავ მუშაობას ჩვენი ერის და პარტიის საკეთილდღეობათ...

შენმა დიდათ საინტერესო მოხსენებამ²⁸ ყველაზე საუცხოვრო შთაბეჭდილება დასტოვა. ჩვენ წრეებ გარეშე მდგომნიც კი იმასვე აღნიშნავენ... თუკი ზოგიერთები — ჩვენი მონინალმდებე ჯგუფებიდან — იქა-იქ ლაპარაკობდნენ: „სოციალ-დემოკრატები დაუბრუნდნენ ისევ თავის ძველ გზას ეროვნულ საკითხში“, იმის შემდეგ, რაც შენს მოხსენებას გაცნობოდნენ — იმედია დაეკარგებათ ყოველივე სურვილი ძველებურად ინსენუაციების გავრცელებისა — ჩვენს შესახებ... მათზე უნდა ითქვას, რომ ისინი, არც ჩვენ ძველ პროგრამაზე ეროვნულ საკითხის ირგვლივ, — იყვნენ საკმარისად გაცნობილი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ შენი მოხსენების გადაბეჭდვა და ჩვენი ემიგრაციისთვის დაგზავნა — ეს იქნებოდა მართლაც დიდი სამსახურის განევა ჩვენი ეროვნული საქმისადმი.. და მასთან ხელს შეუწყობდა ემიგრანტთა შორის ჩვენი პარტიის პრესტიჟის აღდგენას... მე მგონი იმის მტკიცება არ მჭირდება — რომ ზოგიერთი მოვლენების გამო — ჩვენი პოზიციები საგრძნობლად შესუსტებულია. ის ნაწილი შენი მოხსენებიდან, რომელიც ეხება ამერიკულ კომიტეტს, მიღებისთანავე ვთარგმნე და გადავიცი ამერიკული კომიტეტის აქაურ პოლიტიკურ განყოფილებას.. ისინი ამით ნასიამოვნები დარჩნენ და მიიხრეს, რომ, ახლავე გადაგზავნით ნიუ-ორკშიო...

შენ უთუოდ მიიღებდი მიშას²⁹ წერილს. ჩვენ გვექონდა ლაპარაკი ამ საკითხზე და ისიც დიდათ კმაყოფილია საერთოდ შენი მოხსენებით.. ჩვენში მხოლოდ ერთმა ადგილმა გამოიწვია ცოტა გაუგებრობა: შენ ლაპარაკობ „მთავრობის წარმომადგენლობაზე“ და არა თვით მთავრობაზე. ჩვენი აზრით, როდესაც შენ ლაპარაკობ მთავრობის წარმომადგენლობაზე — გინდა ვიფიქრო — გულიხმობ შენს თავს ან და შეიძლება კიდევ აკაკი ჩხენკელს.. და აბა მთავრობა ვინ არის? თქვენ ხმარობთ გამოთქმას „ყოფილი მთავრობა“ ჯერ კიდევ ნოე უორდანიას დროსაც. ჩვენი აზრით ამ შემთხვევისათვის საუკეთესო იქნებოდა: „მთავრობა ეკზილში“ (?) გვეხმარა.. სხვა არაფერი გვაქვს სადაო...

ჩვენთვის სამწუხაროა რომ ვერ შეძელით ჩვენი ოპოზიციის შემოერთება ამ კონფერენციის ირგვლივ. ადგილობრივ ამხანაგებში ეს გარემოება იწვევს დიდ უკმაყოფილებას. რასაკვირველია — მესმის — შორიდან არც ისე ადვილია მსჯავრის დადება რომელიმე მხარეზე. მაგრამ ჩვენთვის აშკარაა — ამ ბრძოლის პროცესში ყველა ამხანაგი უნდა გრძნობდეს პარტიის მთლიანობის აღდგენის აუცილებლობას... ჩვენ სოც. ინტერნაციონალთან დამოკიდებულების აღდგენას — ეს ჩვენი გათიშულობაც უშლის ხელს. არაფითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გადადგმული ჩვენს მიერ რამე ნაბიჯი ინტერნაციონალისადმი მანემდი, სანემდი ჩვენ ვერ გამოვნახავთ საერთო ენას — ამ შემთხვევაში მაინც ჩვენს ოპოზიციასთან..

28 სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენციაზე კონსტანტინე კანდელაკმა წაიკითხა მოხსენება: „საერთაშორისო მდგომარეობა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დანიშნულება“.

29 არსენიძის

დანარჩენებზე შემდეგ. ახლა არ მინდა თავი მოგანყინო აქაური ამბებით.. აქაური მიტინგების შესახებ ალბათ გექნება ცნობები.. გისურვებ ჯანმრთელობას და დღესასწაულების კარგად გატარებას.

მუდამ შენი სანდრო კორძაია

ეს ერთი ხანია რაც დავინწყე მუშაობა რადიოში³⁰. მაგრამ სამწუხაროთ ეს ორი თვეა რაც სულ ავამყოფობ და ეს რასაკვირველია დიად მიშლი ხელს.

12. კონსტანტინე კანდელაკის წერილი ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას

30 დეკემბერი. 1957 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8^e

ძვირფასო ძმაო სანდრო,

შენი წერილი 18. XII-ის თარიღით მივიღე. იმის საპასუხოთ ამ ძველი წლის დამლევს უნდა შემოგიტვალო, უპირველეს ყოვლისა, საუკეთესო სურვილები მომავალ წლისთვის; უმთავრესად ყოვლისა ჯამრთელად[დ] ყოფნას, რადგან მე განვიცადე, რა ცუდია ავამყოფობა. საუბედუროთ, მე ვერ დავძლიე ჩემს ავადმყოფობას იმდენათ, რომ ძველებურათ შევძლო მუშაობა; ბევრმა გარემოებამ მე ამისთვის ხელი არ შემიწყო...

ძალიან მსიამოვნებს, თუ მართლა ჩემმა მოხსენებამ — როგორც შენ იწერები — „ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა“. მე კმაყოფილი ვარ იმიტაც, როგორც იმას შეხვდნენ კონფერენციაზე, ერთსულოვნათ, წარმოდგენილ ორგანიზაციების დელეგატები, თუმცა ზოგიერთი პასუხიმგებელი პირი აქ წინააღმევი იყო ჩემი გამოსვლის კონფერენციაზე და კონფერენციის შემდეგაც არ არიან კმაყოფილი.

ჩემი მიზანი იყო: ყველა კრებაზე მე ვერ დავდივარ და კამათს ერთის მეორესთან მე ვერ ვესწრები. ამიტომ ბევრი ისეთ პოზიციებს მანერდა თავის პოზიციის გასამაგრებლათ, რომ მე აზრათაც არ მომსვლია. ამისთვის მე შევეცადე ჩემს მოხსენებაში ყველა მთავარი საკითხისთვის პასუხი გამეცა და ჩემი შეხედულება ამ საკითხებზე ყველასთვის ნათლად მეცნო.

მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვებს და მოხენებებს, თუ იგი ცხოვრებაში ვერ გატარდება, თუ არც ერთი მხარე არც ჩვენ პარტიულ დარაზმულობაში და არც სხვებთან დამოკიდებულებაში ოდნავათაც არ დასთმობს თავის პოზიციებს და ერთის მეორეზე შეხედულებას, „საბუთიანათ“ თუ უსაბუთოთ. ამის მაგალითი მოგვცა ამ მოკლე ხანში დ. ვაჩნაძის და რ. გაბაშვილის წიგნებმა³¹; მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, თვით მათ წრეშიც ყველა არ გაიზიარებს მათ წიგნებში გამოთქმულ შეუსაბამობას.

შეუთანხმებლობა თვით სოც.-დემ. პარტიის წევრებში ასუსტებს — როგორც შენ იწერები — „ჩვენს პოზიციებს“. ამაში მე ვერ დავაჯერე ვერც ერთი და ვერც მეორე მხარე. თუ ჩვენს პარტიაში არიან კაცები, რომელნიც სოციალისტურ და დემოკრატიულ ხაზს არ მიყვებოდნენ ან არ მიყვებიან, საჭიროა მათთვის სწორი ცნობებისა და ცოდნის მიწოდება და არა თავში დარტყმა; ამ უკანასკნელი წესით

³⁰ საუბარია რადიო „თავისუფლებაზე“

³¹ დავით ვაჩნაძე (1884-1962), ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი, მიუნხენი, 1957; რევაზ გაბაშვილი (1882-1969), რაც მახსოვს, მოგონებანი, მიუნხენი, 1957.

არავინ მორჯულებდა, მტრის თუ მონინალმდგეის ბანაკს კი შეემატება. ის პირები, რომელნიც, მაგალ. რაჟდენ არსენიძეს უკმაყოფილო იყვნენ წინათ, როცა რაჟდენი აქ ყოფნის დროს მათ ელაპარაკა და ცოტათი დაუახლოვდა მე მეუბნებოდნენ: „არაფერი რუსოფილი რაჟდენი არ ყოფილა, ჩვენს შორის სადავო არაფერი არისო“. აი ეს უკვე კარგი საქმეა: არა დატუქსვა, არამედ ერთი მეორის გაგება, რაც არ ხერხდება.

არ ვიცი, რაჟდენის რომელი წერილის შესახებ მწერ: თუ მიიღეო? მე მისგან ამ რამდენიმე თვის წინათ მივიღე წერილი ყოფ. მთავრობის წევრების კომიტეტის შედგენის შესახებ. მას პასუხი ვერ გავეცი; იმედია, გამიგებს თუ რატომ პასუხი ვერ გავეცი. სანამ ჩვენს პარტიამიც კი ვერ მოვახერხებთ გაერთიანება, სად არის იმის გარანტია, რომ თვით „კომიტეტშიც“ თავს არ იჩენს იმის გამოძახილი და მაშინ? მაშინ, ყველაფერი ჩაიშლება. ჯერ-ჯერობით საჭიროა გამა[გრ]დეს ის, რაც არსებობს: ეროვნული საბჭო. უამისოდ, ერთი ახალი შინაური ფრონტი კიდევ გაგვიჩნდება და ამასთან ბრძოლა გადაგვიტანს. არის სხვა მიზეზებიც.

მე ვფიქრობ, ინტერნაციონალში წარმომადგენლების შესახებ მორიგება მოხდება და ესეც პროგრესია ჩვენს პირობებში.

გისურვებ, ჩემო სანდრო, ყოველივე კარგს და გთხოვ ხანდახან მომწერო და მაქაურ მდგომარეობის კურსში მიყოლო.

შენი კ. კანდელაკი

P.S. შენ მწერ „ყოფილ მთავრობის წარმომადგენლებს“ რატომ წერო. ამას ჩვენ თავიდანვე ხვადასხვა სახით ვწერდით და უმთავრესად იმიტომ, რომ ეს სიმართლეა და სიმართლის თქმა ყოველთვის უკეთესია. მე რომ ვთქვა „მთავრობა ვართ“ო, ამაში ბევრი წამედავება, ხოლო ვერავინ უარჰყოფს იმას, რომ მე წვერი ვიყავი იმ მთავრობის, რომელიც დამე. კრებამ აღჭურვა თავის ნდობით და მანდატით (ეს არის საკითხის ლეგიტიმური მხარე), ეს სინამდვილეა და ამ სინამდვილეს საჭიროების დროს იქნება ანგარიში გაუწიონ (და ხანდახან ახლაც უწვევენ) უცხოელებმა. არის სხვა მიზეზიც, ანგარიშ გასანევი.

III. კონსტანტინე კანდელაკისა და აკაკი პაპავას მიმოწერა

13. აკაკი პაპავას მიმართვა ეროვნულ მთავრობას

30 ოქტომბერი. 1956 წ. ბუენოს აირესი
[კონსტანტინე კანდელაკის მინაწერი წითელი მელნით:
მივიღე 15/XI გრ. ურატაძის ხელით]

საქართველოს ეროვნულ მთავრობას პარიზში

დღევანდელი მეტად დაძაბული საერთაშორიო მდგომარეობა, და ამასთან დაკავშირებული დიდ მნიშვნელობის მოვლენათა განვითარება, მოითხოვს ჩვენი მხრივაც ეროვნულ მუშაობის გაძლიერებას და საქართველოს განთავისუფლების საკითხის უფრო გაბედვით და მეტის ენერგიით წამოყენებას.

ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს იმპერიალიტურ რუსეთის მიერ დევნილ და დაპყრობილ ერთა ორგანიზაციებთან შეთანხმებით, მათ წარმომადგენლებთან მჭიდრო

კავშირით.

ამ გზით უნდა ცხოველდებოდეს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის გავრცელება.

ასეთ დროს აუცილებელია, სამხრეთ ამერიკაშიც, და განსაკუთრებით არგენტინაშიც (საცა თავს იყრიან უამრავი ორგანიზაციები სხვა და სხვა დევნილ ეროვნებათა), ქართულ ემიგრაციის მიერ გადადგმული ესა თუ ის ნაბიჯი, ან პოლიტიკურ-ეროვნული ხასიათის მოლაპარაკება განსაკუთრებულის სიფრთხილით და მიზანშეწონილობით ხდებოდეს.

უწინარეს ყოვლისა კი ეს გეზი უნდა მიიმართებოდეს იმ მიზნისათვის, რომელსაც დღემდე განუხრელად ემსახურება ჩვენი ეროვნული მთავრობა და მასთან ერთად მისი დამხმარე ორგანოები.

ამგვარ მუშაობის შესათანხმებლად საჭიროა თქვენგან ეხლავ დაინიშნოს ერთ-ერთი პიროვნება, რომელიც ამ საქმეს ემსახურება და იქმნება ჩვენი ეროვნული მთავრობის ნდობით აღჭურვილი და მის წინაშე პასუხისმგებელი.

ამით ერთხელ და სამუდამოდ წაერთმევათ საშუალება ზოგ უპასუხიმგებლო და შემთხვევით პიროვნებებს ილაპარაკონ და იმოქმედონ ქართველი ერის სახელით და ამით ჩვენ წმინდა საქმეს და წარსულს რაიმე ჩრდილი, ან ზიანი მიაყენონ.

ეს კითხვა, შექმნილ მდგომარეობის გამო, სასწრაფო გარდანწყევტას მოითხოვს.

დავშთ. პატივიცემით აკ. პაპავა

14. კონსტანტინე კანდელაკის წერილი აკაკი პაპავას

18 დეკემბერი. 1956 წ. პარიზი
29 rue Daru, Paris 8^e

ბ-ნ აკ. პაპავას

Alvare Thomas 125

Lomas de Zamora F. N. G. R.

Buenos Aires (Argentina)

დიდათ პატივიცემულო აკაკი,

თქვენ მიღებული გექნებათ ეროვნული საბჭოს რწმუნების ქალაქი³². ახლა ამასვე გიგზავნით ეროვნულ მთავრობის წევრთა სახელით, ისე და იმ სახით, როგორც ეს უფრო მოსახერხებლათ დავინახეთ, მაგრამ სრული უფლების (pleins pouvoirs) აღნიშვნით. ამავ ქალაქში სხვა ქვეყნების აღნიშვნა (ასე ვსთქვათ, სხვათა შორის იქნებოდა და ამიტომ) უხერხულათ დავინახეთ. გამოცდილება გვიჩვენებს, თუ როგორ აჯობებს.

თქვენ იცით ჩვენი მუშაობის ხაზი: ეროვნული საბჭო და მთავრობის წევრები შეთანხმებულათ მუშაობენ. ჩვენი მუშაობის უმთავრესი დანიშნულება ყოველგან, უცხოეთში, უნდა იყოს საქართველოს საკითხის პროპაგანდა და საზოგადოებრი-

32 ეროვნულ საბჭოს და მთავრობას წარმომადგენლები ჰყავდა სხვადასხვა ქვეყანაში. აკაკი პაპავა იყო ეროვნული საბჭოს რწმუნებული არგენტინაში, ხოლო საქართველოს მთავრობის რწმუნების მანდატი მან 1956 წლის 15 დეკემბერის დოკუმენტით მიიღო, რომელსაც ხელს აწერს აკაკი ჩხენკელი და კონსტანტინე კანდელაკი.

ვი აზრის იმის სასარგებლოთ მომზადება, რათა იმ დროისათვის, როცა საკითხი დადგება, ქვეყნის ბედობის გადაწყვეტა შორის ჩვენს საკითხს დამცველები ბლომათ აღმოუჩნდეს.

ჩვენს მუშაობას ძალიან აბრკოლებს უსახსრობა და ამ პირობებში მუშაობის ფართოთ გაშლა მოუხერხებელია.

მეორეს მხრით ეროვნულ საბჭოში ერთსულოვნება, სამწუხაროთ არ აღმოჩნდა, სოც.-ფედერალისტების წამომადგენლებმა აღმასრულებელი კომიტეტი³³ დასტოვეს. უნდა ვეცადოთ საერთო ფრონტის აღდგენას და გაფართოებას.

თქვენ იქნება იცით, რომ მე ძალიან მძიმე ავადმყოფობა გადავიტანე და ახლაც ვერ ვარ გამორჩენილი (რვა თვე ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი). ეს გარემოებაც აბრკოლებს ჩვენს მუშაობას, ხოლო ჩემს გამორჩენას კიდევ დრო უნდა. მე არ ვფიქრობ, რომ საჭირო იქნეს მიწერ-მოწერა საბჭოსთანაც და მთავრობასთანაც. ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით მიწერ-მოწერა იქონიეთ ეროვნულ საბჭოსთან, ხოლო მნიშვნელოვან წერილების პირს თუ ჩვენც გადმოგვივზავნით კარგი იქნება.

ძალიან სასიამოვნოა, რომ ინიციატივა მაქ წარმომადგენლის დანიშვნისა თქვენ აიღეთ და ჩვენი არჩევანიც, დარწმუნებული ვარ, საუკეთესო არის. — მიღება რწმუნების ქალაქისა, გთხოვთ დამიმონშოთ.

მიიღეთ ჩემი მეგობრული სალამი და გთხოვთ გადასცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები ქ-ნ თამარს.

თქვენი კ. კანდელაკი

15. აკაკი პაპავას წერილი კონსტანტინე კანდელაკს

8 იანვარი. 1957 წ. ბუენოს აირესი

დ. პ. ბ-ნო კონსტანტინე,

მივიღე თქვენი წერილი 18 დეკემბრის 1956 წლის და მასთან დართული რწმუნება ჩემს სახელზე, რომელსაც საქართველოს ნაციონალური მთავრობის სახელით ხელს აწერთ თქვენ და ბ-ნი აკაკი ჩხენკელი.

მოგახებებთ ჩემს უღრმეს მადლობას ასეთი ნდობისათვის და ირწმუნეთ, რომ ჩემის მხრივ გარჯას და ცდას არ დავაკლებ, შეძლებისდაგვარად, ვემსახურო ჩვენი ქვეყნისა და ერის სამართლიან საქმეს, რომ ამით თქვენი ნდობაც გავამართლო...

სამწუხაროდ, სამისო ასპარეზი და საშუალება დღეს-დღეობით ფრიად შეზღუდულია და დაბრკოლება უამრავი და ძლიერი, მაგრამ ამან გული არ უნდა გაგვიტეხოს და ჩვენმა მდიდარმა ისტორიულმა წარსულმა და ბრძოლებმა მომავალი აღდგომის იმედი კვლავ უნდა გავგიცხოველოს...

იყავით კიდევ დიდხანს მხნედ და ჯანმრთელად ბ-ნო კონია და აკაკი³⁴ და მიიღეთ აქაურ ქართველობის წრფელი სალამი და საუკეთესო სურვილები ამ წლისათვის.

თამარმა სიყვარულით მოგიკითხათ.

მარად თქვენი აკ. პაპავა

³³ ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი ორგანო.

³⁴ ჩხენკელი

16. კონსტანტინე კანდელაკის წერილი აკაკი პაპავას

11 მარტი. 1957 წ. [პარიზი]
29 rue Daru, Paris 8^e

დიდათ პატივცემულო აკაკი,

ეს პირადი ხასიათის ბარათია და ამით მინდა დიდი მადლობა შემოგიტვალო იმ დახმარებისათვის, გრ. ურატაძისთვის რომ გამოგიგზავნით ჩემთვის გადმო-საცემათ და მისგან მივიღე.

ეს ჩემთვის მით უფრო საგრძნობია, რომ ასეთი ყურადღება მე არაფრით და-მიმსახურებია. მე ვუერთდები ამას — მეგობრულს და მეზობლურ ხელის მოცემას — ყველა ახლობელ და დაშორებულ მეგობრების იმ თბილ გრძნობებს, რაც მათ ამ ავთმყოფობის დროს მე არ დამაკლეს და გამამხნეველებია ჩემთვის. შეიძლება საჭირო ვიყო კიდევ ჩემი, უკვე დასუსტებული ძალით ყველა თქვენთან ერთად საერთო საქმეს ვემსახუროთ.

კიდევ მადლობა.

გთხოვ ჩემი სალამი და პატივისცემა გადასცეთ თამარს და მიიღოთ ჩემი საუკე-თესო სურვილები.

კ. კანდელაკი

17. კონსტანტინე კანდელაკის წერილი აკაკი პაპავას

20 აგვისტო. 1957 წ. პარიზი

დიდათ პატივცემულო აკაკი,

გრ. ურატაძემ გადმომცა თქვენ მიერ მისი საშუალებით ჩემთვის გადმოგზავნილი (ახლა მეორეჯელ) პირადი დახმარება.

სანამ ასეთ მგომარეობაში ვიმყოფები, ჩემთვის ძვირფასია მეგობრების ჩემდამი ასეთი ყურადღება, მემინია კი ისინი არ შევანუხო, რადგან ყველაფერს აქვს საზღ-ვარი.

მიიღეთ ჩემგან დიდი გულწრფელი მეგობრული მადლობა.

გთხოვთ გადასცეთ თამარს ჩემი სალამი და მიიღოთ ჩემგან საუკეთესო სურვი-ლები.

თქვენი კ. კანდელაკი

P.S. აქვე არის მცირე წერილიც

20 აგვისტო. 1957 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8^e

ბ-ნ აკაკი პაპავას

Alvarez] Thomas 125

Lomas de Zamora F. N. G. R.

Buenos Aires (Argentina)

დიდათ პატივცემულო აკაკი,

ორი თვე პარიზიდან გასული ვიყავი. დაბრუნებისას დამხვდა ცნობა, რომლის მიხედვით მტერს მოუწოდებია თქვენთვის ვითომ სახელის გატეხა.

მათი საქციელი ისეთი სუსტი ძაფებით არის გაბლანდული და თქვენ მიერ გამოგზავნილ, მისთვის დაპირდაპირებულ ცნობებს, იმდენათ სააშკარაოზე გამოყავს განზრახული ფანდი, რომ იგი ვერავის შეცდომაში ვერ შეიყვანს; ხოლო ერთხელ კიდევ საბუთს იძლევა იმისა, თუ რა ზომებს მიმართავენ ისინი თავის განზრახვების მისაღწევათ.

საზოგადოებრივი აზრი და პრესა ამ ამბავს მხოლოდ მათი მეთოდების დასაგმობათ გამოიყენებს, ხოლო იგი თქვენდამი ნდობას არავის დაუკარგავს და თქვენ სახელს ვერავითარ ჩრდილს ვერ მიაყენებს.

მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

თქვენი კ. კანდელაკი

18. აკაკი პაპავას წერილი კონსტანტინე კანდელაკს

20 იანვარი. 1958 წ. ბუენოს აირესი

ძვირფასო ბ-ნო კონსტანტინე,

მივიღეთ თამარმა და მე თქვენი საახალწლო მოლოცვა და დიდ მადლობას მოგახსენებთ. გვიხარია, რომ საგრძნობლათ მოიკეთეთ და ძველებურათ მხნეობთ. ნავიკითხე და აქაურ ქართველებსაც გავაცანი თქვენი საინტერესო და დამაჯერებელი მოხსენება. დიდათ კმაყოფილი დავრჩით, მაგრამ ამ მოხსენების ადგილი სხვაგვარი უნდა ყოფილიყო და არა პარტიული კონფერენცია. მესმის, რომ სხვა გამოსავალი არ იყო. რა ვქნათ!.. არც რამე სხვა გამოცემა გვაქვს ამჟამად. ეს მეტად სავალალოა. ძალიან საჭიროა როგორმე დაჩქარება „ეროვნ. საბჭოს“ და მისი ორგანოს³⁵ განახლების საქმის. რაღაც საამისო იმედებს მწერდა გრ. ურატაძე, მაგრამ ჯერ ვერას ვუბნავთ. დიდათ სამწუხაროა ამის დაგვიანება. ნუ-თუ ს.-დ.³⁶ ურთიერთში ველარ მორიგდნენ? რა დროს „ფრაქციობა“ გვაქვს დღეს? მერმეთ ნურავის ეწყინება და პირდაპირ ანარქიზმია დღეს ქართ. ეროვნ. ემიგრაციის მთავარ ნაწილისთვის თავის ორგანოს³⁷ ლოზუნგად აწერდე: „პროლეტარ, ყველა ქვეყნ. შეერთდით!“ ნუ-თუ დღეს ყველაზე მეტად ეს გვტკივთ? ვისჭირია ეს დღეს? ამით მხოლოდ ჩვენს ჩამორჩენილობას ვამტკიცებთ და „მიზეზების“ მაძიებელ ქართველობას უფრო ვალიზიანებთ. აბრამოვიჩიცი კი არ აწერს ამას თავის ორგანოს (სხვებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება — არც ევროპაში და არც ამერიკაში). ბ. კონსტანტინე, იმედია, სწორათ გამიგებთ ამ მეგობრულ შენიშვნას და ცუდათ არ ჩამომართმევთ.

ეხლა შემდეგი რამეც მინდა მოგახსენოთ. მივიღე მორიგი დასტა (მიუნხენიდან) რადიო გადაცემებისა³⁸, რომელთა შორის დართული ვპოვე უკომენტაროთ რაღაც პროექტი ჩვენი ეროვნ. მთავრობის კომიტეტის შექმნისა.

35 ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო იყო „მებრძოლი საქართველო“, რომელიც 1952-1954, 1986-2007 წლებში გამოდიოდა.

36 სოციალ-დემოკრატები

37 ამ პერიოდში გამოდიოდა სოციალ-დემოკრატების პერიოდული გაზეთი „ჩვენი დროა“, სადაც სტატიებს კონსტანტინე კანდელაკიც აქვეყნებდა.

38 საუბარია რადიო „თავისუფლების“ გადაცემებზე

ეს პროექტი, მეტი რომ არ ვსთქვათ, უცნაური და სახელდახელოა. ასეთ რამეს, ვიდრე მას რადიო გამოცემებთან ერთად გაავრცელებდნენ დიდი და ფრთხილი სამზადისი სჭირია და მე არ ვიცი, თუ ასეთ რამეს ადგილი ჰქონდა.

ჩემი აზრით პროექტს ეს აკლია და ძალიანაც აკლია... ეს ისეთი ფაქიზი და დიდი საქმეა (ერთად-ერთი ლეგალური ნაშთი, რაც ჩვენ გვაბარია), რომ მისი ასე ხელის წამოკვრა შეუძლებელია. მე პირადათ ამ კითხვაზე ჩემი ევროპაში ყოფნის დროს მოგწერეთ აზრი (1954 წ. აგვისტოში) ამის შესახებ და ამ საგანზე ჩემი აზრი არ შეცვლილა... შეუძლებლად მიმაჩნია დღესაც პარტიათა წარმომადგენლების შეყვანა მთავრობაში. ამით, ვიმეორებ, ლეგიტმ. ხასიათი ეკარგება ამ უზენაეს ორგანოს, რომელსაც ყველაზე ადრე ჩვენ თვითონ უნდა ვსცეთ პატივი. ამაზე ყოველივე მაშინ მოგახსენეთ და დღეს აღარ გავიმეორებ. ბ. კონსტანტინე, იმედია, არც ამას ჩამომართმევთ საწყენად და ჩემს მოსაზრებას ანგარიშს გაუწევთ. პარტიებზე თუ გადავედით, ძველი პარტიებით ვერ შევზღუდავთ და მოლოპულ გზით დავეშვებით. თუ რამე სხვა მოსაზრებები გაიძულებთ, გთხოვთ მაცნობოთ. მამ, ბ. კონსტანტინე, მიიღეთ განმეორებით ჩვენი და აქაურ ქართველების დიდი მოკითხვა და საუკეთესო სურვილები.

თქვენი ერთგული აკ. პაპავა

P.S. როგორ არის ბ. აკაკი³⁹? ან მენალარს⁴⁰ რა მოუვიდა? იმ გაზეთში გაკვრით არის რაღაც ნათქვამი.

19. კონსტანტინე კანდელაკის წერილი აკაკი პაპავას

30 იანვარი. 1958 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8^e

ბ-ნ აკაკი პაპავას

Buenos Aires-ში (არგენტინა)

დიდად პატივცემულ აკაკი,

თქვენი წერილი 20/1-58 თარიღით მივიღე და თქვენს შენიშვნებს გულდასმით გავეცანი. ტყულა ბოდიშობთ საქმიანი შენიშვნები ყოველთვის საჭიროა და სასარგებლოა, მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში იბადება სიმართლე.

1. თქვენი პირველი შენიშვნა გაზეთზე ცნობილი ლოზუნგის წარწერის შესახებ, გაუგებრობაზეა აშენებული: დიდი ხანია ამ წარწერას გაზეთი აღარ ატარებს.
2. მრავალი პროექტი იწერება ახლა, ამ ხნის განმავლობაში, ჩვენი ემიგრაციის და საქმეების „საუკეთესო“ მოწყობისათვის. რომელი იმათგან გამოგიგზავნეს თქვენ, მე არ ვიცი, ხოლო ცხადია ვერ იქნებოდა ოფიციალური პროექტი, რადგან პასუხისმგებელ წრეებში განხილული არ ყოფილა.

„მთავრობის“ საკითხი ძალიან რთული საკითხია. კარგი იქნებოდა, რომ ეს საკითხი უდავოთ მოგვარებულყო; მას ყავს მომხრეები და მოწინააღმდეგეებიც. ბევრი ყოყმანი ამ საკითხის შესახებ მხოლოდ ზიანს მიაყენებდა იმასაც, რაც არსებობს. ასეთ ნაბიჯებს, სამწუხაროთ, ჩვენი მოწინააღმდეგენი არ ერიდებიან. ამიტომ ეს

39 ჩხენკელი

40 სავარაუდოდ სანდრო მენალარაშვილი (?)

საკითხი ახლა რჩება ისე, როგორც იყო. მთელი ჩვენი ყურადღება უპირველესად უნდა მოხმარებოდა იმას, რაც არსებობდა: ეროვნულ საბჭოს გამაგრებას. ეს ის კარია, საინდან ახლა ძალები უნდა შეემატოს ჩვენს საქმიანობას, სრულიად დამოუკიდებლად „ლეგიტიმაციის“ საკითხისა. სამწუხაროთ, ადვილად ვერც ეს ხერხდება. რა გვაქვს ახლა საკეთებელი? მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საკითხის პროპაგანდა, რადგან თაობა-თაობას სცვლის ამ დიდი ხნის განმავლობაში და ახლი თაობა თავისუფალ ქვეყნებში ჩვენს საკითხს ისე კარგად აღარ იცნობს, ვინემ ჩვენი თაობის სახელმწიფო მოღვაწენი იცნობდნენ. ამ თითქოს ძალიან მარტივ საკითხშიც ერთ-სულოვნება არ ხერხდება ისე ადვილათ, როგორც მოსალოდნელია...

ჩემი ჯამრთელობა ძალიან [შერყეულია], საუბედუროთ, საშუალებას არ მაძლევს იმ დღით ვიმუშაო, როგორც ეს წინათ შემეძლო. მე ვფიქრობ, რომ თქვენ — და ყველა ჩვენ მეგობარს გაფანტულთ სხვადასხვა ქვეყანაში — სჭირიათ ინფორმაცია და [სა]პროპაგანდო მასალა, რომელსაც გამოიყენებდა ადგილობრივ საზოგადოების გასაცნობათ. საზოგადოებრივ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს განათლებულ ქვეყნებში.

სხვათა შორის, ამ მიზნით სწორეთ ამ ერთი წლის წინად ჩვენ გამოვეცით ფრანგულ ენაზე (კერძო დახმარებით) Aide-memoire- ი ჩვენი საკითხის მოკლედ გასახსენებლად (ჩემი წიგნი ინგლისურათ — *The Georgian Question before the Free World*⁴¹ — მარაგი უკვე გამოლუულია).

დარწმუნებული ვარ ამ Aide-memoire-ის ცალი მაინც მიიღეთ მაქ გამოსაყენებლათ, რადგან ფრანგული მაქ ალბათ ბევრს ეცოდინება. არგენტინამ ხომ თითქმის პირველმა იცნო ჩვენი [დამოუკიდებლობა] [13 სექტ. 1919] (...) ⁴². ვერ ვახერხებ სამწუხაროთ, მე (...) ⁴³ მაგრამ ვცდები მაინც თქვენი წერილები უპასუხით არ დავეტოვო.

მიიღეთ ჩემი გულითადი სალამი და გთხოვთ გადასცეთ იგი საუკეთესო სურვილებთან ერთად ქ-ნ თამარს და მთელ თქვენს ოჯახს.

კ. კანდელაკი

20. აკაკი პაპავას წერილი კონსტანტინე კანდელაკს

11 თებერვალი. 1958 წ. ბუენოს აირესი

დ. პატივც. და ძვირფაო ბ. კონსტანტინე,

თქვენი 30 იანვრის წერილი მივიღე და დიდი მადლობა საყურადღებო ცნობებისათვის. მისარიან, რომ საგრძნობლად მოიკეთეთ და ჩვეულ მუშაობას ნელ-ნელა შეუდექით. ეს ჩემთან ერთად უხარია აქაურ ქართველობას და ყველა ჭეშმარიტ პატრიოტს, სადაც ის იმყოფება...

ესლა ზოგ საშურ კითხვებზე:

ეროვნული მთავრობის „გაფართოების“ კითხვა, როგორც მწერთ, ჯერ შეჩერებული ყოფილა და იმედია, ამითაც არაფერი დაშავდება. მაგრამ რომ ამის ირგვლივ დაუწყნარებელი და უთავბოლო მითქმა-მოთქმა შეწყდეს, იქ-

41 *The Georgian Question before the Free World (Acts-Dokuments-Evidence)* — ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე (აქტები-დოკუმენტები-მტკიცებულებები), გამოცემა 1953 წელს, პარიზში, ხოლო 2012 წელს წიგნის რეპრინტი მომზადდა და გამოიცა.

42 ტექსტი ფანქრით არის ნაწერი, რამდენიმე სიტყვა გადაშლილია

43 ტექსტი ფანქრით არის ნაწერი, სიტყვა არ იკითხება

ნებ აჯობებდა თქვენ და აკაკის თვით გადაგჭყრათ ეს კითხვა. ეს აგვაცდენდა გახმაურებას, გაცხარება-დავას, რაც საერთოდ დასუსტებულ მდგომარეობას კიდევ უფრო დააუძლურებდა და შინ და გარეთ დაგვაზიანებდა... ამისი თქვენ სამართლიანადაც გეშინიათ.

ამიტომ ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ კითხვა საკამათოდ არ გახდეს — დავტოვოთ ყოველივე ძველ საფუძველზე, ე. ი. საქართველოს დატოვების შემეგ (რიცხვის შემცირების გამო) გარეთ დაშთენილი ნევრები კაბინეტისა ისევ დაუბრუნდენ მას და ამით შეავსონ (რამდენიმედ მაინც) შემცირებული შემადგენლობა.

ამ მიზნით იქნებ მიზანშეწონილად დაინახოთ თქვენ და ბ. აკაკიმ მოინვიოთ ძველი ნევრებიდან ორი პიროვნება. ვინაიდან ბ. კ. გვარჯ. [ალაძე] ავადა და რ. არსენიძე გერმანიაშია სხვა მეტად საჭირო და საპასუხისმგებლო საქმეზე, დაგვრჩენია ბ. გ. ერაძე და ბ. ნ. ცინცაძე (რამენადაც მახსოვს სხვა არავინაა ყოფ. მინისტრი, ან მინისტრის ამხ. დღეს საფრანგეთში). თუ ამით თქვენ დასახმარებლად მიიწვევთ, ამის გამო ვერავინ აგხიბრდებათ და ამ კითხვის ირგვლივ შექმნილ ვნებათა-ლელვას ნელ-ნელა დააცხრობთ. სამწუხაროდ საქმე და „საქმიანობა“ დღეს ისე ვინროდ შემოიფარგლა, რომ ჩვენებური „პარტიობა“ ამ ერთად-ერთ ნაშთზე, წმინდა სიმბოლოზე იერიშებით მიდის და სურს ისიც არარაობამდე დაიყვანოს — რასაკვირველია, შეუგნებლად. ჩვენ კი ამისი არც უფლება გვაქვს და არც საბუთი: თუ ზოგს რწმენა დაჰკარგვია, რომ ახლო მომავალში პრაქტიკ. პოლიტიკისათვის „მთავრობა“ ზედმეტი გამხდარა (რაც მხოლოდ წინდაუხედაობის და სულმოკლეობის შედეგია), ის მაინც უნდა ესმოდეს რომ ეს ჩვენი ეროვნული მოძრაობის და თაობის მონაპოვარი ქართული მატყანის ბოლო ფურცლების შევენება და სიამაყე, ეს განძი და საყრდენი მომავლისა, მაინც შევუნახოთ ჩვენს ისტორიას... ეს არის ჩვენი ვალი და მას უნდა ფაქიზად მოვეპყრათ. ვიცი, რომ თქვენ ამაზე გიფიქრიათ, გიმჯვლიათ, მაგრამ მაინც მინდოდა ჩემი ფიქრებიც მომენვდინა.

მიხვდებით, რომ მე მხოლოდ ეროვნ. მოვალეობა მალაპარაკებს და სურვილი — მოისპოს წლების მანძილზე ზოგ ჯგუფთა მიერ წარმოებული უსარგებლო და ხშირად მავნებელი კამათი-ჯიბრი და ალიაქოთი და სხვა და სხვა „პროექტების შემუშავება გაგზავნა“. ეს გულსაკლავი დახურდავებაა იმია, რაც „უნყალო ხელს შემთხვევით გადარჩენია“...

შემდეგი ჩვენი საქმიანობა, როგორც თქვენ სამართლიანად აღნიშნავთ, არი ჩვენი საკითხის, რაც დღეს მრავალ მიზეზთა გამო მივიწყებულია, ხელახლა გალვივება და მისი ახალის ენერგიით პროპაგანდა. ამაზე დიდ საქმეს ქართ. ემიგრაცია ვერ გააკეთებს. მუშაობა უნდა სწარმოებდეს თვითოეულ ქვეყანაში ადგილობრივ პირობებთან და საშუალებებთან შეგუებით, მაგრამ ყველგან დევნილ ერთა ძალიან დაკავშირებით. ამ მხრივ აქ შედარებით კარგი მიღწევები გვაქვს: ჩვენები მუშაობენ მებრძოლ ეროვნებათა სხვა და სხვა ცენტრებში — გამოდიან რადიოში და პრესაშიც და სრულიად უცნობ საქართვ. საკითხზე ესპან. ენაზე მოხსენებებიც იმართება, მაგრამ ესეც, რა თქმა უნდა, ცოტაა და ყველგან ასეთი მუშაობა უნდა გაძლიერდეს... „ხვალინდელ ამბავთა“ მოლოდინში ეს საქმე ყველაზე დიდ ნაყოფს მოგვიტანს. ამიტომ ყოველი შემთხვევა, ფაქტი, დატა და სხვ. მაქსიმალურად

უნდა გამოიყენოთ. აი, ესლა მოდის 26-V-ის 40 წლისთავი და აქ გვმართებს ყველგან გამოცოცხლება, თავის და ახლო ისტორიის გახსენება ყველათათვის. ჩვენ აქ ძალების და საშუალებების დაგვარად ამას გავაკეთებთ: რადიოში, ადგილ[ობრივ] და ჩაგ[რულ] ერთა პრესაში გამოვალთ, გავმართავთ საზეიმო სხდომას, რომელზე[ც] გამოვლენ საგანგებო მომართვებით ყველა დაპყრობილ ერთა დელეგაციები, გვექნება ქართ. ვოკალ. განყოფილება, მცირედი გამასპინძლება უცხოელთა და პრესის და სხვ. მანდ ალბათ უფრო მეტის ენერგიით ამუშავდებიან ჩვენები. იქნებ საჭირო იქნეს ეროვ. მთავრობის გამამხნევებელი მიმართვა ქართველ ერისადმი, ან ემიგრაციისადმი მაინც ამ 40 წლის თავზე. ამას თქვენ რასაკვირველია, უფრო კარგად გაზომავთ. ყველა შემთხვევაში ეს არის საუკეთესო დრო და საბაბი, რათა ყველას ჩვენი თავი გავახსენოთ და მრავალ წელთა მანძილზე ჩვენს სასარგებლოდ გაცემული ვექსილები მოვაგონოთ. თქვენ მიერ ნახსენები „aide-memoire“ აქაც ძალიან გამოდგება (ან რაიმე ახალი ამგვარი, ცოტა უფრო ვრცელი — განსაკუთრებით პირველი (ისტორიული) ნაწილით). თუ ეს ვერ მოხერხდეს 40 წლის თავთან შეფარდებით, მაშინ იგივე გამოცემა უფრო გავრცელდება და ჩვენც მოგვანოდეთ დროზე 40 ცალი პრესა-დელეგაციებისთვის. ამას გარდა ძალიან კარგი იქნება ეროვნ. საბჭოს მიერ განზრახული გამოცემა მთლიან ემიგრაციის სახით, საცა ყველა მიმართულებანი ამ დღეს აღნიშნავენ. თუ ეროვ. საბჭოს განხეთქილების გამო ეს გაძნელდეს, იქნებ თქვენის დავალებით რომელიმე პიროვნება, ან დამოუკიდ. ნიადაგზე მდგომმა პარტიებმა მაინც შესძლოს ეს. საჭირო კი არა, აუცილებელია, რომ 40 წლის თავზე ჩვენი მთლიანი სახე გამოჩნდეს. ყველას აჯობებდა „ეროვნ. საბჭო“ს თაოსნობა.

ძალიან, ძალიან სამწუხაროა, რომ ს.-დ-ში განხეთქილება ასეთ დროს კიდევ უფრო გაღრმავებულა. ნუ-თუ რაიმე საგანი, აზრი აქვს ამ გათიშვას? ეს ყველაზე ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს. რაღა დღეს სადავო ან ჩვენში, ან მათში, თუ საფრთხეს ფხიზლად შევხედავთ თვალებში? სად არის ეს რუს. დემოკრატია, რას აკეთებს და ვისთანაა? ჯერ ეს გამოჩნდეს და შემდეგ ვიდავოთ. არც მარჯვ., არც მარცხ. რუსეთს ჯერ დაპყრობილ ერებთან საერთო მიზანი ვერ გამოუნახავთ. ბოლშევიზმის დაცემისთვის ბრძოლა მხოლოდ საშუალებაა იმავე ბატონობისთვის — „მესიანიზმისთვის“ რომლის მოციქული მითომ რუსის ხალხია. ამ საფრთხემ ყველა პარტიები უნდა გავკერთიანოს არა თუ ფრაქციები. გამოცდილი ჭკუა სთმობს მუდამ... რაც შეეხება დევიზს: „პროლეტ...“, თქვენ მართალი ხართ. მე აქ ერთმა პირმა განგებ შემიყვანა შეცდომაში (ძველი ნომერი მაჩვენა). მაღლობა ღმერთს, რომ ასე ყოფილა. წერილი გამიგრძელდა. მაპატიეთ. მიიღეთ გულითადი მოკითხვა თამარისა და ჩემგან. ბრძანდებოდეთ მხნედ და გამარჯვებით. მოკითხვა ბ. აკაკის.

მარად თქვენი აკ. პაპავა

IV. კონსტანტინე კანელაკის წერილი პავლე [სარჯველაძეს]⁴⁴

21.

20 მაისი. 1957 წ. პარიზი

ძმო პავლე,

შენთან ლაპარაკის შემდეგ გუშინ ერთი აზრი მომივიდა, მას ვატყობინებ გრიშა ურატაძეს და პირს მისდამი მიწერილისას შენ გიგზავნი. გთხოვ გააცნო გიორგი ერატყაძეს. მე ვწერ გრიშა ურატაძეს:

„საქმე შეეხება შენს შესწორებას ეროვნულ საბჭოს დებულებაში, რაც მე გავიზიარე, თუ კი ეს შესწორება უფრო მაგარ საფუძველს დაუდებს საბჭოს არსებობას და გააცოცხლებს.

ხოლო არ არის გათვალისწინებული ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება, რაც არ უნდა გამოგვრჩეს, თორემ ყველაფერი აირევა. ესაა ეროვნული მთავრობის წევრთა მდგომარეობა: ისინი, როგორც დამფ. კრების წევრნი შედიან საბჭოში, მამასადამე საბჭოს დადგენილებებს ემორჩილებიან, თუ საბჭომ არ მოიწონა მათი მოქმედება, ისინი უნდა გადადგენ; ვისგან ირჩევს საბჭო მოადგილეებს? ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეროვნული მთავრობის წევრთა კრებული — ეს არის ინსტანცია უკვე საბოლოო, თუ ისიც ჩაინგრა ვერავითარ მომქმედ. ორგანოს ჩვენ ვერ შევქმნით.

თავდაპირველ პროექტში ეს საკითხი გარკვეული იყო: მთავრობის წევრნი (ოთხი ვიყავით მაშინ) საბჭოში არ შედიოდნენ. — ამას ძალიან დაკვირვება უნდა, ძალიან აჩქარება არ ვარგა. აუცილებელ საკითხებში საბჭოს ახლაც შეუძლია გამოსვლა.

მინდოდა ეს შენც გცოდნოდა, რადგან გუშინ ეს არ გაგვითვალისწინებია.

შენი კ. კანდელაკი

⁴⁴ საარქივო მასალებზე და ამ პერიოდის პერიოდულ გამოცემებზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ ეს არის პავლე სარჯველაძე (1898-1981), სოციალ-დემოკრატი. ის მთავრობის და „ეროვნული საბჭოს“ წევრებთან ერთად აქტიურად არის ჩაბმული პოლიტიკურ საქმიანობაში და მონაწილეობდა იმ საკითხების გადაწყვეტაში, რაზეც კონსტანტინე კანდელაკის წერილებშია საუბარი.

**Constantine Kandelaki's Correspondence –
materials for research of the History of Georgian Political Emigration**

Summary

In the view of research of the history of Georgian Political Emigration, private letters are the most interesting materials in publication.

There are kept correspondence between Constantine Kandelaki (Minister of Finance and Trade and Industry of Democratic Republic of Georgia) and Razhden Arsenidze, Alexander (Sandro) Kordzaia, Akaki Papava and Pavle Sarjveladze at the National Centre of Manuscripts. The content of the letters refer to an activity of Georgian Political Emigration period of time in 1956-1958. Geographical area of the letters is Paris, Munich and Paris-Buenos Aires.

In private correspondence, there are talks about different issues, including the National Government of Democratic Republic of Georgia. After Noe Zhordania's death, Georgian emigrants (the members of Government, Social-Democratic Party and „National Council“) were discussing the issue – how and in what form should the government existed in exile, taking into account the new reality. They were discussing about forming „Committee“ or „the Executive Authority of the Government's functions“. However, as it could turn into a reason for confrontation, the implementation of the idea was rejected.

The letters also refer to the disagreement in Social-Democratic Party. One of the main reasons for dividing the party into two fractions was the disagreement in the issue related to the relations with the Russian emigration.

Constantine Kandelaki's correspondence is significant due to several facts, including, the relationship of the Georgian emigration with the „American Committee“, Georgians participation in „Paris Block“ and researching the history of the „Georgian National Council“.

According to the letters, it is clear, that, despite the elderly age and worsening of health condition, Georgian emigrants are still actively involved in solving current issues.

გრიგოლ რობაქიძის ხუთი უცნობი ხელნაწერი

ლალი ცომაიას პუბლიკაცია

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს გვსურს შევთავაზოთ მისი დღემდე უცნობი სამი წერილი, ერთი ლექსი და ერთი ხელნაწერი.

ამ ახლადგამოვლენილი წერილების ადრესატები არიან ისტორიკოსი და პოლიტოლოგი მარკოზ ტულუში (1900-1971) და პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი დავით საღირაშვილი (1887-1962). სამივე ბარათი საქმიანი ხასიათისაა, პირველი ორი მწერლის შვეიცარიაში დანერგილი წიგნის – „ნესუს პერანგის“ გამოცემის ამო მცდელობას შეეხება, მესამე კი „ამერიკის კომიტე“-ს თაოსნობით მიუხეხეში 1954 წლის ივლისის დასაწყისში გამართულ კონფერენციას ეხება, რომელსაც „საბჭოთა კავშირის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი ინსტიტუტი“ მართავდა და რომელშიც სხვა 209 გამომსვლელთან ერთად მონაწილეობა გრიგოლ რობაქიძესაც უნდა მიეღო, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. წერილები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ ბ-ნმა ლევან თაქთაქიშვილმა მოგვანოდა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ჯერ წერილები:

1.

Grigol Robakidse

Genève

8, q. Ecole-Médecine¹

15.8.1953

დიდათ პატივცემულო ბ-ო მარკოზ!

იძულებული ვარ „სადეპეშო სტილი“ მოვიშველო, ვინაიდან მოცალეა არა მაქვს და თანაც მოქანცული ვარ.

უკანასკნელ წლებში მოვათავე, სხვათა შორის, ერთი ახალი წიგნი „Das Nessus-Hemd“.² ეხება ბოლშევიზმს. (კონცეპტი ამ წიგნისა „ბ. ქ.“-ში³ მოვხაზე გაკრვით — გექნებათ ნაკითხული.) ერთი „ათილი“ (Absehnitt), „Schauprozesse“,⁴ მეთაურად გაუშვა ერთმა აქაურმა გაზეთმა. მეორე, „Zur Psychologie des sowjetmenschen“,⁵ გამოვა „Schweizer Rundschau“-ში⁶ (კათოლიკების

1 გრიგოლ რობაქიძე, ჟენევა, ეკოლ-მედსინის სანაპირო №8 (ფრანგ.).

2 „ნესუს პერანგი“ (გერ.).

3 ჟურნ. „ბედი ქართლისა“ (ლ. ც.).

4 „საჩვენებელი პროცესები“ (გერ.).

5 „საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგიისათვის“ (გერ.).

6 ჟურნ. „შვეიცერ რუნდშაუ“ (ფრანგ.).

ჟურნალია). გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსი **Борис Вышеславцев**⁷ ჩემს ანალიზს ბოლშევიზმისა **ბენილშურად** თვლის: მოსმენილი აქვს მხოლოდ 2 ათილი.

ეს ნიგნი ამერიკისათვის დავამზადე საგანგებოთ. თამამად შემოძლია ვთქვა: იგი „მისწრება“ „ფსიხოლოგიური ომის“ წარმოებისათვის. ასეთივე აზრისაა ვიშესლავცევიც. რა გზით მივანოდო იგი ამერიკას? გერმანულ ტექსტს, მანქანაზე გადაღებულს, იქ არავინ წაიკითხავს, უკეთ: არ მიიქცევს ყურადღებას. საჭიროა ინგლისური ტექსტი. თარგმნა მოითხოვს მიახლოებით **400** დოლლარს. ცუტრისში იმყოფება ერთი ინგლისელი: გამოჩენილი მთარგმნელი და თანვე მწერალი. ამ თანხის მოძებნისათვის მივმართე ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს. მოაგროვდენ — გადაიხდიდი ნიგნის გამოსვლის შემდგომ. ვხედავ, არა გამოდის რა.

დარჩა მეორე გზა: ჯერ გერმანულად გამოვაქვეყნო ნიგნი. ნიგნის სახით მიწოდებულს ამერიკაში ჯეროვანი ინტერესით შეხვდებიან, დამერწმუნებით. აქ წინმელობება ერთი დაბრკოლება:⁸ ჩემი ნიგნაკი ჰიტლერზე, რომლის გამო ჯერ კიდევ ერიდებიან ჩემს სახელს: გერმანიაშიც და შვეიცარიაშიც, თუცა იქაც („Brockhaus“, „Knauer-Lexikon“⁹ ახალი გამოცემა) ღირსეულად ვარ ხსენებული და აქაც („Schweizer Lexikon“¹⁰ მეექვსე ტომი). მართალია, ჩემს ნიგნაკში ჰიტლერზე ერთი წვეთიც არაა „ნაციზმისა“; იქ პითაგორული ხერხით გაყვანილია ეს: სწერია: **შინ ხარ ეს — შინაგან კი იკითხება: შინ უნდა იყვი ეს**. ხოლო ჩვენი დროის აურზაურში ვის შეუძლია წედეს ამ გადაწყვეტ ნუანსს? და აი, გარიყული ვარ. გაზეთები და ჟურნალები მაინცა-და-მაინც არ ერიდებიან ჩემს სახელს „ომის“ გამო, ვინაიდან გაზეთს ერთი დღის სიცოცხლე აქვს და ჟურნალს ერთი თვის. სულ სხვაა ნიგნის-გამომცემლობა, რომლის პასუხისმგებლობა გაცილებით დიდია. არ მშველის აქ ფსევდონიმიც, რადგან ჩემი სტილი გერმანულშიაც ისეთია, რომ ავტორის გამოცნობა ადვილია. (ხსენებული ნიგნი მინდა გამოვუშვა ფსევდონიმით „Avalon Cardwell“¹¹ — არა „ამოფარებისათვის“. თუ რისთვის — ამას შემდეგ ავიხსნით.) იმ სიძნელეს გერმანიაში **შიშინც** ემატება: ვაი, თუ დასავლეთი გერმანიაც ხელთიგდეს ბოლშევიკებმაო, ფიქრობენ ასე.

აი, მოკლედ საქმის მდგომარება. ესლა გავიფიქრე: შესაძლოა ფრანგულად გამოსცენ ნიგნი. ამერიკაში „ესლა“ ფრანგულად გამოცემულს მეტი ყურადღებაც ერგუნება ვიდრე გერმანულად გამოქვეყნებულს!

აქ იწყება ჩემი მომართვა თქვენდამი.

ვიცი: გონიერი კაცი ხართ, თანვე: მასშტაბის მქონე, ესე იგი: ევროპიელს შეგიძლიათ შეხედეთ არა როგორც „პროვინციელი“, გახასიათებთ გამჭირაობა, და, რაც თავი-და-თავია: გამძლეობა, ბოლოს: კავშირი გაქვთ გამომცემლებთან. ჩემი მომართვა თქვენდამი მოკლეა: იფიქრეთ ზემოთქმულის ირგვლივ, მოზომეთ ყოველი მხრით. თუ დაინახავთ, რომ მანდ, ბრუსსელში, რომელიმე გამომცემელი გულისხმიერებით შეხვდება ჩემს ნიგნს — გამოგზავნით¹² მისთვის სანიშნო ათილეს. (დამატებით: ყოველი ათილი თავის-თავად დამთავრებულია და იმავე დროს სხეობით, „ორგანიულად“, შედის მთელში. მაგალითი: „Zum Wesensbild der

7 ბორის ვიშესლავცევი (რუს.).

8 უნდა იყოს: დაბრკოლება (ლ. ც.).

9 „ბროკჰაუზი“, „კნაუერის ლექსიკონი“ (გერ.).

10 „შვეიცარული ლექსიკონი“ (გერ.).

11 „ავალონ კარდველ“.

12 უნდა იყოს: გამოგზავნით (ლ. ც.).

Russen“,¹³ ამის დაბეჭდვა ცალკეც შეიძლება, ისე: თითქო იგი არ იყვეს ნაწილი მთელისა.) ხაზს ვუსვამ: „ბჰულზმნიმბიტი“ (თუ შეხვდება). თუ არა — მაშინ არ ღირს საქმის დაწყება. იფიქრეთ — მოზომეთ! დიდათ დამავალბთ. მეტი: დიდს სამსახურს გაუნვეთ დაავადებულ კაცობრიობას — ვამბობ ამას *sebstbewusst, ohne im geringsten selbstgefällig zu sein.*¹⁴

*იყავით მხნედ და მარჯვედ!
თქვენი პატივმცემელი
გრიგოლ რობაქიძე*

2.

*Monsieur
Marc Tougouchi
BRUXELLES
23, Bd du Régent¹⁵
1.11.1953
Jeneva*

დიდ. პატ. ბ. მარკოზ!

ბოდიში: პასუხის დაგვიანებისათვის.

ნუ შეინუხებთ თავს. ამ ხანად გერმანელ გამოცემელებთან მაქვს საქმე. სხვა დროსათვის იყვეს!

ოქტომბრის რვეულში „Schweizer Rundschau“-სი დაიბეჭდა ერთი ნაკვეთი ჩემი „იმ“ წიგნითგან.

ბერნში გამოვიდა „Kleines Literarisches Lexikon“,¹⁶ სადაც მე დიდებულად ვარ გამოყვანილი, თუცა იქ მოცემული დახასიათება ჩემი შემოქმედებისა აქა-იქ შევესებას მოითხოვს. ქართველთაგან გამოყვანილი არიან კიდევ: რუსთაველი, ნ. ბარათაშვილი, რ. ერისთავი, ილია და აკაკი. გამოყვანილ არიან, ასე ვთქვათ: *dem Hörensagen nach.*¹⁷ მათს ნაქმს ევროპაში უშუალოდ არ ცნობენ.

*ვისურვებთ ყოველს კარგსა და ნათელს!
თქვენი პატივმცემელი
გრიგოლ რობაქიძე*

13 „რუსეთის მსოფლსახე“ (გერ.).

14 გულწრფელად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე (გერ.).

15 ბატონ მარკ ტულუშს, ბრიუსელი, რეჯენტის ბულვარი №23 (ფრანგ.).

16 „მცირე ლიტერატურული ლექსიკონი“ (გერ.).

17 გაკვრით (გერ.).

Grigol Robakidze
GENÈVE
8, q. Ecole-Médecine

3.

*Herrn Dawid Sagiraschwili
MÜNCHEN 15
Waltherstrasse 17
Allemagne 18
24. 10. 1954*

დ. პტ. ბ. დავით! გაიგებდით შედეგს „იმ“ შეჯიბრისა. იყო თქმული: ვინც ჯილდოს ვერ მიიღებს, მისს მინანოდებს იყიდიან, თუ უკანასკნელი გამოდგა რადიო-გადაცემისათვისო. უყვდიათ ერთი მონაწილეს მინანოდები. დავიჯეროთ, 209 მონაწილეთა მინანოდებთაგან მხოლოდ ერთის მინანოდები აღმოჩნდა გამოსადეგი რადიო-გადაცემისათვის?? არა, აქ რალაც თაღლითობა იმალება... დავანებოთ ამას თავი. **მე სხვა-რამ მაინტერესებს.** ჩემი კონვერტი გაუხსნიათ — მინანოდები დამიბრუნეს ჩემი მისამართით, დამიბრუნეს ბარათით: „Rundschreiben“-ით.¹⁹ რად დასჭირდათ ეს? მინანოდები უნდა დაებრუნებიათ იმ მისამართით, რომელიც ჩემს კონვერტზე იყო — გარეთ — აღნიშნული, აი ასე: Mr. Stephan Litscher, Genève, 62, rue St. Jean — („Haladar“-ისათვის).²⁰ **კონვერტი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაეხსნათ, თუ მიწოდებული იქნებოდა მიღებული.** მე მინდა ეს საქციელი განვასაჩივრო. გთხოვთ მაცნობით სახელი და გვარი „ამერიკის კომიტე“-ს ახალი თავმჯდომარისა (ლათინური ასოებით). გთხოვთ აგრეთვე: გამოარკვიოთ **სხენებული საქციელი „კომიტე“-ს მანდაურ ფილიალში.** დიდათ დაგიმადლებთ! კეთილი სურვილებით -

თქვენი გრიგოლ რობაქიძე

Grigol Robakidze
GENÈVE
8, quai de l'Ecole de Médecine

18 ბატონ დავით საღირაშვილს, მიუნხენი 15, ვალტერშტრასეს ქ. № 17, გერმანია (გერ.).

19 „ცირკულარი“ (გერ.).

20 ბ-ნ სტეფან ლიტჩერს, სანტ ჟანის ქ. №62, ჟენევა — „ჰალადარ“-ისათვის (ფრანგ.).

23/4

24.10.1954

ლ.მ. ვ. (მევიოთხე) გიყვებით უკლებლად უფრო მეტად.
 ჩემი წიგნი ვიკითხოვ ვინ შეიძლება, "მისი მონაცემები"
 იყოს, თუ უნდასაძებნო გულისხამ ჩემთვის ვინც
 იქნა. უფრო მეტი უნდა მომეცოდეს მონაცემები. რაზე ვარაობ,
 209 მონაცემი მონაცემებისა და მხოლოდ 14000 მონაცემები
 აღმოჩნდა გულისხამ ჩემთვის ვინც შეიძლება? ანა, ან
 ჩემს თანამშრომელს იმეორებ... რაზე ვარაობ ანა თანა.
 უნდა ვინც შეიძლება ჩემი მონაცემები გულისხამ - მთა
 მონაცემები რაზე ვარაობ ჩემი მონაცემები, თანამშრომელს ვინც
 თით: "მონაცემები" თით. ჩემს თანამშრომელს ან? მონაცემ
 მთა უნდა რაზე ვარაობ იმ მონაცემები, ჩემთვის. ჩემ
 მონაცემები იგი - ვინაობა - აღნიშნული, ანა: Mr. Stephan
 მონაცემები, მონაცემები, მონაცემები, მონაცემები - (მონაცემები "მონაცემები").
 მონაცემები მხოლოდ იმ მონაცემებში უნდა ვინც, თუ ვინც



გიგოლა კობაკიძის წერილი დავით საღირაშვილისადმი, ვენეცია, 24 ოქტომბერი, 1954 (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართული ემიგრაციის ფონდი, თბილისი).

ბრიგოლ რობაქიძის ლექსი, რომელიც მას ჩვენთვის უცნობი ქალბატონის, ქეთევან ნაკაშიძისათვის მიუძღვნია, საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში მთარგმნელ თამარ (თამრიკო) ერისთავის (1932-2014) არქივშია დაცული და მისივე ხელითაა გადაწერილი, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, როგორ აღმოჩნდა ის მის არქივში.

აი, ეს ლექსიც:

ქეთევან ნაკაშიძეს

მიდამო მკვდარი. დაბურული ლანდების კუთხე.
ძველი საჯვარე. სურნელება დამჭკნარი დაფნის.
სამარის სევდა. მოდუნება მლაშე თუ წუთხე.
- სანყალ ხატის წინ აცრემლილი სანთელი თაფლის.
და ლოკოკინა კრეტსაბმელზე მიცოცავს სველი
მისთვის ერთია ამ ქვეყანად დიდი თუ მცირე
დაკარგულ ლოცვას ძლივს იკავებს ობობას ქსელი
და ღმერთან ერთად ჭბორგავს სული მარადი მწირი
- საჯვარის კედლებს ეფინება ქალწულის რხევა
მადონა თუა ქმარმოკლული (სხივივით თბილი)
ქართველთა მწუხრი წამოუსხამს დაღვრემილ მხევალს
ო! ამ სახელით ქეთევანით ნელით და ტკბილით
ვუახლოვდები. მწუხარებას პირველად ვხედავ
თითქოს მეკრძალვის ვილაცასი. პასუხს ვერ ვაგებ
ქალწული უცბათ გაიღიმებს და მაშინ ვხედავ
კოცნის მაგიერ ამბორისთვის გავხსნა მე ბაგე.

გრ. რობაქიძე

ლაპოლს, გერმანიის რაინფელდის მკვიდრმა, ჩვენმა თანამემამულემ მეგი ნახუცრიშვილმა-ბალცერმა ქალაქ როილინგენში თომას ჰექის აუქციონზე შეიძინა და საქართველოში გამოგვიგზავნა გრიგოლ რობაქიძის ერთი ხელნაწერი, რომელიც სულ ერთ ფრაზას შეიცავს და ჩვენი ვარაუდით, მწერლის ჟენევიური არქივის ნაწილს უნდა შეადგენდეს.

ხელნაწერის მარჯვენა კუთხეში უცნობი ხელწერით წითელი ფანქრით მინერილია: „Original! 19.6.62“.²¹




თომას ჰექის აუქციონის სერტიფიკატი.

²¹ ორიგინალი! 19.6.62 (გერმ., ინგლ. ან ფრანგ.).

19.6.62

äääääääääää
ääääääääähä hält hält
hält
abraham hält ääää
Nähe
mäandrisch

Grigol Robakidse
Stein ist Nicht Baum -
Stein IST Nichtaum.¹



გრიგოლ რობაქიძის ხელნაწერი, 19 ივნისი, 1962
(ლალი ცომახის კერძო კოლექცია, თბილისი).

¹ ეეეეეააააეეე
ეეეეეააააგა გაჩერდი გაჩერდი
გაჩერდი
აბრამ გაჩერდი აეეე
ახლოს
ხვეულთან

გრიგოლ რობაქიძე
ქვა არ არის ხე -
ქვა არის არაფერი (გერ.).

შეჯამება, წინამდებარე პუბლიკაცია გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო ფაქტებს მოიცავს და კიდევ უფრო სრულყოფს მწერლის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას.

ამ რუბრიკით რედაქცია ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ მაულიშვილთა იმ ნააზრევს შემოგთავაზებთ, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. რამდენიმე ათეული წლის წინ დაწერილი და დაბეჭდილი მასალის ხელახლა გამოქვეყნება იმიტომაც არის საჭირო, რომ მას თანამედროვე ქართველი საზოგადოება ნაკლებად იცნობს. ისინი თავის დროზე ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში დაისტამბა, რომელთა ტირაჟი დიდი არ ყოფილა. მართალია, ხსენებულ გამოცემათა ნაწილი ახლა საქართველოს სიძველეთსაცავებშიც მოიპოვება, მაგრამ თითო-ოროლა ეგზემპლარის სახით და ფართო მკითხველს მათზე ხელი ნაკლებად მიუწვდება.

ობიექტურობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ტექსტი პოსტსაბჭოთა საქართველოს პერიოდულ პრესაშიც გამოქვეყნდა, თუმცა პრესის ეს ორგანოებიც ახლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული და დაინტერესებულ ადამიანს მათი მოძებნა გაუჭირდება.

ნიკო ნიკოლაძე

ნიკო ნიკოლაძე მოკვდა. ყველა ადამიანი მხოლოდ თავისი თაობის კაცია. ნიკოლაძემ სამი თაობა ჩაიბარა: დიხყო ილია ჭავჭავაძესთან ერთად და ორმოცდაათი წლის შემდეგ პირველი მიდიოდა ეროვნულ-დემოკრატიულ სიაში, რომელშიაც ქართველი ნაციონალისტების უკვე მესამე თაობა შედიოდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნიკოლაძეს პარტია ჰყავდა ან პარტიას ნიკოლაძე ჰყავდა. პარტიაში ნიკოლაძე ძალიან ძვირფასი და ძალიან სასწაულთმოქმედი ხატი იყო, მაგრამ სხვა ეკლესიიდგან და სხვა მრევლიდგან გადმოსვენებული.

მე არა ვწერ არც გამოჩენილი ქართველის ბიოგრაფიას, არც მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობის შეფასებას. ნიკოლაძე ეკუთვნის იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს, რომლებმაც თავისი ისტორია თითონ უნდა წერონ. უამისოდ ბევრი რამ მათის პიროვნებისა გამოუცნობი და, რაც უფრო მთავარია, განუმარტავი დარჩება. ამას თითონ ნიკოლაძეც გრძნობდა და ბოლო ხანებში მოგონებების წერას შეუდგა. ზოგი რამ ამ მოგონებებისა კიდევაც დაიბეჭდა. წლებმა და თავგადასავალმა ცეცხლი ვერ გაუნელეს და მისი კალამი ძველებურად აქაც ნიკოლაძისებური გამოდგა. ამ მოგონებაში ჩვიდმეტი წლის ნიკოლაძე მართლად რომ იდეალისტი-ახალგაზრდის მომხიბლავი ტიპია. როგორ გამოირა თანდათან ამ იდეალიზმს, ალბად მისი განმარტებაც იქნება შემდეგ თავებში. მაგრამ დღევანდელ ვითარებისათვის ამ მოგონებათა უფრო ბოლო ნაწილს ექნებოდა მნიშვნელობა. მისმა საქართველოში დაბრუნებამ, ამ „სისხლის წვიმების“ დროს ბევრი მითქმა-მოთქმა დაბადა და მე შემეძლო ზოგი რამე მეთქვა, როგორ უცქეროდა განსვენებული თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ნაბიჯს.

ნიკოლაძე დიდ როლს თამაშობდა საქართველოში, თუმცა, არც „საკუთარი“ დოქტრინა ჰქონია, არც საკუთარი პარტია ჰყოლია. ორივე ეს გარემოება დროსი და მისი რთული ბუნების ბრალია. დოქტრინის უქონლობა იმ საღ სკეპტიციზმით აიხსნება, რომლითაც მოცული იყო მთელი მისი არსება. უფრო ნაკლებ ენდობოდა ადამიანებს, რომ საკუთარი პარტია ჰყოლიდა. მაგრამ ნიკოლაძეს სხვა გასაოცარი თვისება ჰქონდა: თავის პარტიას არ ჰქმნიდა, მაგრამ თავის წინააღმდეგ ბევრი პარტია შექმნა. ეს გარემოება მისი გავლენის დიდი ძლიერების მაჩვენებელია. პუბლიცისტი ბრწყინვალე იყო, რედაქტორი — უფრო შესანიშნავი. შედარებაზე იქნებ თითონ ეთქვა უარი, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ კლემანსოსავით საზოგადოებრივ აზრს ისიც „დამბაჩისა და ხმლის“ საშუალებით მართავდა. მისი დუელები ფსიქოლოგიური დამატება იყო იმისა, რასაც სწერდა, ან ამბობდა. საქართველოში, სადაც წირვეული გლეხი და ბრეტერი უფრო მეტი იყო, ვიდრე მწერალი და გაზეთი, დუელი ქართული მოვლენა უფრო იყო, ვიდრე უცხოეთიდგან გადმონერგული პრესის ზნე-ჩვეულება. ცნობილია მისი დუელი თვით ილია ჭავჭავაძესთანაც.

მისი ტფილისური „ობზორი“ მთელ რუსეთში ჰქუხდა. იგივე იყო გმირი იმ სასამართლო პროცესისა, რომელიც ამ „ობზორის“ რადიკალობას მოჰყვა. ეს პროცესი მრავალ მხრივ იყო მაშინ შესანიშნავი, ნიკოლაძეს ეს კარგად ესმოდა და თავს გააფ-

თრებით იცავდა. სასამართლოს შეკითხვაზედ — რა განათლებისა იყო? — ნიკოლაძემ მოკლედ მოუჭრა: „ზა პრედელას როსისსკოი იმპერიი კურსა ნე კონჩალ!“ თქმა არ უნდა, რომ კითხვაცა და პასუხიც კავერზნული იყო. მაგრამ ეფექტი პასუხში უფრო მეტი იყო და ნიკოლაძემ ერთის თქმით აღნიშნა ის სხვადასხვაობა პოლიტიკისა და კულტურისა, გემოვნებისა და იდეალისაც, რომელიც მისა და მის მოსამართლეთა შორის არსებობდა. ამ პასუხით ნიკოლაძემ თავი ევროპიულად გამოაცხადა. „კაკ ბობორიკინ ზნალ ევროპუ!“ — სწერდა მასზე დავით ერისთავი-გლუხარაჩი. მე ვიტყვოდი, რომ ბობორიკინზედაც უკეთ, მაგრამ შიგ არ ეყარა? მთელი იმისი ტრალედია ის იყო, რომ ევროპას ასე იცნობდა და რუსულ პირობებში კი უხდებოდა ყოფნა.

მისი შესანიშნავი „ლუი ბლანი და გამბეტა“ პოლიტიკური მსჯელობის კლასიკური ნიმუშია. მაგრამ სად? — იქ საფრანგეთში, ლუი ბლანისა და გამბეტას სამშობლოში! რუსეთისათვის იგი ქარაგმა იყო. ვინ გახსნიდა ამ ქარაგმას? სხვამ ვერ გახსნა და თითონაც არაფერი გამოუვიდა. მისი შუა-კაცობა რუსეთის მთავრობასა და ნაროდოვოლცებს შორის სწორედ ასეთი უნაყოფო ცდის მაგალითია. ეს ამბავი დიდად საყურადღებოა, იქნება ყველაზედ საჩოთიროც მთელ მის ცხოვრებაში. შემდეგში, მრავალი წლის მერე, თვითონვე სწერდა, რამდენად სახუმარო საქმე არ იყო მთავრობასთან რევოლიუციონერების სახელით ლაპარაკი და რევოლიუციონერებთან — მთავრობის სახელით. იქნება შედეგისა თვითონაც არ სჯერად! მაგრამ ჩერნიშევსკის დახსნაც — რაც წინდანივე ჰქონდა დაბევებული — რამეც ნიშნავდა და საქმისთვის ჭკუა და უნარი არ დაუკლია. შუაკაცობამ უქმად ჩაიარა. მთავრობისა და რევოლიუციონერების შერიგება არ მოხდა. რუსეთი გამბეტას ვერ წარმოშობდა და, კაცმა რომ სთქვას, რუსეთში ლუი ბლანებიც სხვანაირები იყვნენ. ის რუსის რევოლიუციონერი, რომელიც ნიკოლაძეს ლუი ბლანის სახით ჰყავდა წარმოდგენილი, გაცილებით უარესი გამოდგა — ბოლშევიკი! მაგრამ რას იფიქრებდა რომ ბოლშევიკების სრული მიუფება სწორედ მის სიცოცხლეში დადგებოდა და სიკვდილიც მათ ხელში მოუსწრებდა.

ნიკოლაძე უკანასკნელად 1924 წელს ვნახე. ეს იყო აგვისტოს აჯანყების წინ. მისმა საქართველოში დაბრუნებამ, როგორც ვსთქვი, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ფარულად მომუშავენს, რა თქმა უნდა, მისი ჩამოსვლა არ მოგვეწონა. არ მოსწონდა ფართე საზოგადოებასაც. ბოლშევიკები ათას ხმას ავრცელებდნენ და ამ ამბავის გამოყენება სურდათ. ამბობდნენ, რომ შესახვედრად „თვით“ ორჯონიკიძე წავიდა ფოთშიო. ეს ხმა მართალი არ გამოდგა. ზემის ადგილი არა ჰქონია, მაგრამ არც „გათახსირებას“ ჰქონდა ადგილი: ნიკოლაძისათვის ეგრედ წოდებული დეკლარაცია არ ჩამოურთმევიათ!

ნიკოლაძის ნახვას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ჩვენთვისაც და ალბათ, ნიკოლაძისათვისაც, დიდად საჩოთირო და სახიფათო საქმე დამოუკიდებლობის კომიტეტმა კ. ანდრონიკაშვილს და მე მოგვანდო. ნიკოლაძე ცალ-ცალკე უნდა გვენახა და პირველი ანდრონიკაშვილი წავიდა დანიშნულ ადგილზედ. როდესაც მე მივდიოდი, განსვენებულის შესხედულება ჩვენი ბრძოლის საკითხებზედ კ. ანდრონიკაშვილისაგან უკვე ვიცოდი და თამამად მივდიოდი. ვიცოდი, რას მეტყვოდა და რას ვუპასუხებდი.

რამდენადაც მახსოვს, პარლამენტის, თუ დამფუძნებელი კრების ტრიბუნაზედ ნიკოლაძე სულ ერთხელ გამოვიდა. საზოგადო აზრი ისეთი იყო, რომ ნიკოლაძე ორატორი არ იყო. მაგრამ მოსაუბრე შესანიშნავი. ვისხედით პირისპირ, ასე სხვანაირები, როგორც წლოვანობით, ისე სახელის ყალიბით, ერთი შერიგებული, მეორე —

შეთქმული, მაგრამ მაინც ერთი პარტიის ხალხი, რომელთაც ლაპარაკი გულდასმით შეგვეძლო. ნიკოლაძე ლაპარაკობდა მზურვალედ და ცეცხლიანად. ლაპარაკობდა ევროპაზედ, ინგლისის პოლიტიკაზედ. ლორდი კერზონი მაშინ ჩვენში დიდ მოდაში იყო და კერზონზედაც ილაპარაკა. სთქვა ცოტა რამ თავის თავზედაც და უფრო მეტი კი ბოლშევიკებზედ. თავის თავზედ სთქვა, რომ რაღაცა სამი წელიწადი კიდე დამრჩა და მინდა ჩემს ხალხში მოვკვდეო. მისი ლეგენდარული ჯანსაღობა მეც გაგონილი მქონდა და ვუთხარი, რომ საქართველოს მეორე დამოუკიდებლობასაც უნდა მოესწოთ-მეთქი. აი, მაშინ მითხრა, რომ ეგ დღე მეცა მწამს, მაგრამ ყველას ჩვენი ვალაია ქართველ ხალხს ამ დღისათვის სიცოცხლე შევუნარჩუნოთო. ბოლშევიზმის დღევანდელი მას არა სწამდა. მან მითხრა, რომ ბოლშევიკური რუსეთის რღვევა შორეულ-აღმოსავლეთიდან დაიწყება, შესაძლებელია, ეს ამბავი სამ წელიწადშია მოხდეს და მანამდე ბრძოლაზედ ხელი უნდა აიღოთო...

ჩვენ მაშინ ბრძოლაზედ ხელი არ აგვიღია და ცოტა ხანს იქით აგვისტოს ამბავიც დატრიალდა, მე ის აღარ მინახავს, მაგრამ, ალბად ფიქრობდა, რომ ის იყო მართალი და არა ჩვენ. ეს სულ სხვა კითხვაა. კიდე გაიარა ხანმა და როდესაც შორეულ-აღმოსავლეთში ბოლშევიკების საქმე მართლა გართულდა, მე ძალიან მსურდა, რომ ნიკოლაძე მართალი ყოფილიყო. მაგრამ მისი წინასწარმეტყველებიდან ჯერ მხოლოდ ყველაზედ უარესი ახდა — მისი სიკვდილი. ეს დიდათ სამწუხარო ამბავი ერთხელ კიდე წამოსჭიმავს ქართველი ერის წინაშე ამ ბრწყინვალე ქართველის ხსოვნას და ჯერი მის მეორე წინასწარმეტყველებაზედ არის — ბოლშევიზმი უნდა დაილუპოს, საქართველო აღსდგეს! ამაში ჩვენსა და ნიკოლაძეს შორის დავა არ ყოფილა. ჩვენ გაცივარებით ისეთ საკითხებშიც, სადაც უპირატესობა ისტორიულად მეტრძოლი გულის მხარეზედ ყოფილა და არა მცხოვანი თავისა. საქართველო უნდა აღსდგეს, მაგრამ თვით ქართველი ერის ხელის გამოღებითაც!..

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1928 წ., IV, №28

ჩვენი და რუსეთი

რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობამ ორნაირი უბედურება მოგვიტანა: კომუნისტური რეჟიმი და ეროვნული ჩაგვრა. ამათგან პირველს რუსეთიც განიცდის. საკითხი ისმის, რუსეთმა რომ კომუნისტურ რეჟიმს თავი დაანთოს, რა პერსპექტივები არსებობს ჩვენი და რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებისათვის.

უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ერთი ერის მიერ მეორე ერის ჩაგვრასთან გვაქვს საქმე, მჩაგვრელი ერის შვილების არც გულსა და არც გრძნობას დაჩაგრულთა ჩივილი არ ესმის – თითქმის ვერ გაუგია. და ეს ხდება არა მარტო უბრალო მოქალაქეთა შორის, ან მმართველ წრეებში, არამედ იგივე ემართება, ძალიან იშვიათი გამოონაკლიოსის გარდა, დამპყრობი ერის რჩეულ ადამიანებსაც.

პუშკინი იყო ჰუმანისტი, ლიბერალი, იგი ცარისტულ რეჟიმს ნაკლებს იცნობდა და ჰკიცხავდა, მაგრამ რუსეთის მიერ პოლონეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მოხრჩობას ხოტბა შეესხა, როგორც საკუთარი ქვეყნის ძლევაგამოსილების გამოვლენებას. როგორ და რატომ ხდება ასეთი რამ? ეს იმიტომ ხდება, რომ ნაციონალიზმი, რომელიც როგორც ჩაგრულებს, ისე მჩაგვრელებსაც ახასიათებს, განსაკუთრებული თვისების მატარებელი გრძნობაა, რომელსაც მისი მქონე ადამიანის დაბრმავების უნარი აქვს. ნაციონალიზმი უკეთილშობილესი სანყისიდან გამომდინარე გრძნობაა, მაგრამ იგი ამ კეთილშობილების ნაწილს ჰკარგავს, როგორც კი პოლიტიკის გავლენაში მოექცევა. რადგან პოლიტიკა, სახელმწიფო მართვის და მისი ინტერესების მსახური იარაღია, ხოლო სახელმწიფო ინტერესთა დაცვაში, თუმცა კეთილშობილება გამორიცხული არ არის, მაგრამ შვიათად თუ ვინმე ანგარიშს უწევს მას. ძალიან ხშირად ხდება რომ თვით ჩაგრული ერებიც, თავიანთ შინაურ საქმეებში, თვითონვე მჩაგვრელობას ჩადიან და ასეთი ერის შვილები ამას ვერ ამჩნევენ, ან თავიანთი ქვეყნის სიყვარულით და ინტერესებით გატაცებულნი, სხვადასხვა არგუმენტებით, მათი საკუთარი ერის მიერ ჩადენილ მჩაგვრელობას სრულიად გულწრფელად ამართლებენ.

დღევანდელი რუსეთი ისტორიულად, ნაციონალიზმის უზენაეს განვითარების ხანაში იმყოფება. იგი ყველაზე დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოა და რუსები, სრულიად ბუნებრივია, საკუთარი ძლიერებით და დიდებით მთვრალნი არიან.

ის პარადოქსი, რომ ეს იმპერიალისტური სახელმწიფო, იმავე დროს, ინტერნაციონალურ კომუნისტურ დოქტრინის კერაც არის, მხოლოდ კუროიზული ისტორიული თანდამთხვევის ბრალია. თორემ ვინ არ იცის, თუ როგორი მოხერხებით და მიღწევებით იყენებს რუსეთი სწორედ ამ ინტერნაციონალურ დოქტრინას თავისი ნაციონალიზმის სასარგებლოდ.

თანამედროვე რუს ანტიკომუნისტთა შორის აქა-იქ გაისმის ხმა (სოლჟენიცინი, სახაროვი, პანინი), რომელშიც თითქოს გამოსჭვივის შოვინიზმის და იმპერიალიზმის სანინაალმდეგო რამ. მაგრამ თუ დაუკვირდებით, ვნახავთ, რომ ესენი ჯერ ერთი პოლიტიკოსები არ არიან და მეორე, მათ ერთა შორის ურთიერთ ჩაგვრის მოსპობის სურვილი კი არ ამოძრავებთ, არამედ – სწორედ რუსეთის ინტერესები, რომელიც მათ თავისებურად ესმით. მათი გაგება რეალიზმიდან ძალიან შორს არის, მათ ქადაგება-

ში პოლიტიკა და მისტიციზმი თანაბრად გვხვდება და იმის გარანტიაც არ არსებობს, რომ მათ მოქმედებაში ტაქტიკურ მოსაზრებებს არ ჰქონდეს ადგილი.

ყოველ შემთხვევაში კომუნიზმი რომ მოისპოს, ამით რუსული ნაციონალიზმი არ გაჰქრება. კიდევ მეტი, რუსების დღევანდელი პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა მოახერხონ კომუნიზმის თავიდან მოშორება ისე, რომ ის იმპერიალისტური შენაძენი, რაც მათ ნაციონალიზმმა და კომუნიზმმა მოუტანა, რაც შეიძლება უკლებლად შეინარჩუნონ.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ კომუნიზმის დამხობას დემოკრატიის დამყარება უნდა მოჰყვეს. აქვე აღვნიშნოთ და ნუ დავივიწყებთ, რომ დემოკრატია, ყოველთვის და საეკლდებულოდ, არ მოაქვს ხალხთა თავისუფლებას. მაგრამ როგორია საერთოდ დემოკრატიის შანსები რუსეთში? ამ საკითხზე მრავალი აზრი არის გამოთქმული და თუ უკიდურესობას არ გავყვებით, უმეტესობის აზრი ის არის, რომ რუსი ხალხის ხასიათში დემოკრატიისათვის, მეტი რომ არა ვთქვათ, ხელსაყრელი, ან მთლად შესაფერისი ნიადგაი არ არსებობს (რუსები ამბობენ, მზად არ ვართ). ე.ი. რუსეთში დემოკრატია ზოგ პირობებში შეიძლება გაიხაროს, მაგრამ დასავლური გაგებით და წარმატებით იგი რუსეთში ვერ გაიფურჩქნება.

წარმოვიდგინოთ და დავუშვათ რუსეთში კოჭლი დემოკრატიის დამყარება. გამოცდილებით ცნობილია, არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოს უმტიკინეულოდ და ნებაყოფლობით თავისი დომინაციის ფარგლები, მარტო თავისი ნებით არასოდეს შეუმცირებია. ეს ცნება, რამდენიმე საუკუნის წინ მშვენივრად გამოსთქვა პოეტმა მეფემ: „ომი საზღვრავს მესაზღვრეთა“. ასე რომ რუსეთში დემოკრატიის დამყარება საკმარისი პირობა არ არის ჩვენი სურვილისა და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. თუმცა დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით, მაინც დიდი შეღავათი იქნება, რადგან დემოკრატიული რუსეთი, გვაქვს ზოგი საფუძველი ვიფიქროთ, ჩვენი ეროვნული მეობის შენარჩუნებას და ეროვნული კულტურის განვითარებას ნაკლები სიმძაფრით წინაღუდგება და შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტერესთა უზრუნველყოფით დაკმაყოფილდეს.

მარჩილობა იმაზე თუ მომავალი რას გვიქადის, მხოლოდ თავის გართობა იქნებოდა. რა პირობებში და რა ძალთა ჩარევით ან გავლენით მოხდება ძირითადი ცვლილებები საბჭოთა კავშირში, ამაზე შეიძლება უამრავი ჰიპოტეზა დავუშვათ და როგორც ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ხდება, არც ერთი წინასწარმეტყველება მთლიანად არ გამართლდება. მაგრამ, რამდენადაც შესაძლებელ გამოსავლის ნატვრა შეიძლება, ყველა სიძნელეებს და მოსალოდნელ გართულებებს თუ სახეში მივიღებთ, იდეალური, ყველასათვის სასარგებლო და გონიერი საკითხის გადაწყვეტა, ალბათ, ის იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირი ევროპის გაერთიანების მოძრაობას შეუერთდებოდა. ეს საქმე დღეს უტოზიად გვეჩვენება, მაგრამ დე გოლი, ვითომ უტოზისტი იყო, როდესაც ამგვარი გამოსავლის შესაძლებლობა და სასურველობა გამოსთქვა ლოზუნგით: „ევროპა ატლანტიკიდან ურალამდე“? ამას მომავალი გამოაჩენს.

ხოლო ჯერჯერობით, რუსები დიდი ენერგიით მუშაობენ იმპერიის ერთადმეკრავი სისტემა, შეძლებისდაგვარად დაურღვეველ შენობად აქციონ: გარუსების პოლიტიკით, ჩამოსახლების მეოხებით წარმოებულ ეთნიურ კოლონიზაციით და ეკონომიკურად რუსეთისაგან დამოკიდებულების გასაძლიერებლად, საამისოდ დაგეგმილ ინდუსტრიის და მეურნეობის განვითარებით.

როგორ უნდა დაიცვას თავი საქართველომ? მეურნეობის და ინდუსტრიის ჩვენთვის არახელსაყრელ მიმართულებით განვითარებას ჩვენ ვერ შევებრძოლებით.

განდის მეთოდები ჩვენში არ გამოდგება, არც პირობებია, როგორც ინდოეთში იყო. რკინისგზის ლიანდაგზე რომ ქართველები დანვნენ, ეს ჩვენში წარმოუდგენელია. არც ტყეში გახიზვნა და იქიდან თარეშის მონყობა, ჩამოსახლებულ რუსების დასახოცად გამოგვადგება, დასაშვებიც რომ იყოს. ალჟირის მაგალითი ჩვენთვის გამოუყენებელია. ჩვენ დაგვრჩენია ერთადერთი საშუალება თავის შენახვისა, რომელსაც საქართველომ უკვე მეცხრამეტე საუკუნეში მიმართა: ვიმუშაოთ, რომ მომავალს მომზადებული შევხვდეთ; გავამაგროთ ერის ხერხემალი; დავიცვათ, განვაფითაროთ ეროვნული კულტურა; დავიცვათ და ავამაღლოთ პიროვნული, ოჯახური და ეროვნული მორალი; ქართველობის შეგნებულმა, მონინავე ნაწილმა უნდა იზრუნოს ქვეყნისათვის, როგორც მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწენი ზრუნავდნენ. ამ ზრუნვისა და ჯაფისაკენ ხალხს უნდა იზიდავდეს არა ხელფასი ან რაიმე მოგება, არამედ ნამდვილი პატრიოტული შეგნება და ქვეყნის სიყვარული. უნდა შევინახოთ ქართული ოჯახი; უნდა გავიგოთ, რომ მრავალშვილიანობა ეროვნული თავდაცვის საშუალებაა; ნუ დაგვაგინყდება, რომ მაღალი ზნეობა ადამიანის, ერის ძალაა; უნდა შევიგნოთ, რომ ზომაზედ მეტი ყველაფერი ცუდია – ღვინო იქნება თუ უნივერსიტეტის დიპლომი; გვახსოვდეს რომ თუ ყველა ქართველი ქალაქში მოეწყო და სოფელი დაცარიელდა, საქართველოს ძირი გამოეთხრება; საქართველოში პატარა თანამდებობა გვირჩევნოდეს რუსეთში დიდკაცობას; რუსული ენა უნდა ვიხმაროთ, როგორც სავალდებულო შემთხვევაში სახმარი იარაღი და არა როგორც ქართული ენის შემცვლელი ენა.

თუ ამგვარმა შეგნებამ ხალხში ფეხი მოიკიდა და თუ ქართველები ამ შეგნებით იმოქმედებენ, მომავლის ნუ გვეშინია. მომავალი იმისთვის არის საშიში, ვინც მას მოუმზადებელი შეხვდება. და ბოლოს, ერთი რამ გავიხსენოთ: ილია მარტო ლიტერატურა არ არის; მისი სწავლა დღესაც აქტუალურია.

ჟურნალი „ივერია“, პარიზი, 1975, № 17, გვ. 24-29.

თურქეთის ქართული დიასპორა

(მაია მანჩხაშვილის პუბლიკაცია)

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ პარტნიორული და კეთილმეზობლური ურთიერთობები ჩამოყალიბდათ, რაც რიგ სხვა ფაქტორთან ერთად, გარკვეულწილად თურქეთის ქართული დიასპორის დამსახურებაცაა. მისმა მოკრძალებულმა წვლილმაც ამ ურთიერთობების განვითარებას ბიძგი მისცა, უფრო სწორედ, ამ ორი ქვეყნის დაახლოებაში, შეიძლება ითქვას, ხიდის როლი შესარულა, როგორც ეს არაერთ პოლიტიკურ მოღვაწესაც აღუნიშნავს.

თურქეთის ქართული დიასპორა ძირითადად თავმოყრილია ქ. სტამბოლსა და მარმარის რეგიონში მდებარე ბურსას, საქარიას, ქოჯაელის, ბოლუს, ბალიკესირის ოლქებში. მცირე რაოდენობით ცხოვრობს ქართული მოსახლეობა დედაქალაქ ანკარაში. ქართული დიასპორის მნიშვნელოვანი ნაწილი შემორჩენილია საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე ართვინის, არტაანისა და რიზეს ოლქებში. ქართული დასახლებები თურქეთის შავიზღვისპირა რაიონებში სამსუნში, სინოპში, გირესუნში, ორდუში, უნიესა და ფაცაში. თურქეთის ქართული დიასპორის რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს, სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, თურქეთის რესპუბლიკაში დაახლოებით 2 მილიონამდე ეთნიკური ქართველი („ჩვენებური“) ცხოვრობს.

თურქეთის კონსტიტუციის 66-ე მუხლის თანახმად, თურქეთის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე თურქია. თურქეთში მცხოვრებ ქართველებს „ქართული წარმოშობის თურქ მოქალაქეს“ (Gürcü kökenli Türk vatandaşı) ან „გურჯებს“ უწოდებენ. ერთმანეთს ქართველები მიმართავენ ტერმინით „ჩვენებური“ და „თურქეთელი ქართველი“ (Türkiye’li Gürcü).

„ჩვენებურები“ ძირითადად „მუჰაჯირებისა“ და იმ ქართველთა შთამომავლები არიან, რომლებიც მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულიდან ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქართულ მიწებზე ცხოვრობდნენ.

თურქეთის ქართველობას ჩამოყალიბებული აქვს სათვისტომოები, საზოგადოებები, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდები, შემოქმედებით კავშირები. „ჩვენებურებს“ დიდი სურვილი აქვთ კარგად გაეცნონ საქართველოს ისტორიასა და კულტურას. სათვისტომოებში მოქმედებს ქართული ფოლკლორული ანსამბლები.

თურქეთის ქართული დიასპორის ორგანიზაციები:

თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი (სტამბოლი)

ფონდის გენერალური დირექტორია მეველედ ართვინლი (გოგლიძე). მმართველი საბჭოს წევრები არიან — სამი სეჩკინი, ერგუნ ათაბაი (გურამ ქოქოლაძე) ისმეთ დინდარი (მიქელაძე), ალი იჰსან აჰისქალიოღლუ, სიმონ ზაზაძე, პავლე ზაზაძე, ალი გუნდუზი, ალი ნიჰათ გოქიითი. ფონდის მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შედიან ქართული წარმოშობის ცნობილი ბიზნესმენები და საზოგადო მოღვაწეები: ისმეთ აჯარი — ფონდის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, ქ.

სტამბოლში ახალი უბნის „ცარკენტ“-ის დამაარსებელი და ცარლარ ჰოლდინგის მუპატრონე.

განათლებისა და კულტურის ფონდი თურქეთში ქართული დიასპორის ერთ-ვარი ცენტრის როლს ასრულებს. ფონდის მმართველი საბჭოს წევრთა ძალისხმევით შესაძლებელი გახდა განათლებისა და კულტურის ცენტრის დასაარსებლად სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის ფონდის კუთვნილი ტერიტორიის შესყიდვა, ეკლესიის ბიბლიოთეკაში დაცული ნიგნებისა და დოკუმენტების კატალოგიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსება (სიმონ ზაზაძე), ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შემსწავლელ თურქ მეცნიერთა ჯგუფისთვის ფინანსური დახმარების განევა (ერგუნ ათაბაი), საქართველოში გამართულ ღონისძიებებში თურქეთიდან ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლების მონაწილეობის უზრუნველყოფა, ქართველი სტუდენტებისთვის თურქეთში სტაჟირების გავლის საკითხის მოგვარება და მათთვის სტიპენდიების დანიშვნა (მეგლუდ ართინლი), თურქეთში გამართულ სხვადასხვა სამეცნიერო კონგრესსა და კონფერენციებში ქართველი ექიმების მონაწილეობის უზრუნველყოფა, საქართველოში თურქ კარდიოლოგთა ჯგუფის მივლინება და გულით დაავადებულთა უფასო მკურნალობა (ისმეთ დინდარი).

პავლე ზაზაძე (1901-1989) – თურქეთში მოღვაწე ქართველი მეცენატი იყო. მისი წინაპრები წარმოშობით ადიგენის რაიონის სოფ. უდეღან იყვნენ. მშობლებს – სიმონსა და ელისაბედ ვარდიძეს პავლეს გარდა კიდევ შვიდი შვილი ჰყავდათ. პავლე 13 წლისა იყო, როცა ბიძამ სტამბოლის კათოლიკურ მონასტერში ჩაიყვანა სასწავლებლად. ამ სკოლის დასრულის შემდეგ, პავლემ ვაჭრობაში სცადა ბედი და წარმატებასაც მიაღწია. 1933 წელს მან მარიამ ჩილინგარიშვილზე იქორწინა. მათ ორი შვილი შეეძინათ – სიმონი და ანიტა.

1966 წელს პავლე ზაზაძემ დააფუძნა ქართველ კათოლიკეთა საზოგადოება და ფონდი, დიდ დახმარებას უწევდა ფერიქოის უბნის ქართველთა მონასტერს.

სიმონ ზაზაძე (დაიბადა 1933 წელს) პავლე ზაზაძის ვაჟია, რომელმაც განაგრძო და კიდევ უფრო განავითარა მამის მიერ დანეყბული საქმე. სიმონმა დანეყბითი განათლება სტამბოლის ქართველთა საგანეში მიიღო. შემდეგ სწავლობდა გერმანულ სკოლაში, ინგლისურ ლიცეუმსა და თურქეთის ტაქსიმის ლიცეუმში. უმაღლეს განათლებას სტამბოლის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე დაეუფლა, სადოქტორო დისერტაცია კი ამ სფეროში ლონდონში დაიცვა.

როგორც მრავალმხრივმა მოღვაწემ, მან ბედი სამხედრო სფეროშიც სცადა – ამერიკაში ოფიცერთა სამხედრო სასაწავლებელი დაამთავრა და იქვე დაიცვა სამეცნიერო ხარისხიც.

სიმონ ზაზაძე ფლობს თურქულ, ბერძნულ, გერმანულ, ინგლისურ, ლათინურ, ესპანურ და ქართულ ენებს. მისი მეუღლეა – კლაუდე ინჯე. ჰყავთ სამი შვილი – ნატალია, პაულა და პავლე.

ზაზაძეთა ოჯახური ბიზნესებიდან ყველაზე ცნობილია კომპანია „ზაზა-ჰოლდინგი“, რომელსაც მსოფლიოში 326 -ზე მეტი საწარმო აქვს გახსნილი. ზაზაძეების ოჯახი ფინანსურად მხარში ედგა პარიზში გამომავალ ჟურნალს „ბედი ქართლისას“ ეხმარებოდა სხვა ქართულ ემიგრანტულ გამოცემებს: „კავკასიონი“, „პრომეთე“, „გუშაგი“, „საქართველოს გუშაგი“, „თეთრი გიორგი“, „თავისუფალი საქართველო“, ასევე ხშირად ეხმარება თურქეთის ქართულ პერიოდულ ორგანოებს „ფიროსმანსა“ და „ჩვენებურებს“.

მამისაგან განსხვავებით, მან მოახერხა სამშობლოში ჩამოსვლა. იგი ახალციხის, შემდეგ საქართველოს საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. ასევე არჩეულია ახალციხის,

ქუთაისისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად.

მაჭახელას განათლების, კულტურისა და თანადგომის ფონდი

ფონდის მმართველი საბჭოს თავმჯდომარეა სალიჰ ილიდი (ჩიკუტაძე), მოადგილე – ბაჰათინ სარი (კორტანიძე). მაჭახელას ფონდი დაარსდა 1995 წელს. მმართველი საბჭოს წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქართული დიასპორის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. ფონდი სტამბოლში მცხოვრებ მაჭახელელ (ართვინის ოლქი) ქართველთა შეკრების ადგილია. იქ არსებობს პირობები იმისთვის, რომ მოეწყოს მცირე და საშუალო მასშტაბის კულტურული ღონისძიებები. ფონდთან მოქმედებს ფოლკლორული ანსამბლი „ერთობა“. ფონდი სისტემატურად მართავს ღონისძიებებს ახლომდებარე რაიონებში მცხოვრები ქართველებისთვის (ტურნირები მინი ფეხბურთსა და ფრენბურთში, პიკნიკები, რელიგიური დღესასწაულების ერთობლივად აღნიშვნა და სხვა).

საქართველოსთან მეგობრობის საზოგადოება

თავმჯდომარე — ალი რიზა ალთუნელი. დაარსდა 2005 წელს ქ. სტამბოლში, ფატიჰის რაიონში. საზოგადოებასთან მოქმედებს ქართული ენის შემსწავლელი კურსები. ორგანიზაციის მიერ დეკლარირებულ მიზნებში შედის თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების განვითარებაში წვლილის შეტანა, ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების თურქულ ენაზე თარგმნის უზრუნველყოფა, ორენოვანი ჟურნალის გამოშვება, თურქეთში ქართული კულტურის, ფოლკლორისა და ხელოვნების პოპულარიზაცია, თურქი და ქართველი სტუდენტებისთვის სტიპენდიების დანიშვნა და თურქეთში ინვესტიციების განხორციელების მსურველი ქართველი ბიზნესმენებისთვის იურიდიული კონსულტაციების უზრუნველყოფა.

ქართული კულტურის საზოგადოება

საზოგადოება დაარსდა 2008 წელს. თავმჯდომარეა ცნობილი პუბლიცისტი ემრეფ ილმაზი. „ქართული კულტურის საზოგადოებაში“ გახსნილია ქართული ენის შემსწავლელი კურსები. ენის შემსწავლელ ჯგუფებში გაერთიანებულია თოთხმეტი კაცი, რომლებიც სტამბოლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენას წარმოადგენენ, მათ შორის არიან სტუდენტები, სახელმწიფო მოხელეები, ჟურნალისტები და ბიზნესმენები.

სტამბოლის ხალხური სიმღერის ანსამბლი „ქაფდალი“

დამაარსებელი და ხელმძღვანელი იბერია ოზქანი (მელაშვილი). ცნობილი საზოგადო მოღვაწის, თურქეთში პირველი ქართული ჟურნალისა და ფოლკლორული ან-

სამბლის დამაარსებლის აჰმედ ოზქანის (მელაშვილი) ვაჟი — იბერია ოზქანი, წლების განმავლობაში ემსახურება ქართული კულტურის პოპულარიზაციას თურქეთში. ან-სამბლის რეპერტუარში, ადგილობრივ ქართულ-ლაზურ სიმღერებთან ერთად, წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის პოლიფონიური სიმღერები. თურქეთში გამოცემულია „ქაფდაღის“ სამი ალბომი. ანსამბლი ნაყოფიერად თანამშრომლობს თურქეთში ქართული სიმღერების ცნობილ შემსრულებელ ბაიარ შაჰინთან.

ჰენდექის ბათუმელთა კულტურის საზოგადოება (საქარიას ოლქი)

მმართველი საბჭოს თავმჯდომარეა ბურჰან ფეჰლივანი (ბოლქვაძე), მოადგილე — რეჯეფ თირიაქი. საზოგადოება დაარსდა 1996 წელს, ქ. ჰენდექში (რაიონში 18 ქართული და 3 შერეული, ქართულ-თურქული სოფელია, ეთნიკური ქართველების რაოდენობა 12 ათასამდე). ჰენდექში, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის, დიდია ქართული ენისა და ფოლკლორის საფუძვლიანად შესწავლის მსურველთა რაოდენობა, საზოგადოების ხელმძღვანელებს აუცილებლად მიაჩნიათ ქართული ენის შემსწავლელი კურსებისა და ქორეოგრაფიულ — ფოლკლორული სტუდიის გახსნა. საზოგადოების ხელმძღვანელებს კარგი ურთიერთობები აქვთ მათ გვერდით მცხოვრებ აფხაზურ-ჩრდილოკავკასიური დიასპორის წარმომადგენლებთან.

ლუზჯეს ბათუმელთა ქართული კულტურის საზოგადოება

მმართველი საბჭოს თავმჯდომარეა ვეისელ ჩაქარი. საზოგადოება დაარსდა 1998 წელს. მმართველი საბჭოს წევრებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიის გადამღებ ჯგუფს ლუზჯეში მცხოვრები ქართველების შესახებ დოკუმენტური ფილმის მომზადებაში.

გოლჯუქის კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება (ქოჯაელის ოლქი)

საზოგადოების მმართველი საბჭოს თავმჯდომარეა მურათ სევიმი (მგელაძე). წევრები: აჰმედ აიღინი (ბერიძე), მაჰმუთ ქაჰრამანი. საზოგადოება დაარსდა 2001 წელს. გოლჯუქის რაიონში ოცი ქართული სოფელია. ქალაქის მერი, მეჰმუთ ელიბეში ქართული წარმომობისაა. გოლჯუქში ხელმძღვანელი ადმინისტრაციული თანამდებობები ტრადიციულად ქართველებს უკავიათ. საზოგადოებასთან დაარსებულია ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც სისტემატურად მონაწილეობს ქართული დიასპორის მიერ თურქეთის ქალაქებში მონყობილ ღონისძიებებსა და ფესტივალებში.

ქ. ბურსის ბათუმელთა კულტურისა და ურთიერთდახმარების საზოგადოება

მმართველი საბჭოს თავმჯდომარე: მუსა აიღინი. ბურსის საზოგადოება ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და ავტორიტეტულია თურქეთის ქართულ ორგანიზაციებს

შორის. იგი დაარსდა 1986 წელს. სარგებლობს დიდი გავლენით როგორც ქ. ბურსაში, ისე ბურსის ოლქის ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ სხვა ქალაქებში. კოორდინირებას უწევს ბურსის ოლქის ცალკეულ რაიონებში (ინეგოლი, იზნიქი, ორჰანგაზი, გემლიქი) დაარსებული ქართული საზოგადოებების ერთობლივ საქმიანობასა და თანამშრომლობას. ქ. ბურსაში 300 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობს.

ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება

მმართველი საბჭოს თავმჯდომარე: მეჰმეთ ნური ტაიარი (მამია დუმბაძე). საზოგადოება 1977 წელს თურქეთის ქართველობის პირველმა ლიდერმა აჰმეთ ოზქანმა (მელაშვილმა) დააფუძნა საზოგადოებასთან არსებული ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი წარმატებით მონაწილეობს ქართული დიასპორის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და ფესტივალებში. ქართული წარმოშობის ადგილობრივ ბიზნესმენტა ფინანსური მხარდაჭერისა და საზოგადოების ხელმძღვანელთა დიდი ძალისხმევით შედეგად, ინეგოლში ტრადიციული სახე მიიღო საერთაშორისო ფესტივალების მოწყობამ, რომლებშიც, ადგილობრივ ფოლკლორულ კოლექტივებთან ერთად, მონაწილეობას იღებენ მოზარდთა ანსამბლები საქართველოდან.

ორჰანგაზის კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება

საზოგადოება დაარსდა 1995 წელს. მმართველი საბჭოს თავმჯდომარეა აბდულაჰ შაჰინი. საზოგადოების წევრებია: აჰმედ ქაჰრამანი, მურათ დემირჯი. მმართველი საბჭოს წევრებს მჭიდრო ურთიერთობები აქვთ ბურსის გუბერნიის სხვა ქართულ საზოგადოებებთან. 1997 წელს, საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა ქართული ქორეოგრაფიულ – ფოლკლორული ანსამბლი. ანსამბლი სისტემატურად იღებს მონაწილეობას თურქეთში გამართულ ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში.

იზნიქის ბათუმელთა კავკასიური კულტურისა და თანადგომის საზოგადოება

დაარსდა 1991 წელს. იზნიქის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქართული დიასპორის მიერ თურქეთის ქალაქებში მოწყობილ ღონისძიებებში. საზოგადოების ფინანსურ წყაროს წარმოადგენს სანეკროები და ქველმოქმედთა შემოწირულობები. საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე იბრაჰიმ შენერი (ცნობილი ბიზნესმენია, რომელიც თავისი ხარჯებით ინახავს თურქეთში ერთ-ერთ საუკეთესო ბავშვთა ცეკვის ანსამბლს. იზნიქის (ძველი ნიკეა) მოსახლეობის მესამედი ქართულია.

გემლიქის აჭარელ ქართველთა კულტურისა და ურთიერთდახმარების საზოგადოება

მმართველი საბჭოს თავმჯდომარეა აიჰან ბაირაქთარი, წევრები: აიღინ ბაირაქთარი, ჰამდი ოზქაია. საზოგადოება დიდი აქტიურობით არ გამოირჩევა, მაგრამ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, დახმარებას უწევს რეგიონის სხვა ქართულ

ორგანიზაციებს ერთობლივი ღონისძიებების მოწყობაში. ყოველი წლის სექტემბერში გემლიქში იმართება ფესტივალები, სადაც ადგილობრივ ქართველთა ფოლკლორის ჯგუფები იღებენ მონაწილეობას.

გონენის ბათუმელთა და ართვინელთა კულტურისა და თანადგომის საზოგადოება (ბალიქსირის ოლქი)

დაარსდა 2004 წელს. მმართველი საბჭოს თავმჯდომარეა ჰალით ოზდემირი. გონენის რაიონში ათამდე ქართული სოფელია. ადგილობრივ ქართველთა რაოდენობა 5 ათასს აღემატება. მათი დიდი ნაწილი, ისევე როგორც მთლიანად თურქეთის ქართველობის უმრავლესობა, 1877-1878 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ბათუმიდან და ართვინიდან გადმოსახლებულ ქართველთა შთამომავლები არიან.

ქართული კულტურის ცენტრი

„ქართული კულტურის ცენტრი“ 2009 წელს სტამბოლში დაფუძნდა. იგი ძირითადად ჭანეთის, კოლა-არტანის ძირძველ ქართველებს აერთიანებს და არა მხოლოდ მათ. ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანია თურქეთში მცხოვრებ ქართველებში კულტურული მეკვიდრეობის შენარჩუნება და შთამომავლობისათვის გადაცემა, მშობლიური ენის სწავლება. ცენტრი ყოველწლიურად არაერთ ღონისძიებას უწევს ორგანიზებას. აქეთ უფასო ენის კურსები. დანტერესებული ადამიანებისათვის აწყობენ ქართული ფილმების ჩვენებას. ეწყობა პოეზიის საღამოები და მსგავსი კულტურული ღონისძიებები.

თურქეთის ქართველობის გამოცემები

ჟურნალი „ჩვენებური“

თურქეთის ქართველობის პირველი ბეჭდური ორგანოს ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემა დაიწყო 1977 წელს შვედეთში, ქ. სტოკჰოლმში, ქართული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეების — შანვერ აკინის (თევზაძის) და აჰმედ ოზქანის (მელაშვილის) ძალისხმევით. აჰმედ მელაშვილი გახდა ჟურნალის მფლობელი და პასუხისმგებელი რედაქტორი. ჟურნალის გამოცემა დროებით შეწყდა 1980 წლის 5 ივლისს, მას შემდეგ, რაც დაიღუპა აჰმედ მელაშვილი. 1993 წლის თებერვალში, აჰმედ მელაშვილის ვაჟის — იბერია ოზქანის ძალისხმევით, ქ. ბურსაში, განახლდა ჟურნალის გამოცემა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქ. სტამბოლში რედაქციას სათავეში ედგა ფაჰრეთინი ჩილოღლუ (ჩილაშვილი), 1997 წლიდან კი ოსმან ნური მერჯანი (იმედაშვილი). ჟურნალი 2006 წელს დაიხურა. სარედაქციო კოლეგიაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ ქართული წარმოშობის ცნობილი თურქი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ქევესერ რუჰი (ხანთაძე), მუსტაფა იაკუტი (ხიმშიაშვილი), ჰასან ჩელიკი, იასინ ონჯუ (მსხალაძე), შენოლ ტაბანი და სხვა. „ჩვენებურს“ დიდი წვლილი მიუძღვის თურქეთში საქართველოს ისტორიისა და კულტურის, ქართული ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის პოპულარიზაციის საქმეში.

თურქეთის ქართველობა 1997 წელს გამოსცემდა ქართულ ჟურნალს სახელწოდებით „მამული, ხოლო 2007-2010 წლებში – ქართულ-თურქულ ორენოვან ჟურნალს „ფიროსმანი“ (მთავარი რედაქტორი ფარნა-ბექა ჩილაშვილი).

თურქეთისა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართული სათვისტომოების შესახებ ინფორმაცია ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე ვრცელდება თურქეთის ქართველობის საინფორმაციო რესურსის – ინტერნეტ საიტ „ჩვენებურების“ (რედაქტორი ერდალ ქუჩუკი) მეშვეობით.

www.chveneburi.net არის პირველი ქართული ვებგვერდი თურქეთში. შეიქმნა 2000 წელს. საიტმა აქტიური საინფორმაციო მხარდაჭერა გაუწია თურქეთის ქართველებს, რომლებმაც ოფიციალურად მიმართეს ქვეყნის შესაბამის უწყებებს ქართულენოვანი ტელე და რადიომაუწყებლობისა და ქართულ ენაზე სწავლების შემოღების მოთხოვნით და ჩაატარეს ხელმოწერების შეგროვების კამპანია. საიტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თურქეთის საზოგადოებისათვის საქართველოს, ქართული ენის, კულტურისა და ისტორიის გაცნობაში. სისტემატურად აშუქებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. მონაწილეობას იღებს ქართული კულტურის საკითხებზე სატელევიზიო პროგრამების პროექტირებაში. აღსანიშნავია, რომ სწორედ ინტერნეტსაიტ „ჩვენებურისა“ და ჟურნალ „ფიროსმანის“ წარმომადგენლები იყვნენ სტამბოლში, რუსეთის გენერალური საკონსულოს წინ, თურქეთის ქართველობის საპროტესტო აქციების ორგანიზატორები, ჯერ 2008 წლის მაისში და შემდეგ აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დღეებში.

მაუწყებლობა დაიწყო ინტერნეტრადიო „რადიო ჩვენებური“ (www.radio.chveneburi.net) რადიოს ხელმძღვანელობს იზმითელი ქართველი, ინჟინერი ჯუნიეიტ მალკოჩი (დიასამიძე). ქ. გებზეს ქართველობის ლიდერი, უგურ ტანიანი მუშაობს ინტერნეტტელევიზია „ჩვენებურების“ შექმნაზე.

ქ. სტამბოლში თურქეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლობის გამომცემლობა „სინათლემ“ გამოსცა „დედაენა“, ბავშვებისთვის დაბეჭდა ქართული წერის მასწავლებელი „კალიგრაფიული რვეული“ და მოძრავი ანბანი. თურქეთის ქართული დიასპორის ეს მნიშვნელოვანი შენაძენი, ისევე როგორც თავად ჟურნალი „ფიროსმანი“, შენოლ ტაბანის ხელმძღვანელობით გამოიცა. შენოლ ტაბანი, წარმოშობით ართვინის ოლქის ბორჩხის რაიონიდანაა. იგი წლების განმავლობაში დაუცხრომლად იღწვის თურქეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის.

აღსანიშნავია ინტერნეტ საიტი www.genatsvale.wordpress.com რომლის მთავარ რედაქტორ მურატ შაჰინს (ძნელაძე), დიდი წვლილი შეაქვს თურქეთის ქართველობის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში.

თურქეთის ქართული დიასპორა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორი ქვეყნის კულტურულ დაახლოებასა და მყარი პარტნიორული ურთიერთობების განვითარებაში.

2012-2014 წლების ბიბლიოგრაფია

1. გაზეთი „საქართველო“ (პარიზი, 1903-1905 წწ.), წინასიტყვაობა დიმიტრი შველიძისა, თბ., 2012.
2. ტ. ბერიშვილი, 1924. ეროვნული აჯანყება საქართველოში, თბ., 2013.
3. ლევან ზ. ურუშაძე, დიადი სულის უკვდავება. მიხაკო წერეთელი, თბ., 2012.
4. გ. ბეჟიტაშვილი, ქართული ემიგრაცია ევროპაში, თბ., 2012.
5. ა. ნიკოლეიშვილი, ბაქოს ქართული დიასპორის ისტორიიდან, ქუთაისი, 2013.
6. მ. მარჯანიშვილი, ლეო ჭეიშვილი – არგენტინაში მოღვაწე ქართველი მწერალი და მეცნიერი, თბ., 2013.
7. მ. დარჩაშვილი, მიხაკო წერეთელი ნაციონალიზმის ძირითადი ცნებების შესახებ, თბ., 2013.
8. ს. ზურაბიშვილი, საქართველოსაკენ, თბ., 2013.
9. ჟ. ხაბულიანი, უსაქართველოდ დარჩენილი ქართველები. მოგონებები (ფრანგულიდან თარგმნა ც. ბიბილეიშვილმა), თბ., 2013.
10. ვიქტორ ნოზაძე. კვალი ქართული კულტურის ისტორიაში, თბ., 2013.
11. მ. წერეთელი, საქართველო და პირველი მსოფლიო ომი (გერმანულიდან თარგმნეს ლალი ციხისელმა და ნინო გეგუჩაძემ), შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2014.
12. მიხეილ წერეთელი, კავკასიური რასისა და კულტურის პრობლემები (გერმანულიდან თარგმნა ნანა ბერიძემ. კომენტარები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა გიორგი ჟუჟუნაშვილმა), თბ., 2004.
13. პ. ნაცვლიშვილი, მოგზაურობა ევროპაში 300 წლის შემდეგ, თბ., 2014.
14. მიხაკო წერეთელი ივანე ჯავახიშვილის შესახებ, თბ., 2014.
15. შ. ვადაჭკორია, ქართული ეპოსიდან ამოზიდული ლეგენდა (ვალოდია გოგუაძე), თბ., 2014.
16. უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია, გამოსაცემად მოამზადეს და კომენტარები დაურთეს პროფესორებმა ა. ნიკოლეიშვილმა და ნ. კუტივაძემ, ქუთაისი, 2014.

სუსტი წიგნი ამბიციური სათაურით

ჟურნალმა „ქართული ემიგრაცია“ წესად დაამკვიდრა, რომ ყოველ ნომერში მკითხველს ქართული ემიგრაციის თემაზე ახლად გამოცემული ნაშრომების ჩამონათვალი მიაწოდის. რა თქმა უნდა, ეს წიგნები თუ ბროშურები ერთი დონის არ არის: ნაწილი მეცნიერული გამოკვლევაა, ზოგი პოპულარულ ან საცნობარო ხასიათს ატარებს და სხვა. შესაბამისად, მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნებიც ნაშრომთა დანიშნულებით განისაზღვრება. ამ წიგნების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებით ჟურნალი ხელს უწყობს მათ პოპულარიზაციას დაინტერესებული საზოგადოებაში. ამასთან, რაკი ჟურნალის ირგვლივ გაერთიანებულია ქართული ემიგრაციის პრობლემატიკაზე მომუშავე სპეციალისტთა ძირითადი ჯგუფი, სარედაქციო კოლეგიას იმის პრეტენზიაცა აქვს, რომ კარგი და ცუდი ერთმანეთისაგან გაარჩიოს, მოსაწონი მოიწონოს და დასაწუნი დაიწუნოს. მოკლედ თუ ვიტყვით, აღარ ვაპირებთ მკითხველთან მეგზურობა გაფუწვით წიგნს, რომელიც ამას არ იმსახურებს.

ამ რეპლიკის გამოქვეყნება ერთმა ბოლო დროს გამოცემულმა ნაშრომმა გვაიძულა. მხედველობაში გვაქვს გიორგი ბეჟიტაშვილის წიგნი „ქართული ემიგრაცია ევროპაში (1921-1953 წწ.)“, თბ., 2012.“ გამომხმარებელმა მით უფრო აუცილებლად ჩაეთვალეთ, რომ წიგნი წინა წელს ავტორის მიერ ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დაცული ნაშრომი ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ ვარდების რევოლუციის შემდგომ განხორციელებული განათლების რეფორმის თანახმად, საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯაროდ დაცვისთვის მის ავტორს სამეცნიერო ხარისხი აღარ ენიჭება, თვითონ ნაშრომი რომ სამეცნიერო გამოკვლევა უნდა იყოს, ეს წესი არავის შეუცვლია. ბუნებრივია, ეს მოთხოვნა ავტორმაც იცის, ამიტომ იგი წიგნის შესავალშივე გვეუბნება, რომ მისი ნაშრომი „არის პირუთენელი, ახალი გამოკვლევა საქართველოს ისტორიაში ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის ადგილისა და როლის განზოგადებისათვის“. ამასთან, ავტორის წარმოდგენით, „არსებითია არა ის თუ რა მასალას გადმოცემთ (ამას ადვილად მოეწება), არამედ თუ როგორ გადმოცემთ“ (გვ. 89). ამ მცდარ დებულებას რომ არ გამოვეკიდოთ, ჩვენც მხოლოდ ის ვნახოთ, როგორაა მასალა გადმოცემული გ. ბეჟიტაშვილის ნაშრომში.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო 1921-1953 წლებით იფარგლება, წიგნში რამდენიმე გვერდი დათმობილი აქვს მე-17 საუკუნეში მოღვაწე ქართველი დიპლომატის ბოგდან გურჯიციკის შესახებ სხვადასხვა პუბლიკაციიდან მოხმობილი ციტატების გადმოცემას (გვ. 10-13).

მეორე თავში, რომლის სათაურია „ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის (1921-1953) მიზეზები“, დასახელებული არ არის ამ ემიგრაციის გამომწვევი არც ერთი მიზეზი და საერთოდაც, აქ სრულიად უადგილოდ, სულ სხვა საკითხებზეა საუბარი. მათ შორის გაკრიტიკებულია საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომები იმის გამო, რომ მათში ასახვა ვერ ჰპოვა ქართული ემიგრაციის თემამ. ემიგრაციის მიზეზები დასახელებულია წიგნის საერთო დასკვნაში, რომლიდანაც ერთ ამო-

ნარიდს დავიმონებთ: „განსაკუთრებული ძირითადი მიზეზი გახდა 1921 წლისათვის რუსეთის საგარეო პოლიტიკისადმი დამოკიდებულება. წითელი ჯარის XI არმიის საომარი ოპერაცია საქართველოში და 1924 წლის ოუნკრების აჯანყება რუსული რეჟიმის წინააღმდეგ“ (გვ. 190). „რუსეთის საგარეო პოლიტიკისადმი დამოკიდებულებასა“ და „ჯარის არმიას“ რომ თავი დავანებოთ, სრული აბსურდია „1924 წლის ოუნკრების აჯანყება“.

გ. ბუჭიტაშვილს მოჰყავს ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია ცნობილი პოლონეთში მყოფი ქართველი სამხედროების სია და იქვე ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ეს მცირე ჩამონათვალი ნათლად წარმოგვიდგენს XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს საერთო ემიგრანტთა მდგომარეობას ევროპის ქვეყნებში“ (გვ. 41). ერთი კონკრეტული სახელმწიფოს სამხედრო უწყებაში მოსამსახურე ქართველი სამხედროების მშრალი სია როგორ უნდა ცხადყოფდეს „საქართველოს საერთო ემიგრანტთა მდგომარეობას ევროპის ქვეყნებში“, ავტორის საიდუმლოდ რჩება.

უცნაურია გ. ბუჭიტაშვილის მიდგომა საკითხის ისტორიოგრაფიისადმი. ნაცვლად იმისა, რომ გაიაზროს და შეაფასოს წინამორბედ მკვლევართა წვლილი პრობლემის შესწავლაში, იგი გვთავაზობს განსახილველი ნაშრომის ვრცელ შინაარსს და მასაც ხშირად მხოლოდ ციტატების სახით (იხ. მაგალითად, პოლონელი მეცნიერის ა. ვოჟნიაკის პუბლიკაციის „ქართული ემიგრაციის საზოგადოებები და ორგანიზაციები პოლონეთში“ წარმოჩენა, გვ. 70-77; ასევე, შ. მურუსიძის სტატიისა – „ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კვლევის პრობლემები“. გვ. 63-68. სხვათა შორის, მკვლევრის გვარს გ. ბუჭიტაშვილი ტექსტში მითითებულ დამონებებში რატომღაც მაისურაძედ მოიხსენიებს, მისი დასახელებული ნაშრომი კი ცალკე ნიგნი ჰგონია (გვ. 222). სინამდვილეში შ. მურუსიძის პუბლიკაცია სტატიისა და დაბეჭდილია კრებულში „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, II (4), თბ., 2008; 1994 წელს ბათუმში გამოცემული ნიგნის „ქართული ლეგიონი თურქეთში“ ავტორებად გ. ბუჭიტაშვილი აკაკი და პაატა სურგულაძეებს ასახელებს, მაშინ როდესაც, ნაშრომი აბელ სურგულაძეს ეკუთვნის.

როგორც ნაშრომზე თანდართული ბიბლიოგრაფიიდან ჩანს, გ. ბუჭიტაშვილს მასალების ძიება და შეგროვება ჯერ კიდევ ორ ათეულზე მეტი წლის წინ, საბჭოთა პერიოდში დაუწყია, თორემ კარგა ხანია აღარ არსებობს იმგვარი საარქივო დანესებულებები, როგორც მის ნაშრომშია დამონებული, კერძოდ: საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი და ЦАМО СССР (გვ. 224). ამას გარდა, საეჭვოა ავტორი სამუშაოდ დაემვათ ამ უკანასკნელში, რომელიც 1992 წლიდან რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს არქივად ინოვდება.

გ. ბუჭიტაშვილის ნაშრომში ერთხელაც არ არის ნახსენები ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო მკვლევრის რუსუდან დაუშვილის სახელი, მაშინ როდესაც ამ ავტორის პუბლიკაციები მონოგრაფიისა თუ სამეცნიერო სტატიების სახით განსახილველ თემაზე ფართოდაა ცნობილი საისტორიო მეცნიერებაში. იგივე შეიძლება ითქვას გიორგი მამულაის მიმართაც, რომლის მრავალრიცხოვანი კვლევებიც ქართული ემიგრაციის პრობლემეტიკაზე, გ. ბუჭიტაშვილის ნიგნში რატომღაც იგნორირებულია.

ნიგნის ერთი პარაგრაფი ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრანტულ გამოცემებზე მოგვითხრობს. შეუძლებელია ავტორმა არ იცოდეს პროფესორ გურამ შარაძის ღვაწლი ამ საკითხის გაშუქებაში, რომელსაც მეცნიერმა 8 მოზრდილი ტომი მიუძღვნა. მიუხედავად ამისა, გ. შარაძის „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ არც ერთი ტომი გ. ბუჭიტაშვილს დამონებულში არა აქვს.

გ. ბეჟიტაშვილის ნაშრომი დიდადაა დავალებული გ. სულაძის წიგნით „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბ., 2010“. მოზრდილი პასაჟები ამ წიგნიდან გ. ბეჟიტაშვილს თითქმის უკომენტაროდ გადმოუტანია, მაგრამ სათანადო მითითებით. ზოგიერთ შემთხვევაში კი იგი პლაგიატსაც არ ერიდება. წიგნის 153-157 გვერდები, ავტორის მოუხსენიებლად, მთლიანად გადმონერილია პროფესორ ოთარ ჯანელიძის მონოგრაფიიდან „სპირიდონ კეღია. პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002“, გვ. 166-173.

გ. ბეჟიტაშვილს თუ ვერწმუნებით, პარიზში გამოცემულ ჟურნალ „კავკასიონში“ წერილები თურმე მხოლოდ ქართველ მხატვართა შემოქმედებასა და აზროვნებაზე (დ. კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, მიხეილ ბილანიშვილი) იბეჭდებოდა (გვ. 93), ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ კი ძირითადად პატრიოტული მინაარსის წერილები და ქრონიკალური მასალები ქვეყნდებოდა (გვ. 94).

ავტორი წერს, რომ „ქართველ მოსამსახურე სამხედროთა რიცხვმა პოლონეთში 1000-ს მიაღწია“ (გვ. 33). ეს ცნობა არავითარ წყაროს არ ეფუძნება და ამასთან, მეტისმეტად გაზვიადებულია. წიგნში ქართველ ემიგრანტ სამხედროთა ერთი და იგივე სია რამდენჯერმეა მოტანილი, ხან ცხრილში და ხანაც ცხრილის გარეშე, მაგრამ ყველა ერთად რომ შევკრიბოთ, 1000 მაინც არ გამოდის.

ნაშრომში ვკითხულობთ: „არც ერთი მაღალი ჩინის ოფიცერი თუ გენერალი არ დაუსაქმებია თავისი სამხედრო პროფესიის მიხედვით პოლონეთის ხელისუფლებას“ და რომ, „მხოლოდ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო მათი საკონტრაქტო-სახელმეურულებლო საქმიანობა სამხედრო სპეციალობის მიხედვით“ (გვ. 190). წიგნის სხვა გვერდებზე კი აღნიშნულია: „მარშალმა პილსუდსკიმ დიდი ამაგი დასდო ქართველ მხედრებს, კერძოდ, ყოველ მათგანს შეუნარჩუნა ადრე მიღებული სამხედრო წოდება და ფრიად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა პოლონეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის“. „ქართველი სამხედროები პოლონეთში დიდ პატივში ჰყავდათ“ (შალვა ამირეჯიბის მოგონებიდან) (გვ. 34); „პოლონეთის ჯარში მყოფი ქართველი ოფიცრობა ჯამაგირით, ე.ი. პიროვნულად და ოჯახურად ისეა მოწყობილი, როგორც პოლონელი ოფიცრები. ქართველი ოფიცერი პოლონურ ჯარში და პოლონურ საზოგადოებაში კარგად ამის მიღებული და ბედის სამდღურავი არ ეთქმის“ (შალვა ამირეჯიბი) (გვ. 35). გაუგებარი რჩება, რომელი თვალსაზრისია მართალი.

ვნახოთ, რა აზრია გამოთქმული ამ საკითხზე სხვა მკვლევართან. სამხედრო ისტორიკოსი მ. გოგიტიძე, რომლის რუსულენოვანი ნაშრომიდან „Грузинский генералитет, Киев, 2001“ გ. ბეჟიტაშვილს მოაქვს ვრცელი მასალა ქართველი გენერლების შესახებ, შემდეგ გვამცნობს: ზაქარია ბაქრაძე – 1923 წლიდან მსახურობდა პოლონეთის ჯარში, ჰქონდა ბრიგადის გენერლის წოდება (გვ. 55); ალექსანდრე ზაქარიაძე – 1923 წლიდან პოლონეთის ჯარშია, ჰქონდა ბრიგადის და დივიზიის გენერლის წოდებები (გვ. 57); ივანე ყაზბეგი – 1926 წლიდან იყო პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალი (გვ. 58); ალექსანდრე კონიაშვილი – მსახურობდა პოლონეთის ჯარში. 1926 წლიდან ბრიგადის გენერალია (გვ. 61).

ავტორს რთული დამოკიდებულება აქვს თარიღებთან, რის დასტურადაც რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ. 1. გ. ბეჟიტაშვილის მიხედვით, პირველი მსოფლიო ომი XX საუკუნის 20-იან წლებში დასრულებულა (გვ. 137; 188); 2. „საქართველოში მიმდინარე პროცესები 1918-1921 წლებში არ იძლეოდა აუცილებელ პირობას ხელისუფლების ემიგრაციისათვის“ (გვ. 140); 3. წიგნის მეოთხე თავის მეორე პარაგრაფი ასეა დასათაურებული: „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში (1918-1921)“ (გვ. 150; 227).

გ. ბეჟიტაშვილის წიგნში ამგვარ დებულებასაც შეხვდებით: „ქართულ პოლიტიკურ (სამთავრობო) ემიგრაციას თავისი იდეოლოგიის ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბებული ჰქონდა ევროპის ქვეყნების დახმარების იმედი“ (გვ. 190). აქ ერთი შეცდომა ტერმინი „სამთავრობო ემიგრაცია“, ხოლო „იმედი“, როგორც იდეოლოგია, პირდაპირ აღმოჩენაა.

წიგნში სხვა არაერთი შეუსაბამობა და უზუსტობაცაა, მაგრამ მათზე საუბარი აღარ ღირს. მთლიანობაში გ. ბეჟიტაშვილის ნაშრომი „ქართული ემიგრაცია ევროპაში (1921-1953 წწ.)“, რომელსაც ერთობ ამბიციური სათაურია აქვს, უაღრესად სუსტი ტექსტია. იგი იმის თვალსაჩინო მაგალითია, როგორი არ უნდა იყოს სამეცნიერო ნაშრომი.

ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“ სარედაქციო კოლეგია

2013 წელი

იანვარი. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ჟურნალის „ქართული ემიგრაცია“ № 1 (4) წარდგენა.

მარტი. ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარდგინებით, გრიგოლ რობაქიძის მემკვიდრეობის შესწავლა-სა და გამოცემაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის ლალი ცომაიას მიენიჭა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

მაისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში მოენყო ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი შემოქმედის ჯორჯ პაპაშვილისა და თვალსაჩინო მრეწველის ჯორჯ კობის (გრიგოლ კობახიძის) ექსპონატების გამოფენა.

ივნისი. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ტიერი ბერიშვილის ნიგნის „1924. ეროვნული აჯანყება საქართველოში“, თბ., 2013 წარდგენა.

ივნისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში მოენყო ვაშინგტონში მცხოვრები ცნობილი ქართველი ემიგრანტის, რადიო „ამერიკის ხმის“ წამყვანის, პეტრე ხვედელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა;

ივნისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმის გადაწყვეტილებით, 25 ივნისი გამოცხადდა ქართველ ემიგრანტთა დღედ და ყოველ წელს აღინიშნება სხვადასხვა ღონისძიებით.

სექტემბერი. ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი მივლინებული იყო არგენტინასა და ჩილეში სამხრეთ ამერიკაში არსებული ქართული სათვისტომოების ისტორიის შესასწავლად.

სექტემბერი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: „ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)“.

ოქტომბერი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „გუჟრამ შარაძე და ქართული ემიგრაცია“.

დეკემბერი. კომპანია „მელვინეობა ხარებამ“ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა კერძო კოლექციონერისაგან შეძენილი მიხაკო წერეთლის აქამდე უცნობი პირადი საარქივო მასალა (წერილები, ფოტოები ნიგნები).

დეკემბერი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში დაიდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის ბიუსტი (მოქანდაკე გიორგი ჯავფარიძე).

დეკემბერი. საქართველოს მწერალთა სახლში მოენყო გამოფენა: „სიყვარულის ისტორია, ექვთიმე თაყაიშვილი და ნინო პოლტორაცკაია“.

წლის განმავლობაში: საქართველოს სამეცნიერო, კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში აღინიშნა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლის იუბილე.

2014 წელი

ინისი. ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა პაატა ნაცვლიშვილმა დაწყო სამწლიანი პროექტი: „მოგზაურობა ევროპაში 300 წლის შემდეგ სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ“.

სექტემბერი. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა 1924 წლის აჯანყების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.

დეკემბერი. ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტისა და ინალკო-ს ორგანიზებით, პარიზში გაიმართა სამეცნიერო დისკუსია „ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ საქართველოს 1924 წლის აჯანყება რეგიონალურ და საერთაშორისო კონტექსტში“.

ელდარ ბუბულაშვილი – სასულიერო აკადემიის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გიორგი გაფრინდაშვილი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რუსუდან დაუშვილი – პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ანჯეი ვოჟნაკი – ემერიტუს-პროფესორი, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია, ვარშავა

რუსუდან კობახიძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმის უფროსი სპეციალისტი

მაია მანჩხაშვილი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

შორენა მურუსიძე – საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი

პაატა ნაცვლიშვილი – გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

გურამ ყორანაშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

დიმიტრი შველიძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ლალი ცომაია – გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების კურატორი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი

მარიამ ხატიაშვილი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

ოთარ ჯანელიძე – ილიას უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

